

თამაზ კუნჭულია
ზურაბ ბუკია

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის პრობლემები

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

თამაზ კუნჭულია
ზურაბ ბუკია

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის პრობლემები

თბილისი 2020

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

თამაზ კუნჭულია ზურაბ ბუკია

საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის პრობლემები

თბილისი - 2020 წელი

რედაქტორი: აკადემიკოსი **გივი ჯაფარიძე**

რეცენზენტები: აკადემიკოსი **ომარ ქეშელაშვილი**

აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი**

აკადემიკოსი **რევაზ ასათიანი**

ISBN 978 -9941 -8 -2031 -1

UDC (უაკ)338.436.33+338.436.33.003.13

კ-909

რედაქტორისაგან

წინამდებარე ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს აგროსასურსათო სექტორში საბაზრო ურთიერთობების დანერგვის პრობლემებისადმი, ხაზგასმულია ის მიღწევები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე. ჩამოყალიბებულია ახალი ხედვები, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს აგროსასურსათო სექტორის გამართული საქმიანობა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას დაშვებული შეცდომებიდან გამოყოფილია მიწის რეფორმა, რომელმაც გამოიწვია წვრილ მიწათმესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, საექსპორტო პროდუქციის წარმოების ნაცვლად მათი ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის მწარმოებლებად გადაქცევა. აღნიშნულია, რომ ადამიანთა ჯგუფების მიერ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების, გადამამუშავებელი საწარმოებისა და იქ არსებული მზა პროდუქციის დატაცებას, სამეურნეო-კოოპერაციული კავშირების რღვევას, პროდუქციის გასაღების ტრადიციული ბაზრების დაკარგვას, რამაც განაპირობა მრავალწლოვანი კულტურების ფართობებისა და პროდუქციის წარმოების მკვეთრი შემცირება. აღნიშნული პროცესების განვითარების გამო დარგები, რომლებიც მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო, მათივე გაღარიბების მიზეზად იქცნენ. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ერთადერთი დარგი, რომელიც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას - სოფლის მეურნეობა იყო. 1994 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითმა წილმა მთლიანი შიდა პროდუქტის 46% შეადგინა. შემდგომ პერიოდში, კერძოდ 2003-2005 წლებში, მეწარმეებმა ყურადღება გაამახვილეს ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე. შეინიშნებოდა მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, მზესუმზირის, პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის ტენდენციები. ამის პარალელურად მიმდინარეობდა სურსათის იმპორტიორი ფირმების ჩამოყალიბების პროცესი, რომლებმაც დაიწყეს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოებული, სუბსიდირებული სურსათის იმპორტი. სურსათის შემომტანი ფირმების მიერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სადისტრიბუციო

ქსელის გამართვისა და კომერციულ ბანკებთან ,,ცხელი ფულის“ სეგმენტში ურთიერთობის დალაგების კვალობაზე, საქართველოს წვრილ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია ფაქტიურად არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ფასები, რომელშიც ქართული პროდუქცია იყიდებოდა, საკმარისი არ აღმოჩნდა წარმოების ზარალის დასაფარად. მოსახლეობა შემოსავლების ნაკლებობისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის დაქვეითების გამო, ბუნებრივია, უპირატესობას იაფ, იმპორტირებულ პროდუქციას ანიჭებდა.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისადმი დახმარების პოლიტიკის უქონლობის პირობებში განვითარდა ადგილობრივი წარმოების შემცირებისა და იმპორტირებული სურსათის რაოდენობის ზრდის ტენდენცია, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრებაში გადაცემული თუ იჯარით აღებული მიწების დაუმუშავებლად მიტოვება, რის შედეგადაც დღევანდელ საქართველოში გამოიყენება სახნავი მიწების მხოლოდ მესამედი. ეს უდიდეს და უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. მიწის მესაკუთრე წვრილი მეურნეობები დარჩნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, ქიმიური პრეპარატების, მელიორირებული მიწების, საწვავის და ა.შ. გარეშე - წარმოების საშუალებების გასაყიდი ფასების არნახულად ზრდის გამო. აღსანიშნავია აგრეთვე წარმოებული პროდუქციის შესყიდვის სისტემის მოშლა. დღეს, ფაქტიურად, სოფლის მეწარმემ არ იცის რა სახის პროდუქცია აწარმოოს, რა ოდენობით და როგორი სტანდარტით, რა დროს მოიყვანოს და რა ფასად გაიყიდება იგი.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დღევანდელ პირობებში დაუშვებელია პროდუქციის მწარმოებლის ბედის ანაბარა და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თანმდევი პროცესების პირობებში უყურადღებოდ მიტოვება.

ნაშრომის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ წარმოებისათვის ხელშემწყობი ისეთი პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორიცაა გადასახადები, პროდუქციის შესასყიდი ფასების სუბსიდირება და სხვა. საინტერესოა ავტორების მოსაზრება აგროსასურსათო სფეროში განვითარებული პროცესების ფსიქოეკონომიკური ანალიზის შესახებ. რაც მთავარია, ავტორები გვთავაზობენ ორიგინალურ წინადადებებს აგროსასურსათო სექტორში წარმოების გაზრდისათვის, რაც ეყრდნობა საქართველოში არსებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებსა და მსოფლიო გამოცდილებას.

საინტერესოა ავტორების მოსაზრება იმის შესახებაც, რომ საქართველოს სოფლის მეურნობისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება (მრავალდარგიანობა) განვითარების დღევანდელ ეტაპზე გვევლინება წარმოების ზრდის თავისებურ მუხრუჭად. შემოთავაზებულია წინადადება, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თითოეული ზონის მიხედვით შეირჩეს ერთი სახის პროდუქცია, რომლის წარმოებასაც სახელმწიფო რაიმე ფორმით წაახალისებს (შესასყიდი ფასების სუბსიდირება, წარმოების საშუალებების შეღავათიან ფასებში გაყიდვა, გადასახადების შემცირება და ა.შ.). აღნიშნული ქმედებები გამოიწვევს წახალისებული პროდუქციის წარმოების ზრდას, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას, რაც წარმოებული პროდუქციის გარანტირებულ გაყიდვასთან ერთად შექმნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო გარემოს.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებები აგროსასურსათო სექტორის განვითარების ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით. აღნიშნულია იმის შესახებ, რომ პირველ ეტაპზე უნდა გადაწყდეს პროდუქციის შესყიდვის ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარებაც ხელს შეუწყობს დანარჩენი პრობლემების დაძლევას. სხვა შემთხვევაში გვექნება პრობლემების სიმრავლე, რომელთაგან დადებითად ვერცერთი ვერ გადაწყდება.

საინტერესოა ავტორების მიერ შემოთავაზებული, აგროსასურსათო სექტორში გადასაწყვეტი პრობლემების ჩამონათვალი, რომლებიც რანჟირებულია მათი განხორციელების ეტაპების მიხედვით. ყველაფერი ეს ემსახურება ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის დანერგვას, რომელიც განხილულია კონკრეტული დარგის მაგალითზე.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი პასუხობს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში საბაზრო ურთიერთობების დანერგვისა და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს.

აკადემიკოსი ***გივი ჯაფარიძე***

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

შესავალი

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ და ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები.

პირველი ეტაპი უდაოდ არის 1991-95 წლები, როცა ადგილი ჰქონდა მთლიანად ეროვნულ მეურნეობაში და, განსაკუთრებით, მის ძირითად დარგში - სოფლის მეურნეობაში წარმოების არნახულ ვარდნას. უმართავი პოლიტიკური პროცესების გააქტიურებამ განაპირობა ეთნოკონფლიქტების წარმოშობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამოქალაქო დაპირისპირება ქვეყნის შიგნით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო გამოვიდა სსრკ-ის დახურული ბაზრის სივრციდან და მსოფლიო ბაზრის სუბიექტად იქცა, რასაც თან დაერთო საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლა, პროდუქციის გაყიდვის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა და სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რღვევა.

აღნიშნულ წლებში უცხოელი სპეციალისტების რჩევით დაიწყო სახელმწიფო საკუთრების დაჩქარებული პრივატიზაცია, მათ შორის მიწის, რომლის განსახელმწიფოებრიობასაც ყველა ქვეყანა დიდი სიფრთხილით ეკიდება.

შედეგად მივიღეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი შემცირება, მიწების წვრილ მეურნეობებზე დანაწევრება, მათი პარცელაცია. ამავე წლებში მოხდა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის სამხედრო ძალის გამოყენებით ქვეყნიდან გაძევება, რასაც, როგორც გვაფრთხილებდნენ, შორს მიმავალი უარყოფითი შედეგები მოჰყვა.

რაც მთავარია, ადამიანების ჯგუფებმა ხელი მიჰყვეს საზოგადოებრივი მეურნეობების კუთვნილი ქონების უკონტროლოდ დატაცებას და ყველაფრის ნგრევას, რისი შესაძლებლობაც კი გააჩნდათ.

პოლიტიკურად უმართავ ქვეყანაში, სადაც ძირითად ძალას უკანონო შეიარაღებული ფორმირებები წარმოადგენდნენ, არც ერთი სახის რეფორმის გატარება, მით-უმეტეს მიწის რეფორმისა, არ შეიძლებოდა. მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მოხდა ფასების ლიბერალიზება ანუ ფასებს დაეკისრათ წარმოების დაგეგმვისა და მისი შედეგების განაწილების ფუნქცია. მოხდა საწინააღმდეგო რამ. წარმოების ფაქტიურად შემცირების პირობებში მოგების შენარჩუნება ხდებოდა ფასების ზრდის ხარჯზე, მანამ, სანამ ეს შესაძლებელი იყო. ქვეყანას მოედო სუპერინფლაციის ტალღა, რომლის შეჩერებაც მხოლოდ რადიკალური, სისტემური ცვლილებებით იყო შესაძლებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობა დასპეციალიზებული იყო მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის (ღვინო, ხილი, ჩაი, ციტრუსები) საკავშირო ფონდისათვის მიწოდებაზე. პროდუქციის გასაყიდი ბაზრების დაკარგვამ განაპირობა მრავალწლოვანი კულტურების პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება, რამაც სხვა გარემოებებთან ერთად ხელი შეუწყო ვაზის, ხეხილის, ციტრუსების, ჩაის ნარგავებისა და პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირებას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სახელმწიფო, ვფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკის მართვის პრინციპების არასწორად გაგების გამო, არ ერეოდა, სერიოზულად არ ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას.

რამდენადაც მსოფლიოში არ არსებობდა სოციალისტური წარმოების წესის მქონე ქვეყნის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის მაგალითი, როგორც აღმოჩნდა, ყველაზე სწორ რეკომედაციას იძლეოდა გაეროს ჟენევის ეკონომიკური კომისია, რომელიც პოსტსოციალისტურ ქვეყნებს ურჩევდა აერჩიათ უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში საბაზრო ურთიერთობებზე თანდათანობით გადასვლის გზა, რაც საქართველოს სინამდვილეში ურთულესი, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო.

სტაბილური შემოსავლების უქონელმა მოსახლეობამ აქცენტი ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე გააკეთა. პროცესი გრძელდებოდა 2003-2005 წლებამდე (სოფლის მეურნეობის განვითარების მეორე ეტაპი). ამ წლებში ფაქტიურად დასრულდა საწარმოებისა და, ნაწილობრივ, მიწის პრივატიზება. გადაიდგა ნაბიჯები საბაზრო ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციისაკენ. გაუქმდა პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალ ფასში რეალიზაციის აკრძალვის წესი, საჭირო აღარ იყო პროდუქციის ექსპორტიორი ფირმების სერთიფიცირება. სხვადასხვა დროს სახელმწიფომ გამოყო რამდენიმე მილიონი ლარი მეჩაიეობის რეაბილიტაციისათვის და სხვა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში შენელდა რამდენიმე სახის პროდუქციის წარმოება (ეთერზეთების). მინიმუმამდე შემცირდა ჩაის, ციტრუსების, ხილის, ყურძნის წარმოება და ნარგავი ფართობები.

მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოება გამართლებული იყო. მაგალითად, 1997 წელს ქვეყანაში აწარმოეს თითქმის 1 მლნ ტონა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების პროდუქცია. 2001 წელს ხორბლის წარმოებამ 300 ათას ტონას გადააჭარბა. ჩამოყალიბდა პირუტყვის სულადობისა და ხორცის წარმოების ზრდის ტენდენცია. ყოველივე ეს გრძელდებოდა სურსათის იმპორტიორი ფირმების ქსელის შექმნამდე, თავისი ლოჯისტიკური ცენტრებით, დისტრიბუციის აწყობილი ქსელით, კომერციულ ბანკებთან გამართული ურთიერთობებით, რომლებიც შეუფერხებლად გასცემდნენ სესხებს. თუ, 2007-2010 წლებში საქართველოში შემოდიოდა 750- 850 მილიონი აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, 2018 წელს მან 1 მლრდ. 353 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. თანხის გარკვეული რაოდენობა რეექსპორტისათვის შეძენილ პროდუქციაზე მოდიოდა, მაგრამ ეს იმის ნიშანიცაა, რომ საქართველოში იმპორტი კარგად აწყობილი ბიზნესია და, შემდგომ, მისი ზრდაა მოსალოდნელი.

მთავარი უარყოფითი მოვლენა იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველმა მეწარმეებმა, რომელთა უმრავლესობა წვრილი მეურნეობების მიმდევრები არიან, ვერ გაუძლეს მაღალი ტექნოლოგიით წარმოებული იმპორტირებული პროდუქციის კონკურენციას და გამოსავალი წარმოების მოცულობის შემცირებაში ან ნატურალური მეურნეობისათვის უპირატესობის მინიჭებაში ნახეს და, რომლის დანიშნულებაც, ძირითადად ოჯახის გამოკვებაა. შექმნილ სიტუაციაში ეს ყველაზე ოპტიმალური გზაა, რადგან ფაქტიურად არ არსებობს წვრილი მეურნეობების მომგებიანად გაძღოლის შესაძლებლობა.

გლეხის მობრუნება მიწისაკენ სასაქონლო პროდუქციის წარმოების მიზნით, ურთულესი ამოცანაა.ნურავინ იფიქრებს მის იოლად გადაწყვეტას, თუნდაც ისეთ შეჭირვებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც სიღარიბის შემცირება ნომერ პირველ ამოცანადაა გამოცხადებული. ნუ დაგვავიწყდება, რომ მიწის მიტოვება, სოფელზე გულის აყრა, განვითარებული ქვეყნების ფერმერებისათვისაა დამახასიათებელი.

საქართველოში სურსათის იმპორტის შემაკავებელ ღონისძიებად უნდა ქცეულიყო ანტიდემპინგური კანონის მიღება, რასაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანება გვავალდებულებდა (2000 წელი). კანონი დღემდე არაა მიღებული, რაც

იმაზე მიუთითებს, რომ მისი მიღებით სასურსათო პროდუქტების იმპორტიორები არ არიან დაინტერესებულნი.

ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს იმპორტის შეზღუდვის შესახებ, თუმცა ეს საჭირო დროს რომ გაგვეკეთებინა, დღეს სხვა სურათი გვექნებოდა. ჩვენი წინადადება იმპორტიორი ფირმების შემოსავლების რაციონალურ გამოყენებას ეხება. კერძოდ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფომ უნდა დაავალდებულოს იმპორტიორი ფირმები, მათ მიერ გაყიდულ პროდუქციაში გარკვეული ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია,რომლის მოცულობა თანდათანობით გაიზრდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების შემდგომი, მესამე ეტაპი იწყება 2013 წლიდან, როცა სახელმწიფომ გადაწყვიტა, სხვა ქვეყნების მსგავსად, დახმარება აღმოეჩინა სოფლის მეურნეობისათვის.

2013 წელს შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქციაა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის შემუშავებული პროექტების იაფი სესხით დაკრედიტება, რაც გულისხმობს კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დაწესებული პროცენტის ძირითადი ნაწილის სახელმწიფოს მიერ დაფარვას.

ბოლო წლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა საინტერესო პროექტები - ,,დანერგე მომავალი", ,,აწარმოე საქართველოში", სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდი ფასების სუბსიდირება და მრავალი სხვა. ოთხი წლის მანძილზე გრძელდებოდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებას სახელმწიფოს მიერ. მრავალი პროექტი განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად - ძირითადად გადამამუშვებელი საწარმოების შექმნის გზით. ცალკეული ორგანიზაციების მიერ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის პროექტების დაფინანსება მეცხოველეობის, მემცენარეობისა და საწარმოო მომსახურების დარგებში. მსოფლიო ბანკის ფინანსური მონაწილეობით ხორციელდება სამელიორაციო ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაოები.

მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ექსპორტის მოცულობა, სადაც წამყვანი პოზიცია უკავია ყურძნის ნატურალურ ღვინოს. სახელმწიფოს მიერ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებები თხილის ექსპორტის გასაზრდელად.

მიუხედავად სერიოზული ძვრებისა, რაც ბოლო წლებში შეინიშნება და, რაც სწორი აგრარული პოლიტიკის შედეგია, ჯერ კიდევ მრავალი საკითხია გადასაწყვეტი. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლების საკითხები, მოუგვარებელია თესლის, ნერგის წარმოების, მეცხოველეობაში სანაშენე საქმის მოწყობის პრობლემები.

გადაუდებლად გადასაწყვეტია აგრარული სფეროს როგორც უმაღლესი, ასევე საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით უზრუნველყოფის საკითხები.

სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი მეურნეობების საწარმოო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მათ უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სასუქებით, ქიმიური პრეპარატებით, პროდუქციის შეუფერხებელი გაყიდვითა და ამისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით.

სამინისტროს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების, არამედ სოფლის განვითარებასაც, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო პროდუქციის წარმოების ზრდას, არამედ ადამიანებისათვის შემოსავლების გაჩენას, მათ მყარ დამაგრებას საცხოვრებელ ადგილებზე.

თავი I.
საბაზრო ურთიერთობებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის გადაყვანის სასტარტო პირობები

1.1.სოფლის მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახალხო მეურნეობაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური პროცესების საანალოზოდ, როგორც წესი, საბაზოდ მიიჩნევენ 1989 ან 1990 წელს. ზოგჯერ ამ მიზნით 1985 წელსაც იყენებენ. ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა ორ სამთავრობო დოკუმენტში: ,,საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“ და პროექტში - ,,საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპები (პირველი ინდიკატური გეგმისათვის)“. 1989 წელი საბაზისო პერიოდადაა მიჩნეული ბევრ მეცნიერულ ნაშრომში, რომელიც საბაზრო ეკონომიკას მიეძღვნა.

საბაზისო პერიოდის შერჩევისადმი ასეთი მიდგომა არასწორია. საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული პროცესების ობიექტურად შეფასებისათვის საბაზისოდ უნდა იქნას მიჩნეული 1988 წელი, რადგან ეს განპირობებულია წარმოების ორი წესის ფუნქციონირების განსხვავებული პირობების შედარებით.

ასეთი დასკვნის მართებულობა მრავალი მოტივითაა გამაგრებული. ქვეყნის მართვის მბრძანებლურ-გამანაწილებელმა სისტემამ, რომელიც ფუნქციონირებდა მაშინდელ საქართველოში, პირველი სერიოზული რყევა 1988 წელს განიცადა. მომდევნო 1989 წელი პრაქტიკულად დესტაბილიზებული იყო, რაც გამოიხატებოდა სისტემური გაფიცვებით, როგორც დედაქალაქში, ასევე სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვების ბლოკირებაში, ბრძოლა-

ში კომუნისტური პარტიის, მისი ორგანიზაციების ნომენკლატურის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ არსებული პოლიტიკური სისტემის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა.

1989-90 წლებში გრძელდებოდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი მუშაკების დევნა, მათზე უხეში, არაცივილური მეთოდებით ზემოქმედება: სამუშაო კაბინეტების კარების აჭედვა, დაუსაბუთებელი პრეტენზიების წაყენება, სამსახურიდან იძულებით გაძევება და სხვა.

გაუთავებელმა მიტინგებმა, გაფიცვებმა, ძეგლების ბარბაროსულმა ნგრევამ, ყველას და ყველაფრის კრიტიკამ, განქიქებამ, ადამიანებში დაბადა ნიჰილიზმის, უმადურობის, უარყოფის, ურაპატრიოტიზმის სინდრომი. საზოგადოებაში ამოტივტივდა და გაერთიანდა ამ სინდრომის გამზიარებელი, ძირითადად პოლიტიკურად გაუნათლებელი, მაგრამ პატრიოტული მოტივებით ადვილად სამართავი მასა - ე.წ. მასის ადამიანი, რომლის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ ყველა პრობლემას, პოლიტიკურს თუ სოციალურს, ანდობს ერთ ადამიანს და მისი სახელით მზადაა წალეკოს ყველაფერი. ასეთი ფსიქიკის მასა შეესია საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სხეულს და ყველაფერს კადრულობდა, ოღონდ კი ხელი შეეშალა საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისათვის, რომელიც ისედაც კრიტიკული იყო. ეროვნული მოტივი იმდენად მაღლა დადგა ჭეშმარიტებაზე, რომ თითქმის ყველა დონის პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებში, სხვა უწყება- დაწესებულებებში გაჩნდნენ ე.წ. ეროვნული პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ არსებული პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო სისტემების ნგრევის პროცესში.

,,პატრიოტული“ კრიტიკა შეეხო არა მარტო არსებულ პოლიტიკურ სისტემას, არამედ საწარმოო ძალების განვითარების მიმართულებას, მატერიალური წარმოების სფეროს, ეკონომიკური, ფინანსური კავშირების არსებულ ფორმებს, კულტურის, განათლების სისტემას.

პოლიტიკური ელფერი მიეცა ქართველების განსაკუთრებულობის, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების, მათ შორის

აფხაზებისა და ოსების არასრულფასოვნების იდეას, რამაც მოშლილი სახელმწიფო მმართველობის პირობებში ეთნოკონფლიქტების წარმოშობისათვის საუკეთესო ფონი შექმნა.

ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა გარემოებებთან ერთად, დესტრუქციული მოქმედების საფუძველი გახდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომლის გამომწვევი მიზეზები, დღემდე შესწავლილი არაა. ამას ადასტურებს მომდევნო წლებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური დაპირისპირებები და რომლებიც დღესაც არ ჩამცხრალა.

სამართლიანობა ითხოვს აღინიშნოს, რომ პარტიული აპარატის სრული მოშლა, რაც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ქვეყნის მართვის მოშლას ნიშნავდა, თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან მომდინარეობდა - ე.წ. ,,გლასნოსტისა“ და ,,პერესტროიკის“ უაზროდ გაგების გამო. მოიშალა ქვეყნის მართვის სისტემა, რომელიც იმდენად რთული იყო, რომ მისი გაგება და ახსნა, როგორც ბატონი მერაბ მამარდაშვილი ბრძანებს - ,,ადამიანის გონების, ყველაფრის მიღმა იყო“.

ცხადია, რომ პოლიტიკურ, სახელმწიფო თუ სამეურნეო სისტემას შექმნილ სიტუაციაში არ შეეძლო მისთვის დამახასიათებელი წესით ფუნქციონირება. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მეტ-ნაკლებად ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა სსრკ-ის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, რაც არსებული კოოპერირების რთული სისტემის პირობებში, უარყოფითად მოქმედებდა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

მთავარი მაინც ის იყო, რომ 1989 წელი საქართველოში დაიწყო არსებული წარმოების წესის, განსაკუთრებით მისი მართვის ჩამოყალიბებული სისტემის აშკარა რღვევით, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ახალ პირობებში, სოციალ-ეკონომიკური განვითარების შედეგების ანალიზისას, საბაზისოდ მივიჩნიოთ 1988 წელი, როცა სოციალისტური წარმოების წესი და მართვის სისტემა მეტ-ნაკლებად მისთვის დამახასიათებელ გარემოში ფუნქციონირებდა.

რესპუბლიკის 90-იანი წლების ეკონომიკაში შეიქნა უმძიმესი მდგომარეობა, რასაც ნათლად ადასტურებს ის ძუნწი

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც იშვიათად გამოაქვთ საზოგადოების სამსჯავროზე და რომელთა საომედოობა საეჭვოა-აღრიცხვის ორგანიზაციისა და მისი მეთოდოლოგიის საბაზრო ეკონომიკისადმი შეუსაბამობის, მეურნე სუბიექტების მიერ შესაბამისი სტატისტიკური ანგარიშების მიუწოდებლობის გამო.

1995 წელს, 1988 წელთან შედარებით, ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირდა - 34,9%-ით (ცხრილი №1). ამავე წლებში ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა 53,4%-ით, მზა ნაგლინისა-98,4 პროცენტით, სინთეზური სარეცხი საშუალებებისა-98,2 პროცენტით, მინერალური სასუქების-81,1 პროცენტით, ქსოვილების-97,5 პროცენტით.

ცხრილი №1

სამრეწველო პროდუქციის წარმოება

N	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5	6
1	სამრეწველო პროდუქციის ღირებულება	მლნ. რუ ბლი	12338,0	8050	65,2
2	ელექტრო-ენერგიის გამომუშავება	მლნ. კვს	14599,7	6801	46,6
3	მზა ნაგლინი	ათ. ტონა	1291,5	21,3	1,6
4	ფოლადის მილები	ათ. ტონა	516,7	44,9	8,7
5	ლითონმჭრელი ჩარხები	ცალი	2309	109	4,7
6	სინთეზური სარეცხი საშუალებები	ტ.	5890	108	1,8
7	ქსოვილები	მლნ. კვ. მ.	137	3,5	2,5

8	ტრიკოტაჟის ნაწარმი	ათ. ცალი	60441	1000	1,6
9	სასუქის წარმოება	ათ. ტონა	110	20,0	18,9
10	ნავთობის მოპოვება	ათ. ტონა	185,0	67,0	36,1
11	ქვანახშირის მოპოვება	ათ. ტონა	1426	32,9	2,3

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ნავთობის მოპოვებამ შეადგინა 1988 წელს მიღწეული დონის 36,1 პროცენტი, ქვანახშირისამ-2,4 პროცენტი. მთლიანად, სამრეწველო პროდუქციის 78 სახეობიდან, რომელიც რესპუბლიკაში აღირიცხებოდა, წარმოების მკვეთრი დაცემა აღინიშნა დარგის 72 სახეობაში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა აგროსასურსათო კომპლექსში. 1988-1995 წლებში, ყველა კატეგორიის მეურნეობაში მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების პროდუქციის წარმოება შემცირდა 32,7 პროცენტით, ბოსტნეულისა-31 პროცენტით, კარტოფილისა-9 პროცენტით, ყურძნისა-54,1 პროცენტით, ხილის-42,9 პროცენტით, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის-86,8 პროცენტით, ციტრუსების- 77,7 პროცენტით. ამავე პერიოდში საქონლის ხორცის წარმოება შემცირდა 38 პროცენტით, რძის-41,9 პროცენტით, კვერცხის- 72,2 პროცენტით (ცხრილი №2).

ცხრილი №2

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1988-1995 წწ.ათ.ტ.

N	პროდუქციის დასახელება	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5
1	მარცვლეული და პარკოსანი მ.შ. საშემოდგომო ხორბალი სიმინდი ლობიო	714,2 243,3 324,1 9,6	481 95,4 342,8 10,3	67,3 39,2 105,8 107,3
2	ბოსტნეული	640,9	442,5	69,0
3	კარტოფილი	326,2	296,9	91,0
4	სოიო	6,9	0,14	2,0
5	მზესუმზირა	16,9	7,7	45,6
6	შაქრის ჭარხალი	51,2	8,2	16,0
7	თამბაქო	12,5	1,6	12,8
8	ჩაი	458,6	60,7	13,2
9	ციტრუსი	436,9	97,6	22,3
10	ხილი	653,0	372,6	57,1
11	ყურძენი	620,0	284,5	45,9
12	საქონლის ხორცი (ცოცხალი წონა)	235,0	145,9	62,0
13	რძე	730,5	424,6	58,1
14	ფრინველის ხორცი	32,6	11,8	36,2
15	კვერცხი (მლნ. ცალი)	890,2	247,4	27,8
16	მატყლი	6,3	3,1	49,2

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ნათესი და განსაკუთრებით მრავალწლიანი კულტურების ფართობების შემცირების უარყოფით ტენდენციას (ცხრილი №3).

ცხრილი №3

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ დაკავებული ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1988-1995 წწ.ათ. ჰა

N	კულტურების დასახელება	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5
1	მარცვლეულ- პარკოსნები,სულ მ.შ. საშემოდგომო ხორბალი სიმინდი ლობიო	272,0 93,9 109,1 16,2	257,3 67,5 138,3 13,4	67,3 71,9 126,8 82,7
2	ბოსტნეული	39,2	29,0	74,0
3	კარტოფილი	30,0	24,0	80,3
4	სოიო	12,3	0,7	5,7
5	მზესუმზირა	12,4	18,0	145,2
6	შაქრის ჭარხალი	1,4	1,2	78,6
7	თამბაქო	10,0	1,7	17,0
8	ჩაი	64,8	47,0	72,6
9	ციტრუსი	27,1	17,0	62,7
10	ხილი(თესლოვანი, კურკოვანი)	130,5	90,9	69,6
11	ვენახი	112,7	81,3	69,1

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

1995 წელს, 1988 წელთან შედარებით, ყველა კატეგორიის მეურნეობაში იგი შემცირდა 14,7 ათასი ჰექტარით, მათ შორის საშემოდგომო ხორბლის ნათესები-26,2 ათასი ჰექტრით, ბოსტნეული კულტურების-10 ათასი ჰექტრით, კარტოფილის-6 ათასი ჰექტრით. სამაგიეროდ, გაიზარდა მზესუმზირისა და სიმინდის ნათესები. ამავე წლებში ვაზის ნარგაობა შემცირდა 36,4 ათასი ჰექტრით, ხეხილის ბაღებისა-39,6 ათასი ჰექტრით, ციტრუსების-10 ათასი ჰექტრით.

საანალიზო წლებში მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეურნეობებში. ფაქტიურად განადგურდა მეფრინველეობის დარგი, რომელიც მთლიანად სამრეწველო საფუძველზე იყო გადაყვანილი, აგრეთვე მესაქონლეობისა და მეღორეობის ბევრი კომპლექსი (ცხრილი №4)

ცხრილი №4

პირუტყვის (ფრინველის) სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში -1988-1995 წწ., ათასი სული

N	პირუტყვის დასახელება	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, სულ მ.შ. საზოგად. მეურნეობაში მოსახლეობაში	1547,8 600,4 947,4	944,1 92,8 851,3	61,0 15,4 89,9
2	ღორი, სულ: მათ შორის საზოგ. მეურნეობაში მოსახლეობაში	1099,2 452,4 646,8	366,9 38,9 328,0	33,4 8,6 50,7
3	ცხვარი და თხა, სულ: მათ შორის საზოგ. მეურნეობაში მოსახლეობაში	1894,2 1007,2 887,0	793,5 282,0 511,5	41,9 28,0 57,2
4	ფრინველი, სულ: მათ შორის საზოგ. მეურნეობაში მოსახლეობაში	25200 15269 9921	9100 500 8600	36,1 3,3 86,7
5	ფუტკრის სკა, სულ: მათ შორის საზოგ. მეურნეობაში მოსახლეობაში	266 211 55	177 100 77	66,5 47,4 140

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა საზოგადოებრივ მეურნეობებში შემცირდა 507,6 ათასი სულით, ღორის-413,5 ათასი სულით, ცხვრისა და თხის-725,2 ათასი სულით, ხოლო ფრინველის-14,7 მლნ. ფრთით.

მკვეთრად გაუარესდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის სფეროში.

სასოფლო- სამეურნეო მანქანების ასაკობრივი სტრუქტურა იმდენად გაუარესდა, რომ1995 წელს მათი 60 პროცენტი- 10 წელზე მეტი ხნის, 30 პროცენტი-5- დან 10 წლამდე და მხოლოდ 10 პროცენტი იყო 5 წელზე ნაკლები ხნის. სათადარიგო ნაწილებით მომარაგების, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩაუტარებლობის გამო, სახეზე არსებული მანქანების მხოლოდ ნახევარი იმყოფებოდა სამუშაო მდგომარეობაში. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მანქანა-ტრაქტორთა არსებული პარკი ფაქტიურად შეუფერებელი იყო მცირეკონტურიან ნაკვეთებში სამუშაოდ. იგი ვერ აკმაყოფილებდა მეურნის მოთხოვნებს საიმედოობის, შესრულებული სამუშაოების ხარისხის, ექსპლუ-

ატაციის ხარჯების თვალსაზრისით. უფრო მძიმე სურათი იყო მეცხოველეობაში. ადრე არსებული ტექნიკა არ გამოიყენებოდა ფერმების გაუქმების გამო, ხოლო მცირეგაბარიტიანი ტექნიკა არ არსებობდა. რომც ყოფილიყო, მოსახლეობას მისი ყიდვის საშუალება არ ჰქონდა. ეს ნათლად დადასტურდა მოსახლეობაზე ჩინური ტრაქტორების მიყიდვის მაგალითზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მანამდე ღებულობდა ყოველწლიურად დაახლოებით 3000 სხვადასხვა მარკის ტრაქტორს, 3200 სატვირთო მანქანას,10000 ცალ სხვადასხვა მანქანასა და დამხმარე აღჭურვილობას.

სოფლის მეურნეობას ცენტრალიზებული წესით გამოეყოფოდა 280 ათასი ტონა დიზელის საწვავი და 250 ათასი ტონა ბენზინი. 1995 წელს აღრიცხული იყო 54 ათასი ტონა დიზელის საწვავის (19 პროცენტი) და 12 ათასი ტონა ბენზინის (5 პროცენტი) მოხმარება. ცხადია, ასეთ სიტუაციაში წარმოების სერიოზულ ორგანიზაციაზე ფიქრი შეუძლებელია.

უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქნა სასუქებითა და შხამ-ქიმიკატებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომარაგების საქმეში (ცხრილი №5).

ცხრილი №5

პესტიციდებისა და მინერალური სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში

N	დასახელება	ზომის ერთეული	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5	6
1	პესტიციდები	ტონა	1398	0	0
2	ინსექტიციდები	ტონა	8462	119	1,4
3	ფუნგიციდები, სულ	ტონა	14150 24010	884 1008	6,2 4,2
4	აზოტიანი სასუქი	ათ. ტონა	112	38	34,0
5	ფოსფორიანი სასუქი	ათ. ტონა	75	0	0
6	კალიუმიანი სასუქი	ათ. ტონა	40	0	0
					16,0

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კორპორაცია „საქსოფნაყოფიერების“ მონაცემების მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გამო, მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის ძირითადი სახის პროდუქციის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი №6).

ცხრილი №6

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 1988-1995 წწ

N	პროდუქციის დასახელება	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5
1	მარცვალი	131,0	89,4	68,3
2	ბოსტნეული	118,0	81,9	61,0
3	კარტოფილი	60,0	55,0	91,7
4	ხილი	110,0	69,0	62,7
5	ხორცი	32,0	29,3	91,6
6	რძე	134	78,6	58,2
7	კვერცხი(ცალი)	163,0	45,8	28,1

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

რძის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შემცირდა 41,8 პროცენტით, ხოლო კვერცხის - 71,9 პროცენტით. მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში უფრო გამწვავდა მოსახლეობის საკუთარი წარმოების კვების პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემა.

სანედლეულო ბაზის შემცირებამ, სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის საწარმოებს შორის არსებული კავშირების მოშლამ, წარმოების საშუალებებით მოუმარაგებლობამ განაპირობა სასურსათო მრეწველობის პროდუქტების მკვეთრი შემცირება (ცხრილი №7).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკის სურსათის მრეწველობაში შექმნილი იყო კატასტროფული მდგომარეობა. აღნიშნულ წლებში ფაქტიურად შეწყდა შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, მარგარინის, უალკოჰოლო სასმელების ორგანიზებული წარმოება. უახლოეს წლებში მოსალოდნელი იყო ჩაის, საკონსერვო წარმოების შემდგომი შემცირებაც.

ცხრილი №7

კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1988-1995 წლები

N	დასახელება	ზომის ერთეული	1988 წელი	1995 წელი	1995 1988 %
1	2	3	4	5	6
1	ჩაი დაფასოებ.	ათ.ტონა	114,2	4,0	3,5
2	პირველადი გადამუშავების ჩაი	ათ.ტონა	112,0	6,0	5,4
3	ღვინო	მლნ.დალი	15,8	4,0	25,3
4	კონიაკი	მლნ.დალი	2,2	0,3	13,6
5	არაყი და ლიქიორ-არაყის ნაწარმი	მლნ.დალი	0,43	0,35	81,4
6	შამპანური	მლნ. ბოთლი	24,4	2,5	10,2
7	პაპიროსი და სიგარეტი	მლრდ. ცალი	12,5	2,9	23,2
8	ფერმენტირებული თამბაქო	ათ. ტ.	14,3	1,3	9,1
9	საკონდიტრო ნაწარმი	ათ. ტ.	56,0	0,3	0,5
10	შაქარი	ათ. ტ.	2,5	0,2	8,0
11	მინერალური წყლები	მლნ. ბოთლი	297,7	10,0	3,4
12	ლუდი	მლნ. დალი	7,7	0,6	7,8
13	უალკოჰოლო სასმელები	მლნ. დალი	10,5	0,1	1,0
14	ხილ-ბოსტნეულის კონსერვები	მლნ. პ.ქ.	766,2	10,3	1,3
15	ხორცი პირველი კატეგორიის სუბ. ჩათვლით	ათ.ტ.	71,5	1,0	1,4
16	კარაქი	ტ.	1200	11	0,9
17	რძის საღი პროდუქცია	ათ.ტ.	259,1	19,2	7,4
18	ცხიმიანი ყველი	ათ.ტ.	19,5	0,22	1,1
19	ძეხვი	ათ.ტ.	35,2	0,54	1,5
20	მარგარინის ნაწარმი	ათ.ტ.	40,4	0,1	0,2
21	სამეურნეო საპონი	ათ.ტ.	19,1	1,1	0,06
22	მინის ქილა	მლნ. ცალი	124,3	0,2	0,2
23	ბოთლი	მლნ. ც.	249,0	13,5	5,4
24	მცენარეული ზეთი	ტ.	11364	9	0,1

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, მინიმუმამდე შემცირდა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები (ცხრილი № 8).

აკადემიკოს ლ. აბალკინის მონაცემებით, წარმოების მოცულობის 35-40 პროცენტით დაცემის შემთხვევაში იმდენად ირღვევა საწარმოს ფუნქციონირების ეკონომიკური, ორგანიზაციული, ფინანსური და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური სისტემები, რომ ისინი თავიდან შესაქმნელი ხდება. თუ ამ კუთხით შევხედავთ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგებში მიმდინარე ცვლილებებს, ვფიქრობთ, რომ კომენტარების გაკეთება საჭირო არაა. მდგომარეობა შესაძლოა შეფასდეს არა კრიზისულად, როგორც ამას ფიქრობენ, არამედ-კატასტროფულად.

ცხრილი №8

კვების მრეწველობის ობიექტების საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა

N	პროდუქციის დასახელება	საწარ-მოთა რაოდე-ნობა	ზომის ერთე-ული	საერ-თო წარ-მოება	ფაქტ. დატ-ვირთვა (1987-1989 წწ საშუალო)	1995 წელი
1	-2	3	4	5	6	7
1	გადამუშავე-ბული ყურძენი	104	ათ. ტ.	690	75	12
2	არაყი და ლი-ქიორი	2	ათ. დალი	100	90	50
3	ხილ და ბოს-ტნ. კონსერვ.	44	ათ.პ.ქ.	318	90	4
4	ხორცი	29	ათ.ტ.	260	80	1
5	ძეხვი	29	ათ.ტ.	90	75	2
6	რძე	40	ათ.ტ.	668	53	12
7	ყველი	40	ათ.ტ.	50	41	8
8	შაქარი	1	ტ/დღე	300	50	3
9	სიგარეტი	4	მლნ. ცალი	46	36	31
10	საკონდიტ-რო ნაწარმი	4	ათ.ტ.	100	56	0
11	მარგარინი	1	ათ.ტ.	39	9,9	0
12	მინერალური წყალი	3	მლნ. ბოთ.	351	96	9
13	ლუდი	17	ათ. დალი	11	85	16
14	ჩაი პირველადი	162	ათ.ტ.	728	75	61
15	ჩაი ნატურალური	22	ათ.ტ.	90	88	13
16	უალკოჰოლო სასმელები	17	ათ. დალი	117	75	12
17	მცენარ. ზეთი და ეთერზეთები	28	ათ.ტ.	117	20	1

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

წარმოების შემცირების გამო, სერიოზული ცვლილება განიცადა ექსპორტ- იმპორტის სტრუქტურამ, განსაკუთრებით აგრარულ- სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის ნაწილში, რომელიც ძირითადად საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იყო დასპეციალიზებული და დადებითი სალდო ჰქონდა (ცხრილი №9).

ცხრილი №9

საქართველოს წილი რესპუბლიკათაშორის ვაჭრობაში (ყოფილი სსრკ რესპუბლიკები)- 1987-1993 წწ

N	დასახელება	1987 წელი	1990 წელი	1993 წელი
1	2	3	4	5
1	ექსპორტი, სულ	2,79	3,04	---
2	სოფლის მეურნეობა	3,89	2,79	0,4
3	კვების მრეწველობა	10,15	4,09	1,0
4	იმპორტი, სულ	2,65	2,17	---
5	სოფლის მეურნეობა	3,60	2,39	0,6
6	კვების მრეწველობა	2,68	3,80	0,4

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების, მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებების მიხედვით.

აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსში საექსპორტო პროდუქციის წარმოების შემცირება ფაქტიურად ნიშნავს სავალუტო შემოსავლების გარეშე ქვეყნის დატოვებას, რადგან სხვა სახის პროდუქცია, რომლის ექსპორტიც შეგვეძლოს ან ექსპორტირების გამოცდილება გვქონდეს-მცირე რაოდენობითაა.

ასეთი საგარეო-სავაჭრო სიტუაციის ფორმირება კიდევ უფრო ძაბავს საინვესტიციო სფეროში შექმნილ მდგომარეობას, რადგან იმ დროს პრაქტიკულად არ მოქმედებდა ინვესტირების არცერთი მიმართულება - არც სახელმწიფო, არც - კერძო და მით უფრო - უცხოური. ამ პერიოდში აგროკომპლექსში საკუთრების არცერთი ფორმის მნიშვნელოვანი საწარმო ობიექტი არ აშენებულა. რაც აშენდა, ისიც რეკონსტრუქცირებულიქნა და გაჩერებულია - სამეწარმეო გარემოს უქონლობის გამო. შეჩერებული იყო უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და საწარმოო მომსახურების ობიექტის მშენებლობა, რომელთა დიდ ნაწილს დაუკონსერვებულობის გამო, განადგურება ემუქრებოდა.

ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა სხვადასხვა საშუალებებით ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. მატერიალური სფეროს დარგებში წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანმა დაქვეითებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. 1985 წელს წარმოების სფეროში დასაქმებული ყოველი მუშაკი 2,3-ჯერ მეტ წმინდა პროდუქტს ქმნიდა, ვიდრე 1995 წელს. ამავე პერიოდში ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგება სამჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო წარმოებული პროდუქციის მასალატევადობა 20 პროცენტით გაიზარდა. 1995 წელს, მოსახლეობის ერთ სულზე, წმინდა პროდუქტის წარმოებამ 1985-1990 წლების საშუალო დონის დაახლოებით მესამედი შეადგინა.

უკიდურესად რთული, ფეთქებადი მდგომარეობა შეიქნა სოციალურ სფეროში. უკვე მინიმალურად ვერ კმაყოფილდებოდა მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილება სურსათზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე. ეს, გამოწვეული იყო ერთის მხრივ საკუთარი წარმოების მკვეთრი შემცირებით და გარედან პროდუქციის შემოტანასთან დაკავშირებული სირთულეებით. მეორეს მხრივ-სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების განუხრელი ზრდით.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ1995 წელს, 1988 წელთან შედარებით,სამომხმარებლო საქონელზე ფასები რამდენიმე ათასჯერ, ხოლო ხელფასები რამდენიმეჯერ გაიზარდა. ამის

გამო მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად დაქვეითდა.1995 წელს მინიმალური ხელფასი უზრუნველყოფდა რაციონალური კალათის მხოლოდ 15 პროცენტს და მინიმალური კალათის 20,5 პროცენტს.

სამომხმარებლო ბაზრის სიღატაკის გამო მკვეთრად შემცირდა საცალო საქონელბრუნვის მოცულობა. ვერ მოხერხდა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სოციალური სფეროს ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-შენარჩუნება.

წარმოების დაქვეითებამ და ინვესტიციათა შეზღუდვამ წარმოშვა საქართველოსთვის აქამდე პრაქტიკულად უცნობი სოციალური პრობლემა-უმუშევრობა. 1995 წლის ბოლოსათვის რეგისტრირებული იყო 40 ათასამდე უმუშევარი, რაც არ შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ, რადგან უმუშევართა დიდი ნაწილი აღრიცხული არ იყო, ხოლო ე.წ. მომუშავეთა უმრავლესობა ქრონიკულად მოცდენილი იყო და მათ ხელფასს უხდიდნენ მხოლოდ კვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით. ეს, კი მძიმე ტვირთად აწვებოდა საწარმოთა ისედაც გაღატაკებულ ფინანსურ მეურნეობასა და ქვეყნის ბიუჯეტს.

ეკონომიკის დაქვეითება აისახება საბოლოო ანგარიშით ფინანსური კრიზისის გაღრმავებაში. 1995 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შიდა ეროვნული პროდუქტის 10,6 პროცენტი შეადგინა. მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდათ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. 1995 წლის ბოლოსათვის მათ 1143,6 მლრდ კუპონი დავალიანება ჰქონდათ, საიდანაც ბანკის ვადაგადაცილებული სესხები 606,8 მლრდ კუპონს შეადგენდა.

განუხრელად გაიზარდა ქვეყნის სახელმწიფო ვალი. 1995 წლის ბოლოსათვის შიდა ვალის ანგარიშზე ირიცხებოდა 1991-1992 წწ. ჩამოწერილი - 2,3 მლრდ რუბლი ბანკის სესხი. სახელმწიფო ვალად ირიცხებოდა აგრეთვე სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ინდექსირებული მოქალაქეების ანაბრების ნაშთი - 18 მლრდ რუბლის ოდენობით და სხვა.

იმდროინდელი საქართველოს ყველაზე საშიში მახასიათებელი იყო ეკონომიკის მართვის სრული მოშლა, რაზეც მიუთითებს პროდუქციის სახელმწიფო რესურსებში მოქცევის პრაქტიკის შეწყვეტა და სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების ქრონიკული შეუსრულებლობა, წარმოებისა და მომარაგების სფეროში მაფიოზური კლანების ჩამოყალიბება, ბიოროკრატიული აპარატის ზრდა, რაც სერიოზულად აფერხებდა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ რეალიზაციას.

აღწარმოების სტრუქტურისა და ეკონომიკური ურთიერთობების დეფორმაციების დასასაბუთებლად მრავალი არგუმენტის მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია აღვიქვათ პრობლემის არსებობა, გავითვალისწინოთ მიმდინარე პროცესების საშიში შედეგები და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ეკონომიკური პრობლემების სტრატეგიული მიზნები.

უნდა ვიცოდეთ, რომ ეკონომიკის სერიოზული დეფორმირების გამო, შედარებით მოკლე დროში (2-3 წელი), ძნელია შესაძლებელი გახდეს წარმოების დაცემისა და ინფლაციის ტემპების შენელება. ეს, თავისთავად, ძნელი ამოცანაა და ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღება ვერ მოხერხდება. საჭირო იქნება დიდი ძალისხვევა და ხანგრძლივი დრო იმისათვის, რომ გასწორდეს იმ დროს არსებული გადახრები და ეკონომიკურმა განვითარებამ დინამიური ხასიათი შეიძინოს.

1.2. კრიზისული მოვლენები სოფლის მეურნეობაში და მისი გამოხატვის ფორმები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პროცესი შეწყდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების ნაციონალიზაცია, რომლის შედეგები მნიშვნელოვნად შეარბილა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ) შემოღებამ.

სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ურთიერთობების მკვეთრი შეცვლა იწყება 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში, საკოლმეურნეო მშენებლობის ფართომაშტაბიანი კამპანიის შემდეგ, როცა კოოპერაციის უპირატესობის მოტივით ხდებოდა გლეხობის იძულებითი გაწევრიანება არტელებსა და კომუნებში, წარმოების თითქმის ყველა საშუალების ნაციონალიზაციის საფუძველზე.

იგი არ შეესაბამებოდა არც გლეხის ბუნებას და, განსაკუთრებით, საქართველოში მეურნეობრიობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს, ქართველი კაცის ადათ-წესებს, მის ჩვეულებას.

წარმოების ახალი წესისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, რაც საწარმოო ძალებსა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში მდგომარეობდა, უმკაცრესი აგრარული პოლიტიკის გამო, რომელიც სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატეს განვითარებას და მის ცენტრალიზებულ მართვას ითვალისწინებდა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა.

ფაქტიურად ახლად შეიქმნა მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაზის პლანტაციები და ხეხილის ბაღები, განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ძირითადად ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე აშენდა სარწყავი და დამშრობი სისტემები. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტრაქტორების, სატვირთო მანქანების, ძალოვანი დანადგარების რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლად ელექტროენერგიის მოხმარება (ცხრილი №10).

ცხრილი №10

სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებელი 1928-1988 წწ.

N	დასახელება	ზომის ერთეული	1928 წელი	1950 წელი	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი	1988 1929 %
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ჩაის ნარგაობა	ათ.ჰა	3,5	48,6	55,6	64,8	66,8	64,8	18,5 ჯერ
2	ვაზის ნარგაობა	ათ.ჰა	35,4	58,2	85,6	117,8	146,8	117,8	3,3 ჯერ
3	ხეხილის ნარგაობა	ათ.ჰა	91,2	93,5	106,2	152,0	155,7	130,6	142,2 ჯერ
4	ციტრუსის ნარგაობა	ათ.ჰა	0,8	8,1	9,3	16,3	20,7	27,1	33,9 ჯერ
5	სატვირთო ავტომანქანები	ცალი	127	4945	8732	15693	23900	28500	22,4 ჯერ
6	ტრაქტორები	ეტ. ტრაქტ.	560	900	2451	13947	26307	26667	47,6 ჯერ
7	ელენერგიის მოხმარება სოფლად	მგვ.	---	41,7	174,5	437,0	500	510	12 ჯერ
8	სარწყავი მიწები	ათ.ჰა	---	273	322,6	347,0	409,0	457	1,7 ჯერ
9	დაშრობილი მიწები	ათ.ჰა	---	---	106,9	138,7	152,2	160,1	1,4 ჯერ

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ- ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოო ფონდების ღირებულება და შეიცვალა მისი სტრუქტურა (ცხრილი №11).

ცხრილი №11

სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდების ღირებულება და მისი სტრუქტურა 1970-1988 წწ. მლნ. რუბლი

N	დასახელება	1970 წელი, ღირებულება	1970 წელი, %	1980 წელი, ღირებულება	1980 წელი %	1988 წელი, ღირებულება	1988 წელი, %
1	2	3	4	5	6	7	8
1	ძირითადი საწარმოო ფონდები	1649	100	3665	100	5566	100
2	მათ შორის: სოფლის მეურნ. ძირით. საწ.ფონდი	1340	81,3 / 100	2988	81,5 / 100	4446	29,9 / 100
3	აქედან, შენობა-ნაგებობები და გადამცემი მოწყობილობები	440	32,8	1343	45,0	2208	49,7
4	ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	53	4,0	110	3,7	181	4,1
5	მუშა მანქანები და მოწყობილობები	29	2,2	79	2,6	134	3,0

6	სატრანს-პორტო საშუალე-ბები	29	2,2	60	2,0	114	2,6
7	მუშა პი-რუტყვი	18	1,3	16	0,5	15	0,3
8	პროდ-უქტი-ული პირუ ტყვი	89	6,6	181	6,1	259	5,8
9	მრავალ-წლიანი ნარგავები	643	48,0	1123	37,6	1406	31,6
10	სხვა დანარჩენი	39	2,9	76	2,5	129	2,9

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

შესაბამისი ცვლილებები მოხდა ფონდშეიარაღების, ფონდაღ-ჭურვილობისა და ფონდუკუგების მაჩვენებლებში (ცხრილი №12).

ცხრილი №12

ფონდშეიარაღების, ფონდუზრუნველყოფის, ფონდუკუგების მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში

N	დასახელება	ზომის ერთეული	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი
1	2	3	4	5	6
1	ფონდშეიარა-ღება	რუბლი	2701	6485	8239
2	ფონდუზრუნ-ველყოფა	რუბლი	53,5	103,9	153,3
3	ფონდუკუ-გება	რუბლი	51,3	41,3	30,4

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით

ქვეყანაში შეიქმნა გადამამუშავებელი საწარმოების, კომ-ბინირებული საკვების წარმოების, აგროტექნიკური მომსახ-ურების მძლავრი ბაზა.

ჩამოყალიბდა სასწავლო, სამეცნიერო- კვლევითი ინსტი-ტუტებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების ფართო ქსელი. განხორციელდა ღონისძიებები წარმოებისა და მეცნიერების პარტნიორობის საფუძველზე დასაკავშირებლად. გრძელდებო-და ახალი სამეურნეო ფორმების ძიება. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ძირითადად ზარალიანი და დაბალრენტაბელური დარგების გაერთიანების საფუძველზე, დაიწყო საკოლმეურნეო-ბათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბება. შემდგომ, ამ ფორმის გაერთიანებებს საბჭოთა მეურნეობებიც შეუერთდნენ. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების მართ-ვის პრინციპი უაღრესად დემოკრატიული იყო. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო სასოფლო- სამეურნეო და გადამა-მუშავებელი საწარმოების ინტეგრაციის პროცესი -აგროფირმე-ბის,აგროკომპლექსების ჩამოყალიბების სახით,რაც მეტ-ნაკ-ლებად პასუხობდა საწარმოო ძალების განვითარების მაშინდელ დონეს და გარკვეულად არბილებდა საწარმოო ურთიერთობის სფეროში წარმოშობილ წინააღმდეგობებს.

80-იანი წლების დასაწყისში მესტიის რაიონის ორი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე (იფარისა და უშგულის)გლეხური მეურნეო-ბები ჩამოყალიბდა.

80-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობების კოო-პერირებას საზოგადოებრივ მეურნეობებთან. იგი შეესაბამე-ბოდა საქართველოში მეურნეობრიობის ისტორიულად ჩამ-ოყალიბებულ ფორმებს და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პარალელურად მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის საშუალე-ბას იძლეოდა.

მეურნეობრიობის ახალი ფორმების ძიების პარალელურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის მართვისა და მუშაკთა

მატერიალური წახალისების სისტემების სრულყოფა. 70-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე რაიონში სოფლის მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, ხოლო სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ბაზაზე-სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი.

შემდგომ, მართვის ფუნქციები გაფართოვდა ამ გაერთიანებებში კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სისტემების საწარმოების შესვლის გამო.

80-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სოფლის მეურნეობაში საარენდო ურთიერთობების დასანერგად. წარმოებისა და მართვის სფეროში საქართველოში ჩატარებული ექსპერიმენტები საკავშირო ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

სოფლის მეურნეობის მიმართ ხორციელდებოდა სახელმწიფო პროტექციონისტური და სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა, რაც გამოიხატებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და (მის სამრეწველო საფუძველზე გადასაყვანად) ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გამოყოფაში, რომლის მოცულობა ზოგიერთ ხუთწლედში მთლიანი კაპიტალური დაბანდებების 23-27 პროცენტს შეადგენდა. სოფლის მეურნეობას შეღავათიან საბითუმო ფასებში მიეწოდებოდა წარმოების ყველა საშუალება - მათ შორის საწვავ-საცხები მასალები, ელექტროენერგია, ტრაქტორები და მანქანები, დანადგარ-მოწყობილობები, სამშენებლო მასალები, სასუქები, შხამ-ქიმიკატები. ცენტრალური სარწყავი და დამშრობი ქსელი სახელმწიფო ბალანსზე ირიცხებოდა, ხოლო მეურნეობებზე რიცხული შიგა ქსელის ექსპლუატაციის ხარჯებს სახელმწიფო გამოყოფდა. ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებს სახელმწიფო დოტაცია ეძლეოდათ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კვების პროდუქტების დაბალ საცალო ფასებში რეალიზაცია. 80-იან წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეძლეოდათ ფასდანამატები- ზარალიანი პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯების დასაფარად, რომლის

ყოველწლიური მოცულობა საქართველოში 370 მლნ რუბლს შეადგენდა.

წლების მანძილზე რესპუბლიკაში მაღალრენტაბელური დარგებიდან შეკრებილი ანარიცხების ხარჯზე იქმნებოდა ეკონომიკურად სუსტი მეურნეობების დახმარების ფონდი, რომლის მოცულობა 55-60 მლნ რუბლი იყო.

60-იან წლებში შემოიღეს კოლმეურნეების შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება. ამავე პერიოდში დაიწყო ეკონომიკური რეფორმა, რომელიც სახელმწიფო მეურნეობების თვითდაფინანსების პრინციპზე გადაყვანას ითვალისწინებდა.

50-იანი წლების ბოლომდე ქვეყანაში ფუნქციონირებდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მძლავრი ქსელი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფდა სამუშაოებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პერიოდულად ხდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის (ჩაბარების) ფასების სრულყოფა - მათი გადიდების მიმართულებით, რომლის ძირითადი მიზანი იყო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის შენარჩუნება.

საზოგადოებრივ მეურნეობებს გამოეყოფოდათ შეღავათიანი, გრძელვადიანი კრედიტები, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ხშირად ჩამოეწერებოდათ ხოლმე.

საკავშირო ორგანოები მონაწილეობდნენ რესპუბლიკური პროგრამების შემუშავებაში და მათ განხორციელებაში. ასეთი იყო საქართველოში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის განვითარების, 40-იან წლებში - მეციტრუსეობის აღდგენის, 80-იან წლებში სამხრეთული კულტურების განვითარების პროგრამები და სხვა. ამ პროგრამების განხორციელებამ განაპირობა გადამამუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო რაოდენობის სიმძლავრეების შექმნა.

საკავშირო ორგანოები რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საჭიროებისათვის ყოველწლიურად, გამოყოფდნენ 20-25 მლნ დოლარს სხვადასხვა სახის პროდუქციას - მათ შორის შხამქიმიკატების, ჰერბიციდების და სხვათა შესაძენად.

ბუნებრივია, რომ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება (ცხრილი №13).

ცხრილი №13

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 1950-1988 წლებში (ყველა კატეგორიის მეურნეობაში)

N	დასახელება	ზომის ერთეული	1950 წელი	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი	1988წ 1950წ %
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მარცვალი	ათ.ტ.	796,0	628,5	620,9	635,6	714,2	89,7
2	ბოსტნეული	ათ.ტ.	84,0	186,5	326,3	546,0	640,9	7,6 ჯერ
3	კარტოფილი	ათ.ტ.	133,8	199,8	289,5	393,0	326,2	2,4 ჯერ
4	შაქრის ჭარხალი	ათ.ტ.	115,4	136,3	123,9	120,0	51,2	44,4
5	მზესუმზირა	ათ.ტ	11,6	16,8	11,2	10,0	16,9	145,7
6	თამბაქო	ათ.ტ.	12,4	16,2	16,2	16,8	12,5	100,8
7	ყურძენი	ათ.ტ	158,0	247,0	578,6	995,6	619,7	3,9 ჯერ
8	ხილი	ათ.ტ.	150,0	179,0	373,3	539,3	653,0	4,3 ჯერ
9	ჩაის ხარის ხოვანი ფოთოლი	ათ.ტ.	83,7	153,8	258,9	561,8	458,7	5,5 ჯერ
10	ციტრუსი	ათ.ტ.	2,9	34,7	136,1	147,7	436,9	150,6 ჯერ
11	ხორცი(დაკლული წონა)	ათ.ტ.	51,1	90,4	104,2	172,2	172,1	3,4 ჯერ
12	რძე	ათ.ტ	292,9	487,1	518,1	721,7	730,5	2,5 ჯერ
13	კვერცხი	მლნ.ც.	156,3	221,3	397,3	879,8	890,2	5,7 ჯერ
14	მატყლი	ტონა	4352	4095	4718	6200	6800	156,3 ჯერ
15	სოფლის მეურნ. მთლიანი პროდუქცია	მლნ. რუბლი	959,1	1314,1	2045,6	2936,2	3250,9	3,4 ჯერ

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილის მონაცემებიდა ჩანს, 1988 წელს, 1950 წელთან შედარებით, ყველა კატეგორიის მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება. კერძოდ,1988 წელს,1950 წელთან შედარებით, ჩაის ფოთლის წარმოება გაიზარდა 5,5 ჯერ, ყურძნისა - 3,9 ჯერ, თესლოვანი და კურკოვანი ხილისა-4,3 ჯერ. ამის პარალელურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოზე მიყიდვის (ჩაბარების) მაჩვენებლები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი მაპროფილებელი კულტურების პროდუქციის წარმოებაზე აშკარად გამოხატული ორიენტაცია მიიღო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მაპროფილებელი კულტურების ხვედრითი წილი გაიზარდა - თითქმის ყველა სახის პროდუქციის წარმოების ზრდის ფონზე (ცხრილი №14).

ცხრილი №14

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება და სტრუქტურა 1950-1988 წწ.(1983 წლის შესადარის ფასებში)

N	პროდუქციის დასახელება	1950 წელი, ღირე - ბულება	1950 %	1960 წელი, ღირე - ბულება	1960 %	1970 წელი, ღირე - ბულება	1970 %	1980 წელი, ღირე - ბულება	1980 % %
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	მარცვალი	94,7	10,0	74,9	5,7	73,9	4,0	75,6	2,6
2	ბოსტნეული	25,3	2,7	56,1	4,3	98,2	4,8	164,3	5,6
3	კარტოფილი	25,6	2,7	38,2	2,9	57,1	2,8	75,1	2,6
4	შაქრის ჭარხალი	5,9	0,6	7,0	0,5	6,4	0,3	6,2	0,2
5	მზესუმზირა	2,9	0,3	4,2	0,3	2,8	0,1	2,5	0,1
6	თამბაქო	64,4	6,7	84,4	6,4	84,4	4,1	87,5	3,0
7	ყურძენი	73,8	7,7	115,3	8,8	270,1	13,2	464,9	15,8
8	ხილი	84,4	8,8	100,7	7,7	209,9	10,3	303,6	10,3
9	ჩაის ფოთოლი	79,8	8,3	146,6	11,2	246,8	12,1	535,6	18,2
10	ციტრუსი	2,5	0,3	30,2	2,3	118,3	5,4	128,4	4,4
11	სხვა დანარჩენი სულ, მემცენარეობა	129,4 588,9	13,5 61,4	150,2 807,9	11,4 61,5	171,3 1339,4	8,4 65,5	198,9 2042,6	6,8 69,6
12	ხორცი	194,4	20,3	248,3	18,9	412,9	20,2	498,3	17,0
13	რძე	116,0	12,2	192,4	14,6	205,2	10,2	258,9	8,8
14	კვერცხი	15,0	1,5	21,2	1,6	38,0	1,9	84,3	7,5
15	მატყლი	36,7	3,8	35,0	2,7	40,1	1,9	52,9	1,8
16	სხვა დანარჩენი	8,1	0,8	9,3	0,7	10,0	0,5	10,2	0,3
17 18	სულ მეცხ-ველეობა სულ,	370,2 959,1	38,6 100	506,2 1314,1	38,5 100	706,2 2045,6	34,5 100	893,6 2936,2	30,4 100

ცხრილის გაგრძელება

N	პროდუქციის დასახელება	1988 წელი, ღირებულება	1988 %
1	2	3	4
1	მარცვალი	85,0	2,6
2	ბოსტნეული	192,0	5,9
3	კარტოფილი	62,4	1,9
4	შაქრის ჭარხალი	2,6	0,1
5	მზესუმზირა	4,2	0,1
6	თამბაქო	82,7	2,5
7	ყურძენი	289,3	8,8
8	ხილი	367,8	11,2
9	ჩაის ფოთოლი	437,3	13,3
10	ციტრუსი	379,7	11,6
11	სხვა დანარჩენი სულ მემცენარეობა	336,9 2239,9	10,3 68,3
12	ხორცი	593,1	18,1
13	რძე	296,0	9,0
14	კვერცხი	85,2	2,6
15	მატყლი	58,4	1,8
16	სხვა დანარჩენი	7,4	0,2
17 18	სულ მეცხოველეობა სულ	1040,1 3280	31,7 100

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარ-მოების გადიდების პრობლემა მაინც ვერ იქნა გადაჭრილი. პირიქით, რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მწვავდებოდა და დეფიციტი გლობალურ ხასიათს ღებულობდა. ასე ხდებოდა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მცირე გამონაკლისის გარდა, ბევრად განსხვავებული მდგომარეობა არც საქართველოში იყო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემა თანდათან ჩიხში ექცეოდა და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად რადიკალუ-

რი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგომარეობის ხსნის მიზნით, საქართველოში რამდენიმე საინტერესო ექსპერიმენტი განხორციელდა.

გარეგნულად წარმოების კრიზისი გამოიხატებოდა იმაში, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი და საწარმოო ფონდების ზრდის ტემპი ბევრად უსწრებდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა და მოსახლეობის ერთ სულზე ძირითადი სახის პროდუქტების წარმოების ტემპებს (ცხრილი №15).

ცხრილი №15

სოფლის მეურნეობის ძირითადი და საწარმოო ფონდების, მთლიანი პროდუქციის ღირებულებისა და ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოების ტემპები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1960-1989 წწ.

N	დასახელება	ზომის ერთეული	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი	1980 1960 + -	1980 1960 %
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ძირითადი ფონდები	რუბ	---	352	673	1021	---	---
2	საწარმოო დანიშნულების ფონდები	რუბ.	---	286	549	816	---	---
3	მთლიანი პროდ. ღირებულება	რუბ.	318	437	539	597	119	137,4
4	მარცვლეული	კგ.	152	133	117	131	-19	87,5
5	ბოსტნეული	კგ.	45	70	100	118	25	155,5
6	კარტოფილი	კგ.	48	64	72	60	16	133,3
7	ხილი	კგ.	43	80	99	119	37	186,7

8	ხორცი	კგ.	22	22	32	32	---	100
9	რძე	კგ.	117	110	133	134	-7	94,0
10	კვერცხი	ცალი	53	84	162	163	31	158,5

ცხრილის გაგრძელება

N	დასახელება	ზომის ერთეული	1980 1970 + -	1980 1970 %	1988 1980 + -	1988 1980 %
1	2	3	4	5	6	7
1	ძირითადი ფონდები	რუბ	321	191,0	348	151,7
2	საწარმოო დანიშნულების ფონდები	რუბ.	263	191,9	267	148,6
3	მთლიანი პროდ. ღირებულება	რუბ.	102	123,3	58	110,7
4	მარცვლეული	კგ.	-16	88,0	14	112,0
5	ბოსტნეული	კგ.	30	142,8	18	118
6	კარტოფილი	კგ.	8	112,5	-12	83,3
7	ხილი	კგ.	19	123,7	20	120,2
8	ხორცი	კგ.	10	145,4	---	100
9	რძე	კგ.	23	102,9	1	100
10	კვერცხი	ცალი	78	94,8	1	100

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ასეთივე შეფარდება იყო სოფლის მეურნეობაში გაწეულ კაპიტალურ დაბანდებებსა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების ზრდის ტემპებს შორის.

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალი იყო უმეტესი სასოფლო-სამურნეო კულტურების, მათ შორის მელიორირებულ მიწებზე გაადგილებული კულტურების, მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობისა და ნაყოფიერების მაჩვენებლები (ცხრილი №16).

ცხრილი №16

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა და ნაოფიერება -1950-1980 წწ.

N	დასახელება	ზომის ერთეული	1950 წელი	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 1960 + -
1	2	3	4	5	6	7	8
1	საშემოდგომო ხორბალი	ც/ჰა	7,62	10,2	14,8	19,1	27,9
2	სამარცვლე სიმინდი	ც/ჰა	13,0	16,3	18,1	24,5	29,7
3	ბოსტნეული	ც/ჰა	55,0	69,0	95,0	135,0	148,0
4	კარტოფილი	ც/ჰა	54,0	90,0	121,0	116,0	109,0
5	მზესუმზირა	ც/ჰა	6,2	9,9	6,5	7,5	13,6
6	თამბაქო	ც/ჰა	9,7	11,0	13,0	14,4	12,4
7	ყურძენი	ც/ჰა	33,1	41,8	61,4	86,9	59,0
8	ხილი	ც/ჰა	26,2	27,4	49,3	56,6	64,8
9	ჩაი	ც/ჰა	20,8	31,9	47,5	90,4	80,5
10	ციტრუსი	ც/ჰა	11,9	71,4	174,6	125,4	261,1
11	წველადობა ერთ ფურზე	კგ.	474	1332	1230	1609	1935
12	კვერცხმდებლობა	ცალი	---	82	128	149	184
13	მატყლის ნაპარსი	კგ.	2,1	2,1	2,3	2,4	2,4
14	მიღებული ხბო 100 ფურზე	ცალი	---	---	68	69	72
15	მიღებული გოჭი 100 ნეზვზე	ცალი	---	---	934	954	982

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

ნელა იზრდებოდა შრომის მწარმოებლურობა, ხოლო ფონდუკუგების მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედი მექანიკური და ბიოლოგიური ფაქტორებიდან, წარმოებაში არცერთი არ ინერგებოდა იმ ტემპით და მოცულობით, როგორც ეს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი.შრომის მწარმოებლურობის დონე განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს 10-15 ჯერ ჩამორჩებოდა და იგი განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მოწინავე ქვეყნების სოფლის მეურნეობაში მაღალმოსავლიანი კულტურების ჯიშების დანერგვისა და მათზე მორგებული მექანიზაციის საშუალებების ფონზე.

სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე ფასების განუხრელი ზრდის, მცირე მოსავლიანობის (პროდუქტიულობის), შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონის გამო, სულ უფრო იზდებოდა ზარალიანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების რიცხვი და მათ მიერ მიღებული ზარალის თანხა.

1988 წელს 793 კოლმეურნეობიდან (ფასდანამატების მიუხედავად) ზარალიანი იყო - 11 კოლმეურნეობა და ზარალის თანხა 52,1 მლნ რუბლს შეადგენდა, ხოლო წარმოების რენტაბელობის დონე ყველა კოლმეურნეობის მიხედვით - 22,8 პროცენტს შეადგენდა. 631 საბჭოთა მეურნეობიდან ზარალიანი იყო - 61,ზარალის მთლიანი თანხა 121, 9 მლნ რუბლს შეადგენდა, ხოლო რენტაბელობის დონე 9 პროცენტს. 214 სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციიდან ზარალიანი იყო - 22. ზარალის მთლიანი თანხა 50,4 ათას რუბლს უდრიდა, ხოლო წარმოების რენტაბელობის დონე - 2,1 პროცენტი იყო.

დაბალი იყო შრომის ანაზღაურების დონე. 1988 წელს კოლმეურნეობებში საშუალო წლიური მუშაკის გამომუშავებული პროდუქციის ღირებულება შეადგენდა -3077 რუბლს, ხოლო მისი შრომის ანაზღაურება -145 რუბლს ანუ გამომუშავებული პროდუქციის ღირებულების - 4,7 პროცენტს. ანალოგიური მონაცემები საბჭოთა მეურნეობებში შეადგენდა 3509 რუბლს,148 რუბლს და 4,2 პროცენტს. ცალკეულ რაიონებში იგი გაცილებით დაბალი იყო (ცხრილი №17).

ცხრილი №17

საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების შეფარდება-1960-1988 წწ.

N	დასახელება	ზომის ერთეული	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი
1	2	3	4	5	6	7
1	<u>კოლმეურნეობები</u> სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე	რუბლი	955	1566	2617	3077
2	ერთი საშუალო წლიური მუშაკის შრომის ანაზღაურება	რუბლი	24,5	52,8	110,6	145
3	შრომის ანაზღაურების შეფარდება	%	2,5	3,4	4,2	4,7
4	<u>საბჭოთა მეურნეობა</u> სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე	რუბლი	1520	2310	2811	3509
5	ერთი საშუალო წლიური მუშაკის შრომის ანაზღაურება	რუბლი	59,3	71,8	107	148
6	შრომის ანაზღაურების შეფარდება	%	3,9	3,1	3,8	4,2

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტემპის დაცემა განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მთის რაიონებში. უკვე, 40-იანი წლების ბოლოს, აშკარა იყო, რომ მეურნეობრიობის ფორმებისა და მათი ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმის რადიკალური ცვლილების გარეშე მთაში აგრარული ეკონომიკის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ასეთ სიტუაციაში, 1949 წელს, მესტიის რაიონში კოლმეურნეობების ჩამოყალიბების ფართო კამპანია დაიწყო. არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მაშინ, როცა განვითარებული ქვეყნები მთის მიმართ პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებდნენ, საქართველოში მთის მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსისადმი შესაბამისობაში მოყვანის მცდარი პოლიტიკა იქნა არჩეული. შედეგად, რაჭა-ლეჩხუმიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ზემო იმერეთიდან და სხვა რეგიონებიდან, მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება მოხდა. თანაც, იგი შეეხო მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს-ახალგაზრდობას, რამაც დაასუსტა მთაში დარჩენილი მოსახლეობის აღწარმოების პოტენციალი. ეს, პრაქტიკულად ნიშნავდა ერის გამრავლების პოტენციალის დასუსტებას, რადგან მთა ყოველთვის ერის სიმრავლის ბურჯი იყო.

მთას პრაქტიკულად არ მიეწოდებოდა შესაბამისი ტექნიკა, ხოლო ცოცხალი გამწევი ძალა განადგურდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქნა საყოფაცხოვრებო მომსახურების, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სფეროში.

რესპუბლიკის მთის რაიონებში (22 რაიონი) 1988 წელს, 1960 წელთან შედარებით, სახნავი მიწის ფართობი შემცირდა 260 ათასი ჰექტრით (ცხრილი №18).

სახნავი ფართობების მაგივრად გაიზარდა სათიბებისა და საძოვრების, აგრეთვე ტყით დაკავებული ფართობები. მთაში ათასობით სოფელი და დასახლებული პუნქტი დაცარიელდა და გაუკაცრიელდა.

ცხრილი №18

მთის რაიონებში მიმაგრებული მიწები -1960-1988 წწ. ათ. ჰა

N	დასახელება	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი	1988 1960 %
1	2	3	4	5	6	7
1	სულ მიწა:	2207,1	2178,5	2122,7	2210,8	100,2
2	სასოფლო- სამეურნეო სავარგული მ.შ. სახნავი. . . . . მრავალწლიანი ნარგავები. . . . . . ნასვენი. . . . . . სათიბი. . . . . . საძოვარი.	 812,0 93,0 14,7 5,2 66,4 642,6	 922,0 69,2 16,7 5,8 75,4 755,1	 954,7 73,8 17,7 7,0 76,5 790,4	 984,0 66,1 13,1 0,9 75,5 828,9	 121,2 71,1 88,6 16,8 113,7 128,9
3	ტყეები ტყე-ბუჩქები.	732,5 83,5	828,6 77,1	827,7 53,5	861,9 49,6	117,7 59,4

ცხრილი შედგენილა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

მთის გადასარჩენად 70-იან წლებში განხორციელებული ღონისძიებები (ფასდანამატების შემოღება, სხვადასხვა სახის დოტაციები, სამრეწველო საწარმოების ფილიალების მშენებლობა, მიტოვებული სოფლების აღდგენა და მრავალი სხვა) დაგვიანებული აღმოჩნდა. მთაში დაბრუნება შევთავაზეთ მაშინ, როცა ყოფილ მთიელს ბარში მოწყობილი ჰქონდა საკარმიდამო მეურნეობა და გააჩნდა სამუშაო ადგილი. ენთუზიაზმი, რომელიც მთაში დაბრუნების კამპანიას ახლდა, მალე ჩაქრა და ყოფილმა მთიელმა მთას საზაფხულო დასასვენებელი ადგილის ფუნქცია მიანიჭა.

მთაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების უმართაობამ განაპირობა საპირისპირო უარყოფითი პროცესების განვითარება ბარში-მოსახლეობისა და წარმოების ზეჭარბი კონცენტრაცია და ამის გამო მოსახლეობის ქალაქად მიგრაციის გაძლიერება.

ეკონომიკის საერთო დაცემის პირობებში - ბარში და ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაცია, ზღუდავს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საყოველთაო დეფიციტის ტოტალიზებას. ასეთ სიტუაციაში შესაძლებელია შეიქმნას მთაში მოსახლეობის ეკონომიკური იძულებით დაბრუნების პირობები (მხედველობაში გვაქვს კვების პროდუქტების მწვავე დეფიციტის დროს მთაში წარმოებულ პროდუქციაზე - ხორცზე, ყველზე და სხვაზე - მაღალი საბაზრო ფასები).

სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ეკონომიკური პირობების შექმნის შემთხვევაში (შეღავათიანი საგადასახადო სისტემა და გრძელვადიანი კრედიტები, სატრანსპორტო მიმოსვლა, ელექტროენერგიის მიწოდება და სხვა) დაჩქარდება მთაში დაბრუნების სოციალლურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირება.

სასურსათო პრობლემის გამწვავების კვალობაზე სახელმწიფომ ორგანიზებული რესურსების შესაკრებად 60-იანი წლებიდან მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია გამოიყენა, რითაც დააჩქარა პირადი დამხმარე მეურნეობების დანიშნულების შეცვლა და მისი საქონლურობის დონის ზრდა (ცხრილი №19).

ცხრილი №19

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება 1950-1988 წლებში

N	დასახ-ელება	ზომის ერთე-ული	1950 წელი	1960 წელი	1970 წელი	1980 წელი	1988 წელი	1980 1950
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	მარცვლეული სულ:	ათ.ტ.	85,0	2,0	-	-	-	-
	მ.შ.	ათ.ტ.	-	-	-	-	-	-
	მოსახლეობაში							
	მოსახლეობის ხვედრითი წო-ნა.	%	-	-	-	-	-	-
2	ბოსტნეული სულ:	ათ.ტ.	23,0	50,9	156,5	324,6	403,7	16,7 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ.	-	2,7	29,7	73,8	76,2	
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	-	5,3	19,0	22,7	18,9	
3	კარტოფილი სულ:	ათ.ტ.	10,1	14,3	68,1	172,4	147,2	14,5 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ	2,4	1,2	0,7	30,9	10,8	4,5 ჯერ
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	23,7	8,4	1,0	17,9	7,3	
4	თამბაქო სულ:	ათ.ტ	12,2	16,2	16,1	16,8	12,5	102,4
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ	-	0,4	-	0,9	0,4	
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	-	2,5	-	5,3	3,2	
5	ხილი სულ:	ათ.ტ.	22,7	83,5	225,1	451,9	330,8	21,4 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ.	-	-	157,0	326,0	68,8	
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	-	-	69,7	72,1	20,8	

6	ყურძენი სულ:	ათ.ტ	57,8	92,8	391,8	801,1	459,9	7,9 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ	22,5	30,2	158,7	341,0	92,5	4,1 ჯერ
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%.	38,9	32,5	40,5	537,8	20,1	
7	ჩაის ფოთოლი სულ:	ათ.ტ	83,7	156,8	258,9	501,8	458,3	5,5 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ	2,8	8,9	21,1	38,4	31,9	11,4 ჯერ
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	3,5	5,7	8,1	7,6	6,9	
8	ციტრუსი სულ:	ათ.ტ.	2,4	31,2	93,5	124,9	405	168 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ.	-	19,4	55,6	95,4	320,6	
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	-	62,2	59,5	76,4	79,2	
9	ხორცი სულ:	ათ.ტ.	23,7	65,8	73,8	144,0	185,6	7,8 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ.	9,7	17,6	30,7	55,1	7,0	72
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	40,5	26,7	41,6	38,3	38	
10	რძე სულ:	ათ.ტ.	56,9	122,3	174,7	282,1	305,3	5,4 ჯერ
	მ.შ.მოსახლეო-ბაში.	ათ.ტ.	27,5	5,8	1,3	25,5	-	-
	მოსახლეობის ხვედრითი წო ნა.	%	48,3	4,3	0,7	9,0	-	-

11	კვერცხი სულ:	მლნ.ც	10,3	63,0	161,5	477,2	610,0	59,2 ჯერ
	მ.შ.მოსახლეობაში.	მლნ.ც..	6,4	21,0	16,9	66,5	-	-
	მოსახლეობის ხვედრითი წონა.	%	62,1	34,0	10,4	13,9	-	-
12	მატყლი სულ:	ათ.ტ.	3,5	4,7	5,2	6,5	4,2	-
	მ.შ.მოსახლეობაში.	ათ.ტ.	0,4	1,5	2,1	3,3	0,6	120
	მოსახლეობის ხვედრითი წონა.	%	11,4	31,9	40,4	50,8	14,3	150

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, წლების მიხედვით იზრდებოდა როგორც მოსახლეობიდან დამზადებული პროდუქციის ნომენკლატურა, ისე მისი აბსოლუტური რაოდენობა. მოსახლეობაზე მოდიოდა ციტრუსის, ხილის, ყურძნის, ხორცის, რძის მნიშვნელოვანი ნაწილი.მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებს ეჭირათ მხოლოდ 179,4 ათასი ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგული (რაც მთელი სავარგულების 5,5 პროცენტს შეადგენდა), ხეხილის მთლიანი ნარგაობის 54,2 პროცენტი, ვაზის ნარგაობის-33,6 პროცენტი, ციტრუსების-42,1 პროცენტი, მსხლილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 69 პროცენტი, ღორის-54 პროცენტი, ცხვრისა და თხის-47,3 პროცენტი (ცხრილი №20).

ცხრილი №20

საკარმიდამო ნაკვეთებისა და მოსახლეობის პირუტყვის სულადობის ხვედრითი წონა 1988 წელი

N	დასახელება	ზომის ერთეული	სულ	მ. შ. მოსახლეობის	მოსახლეობის ხვედრითი წონა
1	2	3	4	5	6
1	სასოფლო-სამეურნეო სავარგული	ათ.ჰა	3270	179,4	5,5
	მ.შ. სახნავი.	ათ.ჰა	785,3	91,2	11,6
	ვენახი.	ათ.ჰა	117,7	39,6	33,6
	ხილი.	ათ.ჰა	130,5	70,7	54,2
	ჩაი.	ათ.ჰა	64,8	3,8	5,9
	ციტრუსი. . . .	ათ.ჰა	27,1	11,4	42,1
2	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ათ.სული	1585	934,3	58,9
	მ.შ. ფური.	ათ.სული	626	449,9	71,8
3	ღორი	ათ.სული	1118	599,9	53,6
4	ცხვარი და თხა	ათ.სული	1820	860,6	47,3

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით

ზემოთ მოტანილი მონაცემები მოუთითებენ, რომ საწარმოო და არასაწარმოო მომსახურების იმჟამინდელ პირობებში შესაძლებელი იყო წარმოების შემდგომი ზრდა პირადი დამხმარე მეურნეობის ხარჯზე.

70-იან წლებში მაპროფილებელი პროდუქციის - ჩაის, ციტრუსის, ყურძნის, ხილის, წარმოების ზრდა ორ წამყვან დარგში-

მეჩაიეობასა და მევენახეობაში, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესების ხარჯზე მოხდა.

თქმა იმისა, რომ ტოტალიტარული რეჟიმი ვერ ამჩნევდა საწარმოო ძალების განვითარებაში წარმოშობილ წინააღმდეგობებს, სწორი არ იქნება. მთავარია, თუ რა ღონისძიებები ხორციელდებოდა და რამდენად პასუხობდა იგი შექმნილ მდგომარეობას.

აშკარად ჩანდა, რომ ცალკეული, თუნდაც მძლავრი ღონისძიების განხორციელებით, რომელიც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას ან შრომის მატერიალურ დაინტერესებას, კოოპერირებისა და ინტეგრირების ახალი ფორმების შემოღებას გულისხმობდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩიხიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო რადიკალური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება, რის საშუალებასაც ქვეყნის უკიდურესად იდეოლოგიზებული პოლიტიკური სისტემა არ იძლეოდა. აქედან გამომდინარე, ექსპერიმენტები, რომლებიც საქართველოში ტარდებოდა, მართალია სისტემის კრიზისული მდგომარეობის შედეგი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ იგი დადგენილ ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა, ცალკე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების შემოქმედების ნაყოფად, ხოლო უფრო ფართო გაგებით, სისტემის აგონიის გამოხატულებად რჩებოდა.

ექსპერიმენტები ვერ ცვლიდა საკუთრების ფორმებს. მიწა და წარმოების სხვა საშუალებები, როგორც ადრე, სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ზემოდან უსაზღვავდნენ რა სახის და რა რაოდენობის პროდუქცია უნდა ეწარმოებინთ, ვისთვის რამდენი პროდუქცია, რა ფასად მიეყიდათ, ვისგან, რა დროს და რა ფასად შეეძინათ წარმოების საშუალებები, რამდენი მუშაკი უნდა ყოლოდათ სამმართველო აპარატში, როგორი ანაზღაურება უნდა მიეღოთ მათ და წარმოების მუშაკებს, როგორ უნდა გაენაწილებინათ მოგება სახელმწიფო ბიუჯეტსა და ეკონომიკური სტუმულირების ფონდებს შორის, ვისთან უნდ შეეთანხმებინათ წარმოების საშუალებების ჩამოწერისა და მათი რეალიზაციის საკითხი, რა ღირებულების წარმოების საშუალება შეეძინათ ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით და სხვა.

ამდენად, სოფლის მეურნეობაში არსებული წარმოების წესი თვით შეიცავდა კრიზისული მოვლენების განვითარების შესაძლებლობებს და მისი დაძლევა მხოლოდ ამ წესის შეცვლით შეიძლებოდა.

კრიზისს სოფლის მეურნეობაში არ ჰქონია მისი კლასიკური ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები და გამოვლინებები, რაც განპირობებული იყო ამ დარგში კაპიტალური დაბანდებების დიდი მოცულობით, დოტაციებით, სუბსიდიებით,სახელმწიფო პროტექციონიზმისა და სახელმწიფო რეგულირების მძლავრი პოლიტიკით.

სოფლის მეურნეობაში კრიზისული მოვლენები გამოიხატებოდა:

- შეფარდებითი ფორმით, რაც მდგომარეობდა მატერიალურ- ტექნიკური ბაზის ზრდასთან შედარებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალ ტემპებში.

- სოფლის მეურნეობის მრავალი სახის პროდუქციის წარმოების ზარალიანობით, საბალანსო რენტაბელობის დაბალი დონით, მისი შემცირების ტენდენციით.

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავი მიწების შემცირებით და მათ ხარჯზე საძოვრებისა და სათიბების ფართობების გადიდებით, განსაკუთრებით მთის რაიონებში.

- მრავალწლიანი კულტურების ფართობების უპირატესი ზრდით და ამით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის დეფორმაციით, ადგილობრივი მოხმარების სასურსათო პროდუქტების წარმოების მცირე ხვედრითი წონით.

- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობის არაკანონზომიერი შემცირებით, მისი ასაკობრივი დაბერებით, განსაკუთრებით მთის რაიონებში, გაუქმებული და მიტოვებული სოფლებისა და დასახლებული პუნქტების რიცხვის ზრდით.

- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მოტივაციის უქონლობით.

- წარმოების ორგანიზაციული ფორმების ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმის მოძველებით, რადიკალური ეკონომიკური ცვლილებების ნაცვლად, კოლმეურნეობების გამსხვილებით, მათი საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნით. სხვა,

არაეფექტური სამეურნეო ფორმების ჩამოყალიბებით, ფონდუ-კუგების მაჩვენებლების შემცირებით.

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობითა და მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობით, სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის განხორციელებული ღონისძიებების არაეფექტურობით, სოფლის მეურნეობაში შრომის ანაზღაურების დაბალი დონით.

- პირადი დამხმარე მეურნეობების მკვეთრად გაფართოების ნაცვლად ცენტრალიზებული მართვის სისტემაში მათი მოქცევის წარუმატებელი მცდელობით.

- საწარმოს, რაიონის და ქვეყნის დონეზე მართვის მექანიზმის ხშირი რეორგანიზაციითა და მისი არაეფექტურობით.

1.3. ეროვნულ სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები

ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც საქართველო მოიცვა, ყოფილი სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების მსგავსად, უცბად არ დაწყებულა.

70-იანი წლების ბოლოდან სსრკ-ში ჩამოყალიბდა მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირების მყარი ტენდენცია და არაპირდაპირი შეფასებებით იგი წლიურად საშუალოდ 3-5 პროცენტს შეადგენდა. ამავე პერიოდში მკვეთრად დაეცა ცხოვრების ხარისხი-გამწვავდა საქონლის დეფიციტი. ადამიანთა სამომხმარებლო ქცევის ატრიბუტად იქცა რიგები, ბარათები, სპეკულაციურ ფასებში საქონლის შეძენა. მნიშვნელოვნად გაუარესდა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყოველწლიურად, კვარტალში ერთხელ, ქვეყანა იკვებებოდა იმპორტით შემოტანილი სასურსათო პროდუქტებით. თავისუფალ ვაჭრობაში დეფიციტური გახდა ხანგრძლივი სარგებლობის მრავალი საქონელი.

ანალოგიური პროცესები ვითარდებოდა საქართველოშიც. თუ,1961-1970 წლებში, საქართველოში, ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 7 პროცენტს, მრეწველობის პროდუქციისა 3 პროცენტს შეადგენდა, 1971-1980 წლებში იგი შესაბამისად 6,5 და 6,9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1981-1990 წლებში ეს მაჩვენებელი 1,6 და 2,2 პროცენტამდე შემცირდა. უფრო მეტიც, უკვე 1989 წლიდან საქართველოში დაიწყო წარმოების დონის დაცემა, როცა წინა 1988 წელთან შედარებით, ეროვნული შემოსავალი 2,4 პროცენტით, ხოლო 1990 წელს - 11 პროცენტით შემცირდა. თუ, 1995 წლისათვის საქართველო მიუახლოვდა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების დონის მიხედვით, 1990 წლისათვის ჩამორჩებოდა მას 20 პროცენტით. ეს მაშინ, როცა 1987 წლის მონაცემებით თვით სსრ კავშირი საერთო ეკონომიკური განვითარების შესადარი მაჩვენებლებით, ორჯერ ჩამორჩებოდა აშშ-ს დონეს, 40 პროცენტით დიდ ბრიტანეთს, 1,5 - ჯერ ფინეთს, 20 პროცენტით იტალიას და აშ. ამასთან, 1985 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირში საქონლის პირადი მოხმარების დონე განვითარებული ქვეყნების დონეს ჩამორჩებოდა 3-4 ჯერ, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობით -3-3,5 ჯერ, შრომის მწარმოებლურობით სოფლის მეურნეობაში-10-15 ჯერ და აშ.

საინტერესოდ სხნის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე ღრმა ეკონომიკური კრიზისის მიზეზებს მეგაეკონომიკის ცნობილი სპეციალისტი - ვ. პონომარიოვი. იგი თავის აზრს აგებს ორ ლოგიკურ დასკვნაზე.

- მატერიალური კეთილდღეობა არის საკუთრება, ხოლო მოცემული ადამიანის საკუთრება, არის კერძო საკუთრება.

- სულიერი განვითარება არის თავისუფლება, მოცემული ადამიანის თავისუფლება არის პიროვნების თავისუფლება.

კერძო საკუთრება და პიროვნების თავისუფლება - არის ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელი ორი ბუნებრივი კრიტერიუმი, რომელთა არსებობისაგან და მათი განვითარების დონისაგან დამოკიდებულია მთლიანად საზოგადოების აყვავება და პროგნოზი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არც კერძო საკუთრება და არც პიროვნების თავისუფლება რეალურად არ არსებობდა, ბუნებრივია, რომ არ არსებობდა თავისუფალი საზოგადოება, მისი განვითარების თვითრეგულირების შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირი ფაქტიურად იყო ხელოვნური საზოგადოებრივი სისტემა, საზოგადოება-რობოტი, არაცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც სამეურნეო-პოლიტიკური მართვის დემონტაჟი გაუკეთეს. აქედან გამომდინარე მართებული იქნება ვილაპარაკოთ არა კრიზისზე, არამედ სუპერავარიაზე, ან კატასტროფაზე, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს საზოგადოებას, ისტორიული ტოტალიტარული ჩიხიდან გამოსვლისას.

თვით ჩიხის მდგომარეობა შეიქმნა მაშინ, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა მოსპო კერძო საკუთრება ,,მთლიანად და საბოლოოდ" და ამით მოსპო საზოგადოების თვითრეგულირებით განვითარების შესაძლებლობა. ასეთ საზოგადოებას შეეძლო ეარსება მხოლოდ საქმიანობის ყველა სფეროს-პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის ცენტრალიზებული მართვის პირობებში. აქედან გამომდინარე - ჩვენ აღმოვჩნდით უმძიმეს მდგომარეობაში არა იმის გამო, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო დაინგრა, არამედ იმიტომ, რომ იგი არსებობდა.

ასეთი საზოგადოების შთამომავლებს ჩვენი რადიკალური აზროვნების გამო გვინდა რომ ხვალვე გვქონდეს კლასიკური დემოკრატიული საზოგადოება და კლასიკური საბაზრო ეკონომიკა. ასეთი მიდგომა შეიძლება ახასიათებდეს საზოგადოებას, რომელსაც ცნობიერება გადახრილი აქვს ტოტალიტარული წარსული გამო. ასეც მოხდა. აღნიშნული პროცესის განვითარება განაპირობა მისი დედაბოძის - სკკპ ავტორიტეტის დაცემამ, ერთპარტიული სისტემის დაშლამ და შემდეგ - სკკპ გაუქმებამ. საქმე იმაში გახლავთ, რომ საბჭოთა კაშირში არსებულ ტოტალიტარულ-პოლიტიკურ და სამეურნეო სისტემას მართავდა სკკპ ნომენკლატურა, რომელიც ზემოდან - სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან იმართებოდა. ეს, ფაქტიურად პარტიულ-სახელმწიფი აპარატი იყო, რომლის გარეშეც ქვეყანაში არც ერთი საკითხი არ წყდებოდა. საკმარისი იყო მოშლილიყო პარტიული იერარქიის ზედა ეშელონი,რომ ჩამოშლილიყო მასზე ხის ტოტებივით ახუნძლული რთული სისტემა.

რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ საჭიროა საკუთრების სწრაფი და ფართომასშტაბიანი რეორგანიზაცია, რადგან თითოეულ ადამიანს გააჩნია ქონების ფლობის, დაგროვებისა და არა მისი ,,შეჭმის" ბუნებრივი მოტივი, ეს დიდი

შეცდომაა. დემოკრატია, კერძო საკუთრებისა და დაქირავების ინსტიტუტი, შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ევოლუციური გზით, რადგან თუ ბრძოლით არ დაიცავ შენს უფლებებს, დემოკრატი ვერ გახდები. თუ შენს კაპიტალს შენი ოფლით არ შექმნი, მესაკუთრე ვერ გახდები.

ამდენად, დღევანდელი კრიზისის საფუძვლები სკკპ პოლიტიკურ სისტემაში, მისი მართვის მექანიზმში იდო.

რეფორმამდელი საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ერთიანი კომპლექსის შემადგენელ ნაწილს, რის გამოც შრომისა და საწარმოო ძალების დანაწილებაში მას თავის ადგილი ეკავა და გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა. საქართველოში გაადგილებული საწარმოები ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად კოოპერირებულნი იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკებში გაადგილებულ საწარმოებთან და ცენტრალიზებული განაწილების მეშვეობით ურთიერთს აწვდიდნენ განსაზღვრული რაოდენობის მზა, მაკომპლექტებელ პროდუქციას, ან ნედლეულს. მაგალითად, საქართველოს აგროკომპლექსის საწარმოები დაკავშირებული იყვნენ თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოებთან, განსაკუთრებიღ რსფსრ-სთან, საიდანაც იღებდნენ მათთვის საჭირო წარმოების საშუალებების 76 პროცენტს. 6 პროცენტი მოდიოდა უკრაინაზე, დანარჩენი - სხვა რესპუბლიკებზე.

ეს იმდენად რთული სისტემა იყო, რომ პრაქტუკულად მნიშვნელობა არ ჰქონდა მოსაწოდებელი პროდუქციის მოცულობას. თუნდაც უმნიშვნელო პროდუქციის უქონლობისას, შეუძლებელი იყო მზა პროდუქციის წარმოება, ხოლო სხვა მომწოდებლების პოვნა პრაქტიკულად გამორიცხული იყო, რადან ყველა მათგანს წლის დასაწყისიდან დაშვებული ჰქონდა მიწოდების გეგმა, ხოლო გეგმური პროდუქციის არსებობის შეთხვევაში აუცილებელი იყო შესაბამისი რესპუბლიკური და საკავშირო საგეგმო კომიტეტის ნებართვა.

სსრკ მთელ ტერიტორიაზე საბითუმო ფასების, საგადასახადო, ფულად - საკრედიტო პოლიტიკის, წარმოების ფუნქციონირების ეკონომიკური სისტემებისა და ადმინისტრაციული ზემოქმედების მეთოდების იდენტურობის, ყველა საწარმოს მეტნაკლებად ერთმანეთთან სამეურნეო ძაფებით

დაკავშირებისა და ერთიანი ცენტრალიზებული წესით მართვის პირობებში, საკმარისი იყო მის რომელიმე რგოლში რაიმე შეფერხების წარმოშობა, რომ ამოქმედებულიყო ე.წ. დომინოს პრინციპი, რომელიც ჯერ მოცემული სფეროს საწარმოებს, ხოლო შემდეგ - მთელ სახალხო მეურნეობას მოიცავდა.

ბოლო წლებში სამეურნეო სისტემამ დომინოს ეფექტის გამომწვევი რამდენიმე ბიძგი განიცადა, მათ შორის მთავარი იყო პოლიტიკური სისტემის მოშლა, რასაც შედეგად მოჰყვა სამეურნეო კავშირების გაწყვეტა.

საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, სამეურნეო კავშირების გაწყვეტა გახდა ეკონომიკური კრიზისების გამომწვევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

კრიზისული მოვლენების გაღრმავებას ხელი შეუწყო საქართველოში განვითარებელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. პოსტკომუნისტურ საქართველოში 3 წელიწადში ორი ხელისუფლება შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების შემდგომ მოსულ ხელისუფლებას თითქოს საკმაოდ გაბედული და მეცნიერულად დასაბუთებული სამოქმედო პროგრამა ჰქონდა, აღმოჩნდა, რომ რეფორმების განხორციელების კონკრეტული პროგრამა არ გააჩნდა და უზენაესი საბჭოც საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი რამდენიმე კანონის მიღებით დაკმაყოფილდა.

მეორე ხელისუფლებამ, რომელიც მნივნელოვანწილად წინა ხელისუფლების განაყოფი იყო და ქვეყნის სათავეში არაცივილიზებული გზით, სამხედრო ძალის გამოყენებით მოვიდა, ყოფილ ხელისუფლებას ნიშნი მოუგი და ყოველგვარი მიმზადების გარეშე შეუდგა რეფორმების განხორციელებას.

ყველა ნორმალურ ქვეყანაში მთავრობა თავის ხალხს, მეწარმეებს, დირექტორთა თუ წარმოების ხელმძღვანელთა კორპუსს, პროფკავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პარტიებს უთანხმებს განსახილველ ღონისძიებებს, უსაბუთებს არჩეული გზის სისწორეს და სრული თანხმობის შემდეგ იწყებს რეფორმების განხორციელებას.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ პოლიტიკურად არეულ ქვეყანაში (როგორიც საქართველო იყო 1992 წლის დასაწყისში) ეკონომიკური რეფორმების განხორციელების არავითარი პირობა არ არსებობს და ყველა მცდელობა, ყველა

პროგრამა, რომელიც არსებულ რეალობას არ ითვალისწინებს-დასაღუპადაა განწირული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - მკვდრად შობილია.

ასე მოუვიდა ს. შატალინისა და გ. იავლინსკის პროგრამას - ,,500 დღე“, გ. იავლინსკის პროგრამას - ,,ხსნის შანსი“ და სხვა პროგრამებს. ასევე მკვდრად დაბადებული აღმოჩნდა ,,საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“ (მისი პირველი ვარიანტი, რადგან იგი არ ითვალისწინებდა ქვეყანაში რეალურად შექმნილ მდგომარეობას, ე.წ.არაეკონომიკურ (გარე) და შიგა ფაქტორებს, რომელთაც უნდა შექმნან პროგრამაში დასახული მიზნების განხორციელების ხელსაყრელი გარემო). არსებული პრაქტიკის გაუთვალიწინებლობა იმან გამოიწვია, რომ რატომღაც მეტ პატივს მივაგებთ ანალოგიებს და არა რეალურ სინამდვილეს, ეროვნულ ტრადიციებს, მის თავისებურებებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოსტკომუნისტური ხელისუფლება, მათი წინამორბედების მსგავსად, ადრე არსებული რეჟიმისა და მის სამსახურში მდგომი ადამიანების დაუფარავი სიძულვილის ტალღაზე მოვიდა. ბერდიაევს აქვს ასეთი გამოთქმა:,, უბედურია იმ ხალხის ხვედრი, რომელსაც არ უყვარს თავისი ისტორია და უნდა ყველაფრის თავიდან დაწყება“.

უ. ჩერჩილი პოლიტიკურ გამოსვლებში ხშირად იყენებდა გამოთქმას:,,დღევანდელობას, რომელიც უარყოფს წარსულს, მომავალი არა აქვს“.

ცნობილი პიროვნებების სიტყვები იმიტომ კი არ მოვიყვანეთ, რომ რომ ამის თაობაზე ქართული გამონათქვამები თუ ბრძნული ანდაზები არ გაგვაჩნია. უბრალოდ იმიტომ, რომ დღეს პოლიტიკასა და ეკონომიკაში მიმბაძველობით უფრო მეტია დაავადებული, ვიდრე საკუთარი ისტორიის, ერის საგანძურის ცოდნით.

მდგომარეობა უფრო დაძაბა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პერმანენტულმა ხასიათმა, რომელშიც ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზია არა სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვა, არამედ ამა თუ იმ პიროვნებისადმი სიყვარული თუ სიძულვილი. ერის

უკიდურეს დაკნინებაზე, მის მიერ ეროვნული ფუნქციის დაკარგვაზე მეტყველებს ის, რომ მისი პოლიტიკური გამთლიანება ვერ შეძლო სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის საფრთხემაც. პირიქით, ერის ნაწილმა საუკუნის ღალატი ჩაიდინა, როცა თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით, ხელი შეუწყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოდან ჩამოცილებას.

შედეგი, რომელიც არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავრობის მიერ შემოთავაზებული გეგმით მივიღეთ, არის უწესრიგო შავი ბაზარი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის - ნ. ბუნიჩის განმარტებით, არის ბაზრის აგონია და არა მისი ,,ბურევესტნიკი“.

ამრიგად, საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და პოპულისტური მოსაზრებებით ეკონომიკური რეფორმების დაწყებამ ხელსაყრელი პირობები შექმნეს ეკონომიკური კრიზისის განვითარებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის გარდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადაყვანისას დაშვებულიქნა რამდენიმე მძიმე შეცდომა, რომელიც გამოწვეული იყო არსებული საზოგადოებრივი წესის არსში გაურკვევლობით, საბაზრო გარემოში სამეურნეო ორგანიზმის ფუნქციონირებისადმი გაუბრალოებული მიდგომით. არ გაითვალისწინეს, რომ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელი ეკონომიკური, ორგანიზაციული, საკრედიტო-საფინანსო და სხვა საბაზრო სტრუქტურების შექმნა გაცილებით ძნელი და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ტოტალიტარული სახელმწიფოს შესატყვისი მბრძანებლურ-განმკარგულებელი სტრუქტურის ფორმირება და საერთო - სახალხო საკუთრებაზე დამყარებული ეკონომიკის მართვა.

საბაზრო ეკომომიკაზე გადასვლისას დაშვებული შეცდომებიდან შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მათგანი:

პირველი-არავინ გაითვალისწინა, რომ ე.წ. რუსეთის იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც ჩვენ ვიყავით, არ იყო რეგიონების ხარჯზე გაძლიერებული კლასიკური იმპერია და რომ იგი ასეთად გახდომას მოინდომებდა მაშინ, როცა ისინი მისგან ჩამოცილებას დაიწყებდნენ.

მეორე-მხედველობაში არ იქნა მიღებული, რომ ჩვენ ვიყავით დედამიწის ტერიტორიის ერთ მეექვსედზე ერთმანეთთან

უამრავი სამეურნეო-საფინანსო ძაფით დაკავშირებული, ცენტრალიზებული წესით მართული, უკიდურესად რეგლამენტირებული საკავშირო მეურნეობის ნაწილი და ამის გამო საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებელი მართვისათვის პრაქტიკულად მოუმზადებელნი.

მესამე-ქვეყანაში არ არსებობდა თავისუფალი მეწარმეობის გამოცდილება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკარმიდამო მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკას, სამომხმარებლო კოოპერაციის შემსყიდველ-გამსაღებელი ორგანიზაციის - ,,კოოპვაჭრობის“ საქმიანობას, კოოპერაციულ საკითხებზე შექმნილი ზოგიერთი საწარმოსა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული მოქალაქეების გამოცდილებას.

მეოთხე-მიჩნეულიქნა, რომ საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული იდეოლოგიზებული წარმოების წესის ყოველმხრივი იგნორირებისა და სამაგიეროდ კერძო საკუთრების იდეალიზაციის, აგრეთვე ცენტრალიზებული დაგეგმვის, მომარაგების, განაწილების, სახელმწიფო დაკვეთების მოშლის ნაცვლად, ფასებისა და გაფასებების ლიბერალიზაციის პირობებში თავისუფლად განხორციელდებოდა შესაბამისი სტრუქტურული, სისტემური და ინსტიტუციური ცვლილებები ე.ი. მოხდებოდა კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, და შედეგად, მივიღებდით თვითრეგულირებად ეკონომიკურ სხეულს. ასეთი სტრატეგიის გამო, იგნორირებულიქნა სახელმწიფოს მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი როლი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

ზოგადი ხასიათის შეცდომები, რომლებმაც განაპირობეს კონკრეტული ხასიათის შეცდომების დაშვება ასე წარმოგვიდგება:

პირველი. მოიშალა ქვეყნის ეკონომიკის მართვის ცენტრალიზებულ-განმკარგულებელი სისტემა და მისი განმახორციელებელი სახელმწიფო ინსტიტუტები ისე, რომ მათ მაგივრად არ შექმნილა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მმართველობითი და საწარმოო სისტემები და სტრუქტურები.

მეორე. მოხდა წარმოების კომერციალიზაცია, მისი არსის პრიმიტიული, გაუბრალოებული გაგებით.

მესამე. საფუძველი გამოეცალა წარმოების ზრდის მოტივაციას, ფასების იმპულსების ბლოკირების გამო, რის შედეგადაც

ფასების ლიბერალიზაცია მოგების ლიბერალიზაციის ტოლფასი გახდა.

მეოთხე. ქვეყნის ეკონომიკის მართვის მოშლის, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის ფონზე, განვითარება იწყო ადგილობრივმა ეკონომიკურმა სეპარატიზმმა.

ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომები განაპირობეს ჩვენს საზოგადოებაში წლების მანძილზე ჩამოყალიბებულმა ფსიქოლოგიურმა და პოლიტიკური აზროვნების წესმა.

ფსიქოლოგიური მომენტებიდან უნდა აღინიშნოს:

- რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გაუთვითცნობიერება, ჩვენს ხარჯზე სხვა რესპუბლიკების გამდიდრების ყალბი ლოზუნგის აღზევება, ჩვენი განსაკუთრებულობის დაჩემება.

-წარმოების საშუალებების გაუპიროვნება, არაპერსონიფიცირება და აქედან გამომდინარე, მისი განიავების, მიტაცების არა მარტო გამართლება, არამედ წახალისება.

- ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახელმწიფოს მიერ შრომის არნახული ექსპლუატაციის გამო წარმოებული პროდუქციის მთლიანად მითვისების გამართლება, შრომის ანაზღაურების ეკონომიკურად დაუსაბუთებელი პირობების წამოყენება და მათი პრაქტიკული რეალიზაცია, საწარმოს ინტერესების სრული იგნორირება.

-სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი სახელმწოფო თუ სამეურნეო მმართველობითი სტრუქტურებისადმი არაკეთილგანწყობილი, ხშირად ანტაგონისტური, დამოკიდებულება.

პოლიტიკური მომენტებიდან აღსანიშნავია:

- ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის მოტივით რადიკალური, გაშიშვლებული, ეკონომიკურ რელობას მოწყვეტილი, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აღიარება და მისი პრაქტიკული განხორციელება.

- ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გზების შეუთანხმებლობა ეკონომიკურ პოლიტიკასთან, პოლიტიკის უზენაესობის აღიარება ეკონომიკასთან შედარებით.

- ყოველივე ადრე არსებულის დაუფიქრებელი, ტოტალური უარყოფა.

- საზოგადოებრივი წარმოების ერთი წესიდან მეორეზე გადასვლის რევოლუციური გზის აღიარება. იმის დავიწყება, რომ

რევოლუციები დაჩქარების ნაცვლად, ამუხრუჭებენ წარმოების განვითარების ნორმალურ, ეკონომიკური კანონებით მართულ პროცესებს და რომ უკან დაბრუნება, რაც ადრე თუ გვიან მოხდება, საზოგადოებას დიდ მსხვერპლად უჯდება.

პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზებისა და ხერხების ძიებისას, გათვალისწინებული არ ყოფილა ქვეყნის ეკონომიკის, უპირველეს ყოვლისა მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილის-აგროსასურსათო კომპლექსის მრავალი თავისებურება.

კერძოდ,ქვეყნის დამოუკიდებლობის კურსის განსაზღვრისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო:

- მაშინდელ რესპუბლიკათაშორის საქონელგაცვლაში საქართველოდან მონაწილე 9 დარგიდან დადებითი სალდო ჰქონდა მხოლოდ კვების მრეწველობის დარგებს -1430,8 მლნ რუბლის ოდენობით, მთლიანად კი პროდუქციის გატანა - შემოტანის სალდო უარყოფითი იყო და იგი 1989 წელს 384,8 მლნ რუბლს შეადგენდა.

- რამდენადაც რესპუბლიკის ეკონომიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი იყო, აგროსასურსათო სექტორის სპეციალიზაცია ხორციელდებოდა შრომის საკავშირო დანაწილების საფუძველზე. პროდუქციის განაწილება და მისი მიწოდება ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით, რაც პრაქტიკულად ხსნიდა პროდუქციის ხარისხისა და მისი რეალიზაციის პრობლემებს.

- აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციაზე ფასები წესდებოდა ცენტრალიზებული წესით და ქვეყანაში ე.წ. მონოპოლური კულტურების გაადგილების გამო (ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთოვნები, ტუნგი, ვაზის უნიკალური ჯიშები და სხვა)იგი ჩვენთვის უაღრესად მომგებიანი იყო. გარდა ამისა, მოქმედებდა ე.წ. ზონალური შესასყიდი ფასები, რომლებიც ჩვენთან წარმოებულ მეცხოველეობის პროდუქტებსა და მარცვალზე მაღალი იყო.

- აგროსასურსათო სექტორის მიმართ ტარდებოდა პროტექციონისტული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე შეღავათიან ფასებში წარმოების საშუალებების მიყიდვას. გარდა ამისა, ცენტრალიზებული გზით ხდებოდა მსხვილი სამშენებლო ობიექტების დაფინანსება, მიზნობრივი დანიშნულებით სასესხრების გამოყოფა, რეს-

პუბლიკის აგროკომპლექსისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების უცხოურ ვალუტაზე შესყიდვა (საკონდიტრო პროდუქცია, კვების მრეწველობის პროდუქცია სხვა დარგებისათვის, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები, მატყლი, ტარამასალები და სხვა). ეკონომიკურად სუსტი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებისაგან ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერა, პროდუქციის შესასყიდი ფასების რეგულირებისათვის სპეციალური ფონდების შექმნა და სხვა.

- განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ჩამორჩენილობის გამო, ჩვენში წარმოებული პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი იყო.

- შეზღუდული სივრცის ნაცვლად, სადაც ჩვენ ცენტრალიზებული წესით და ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით ვყიდდით ჩვენს პროდუქციას, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვიქეცით მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად, მსოფლიო ბაზრის სუბიექტად, რომელიც დიდი ხანია გაჯერებულია ყველა სახის პროდუქციით და სადაც განვითარებული ქვეყნები უმძიმეს კონკურენტულ ბრძოლაში ახერხებენ ახალი სავაჭრო ნიშის დაკავებას.

- რესპუბლიკას არ გააჩნდა ერთი, თუნდაც ორი ან სამი სახის ისეთი სტატეგიული დანიშნულების პროდუქცია, რომლის წარმოებასა და ექსპორტზე შეიძლებოდა აგებულიყო ჩვენი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და იგი ეკონომიკური განვითარების ღერძად ქცეულიყო. ჩვენ ვართ მრავალი სახის, მაგრამ მცირე მოცულობის რესურსების მფლობელები, რომელთა მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოების ორგანიზაციას ფართო ეკონომიკური სივრცე, დიდი ძალისხმევა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასჭირდება.

- რესპუბლიკას პრაქტიკულად არ გააჩნია ისეთი სტრატეგიული დანიშნულების რესურსი, როგორიცაა ნავთობი, ბუნებრივი აირი. დიდი დეფიციტია მარცვლეულზე არსებული მთხოვნილების დაკმაყოფილებაში. აღნიშნული რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია არა თუ აგროსამრეწველო კომპლექსის, არამედ მთლიანად ეროვნული მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება.

მსოფლიო ფასებით შეძენილი ენერგომატარებლებით წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება იმდენად გაიზარდა,

რომ მისი რეალზაცია არათუ მსოფლიო ბაზარზე, არამედ რესპუბლიკის შიგნითაც გაჭირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას აწარმოებდნენ (ჩაი, ღვინო, კონიაკი, ხილი და მრავალი სხვა). ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ამ პროდუქტებისადმი ინტერესების განელება და ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების გაფართოება.

მთლიანად თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის შედეგები, რომელსაც 80-იან წლებში სტრუქტურული ხასიათი ჰქონდა, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან, საყოველთაო ფორმა მიიღო, უკიდურესად მძიმეა. კრიზისმა გამოიწვია სერიოზული დეფორმაციები სტრუქტურული აღწარმოებისა და ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში:

-უპირველეს ყოვლისა დაიწყო საწარმო ძალების ფიზიკური, ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის, საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის დაშლის პროცესი.

- ნაციონალური სიმდიდრის სისტემატური შემცირება, თავისებური ,,შეჭმა". ინვესტიციების შეწყვეტა საშუალებას არ იძლეოდა განხორციელებულიყო ძირითადი ფონდების არათუ გაფართოებული, არამედ მარტივი აღწარმოება. დანადგარების მოძველების გამო შეუძლებელი გახდა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, დაეცა შრომის მწარმოებლურობა, გაიზარდა საწარმოო ავარიების რიცხვი.

- მკვეთრად დაეცა მოთხოვნილება სამეცნიერო- ტექნიკურ პროდუქციაზე. პრაქტიკულად შეწყდა მაღალმწარმოებლური მანქანებისა და დანადგარების იმპორტი, დაიშალა მაღალკვალიფიციური შრომითი კოლექტივები. ახალგაზრდა შრომითი რესურსებისა და ,,ტვინის"გადინებამ შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო.

- მოხდა მთელი ეკონომიკის საფინანსო - აღწარმოებითი სტრუქტურის ღრმა დეფორმაცია, რამაც გამოიწვია დაგროვების შიგა წყაროების გაქრობა.

-გაქრა ამორტიზაცია და მისი ანარიცხები. განსაკუთრებით სერიოზული დეფორმაცია განიცადა მოსახლეობის დანაზოგებმა. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის ფულადი დანაზოგების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან და კრედიტების მოც-

ულობასთან, რაც განვითარებულ ქვეყნებში საკრედიტო რესურსების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

- ღრმა დეფორმაცია განიცადა განაწილებითი ურთიერთობების მთელმა სისტემამ, შრომის ანაზღაურებამ პრაქტიკულად დაკარგა კავშირი წარმოების შედეგებთან.

- სულ უფრო გაძლიერდა საქართველოს მოსახლეობის დეპოპულაციისა და ნაციონალური გენოფონდის მკვეთრი შემცირების პროცესი. გაფართოვდა ქვეყნიდან ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობის, პირველ რიგში ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური გონების მიგრაციის პროცესი, რაც არასრული მონაცემებით - 1 მლნ კაცს აღემატებოდა. ამის პარალელურად მკვეთრად შემცირდა შობადობა და გაიზარა ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

ზემოთ დასახელებული პროცესებით, რომელიც 90-იანი წლების პირველ ნახევარს ეხება, მოცული აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.ღრმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა უთუოდ ხანრგძლივი და მტკივნეული პროცესი იქნება.

1.4. ეროვნული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის შესაძლებლობები და მოდელები

გვინდა შევეხოთ იმ დებულებებს, რომლებიც არავითარ დავას არ იწვევენ და რომლებიც მიღებული უნდა იქნას ფართო მასების მიერ, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული და საერთაშორისო გამოცდილებით დამტკიცებული ისტორიული გაკვეთილები.

პირველი. ბაზრის გარეშე არ არსებობს ისეთი ეკონომიკა, რომელიც უფრო მოქნილი და მგრძნობიარეა. სამეცნიერო- ტექნიკური რევოლუციის მიღწევების, საზოგადოებრივი მოთხოვნილების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებისადმი და ამავე დროს არის სოციალურად ორიენტირებული ამ თვალსაზრისით. ბაზარი არის არა როგორც რომელიმე სოციალური სისტემის გაგრძელება, არამედ როგორც მეურნეობის გაძღოლის ეფექტიანი და ქმედითი ინსტრუმენტების ბუნებრივი შერჩევის, სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილების დაგროვების შედეგი.

მეორე. მეცნიერების მიერ დასაბუთებულია და ისტორიულად დამტკიცებულია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს საბაზრო ურთიერთობების დეკრეტით ან საყოველთაო კენჭისყრით საფუძველზე ძალისმიერი დანერგვის მაგალითი. ამ გზით საბაზრო ეკონომიკა არსად და არასდროს არ შექმნილა. იგი არ ყალიბდება არც მეცნიერის კაბინიტში, არც რომელიმე პოლიტიკური ლიდერის სურვილით. იგი ყოველთვის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია. საჭიროა ხანგრძლივი დრო შესაბამისი საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისა და სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, კადრების მოსამზადებლად, მასობრივ შეგნებაში სტერეოტიპების, ფასეულობათა სისტემების, მოქმედების მოტივების გადასაფასებლად და გარდასაქმნელად. იფიქრო სხვანაირად, იქონიო საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი და ერთდროული გადასვლის იმედი, ეს ნიშნავს არ გესმოდეს საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების შინაგანი ლოგიკა ან დაუფიქრებლად უგულებელყო ამ პროცესისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი.

მესამე. რეალური ბაზარი ყოველთვის (ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე) ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალურ ტრადიციებსა და თავისებურებებს, კულტურის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს და სხვა მრავალ ნაციონალურ თვისებებს. ბაზარს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და თვისებებთან ერთად, დამახასიათებელი თავისებურებები ახასიათებს აშშ-სა და იაპონიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, სამხრეთ კორეასა და თურქეთში, ლათინული ამერიკის რეგიონის ქვეყნებში და ა.შ.

მეოთხე. ბაზარი ეს კრებითი ცნებაა, სახეა.იგი არასდროს არ მოიცავს ეკონომიკური, მით უფრო სოციალური ურთიერთობების ყველა მრავალფეროვნებას. თანამედროვე პირობებში მაღალეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ რეგულირებული, სოციალურად ორიენტირებული ბაზარი. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს სისტემის სოციალურ-პოლიტიკური მდგრადობა. სხვანაირ მიდგომას თანამედროვე სისტემა ვერ გაუძლებს. უნდა გვასხოვდეს, რომ საბაზრო სისტემაში არსებობს მძლავრი არასაბაზრო სექტორი-ფუნდამენტური მეცნიერება, კულტურა, ეკოლოგია.

და, ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ზემოთ მოყვანილი დებულებები არ არის დისკუსიის საგანი. უბრალოდ, საზოგადოებრივმა მოძრაობებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა ისევე უნდა გაუწიონ ანგარიში მათ, როგორც კონსტრუქტორი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ფიზიკის კანონებს ან მათემატიკის წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ აღმოვჩნდეთ უსაგნო ილუზიების ტყვეობაში.

საბაზრო ეკონომიკაზე მსოფლიოს ქვეყნების გადასვლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსებობს რიგი პირობებისა, რომელთა გარეშე ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება პრაქტიულად შეუძლებელია. გარდა ამისა, თითოეული კონკრეტული ქვეყნის განვითარების ისტორიული მონაკვეთების, მისი ეკონომიკისა და ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით საჭირო ხდება დამატებითი პირობების გათვალისწინება, რათა ქვეყნის მეურნეობამ შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება. პირობების ეს წრე თავისთავად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: არაეკონომიკური ე.წ. გარე პირობები, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს ქმნიან საბაზრო ეკონომიკაზე ნორმალური გადასვლისა და მაღალეფექტიანი ეკონომიკის ფორმირებისათვის და შიგა პირობები, რომელთა მიხედვითაც უშუალოდ ხდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

არაეკონომიკური (გარე) პირობების ნაწილი შესაძლებელია საერთო იყოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი სხვადასხვა ქვეყნისათვის, ხოლო ნაწილი განპირობებული იყოს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, რესურსული, ნაციონალური თავისებურებებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამერიკული და პრუსიულ მოდელებს პირობითად ლიბერალურ-ამერიკული და სოციალურ-ევროპული მოდელები ეწოდება. მათ შორის არსებული სხვაობა გამოიხატება გადასხვლის გზებში, საკუთრების ფორმებში, კაპიტალის ფლობის განსაკუთრებულ სისტემებში და სხვა.

ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების- იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, მალაიზიის, ჰონკონგის, სინგაპურის, ამ ბოლო დროს - ინდონეზიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლოა ვილაპარაკოთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მესამე მოდელზე ანუ

აზიური დრაკონების მოდელზე. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების წარმართველი როლი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში: პრიორიტეტების განსაზღვრა, ინსტიტუციური, სისტემური და სტრუქტურული ცვლილებებისათვის თამაშის მკაცრი წესების შემოღება, ქვეყნის განვითარების ხუთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების შემუშავება და მათ შესრულებაზე სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ზემოქმედება.

სრულიად განსხვავებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ჩინური გზა ანუ სოციალიზმი ჩინური თავისებურებებით, რომელიც პრაქტიკულად ერთმმართველი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხდება. ჩინური გზა უახლოვდება აზიური დრაკონების გზას, იმ განსხვავებით, რომ აქ სახელმწიფო საკუთრებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩინური მოდელი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მეოთხე მოდელადაა მიჩნეული.

არსებობს სრულიად განსხვავებული მოდელი, რომლის ავტორები მას წარმოების სოციალისტური და კაპიტალისტური მოდელების შემდეგ, მესამე მოდელს უწოდებენ და იგი ძირითადად ემყარება პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნების ძალისხმევის გაერთიანებას ამა თუ იმ სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - კონვერგენციას.

როგორც ვხედავთ, საბაზრო ეკონომიკის მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით საზოგადოებრივი წარმოების მართვაში სახელმწიფოს როლისა და ეროვნულ პროდუქტში სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წონის მიხედვით, ამიტომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასული ქვეყანა არ შეიძლება წმინდა ტიპის კაპიტალისტური წარმოების წესის მქონე ქვეყნად მივიჩნიოთ და დაყოფა მოვახდინოთ ძველი, გაგებით-სოციალისტური თუ კაპიტალისტური წარმოების წესის ქვეყნად. უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მოდელის შესახებ.

ახალ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლისათვის აუცილებელია არა ანალოგიების ძიება (როგორც ეს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოში გააკეთეს), არამედ ანალოგიების, დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების საფუძველზე ისეთი

ეკონომიკური მოდელის შემუშავება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად იმუშავებს მოცემულ პირობებში.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოს გარეშე და როგორც მოგვიანებით ფართო მასებისათვის გახდა ცნობილი, პირველი მოდელის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მიხედვით, რომელსაც რეკომენდაციის უწევენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

საქართველოში გამოყენებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი ითვალისწინედა: ფასების ლიბერალიზაციას, სუბსიდიებზე უარის თქმას, ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას, ვალუტის კონვერტირებას, დემონოპოლიზაციას, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებას, უცხოური ინვესტორების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დახურვას და მუშათა დათხოვნას, მკაცრი ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას და ამ უკანასკნელის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად გამოცხადებას.

როგორც ვხედავთ, მოდელის ფორმირების ძირითადი მამოძრავებელი მუხტი მონეტარული მეთოდების გამოყენებაა, კერძოდ - მოთხოვნა - მიწოდების თვითრეგულირება ფასების ანუ საბოლოოდ საწარმოს ფულადი შემოსავლის, წარმოების მომგებიანობისა თუ ზარალიანობის განსაზღვრის მეშვეობით. თვითრეგულირებადი ეკონომიკის ფორმებისადმი ასეთნაირად მიდგომა შეესაბამება ადამ სმიტისა და მისი თანამედროვე მიმდევრის - მილტონ ფრიდმანის იდეოლოგიას, რომელიც ზოგადსაკაცობრიო თვალთახედვით, ანტიჰუმანურიც კია: გადარჩება ის - ვინც ძლიერია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამ გზას,,შოკურ თერაპიასაც „უწოდებენ, თუმცა მისი პოლონური ვარიანტის ავტორი - ლ. ბალცეროვიჩი წინააღმდეგია ასეთი განმარტებისა და მას რადიკალურ რეფორმას უწოდებს.

ასეთია მოკლედ იმ თეორიის არსი, რომელიც მონეტარული გზით ლიბრალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას ითვალისწინებს.

ჩვენს სინამდვილეში ფასების ლიბერალიზაციამ არ გამოიწვია პროდუქციის წარმოების დარეგულირება. იგი ძირითადად

მოხმარდა ხელფასის ზრდას და დაგროვებისათვის თანხების გამოყოფა მინიმუმამდე შემცირდა. სახალმწიფო საკუთრების დიდი ხვედრითი წონის, საწარმოებისა და სახელმწიფოს ფინანსების გაუყოფლობის გამო, ფასების ლიბერალიზაცია გახდა მოგების ლიბერალიზაციის ტოლფასი ე.ი. მოგების მიღება უკვე შესაძლებელი გახდა ნაკლები როდენობის პროდუქციის გამოშვებით, ხოლო მისი ხარჯვა- საკუთარი შეხედულებით, ძირითადად შრომის ანაზღაურებაზე, შრომის მწარმოებლობასთან მისი კავშირის გარეშე. მოთხოვნა- მიწოდების იმპულსები ბლოკირებულიქნა ფასების ცვლილებებისადმი წარმოების სუსტი მგრძნობიარობის გამო. ეკონომიკა აღმოჩნდა სტაგინფლაციურ მდგომარეობაში (წარმოების სერიოზული დაცემა ჰიპერინფლაციის პირობებში).

ფასების ლიბერალიზაციამ მოსალოდნელი ეფექტი ვერ გამოიღო იმის გამოც, რომ საქართველოში თავისუფალი მეწარმეობის არავითარი გამოცდილება არ არსებობდა, ამისათვის მზად არ იყო არც კადრები, არც საწარმოები, არც მომსახურე ინფრასტრუქტურა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ პრაქტიკულად გაწყდა სამეურნეო - კოოპერაციული კავშირები ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებთან, რომელიც ცენტრალიზებული გზით ხორციელდებოდა. ამან, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობა წარმოების მკვეთრი დაცემა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა ამავე მიზეზით წარმოშობილმა მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმა.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რო ჩვენ ძირითადად ვიყავით საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით აგროსამრეწველო პროდუქციის, ქვეყნის გარეთ გადიოდა და სამაგიეროდ ჩვენთვის საჭირო მზა პროდუქციასთან ერთად, დიდი რაოდენობის დამხმარე მასალები და ნედლეული შემოდიოდა.

ასეთი ტიპის საწარმოებს ნედლეულზე ფასების ზრდის პარალელურად არ შეუძლიათ ზარდონ ფასები მზა პროდუქციაზე, რადგან იგი რეგლამენტირებულია ჯერ ერთი, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნით და მეორეც ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში შედარებით იაფი საზღვარგარეთული პროდუქციის შემოსვლით.

გამოდის, რომ ერთის მხრივ წარმოება შეზღუდულია, არ არის მისი ზრდის საშუალება ,ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირისა და არსებულზე მაღალი ფასების გამო, ხოლო მეორეს მხრივ- მსოფლიო ბაზარი გადავსებულია ყველა სახის პროდუქციით და იგი მზად არის მაშინვე დაიკავოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოთავისუფლებული ნიშა. შექმნილი მდგომარეობა იწვევს არა მარტო საწარმოების გაჩერებას ნედლეულისა და მასალების უქონლობისა და არაეფექტური წარმოების გამო, არამედ მათ უცხოურ საწარმოებთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენოლობის ზრდას, რომლის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. საწარმოების გაჩერება მიიღებს მასობრივ ხასიათს, რაც თავის მხრივ უმუშევრობის მიზეზი გახდება. უმუშევრობას ადგილი ექნება ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში, რაც ნიშნავს იმას, რომ არავითარი სტრუქტურული ცვლილებები არ ხდება და ამდენად პერსპექტივაც არ არსებობს.

სახელმწიფო ვალდებულია სრულად გასწიოს ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ის ხარჯები, რომლებიც არამწარმობლური სფეროსთვისაა გათვალისწინებული, აგრეთვე გარკვეული ხელფასი აძლიოს პრაქტიკულად გაჩერებული საწარმოების მუშაკებს. წარმოების დაცემის პირობებში აღნიშნული ხარჯები შეიძლება გაწეულიქნას მხოლოდ ბანკის კრედიტით, რომელსაც იღებენ, როგორც საწარმოები, ისე სახელმწიფო ბიუჯეტი.

ეკონომიკის ღრმა კრიზისის გამო ბანკის კრედიტების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ ემისია ანუ საქონლით ან მყარი ვალუტით, ძვირფასეულით არაუზრუნველყოფილი ფულის გამოშვება, რაც ცხადია, საწყის ეტაპზე ინფლაციის, ხოლო შემდეგ-ჰიპერინფლაციის მოზეზი ხდება. საქართველოს სინამდვილეში აღნიშნულ მიზეზებს დაემატა საომარი მოქმედებებით გამოწვეული არამწარმოებლური ხარჯების ზრდის აუცილებლობა, რამაც დააჩქარა ჰიპერინფლაციის პროცესის ფორმირება.

ასეთ პირობებში ლაპარაკი უდეფიციტო ბიუჯეტის ფორმირებაზე, ვალუტის შედარებით განმტკიცებაზე, არაფერი რომ არ ვთქვათ მის კონვერტირებაზე, უაზრობაა. შეიქმნა მოჯადოებული წრე. წარმოება არ ვითარდება იმიტომ, რომ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას. ეს უკანასკნელი მვინვარებს იმის გამო, რომ არ ვითარდება წარმოება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩამორჩენილი ეკონომიკის შედარებით მოკლე დროში აღორძინების მაგალითებს, შესაძლოა დავასახელოთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: სამხრეთ კორეა, ტაივანი, მალაიზია, ჰონკონგი, სინგაპური, რომელთაც აზია - წყნარი ოკეანიის აუზის დრაკონებსაც უწოდებენ და რომლებმაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან განსხვავებული გზით მოახდინეს.

ამის საილუსტრაციოოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

აზიის ახალ ინდუსტრულ სახელმწიფოებში, ისე, როგორც იაპონიაში, არც ბაზრისათვის და არც უცხოური ინვესტორისათვის არ გაუნდიათ იმის გადაწყვეტა, სახალხო მეურნეობის რომელი დარგი უნდა განვითარებულიყო და რომელში შეეკვეცათ წარმოება.

დარგები, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა განვითარებულიყო, იცავდნენ იმპორტიორებისაგან და ამავე დროს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ ექსპორტს. შემდგომ, დარგში კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების კვალობაზე, ამცირებდნენ სხვადასხვა შეღავათებს, რათა დარგი მუდმივად დამოკიდებული არ ყოფილიყო სახელმწიფო პროტექციუნისტული ღონისძიებებისაგან. ამავე ქვეყნებში წარმატებით იყენებდნენ ბაზარზე ორიენტურებული ინდიკატური დაგეგმვის პრინციპებს.

ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოებში სავალუტო კურსი იყო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. იგი ისე წესდებოდა, რომ ახალისებდა ექსპორტს, დაგროვებას და აფერხებდა იმპორტს. მხოლოდ ამ ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე გასვლის შემდეგ მოხდა სავალუტო კურსის შეცვლა.

აზია- წყნარი ოკეანიის აუზის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია არა უცხოური კაპიტალისა და უცხოური პარტნიორების, არამედ მოწინავე ტექნოლოგიების, სპეციალისტების იმპორტი.

აღნიშნულ ქვეყნებში ფასები ნომინალურად წესდება ბაზრის მიერ, მაგრამ წამყვან პროდუქციაზე ფასები რეგულირდება ფისკალური მეთოდების გამოყენებით (საგადასახადო შეღავათები, ტარიფები, გამოსაღებები, სუბსიდიები). არსებობს პროდუქცია, რომლის იმპორტი საერთოდ აკრძალულია.

შესაძლოა სხვა მაგალითების მოტანაც, რომლებიც გვიჩვენებენ სახელმწიფოს აქტიურ როლს საბაზრო ურთიერთობების

დამკვიდრების და ეკონომიკური ბერკეტების რეფორმების მართვის საქმეში. ცხადია ერთი რამ- ეკონომიკური რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერა იმ გაჭირვების უკუპროპორციულია, რომელსაც იგი იწვევს.

ყოველ შემთხვევაში აზია - წყნარი ოკეანიის ქვეყნებმა დაამტკიცეს, რომ საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე შესაძლებელია ეკონომიკის სერიოზული გარდაქმნა დიდი ეკონომიკური და სოციალური დანაკარგების გარეშე.

სამხრეთ კორეაში, სულ 30 წლის მანძილზე მთლიანი ნაციონალური პროდუქტი გაიზარდა 134-ჯერ, ნაციონალური შემოსავლი მოსახლეობის ერთ სულზე 79-ჯერ, ექსპორტი 1737-ჯერ. პრაქტიკულად ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაცულია სამედიცინო დაზღვევითა და საპენსიო პროგრამებით.

ტაივანში 20 წლის მანძილზე (1971-1991) მთლიანი ნაციონალური პროდუქტი გაიზარდა 30-ჯერ. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მას მსოფლიოში ეკავა მე-15 ადგილი და აშშ-სთან აქვს დადებითი სავაჭრო სალდო. მთლიანი ნაციონალური პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 1951 წელს არსებული 145 დოლარიდან 1991 წელს გაიზარდა 8800 დოლარამდე.

სინგაპურში 1990წელს, შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 12700 დოლარი, რაც მხოლოდ იაპონიის მაჩვენებელს ჩამორჩება.

ბოლო წლებში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება მალაიზია, ინდონეზია, ტალიანდი, ნაწილობრივ ფილიპინები. 1987 წლიდან მალაიზიაში ეკონომიკური საშუალო წლიური ზრდის ტემპი 8 პროცენტს აღემატებოდა, ხოლო ხელფასი იზრდებოდა 8-15 პროცენტით.

ომის შემდგომ ოთხ ათწლეულში აზია - წყნარი - ოკეანიის ქვეყნებმა განვლეს გზა, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები ათეული წლები მოუნდნენ. 80-იანი წლების დასაწყისისათვის მათ უკვე დამთავრებული ჰქონდათ ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რის შემდეგაც კურსი აიღეს პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე, რომელიც გულისხმობს საწარმოო ძალების განვითარებას სამეცნიერო- ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფონზე.

ეგრეთ წოდებული ,,პატარა დრაკონების“ აღზევება ბევრად განპირობებულია პოლიტიკური რეჟიმების მემკვიდრეობითობით, რომელიც სათავეს სახელმწიფოებრიობის აზიურ-დესპოტური ტიპიდან იღებს. აღნიშნული სახელმწიფოების პოლიტიკური რეჟიმები, დაისახეს რა მიზნად ქვეყნის თანდათანობით, დოზირებულად დემოკრატიზაციის მიზანი, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ არა იდეოლოგიური პრიორიტეტებით, არამედ მკაცრად გამოხატული პრაგმატული მიზნებით. ამასთან, განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ხუთწლიან და ექვსწლიან გეგმებს, რომელზედაც ჩვენ ასე ადვილად ვთქვით უარი.

,,პატარა დრაკონების“ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა თავიდანვე დამყარებული იყო მოწინავე რეგიონებში ევოლუციური განვითარების ტენდენციების შესწავლაზე. ამან ხელი შეუწყო დასავლეთის მიღწევების ათვისებას და დაგროვებას ისე, რომ მას არ გამოუწვევია თვითმყოფადი კულტურული ფასეულობების რევიზია

ჩვენ, როგორც ჩანს, ყოველთვის გვაინტერესებდა არა გამოცდილება, რომელიც იმსახურებს ყოველმხრივ შესწავლას და გონივრულ გამოყენებას, არამედ რაღაც გამოუცნობი მფრინავი ობიექტები. ჩვენ, ყოველთვის მოცული ვიყავით აკვიატებული იდეით, საკუთარი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნისათვის ჩაგვეცვა ის გაცვეთილი ტანსაცმელი, რომელიც მოკლე აღმოჩნდა,,პატარა დრაკონებისათვის“.

აზია - წყნარი ოკეანიის აუზის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის მოდელი კონცენტრირებულად ასე გამოიყურება:

-მკაცრი მემკვიდრეობითობა პოლიტიკაში, დემოკრატიის თანდათანობით, დოზირებულად დანერგვა;

-სახელმწიფო რეგულირების მძლავრი მექანიზმი და მისი მოქმედება ეკონომიკის ყველა დონეზე;

-საკუთრებისა და მეურნეობრიობის შერეული ფორმების არსებობა და მათი განვითარებით სახელმწიფოს თანაბარი დაინტერესება;

-სახელმწიფო პროტექციონიზმი ცალკეული დარგების მიმართ, მათი განვითარების კვალობაზე, პროტექციონიზმის ზომების შემცირება;

-ქვეყნის მართვა ხუთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების საფუძველზე;

- ინდივიდუალურ კაპიტალთან შედარებით კორპორაციული კაპიტალის უპირატესი განვითარება;

- ცივილიზაციის მიღწევებისადმი მუდმივად თვალის დევნება, მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტი, უშუალოდ კაპიტალისა და პარტნიორების იმპორტისაგან განსხვავებით;

-სოციალ-ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები;

-უმუშევრობის უაღრესად დაბალი პროცენტი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში;

ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობების გათვალისწინებით უდაოა, რომ ჩვენთვის ყველაზე მისაღები იყო აზიური დრაკონების საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის მედელი, რომელიც სამწუხაროდ არ გაკეთდა, თუმცა გამოცდილებიდან გამომდინარე დაგვიანებული არაფერი არ არის.

თავი II.
აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ძირითადი მიმართულებები

2.1.საზოგადოებრივ და პირად დამხმარე მეურნეობათა კოოპერირების საკითხისათვის

ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები საზოგადოებრივი მეურნეობებია, რომლებიც მტკიცედ დგანან ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალური აღმავლობის და დინამიური განვითარების გზაზე.

სადღეისოდ პირადი დამხმარე მეურნეობები საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმის აუცილებელი და ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმაა. პირად დამხმარე მეურნეობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიკური წყობა. ისინი ფუნქციონირებენ საზოგადოებრივ წიაღში და მას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში დასაქმებული მუშაკები აწარმოებენ. პირადი დამხმარე მეურნეობები დამოკიდებულია საზოგადოებრივ მეურნეობებზე. ამასთან, ისინი საზოგადოებრივი წარმოების დამხმარედ გვევლინება და დამატებითი სასურსათო პროდუქციის შექმნისა და სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის კვლავწარმოების მნიშვნელოვანი წყაროა.

საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ მიღწეული წარმატებების მიუხედავად პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარება თანამედროვე ეტაპზე თავის აქტუალობას არ კარგავს.სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საერთო ღონისძიებებში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული პირად დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობანი. საჭიროა სახელმწიფომ მათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს.

პირადი დამხმარე მეურნეობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოებაში. სსრკ-ის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში პირადი დამხმარე მეურნეობების ხვედრითი წილი შეადგენდა 26%-ს, ხოლო საქართველოში 45,8%-ს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს სოფლის მეურნეობაში თავი იჩინა არასწორმა ტენდენციამ-საზოგადოებრივ მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს წარმოების ზრდის ტემპს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია მომავალში შეიძლება გარკვეულ სიძნელეებში გადაიზარდოს. ასეთ ეკონომიკურ სიტუაციაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გადიდების საქმეში საიმედო როლს შეასრულებენ პირადი დამხმარე მეურნეობები, რაც სახელმწიფო შესყიდვის გეგმების მეშვეობით ქვეყნის რესურსებში მისი სასაქონლო პროდუქციის რაც შეიძლება სრული ჩართვით განხორციელდება.

პირადი დამხმარე მეურნეობები ასრულებენ სოციალურ ფუნქციას. ისინი ხელს უწყობენ მოსახლეობის წლიური დასაქმების ამაღლებას, საზოგადოებრივ წარმოებაში შრომისუნარიანი პენსიონერების, მოზარდების, დიასახლისებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში დასაქმებულ მშრომელთა ჩართვას.

როცა ვლაპარაკობთ ჩვენს სახელმწიფოში პირადი დამხმარე მეურნეობების მდგომარეობაზე და მათი განვითარების პერსპექტივებზე, მხდველობაში უნდა მივიღოთ ჩვენი სასოფლო- სამეურნეო საწარმოების ბუნებრივ- ეკონომიკური პირობები, საზოგადოებრივი მეურნეობის სპეციალიზაცია და პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა. მისაღებია აგრეთვე მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ პირადი დამხმარე მეურნეობების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების ზრდა მათზე მიმაგრებული მიწის ფართობების შემცირების პირობებში ხორციელდებოდა.

სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე დონე ობიექტურად მოითხოვს პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობის ფართოდ გამოყენებას,განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის საქმეში. ამ მიმართულებით დიდი მიზანსწრაფული მუშაობა ტარდებოდა აბაშისა და მახარაძის რაიონებში, სადაც ხელშეკრულების საფუძველზე წყდებოდა პირად დამხმარე

მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გადიდების საკითხები.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პირადი დამხმარე მეურნეობების შესაძლებლობის სრულად გამოყენების შესაძლებლობა იქმნება სახელმწიფოს მხრივ მათი მართვის გაიმჯობესების პირობებში, რაც სახელმწიფო ორგანოების მიერ მასტიმულირებელ ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას გულისხმობს.ამ მიმართულებით განსაკუთრებით პერსპექტიულ ღონისძიებად გვესახება საზოგადოებრივ და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის ურთიერთ ნდობაზე დაფუძნებული ინტეგრაციის მყარი სისტემის შექმნა.

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის ინტეგრაციის ზოგიერთ საკითხზე, ძირითადად მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა პირადი დამხმარე მეურნეობების მფლობელთა მიმართ უნდა შეიქმნას წამახალისებელი, კეთილგანწყობის ატმოსფერო. პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და დამზადება გათვალისწინებული უნდა იქნეს რესპუბლიკის რაიონებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა განვითარების ხუთწლიან და წლიურ გეგმებში, აუცილებელი ფინანსური და მატერიალური საშუალებების გამოყოფით. ასეთი გეგმების საფუძველზე შესაბამისი სამინისტროები და ადგილობრივი ორგანოები პასუხისმგებელნი იქნებიან არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ პირადი დამხმარე მეურნეობების წინაშე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პირად დამხმარე მეურნეობებში კოოპერირებული პირუტყვის სულადობა განსაზღვრონ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა და შესაბამისმა ორგანოებმა, პირად დამხმარე მეურნეობებში დასაქმებული ოჯახის წევრთა მიერ საზოგადოებრივ წარმოებაში ძირითადი მოვალეობის შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად და ამა თუ იმ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის სახელმწიფო არხებით რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უნდა დაემატოს საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს. პირად დამხმარე მეურნეობებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა გამოხატულება უნდა ჰპოვოს საზოგადოებრივი მეურნეობების საწარმოო- საფინანსო გეგმებსა და წლიურ ანგარიშებში.

პირადი დამხმარე მეურნეობების მართვისათვის მსხვილ, ეკონომიკურად მძლავრ მეურნეობებში სასურველია შეიქმნას სპეციალური საშტატო ერთეული, ხოლო ეკონომიკურად სუსტ მეურნეობებში ეს ფუნქცია შეითავსოს ხელმძღვანელების მოადგილეებმა და მთავარმა სპეციალისტებმა. მათ უნდა დაეკისროთ პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული, ტექნიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა.შესაბამისი საშტატო ერთეულები უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რაიონულ რგოლშიც, ამასთანავე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში პირადი და დამხმარე მეურნეობების ხელმძღვანელობა განხორციელდეს სპეციალური ქვედანაყოფის მეშვეობით, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის პასუხისმგებლობით.

პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების პრობლემების გადაწყვეტისა და საზოგადოებრივ მეურნეობებთან მათი კავშირის უზრუნველყოფისათვის სასურველია საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელობასთან შეიქმას პირადი დამხმარე მეურნეობების კომისიები. მის ფუნქციებში უნდა შევიდეს:საკარმიდამო ნაკვეთებისა და დროებით მიმაგრებული მიწის ფართობების სიდიდის შეცვლის წინადადებების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის წარდგენა; მოსახლეობაში პირუტყვის აღწერისა და კონტროლის საქმეში მეურნეობათა ხელმძღვანელობისათვის დახმარების აღმოჩენა; პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისათვის საკვების მოთხოვნილებისა და საკუთარი საშუალებებით დაკმაყოფილების შესაძლებლობების განსაზღვრა; ზრუნვა იმ ნათესების, საძოვრებისა და სათიბების მოვლა-პატრონობაზე, რომლებიც გამოყოფილია მოსახლეობის პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისათვის; პირადი დამხმარე მეურნეობების თესლით, მინერალური სასუქებით, სასოფლოსამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფა; სანაშენო საქმის გაუმჯობესების, ვეტერინარული მომსახურებისა და ამ მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საქმეში დახმარების აღმოჩენა.

ბაზარზე გასაყიდი კომბინირებული საკვების ფონდების ძირითადი ნაწილი უნდა გადაეცეს საზოგადოებრივ მეურნეობებს და მოსახლეობას საზოგადოებრივი მეურნეობისათვის დაწესებული ფასებით მიეყიდოს. პირუტყვის სულადობის სტიმულირებისათვის მოსახლეობას უნდა მიეცეს შეღავათიანი კრედიტი,ხოლო კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტები საზოგადოებრივი მეურნეობების ხარჯზე დაიფაროს. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ასევე უნდა უზრუნველყონ პირად დამხმარე მეურნეობებში არსებული პირუტყვისა და ფრინველის უფასო ზოოვეტმომსახურება, ნათესების დასამუშავებლად უნდა გამოყონ ტექნიკა და სათესლე მასალა. სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის გადაზიდვაში დაეხმარონ ტრანსპორტით. საჭიროა ქვეყანაში მოსახლეობისათვის მისაყიდი ჯიშიანი პირუტყვის ორგანიზებული წესით შემოყვანა.

საზოგადოებრივ მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში ურთიერთობის გამნსაზღვრელი იურიდიული დოკუმენტი უნდა გახდეს ხელშეკრულება, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება შემხვედრი ურთიერთვალდებულებები.ასეთი ხელშეკრულებების ფორმასა და შინაარსს მრავალი ფქტორი განაპირობებს, მაგრამ მათ შორის ძირითადად მიგვაჩნია: პირადი დამხმარე მეურნეობისათვის გამოყოფილი საკვების მოცულობის, გასასუქებელი პირუტყვის სახეობისა და კუთვნილების ფორმის განსაზღვრა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე საზოგადოებრივ მეურნეობებთან პირადი დამხ-

მარე მეურნეობების კოოპერაციის განვითარების მთავარი მომენტი საკვებია. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადებული პირუტყვის საკვების 30 პროცენტი ნაყიდ საკვებს უკავია დ საზოგადოებრივი მეურნეობების დიდი ნაწილი მოკლებულია ნამეტი საკვების გაყიდვის შესაძლებლობას. ასეთ პირობებში მისაღებად მიგვაჩნია პირადი დამხმარე მეურნეობისათვის პირუტყვის საკვების დასამზადებლად მიწის ნაკვეთის-ნაკლებად კულტურული, უდაბური ხრიოკი, მიტოვებული ფართობების, ჩამონაჭრების, საძოვრებისა და სათიბების მიმაგრება. ასეთი მიწის ფართობების სიდიდე პირადი დამხმარე მეურნეობების კომისიების წარდგინების საფუძველზე,პირადი დამხმარე მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხელშეკრულებით მისაყიდი მეცხოველეობის პროდუქციის რაოდენობის, პირუტყვის სახეობისა და მისი სულადობის მიხედვით უნდა განსაზღვროს ხელმძღვანელობამ.

მიწის ნაკვეთები, ცხადია, უპირველეს ყოვლისა უნდა მიემაგროს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს, აგრეთვე სოფლად მცხოვრები პენსიონერების, ინტელიგენციისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დასაქმებულთა ოჯახის წევრებს, რომლებიც ძირითადი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ზიანის მიუყენებლად შეძლებენ პირადი დამხმარე მეურნეობების გაძღოლას და ხელშეკულებით ივალდებულებენ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის მნივნელოვანი ნაწილის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას.

სასოფლო- სამეურნეო წარმოების ადგილობრივი პირობებისაპირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია საზოგადოებრივ მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის ურთიერთობის მრავალი ვარიანტის გამოყენება.სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე ვარიანტს:

პირველი: საზოგადოებრივი მეურნეობები პირად დამხმარე მეურნეობებს საკუთარი პირუტყვის გამოსაზრდელად მიყიდიან კომბინირებულ ან სხვა სახეობის მწვანე და უხეშ საკვებს. პირადი დამხმარე მეურნეობის პატრონი სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ყოველ ერთ კილოგრამ ხორცზე (ცოცხალი წონით)

საზოგადოებრივი მეურნეობისაგან ან სახელმწიფო შესყიდვის ფასებით ღებულობს კომბინირებულ საკვებს (ან, მარცვალს) ერთ კილოგრამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცზე-2-2,5 კილოგრამის, ღორის ხორცზე -3,5-4,0 კილოგრამისა და ერთ კილოგრამ რძეზე -0,5 კილოგრამის რაოდენობით. უხეში და მწვანე საკვების მიყიდვა ხდება საანგარიშო ფასებით.

მეორე: საზოგადოებრივი მეურნეობები პირად დამხმარე მეურნეობებს საკუთარი პირუტყვის გამოსაზრდელად დროებით სარგებლობაში აძლევს ნორმით დაწესებულ მიწის ნაკვეთებს, უზრუნველყოფს ამ ნაკვეთების თესვას და მინერალური სასუქებით განოყიერებას.მათი მოვლა-პატრონობის სხვა სამუშაოებს პირადი დამხმარე მეურნეობის მფლობელი ასრულებს. ამ ნაკვეთის მოვლაზე დახარჯული შრომის ანაზღაურება არსებული ნორმებისა და ტარიფების მიხედვით (პრემიების გაუცემლად) ხდება.

დროებით მიმაგრებულ ნაკვეთზე მიღებული მემცენარეობის პროდუქციის უმეტესი ნაწილი პირადი დამხმარე მეურნეობის პატრონს მიეყიდება სახელმწიფო შესყიდვის ან საანგარიშო ფასებით ან შესაძლებელია ამ პროდუქციის 30 პროცენტი საზოგადოებრივ მეურნეობას ჩაბარდეს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ კოოპერირების პირობებში წარმოიქმნება წმინდა ეკონომიკური ხასიათის კითხვა:როგორ გავიანგარიშოთ ასეთი სახის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა მიიღოს თუ არა მოგება? თუ გავითალისწინებთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში არსებულ ახლანდელ მდგომარეობას,უნდა აღვნიშნოთ,რომ კოოპერირების ასეთი ფორმის განხორციელების პირველ ეტაპზე მოგების მიღება არ უნდა დავისახოთ მიზნად.

საზოგადოებრივ მეურნეობებსა და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის კოოპერირების დასახელებული ფორმის ეფექტიანობაზე უნდა ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი სარგებლიანობის მიხედვით, საერთო ეფექტიანობის კუთხით, რაც იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლები ფინანსური და მატერიალური დანახარჯებით შეიქმნება მეცხოველეობის პროდუქცია.

ცალკე უნდა გამოვყოთ საკითხი ე.წ. ,,საოჯახო ფერმების“ ორგანიზაციის შესახებ. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა(უნგრეთი,ბულგარეთი, სსრკ-ის ოლქები და რაიონები)მეტად ხელსაყრელია საზოგადოებრივი გასასუქებელი მეწველი პირუტყვისა და ფრინველის ,,საოჯახო ფერმებში“ მოთავსება.

ასეთი ,,საოჯახო ფერმები“ შეიძლება შეიქმნას ორი გზით. ერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი მეურნეობები პირად დამხმარე მეურნეობებს გამოუყოფენ პირუტყვს, ფრინველს და უზრუნველყოფენ საკვებით. მაგალითად, გადასცმენ მათ წიწილებს, ბატისა და იხვის ჭუკებს. ყოველ ჩასაბარებელ კილოგრამ ხორცზე უფასოდ გაიცემა არანაკლებ 2,5 კილოგრამი კომბინირებული საკვები. საზოგადოებრივ მეურნეობებს უბრუნდება გაცემული ფრინველის რაოდენობის 70 პროცენტი.საზოგადოებრივი მეურნეობები საკარმიდამო მეურნეობებს ყოველ ერთ კილოგრამ ქათმის ცოცხალ წონაზე უხდის ერთ ლარს, იხვზე- 50 თეთრს, ბატზე- 60 თეთრს.

საზოგადოებრივი მეურნეობები პირად დამხმარე მეურნეობებს უფასოდ აძლევს 10-15 კილოგრამიან გოჭს და ყოველ კილოგრამ წონამატზე 3,5 კილოგრამ კომბინირებულ საკვებს.პირადი დამხმარე მეურნეობების მფლობელები საზოგადოებრივ მეურნეობებს აბარებენ,საწყისი წონის გამოკლებით, არანაკლებ 30-90 კილოგრამი წონის ღორს. ღორის გამომზრდელს ნატურით რჩება მიღებული წონამატის 20 პროცენტი. ამასთან, ნატურალური ანაზღაურება სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე გადაანგარიშებით, შეიძლება ფულადით შეიცვალოს. ყოველ კილოგრამ წონამატზე ხელფასის სახით გაიცემა 70-90 კაპიკი. ანალოგიური პრონციპი შეიძლება გამოყენებულიქნას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაზრდელად, იმ განსხვავებით, რომ პირადი დამხმარე მეურნეობები უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო კომბინირებული, არამედ სხვა სახის (უხეში, მწვანე) საკვებითაც. თუ, საზოგადოებრივი მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს პირუტყვის საკვებით პირად დამხმარე მეურნეობებს, დროებით სარგებლობაში უნდა მიეცეს მიწის ნაკვეთები. ამ ნაკვეთების თესვა და მინერალური სასუქების შეტანა საზოგადოებრივი მეურნეობების მოვალეობაა. ნათესს უვლის პირადი დამხმარე

მეურნეობის მფლობელი. მოწეული მემცენარეობის პროდუქცია პირადი დამხმარე მეურნეობის მფლობელს სახელმწიფო შესყიდვის ფასით ან საანგარიშო ფასით მიეყიდება ან შეიძლება ამ პროდუქციის 30 პროცენტი ჩაბარდეს საზოგადოებრივ მეურნეობებს, ხოლო 70 პროცენტი პირადი დამხმარე მეურნეობის მფლობელს დარჩეს. ნაკვეთის მოვლაზე დახარჯული შრომის ანაზღაურება ხდება არსებული ნორმებისა და ტარიფების მიხედვით.

ასეთ პირობებში წარმოებული პროდუქცია, მათ შორის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, 20 პროცენტის გამოკლებით საზოგადოებრივ მეურნეობებს მიეყიდება სახელმწიფო შესყიდვის ფასით.რეალიზაციის შედეგად ამოგებული თანხა,პირუტყვის საწყისი წონის ღირებულების გამოკლებით,ეძლევა პირად დამხმარე მეურნეობის მფლობელს.

ამ პროდუქციის აღსარიცხად საწარმოო-საფინანსო გეგმასა და წლიურ ანგარიშში შემოღებული უნდა იქნეს სპეციალური ფორმა - ,,მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება პირად დამხმარე მეურნეობებში“.იგივე პირობებში შეიძლება ვაწარმოოთ რძე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წარმოებული რძის პროდუქციის 50 პროცენტი რჩება პირადი დამხმარე მეურნეობის მფლობელს. გრძელვადიანი ხელშეკრულების მოქმედების დროს, 100 პროცენტიანი დახბორების შემთხვევაში, მასვე რჩება ნამატის 50 პროცენტი.

საზოგადოებრივ და პირად დამხმარე მეურნეობებს შორის კოოპერირების საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიან ადგილებში განლაგებულ, წარმოებისათვის მკაცრად შეზღუდული ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ საზოგადოებრივ მეურნეობათა მდგომარეობას და აქ ახალი, ეფექტიანი ფორმის (რადიკალურ) ღონისძიებათა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებას.

ჩვენი აზრით, მაღალმთიანი ზონის მეურნეობათა მიმართ დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომა, რაც გამოიხატება მექანიკურად, ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, მთიანი ზონის სასოფლო-სამეურნეო ერთეულების მეურნეობებად გარდაქმნასა და გამსხვილებაში. მხედველობაში არ იქნა მიღებული ამ ზონის რელიეფური პირობები, მისი დასახლების ისტორიულად

ჩამოყალიბებული ფორმა და სასოფლო- სამეურნეო წარმოების გაძღოლის თავისებური სისტემა.

გამსხვილებული მეურნეობები დიდად ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდნენ,ვიდრე გამსხვილებამდე ერთად აღებული ცალკეული მეურნეობები. მთიანი ზონის უმეტეს მეურნეობათა მიმართ განხორციელებულმა ღონისძიებებმა- ბანკის კრედიტის მიცემამ, ვადაგადაცილებული სესხების ჩამოწერამ, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების პირველ რიგში მიწოდებამ, ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის ხელფასების გადიდებამ და სხვა, არ მოგვიტანა სასურველი ეკონომიკური ეფექტი და ვერ შეაჩერა მთიანი ზონის მოსახლეობის მიგრაცია. როგორც ჩანს, ამ ზონის სასოფლო- სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის საჭიროა სხვა სახის ეფექტიან რადიკალურ ღონისძიებათა სისტემის გატარება, რაც შექმნის მეურნეობათა ნორმალური განვითარების პირობებს. ამ თვალსაზრისით მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში მეტად პერსპექტიულად გვესახება საზოგადოებრივ მეურნეობათა პირად დამხმარე მეურნეობებთან ფართო კოოპერაცია, რაც ყოველი კონკრეტული მეურნეობის ბუნებრივ- ეკონომიკური და სოციალურ პირობებს უნდა ემყარებოდეს და შეიძლება იყოს მრავალდარგიანი.

შეიძლება დავნერგოთ კოოპერირების ასეთი ვარიანტიც:სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მნიშვნელოვანი ნაწილი ხანგრძლივი პერიოდით მიემაგროს პენსიონერების, იმტელიგენციის და სახლხო მეურნეობის სხვა სფეროში დასახმებულ მუშაკთა ოჯახის წევრებს. ხელშეკრულებით ფორმდება ურთიერთვალდებულებანი.მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა დგება როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადი დამხმარე მეურნეობის მიხედვითაც. სასურველია პროდუქციის დამზადების გეგმა განისაზღვროს ამ მეურნეობების მიერ უკანასკნელ ხუთწლედში სახელმწიფოსათვის ფაქტობრივად მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო დონისა და ხუთწლედის წელთა მიხედვით. მოსავლელად გაბარებული პირუტყვიდან პროდუქციის წარმოებაზე ხელფასის, საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვა

და სხვა დანახარჯების გატარება პირად დამხმარე მეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის პროდუქციის რეალიზაციით ამოგებული თანხის ფარგლებში მოხდება.

ამ სახით კოოპერირების ვარიანტი შესაძლოა ექსპერიმენტის სახით დაინერგოს რამდენიმე რეგიონში.

1979 წლის მონაცემებით, ჩვენთან, პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში 45,8%-ს უდრიდა.

პირად დამხმარე მეურნეობებში მექანიზაციის დაბალი დონის გამო დიდია ხელით შრომის ხვედრითი წილი. მიუხედავად ამისა, ეჭვს არ იწვევს დახარჯული შრომის საზოგადოებრივი სარგებლიანობა. ჩვენს სოფლის მეურნეობაში თითოეული დასაქმებული მუშაკის მიერ წლის განმავლობაში გამომუშავებული თანხის რეალური სიდიდის დასადგენად აუცილებელია პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯული შრომის აღრიცხვა. ამორჩევითი სტატისტიკური ანგარიშიანობის არსებული სისტემა არ იძლევა პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებულ პროდუქციაზე გაწეული შრომით დანახარჯებზე განმაზოგადებელი წარმოდგენის შექმნის საშუალებას. მიღებული იყო პრაქტიკა წარმოებული პროდუქციის შექმნაზე კაცდღეების აღრიცხვისა. ასეთი აღრიცხვის პირველ ეტაპზე რეალობასთან უფრო ახლოსაა პირად დამხმარე მეურნეებში წარმოებული და სახელმწიფოსათვის მიყიდულ პროდუქციაზე კაცდღეების იმ რაოდენობით დარიცხვა,რაც ფაქტობრივად იმავე რაოდენობის პროდუქციაზეა დარიცხული საზოგადოებრივ მეურნეობებში.

პირადი დამხმარე მეურნეობებისადმი მხარდაჭერა და მასში წარმოების ზრდის სტიმულირება სრულადაც არ ნიშნავს საზოგადოებრივი სექტორის განვითარებისათვის ყურადღების შენელებას.პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარება მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობების აღმავლობის პირობებში შეიძლება. საზოგადოებრივი წარმოება იყო და დარჩება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი.

გამოცდილებიდან გამომდინარე, პირადი დამხმარე მეურნეობებისადმი მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მათი დიდი შესა-

ძლებლობის სრულყოფილად გამოყენებას, მეცხოველეობისა და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარებას.

2.2.სოფლის მეურნეობა და მეორადი კრიზისი

საქართველოში ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა ორ ეტაპად იყოფა: 1988-94 წლები,როცა ადგილი ჰქონდა პროდუქციის წარმოების სინთეზური ეკონომიკური მაჩვენებლების, ქვეყნის მაკროეკონომიკური სისტემის მკვეთრ გაუარესებას და 1994-97 წლები,როცა შეინიშნებოდა გარკვეული დადებითი ძვრები სოფლის მეურნეობის რიგი პროდუქტების წარმოებაში, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განმტკიცებაში.სხვა საკითხია რა სახის ეკონომიკური ზემოქმედების და ფორმების გამოყენებით იქნა მიღწეული წარმოების ზრდა, რამდენად კაპიტალური, შეუქცევადი იყო ეს პროცესები, რამდენად უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკის დინამიურ, ზეაღმავალ, სპირალურ განვითარებას.

1977 წელს, 1994 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის, მზესუმზირის, ბოსტნეულ-მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის წარმოება (ცხრილი21).

ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ზოგიერთი სახის პირუტყვის სულადობის ზრდის ტენდენცია, შეჩერდა ჩაის ფოთლის კრეფის დაცემის მაჩვენებლები.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში. საანალიზო წლებში მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორის ზრდის, სოფლის მეურნეობის წილის შემცირების ხარჯზე შესამჩნევად გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტი და შეიცვალა მისი სტრუქტურა, რაც ერთის მხრივ დადებით მომენტად უნდა მივიჩნიოთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრეწველობის, მშენებლობის, მატერიალური წარმოების სხვა ინვესტიციური დარგების დაბალ ხვედრით წონას. ეს, ეკონომიკის მნიშვნელოვან სეგმენტში შენელებული აღწარმოებითი პროცესების არსებობაზე მიუთითებს.

სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებები არ განხორციელებულა საბაზისო და მაპროფილებელ დარგებში გატარებული ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად. როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა ადგილობრივი მოხმარების კვების პროდუქტების წარმოების ზრდა, მაგრამ არა იმდენად, რომ უზრუნველყოფილიყო ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება.

მარცვლეულის, მზესუმზირის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, კარტოფილის, ყვავილების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა, 1994 წელთან შედარებით ძირითადად განპირობებულია მოშლილი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პირობებში თავის გადარჩენის ინსტიქტის ამოქმედებით, აგრეთვე პროდუქციის ჭარბი ნაწილის შიგა ბაზარზე შესაძლო რეალიზაციის ეკონომიკური მოტივაციით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაპიტალის დარგთაშორის რაციონალური გადანაწილების, მაღალი ფულადი შემოსავლების მიღებით მოტივირებული პროცესი, რადგან:

- ინვესტიციების დეფიციტის პირობებში მეწარმისათვის მისაღები აღმოჩნდა ნაკლებად კაპიტალტევადი პროდუქციის წარმოება, თუმცა მისი საქონლიანობის პოტენცია საბაზისო დარგებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია;
- საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა და შიგა ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების გაფართოებამ განაპირობა მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების მოშლა (მზესუმზირის თესვა ერთსა და იმავე ნაკვეთებზე), ინტენსიური ნაკვეთების დაბალი ხარისხის სავარგულებში გადაყვანა, ბაღების, ვენახების, ციტრუსებისა და სხვა მრავალწლოვანი ნარგავების, საცდელ-საჩვენებელი და ექსპერიმენტული მეწარმეობის მიწების პირუტყვის საძოვრებად გამოყენება;
- ადგილობრივი მოხმარების კვების პროდუქტების წარმოებაზე ორიენტაციამ ვერ უზრუნველყო მაღალი მოსავლიანობა, რის გამოც შეუძლებელი გახდა კაპიტალის

დაგროვება, თუნდაც მარტივი აღწარმოებითი პროცესის დასაწყებად. შრომის შედეგი ძირითადად ბუნებრივ-კლიმატური პირობებისაგან დამოკიდებული აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს 1998 წელს გვალვების შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის 40-იანი წლების დონემდე დაცემა;

- საწარმოო ინფრასტრუქტურის უკიდურესად მოძველების, ხშირ შემთხვევაში მისი სრულად განადგურების, სახელმწიფოს მხრიდან მეწარმე სუბიექტისადმი სრული ინდიფერენტულობის პირობებში წარმოების სტრუქტურული ცვლილებები ექსტენსიური გზით განვითარების შედეგად მოხდა და ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდა;
- დაიწყო კარჩაკეტილი, ნატურალური ტიპის მეურნეობის რეანიმაციის პროცესი, რომლის გადაყვანა საქონლური მეურნეობის ტიპზე, საკუთარი ფინანსური რესურსების დეფიციტისა და ცუდი საინვესტიციო კლიმატის გამო, ძნელად განსახორციელებელია.

ცხრილი №21

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში 1994-1997 წწ.

N	პროდუქციის დასახელება	1994 წელი	1995 წელი	1996 წელი	1997 წელი	1997წ 1994წ %
1.	მარცვლეულ- პარკოსანი	481	516,2	652,2	901,9	187,50
2.	მ.შ. საშემოდგომო ხორბალი	442,5	428,3	423,9	513,9	116,13
3.	კარტოფილი	296,9	353,3	286,6	353,1	118,92
4.	სოიო	0,1	0,2	3,3	1,8	18,00
5.	მზესუმზირა	7,7	7,7	4,0	31,4	407,79
6.	შაქრის ჭარხალი	8,2	12,5	0,04	-	-
7.	თამბაქო	1,6	1,0	1,0	-	-
8.	ჩაის ფოთოლი	60,7	38,5	34	36,2	59,63
9.	ციტრუსი	97,6	118,0	86,0	57,1	58,50
10.	ხილი	372,6	383,0	361,0	365,5	95,67
11.	ყურძენი	284,5	422,4	311,3	309,1	108,64
12.	ხორცი (ცოცხალი წონა)	171,4	183,4	187,2	190,0	110,85
13.	რძე	429,3	475,4	530,3	600,2	139,80
14.	კვერცხი მლნ. ცალი	250,6	269,4	350,2	370,4	147,80
15.	მატყლი	3,1	1,1	1,7	1,0	32,25

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტენდენციის ფორმირებას უდაოდ შეუწყო ხელი 1994 წელს საერთაშორისო სავალურო ფონდის რეკომენდაციით შემუშავებულმა ანტიკრიზისულმა პროგრამამ, რომელიც მონეტარული მეთოდების გამოყენებით ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ითვალისწინებს.

პროგრამა გულისხმობს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას, გადასახადების ამოღების მაქსიმალიზაციას, ლიბერალური საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის გატარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და საკუთარი რესურსებით ეკონომიკის განვითარებას.

დამოუკიდებლობამდე საქართველო მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი ექსპორტიორი იყო. ოფიციალური მონაცემებით, 1994 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ქვეყნის ექსპორტის 30% და იმპორტის 16,6%-ს შეადგენდა. საექსპორტო პროდუქციაში დიდი წილი ეკავა ალკოჰოლიან სასმელებს ,,ჩაის, ციტრუსებს, ხილს, საკონსერვო ნაწარმს, მინერალურ წყლებს. იმპორტით ძირითადად მარცვალი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი და შაქარი შემოდიოდა.

შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში ქვეყანა უნდა ეცადოს გაიტანოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებისთვისაც ყველაზე ხელსაყრელი კლიმატურ-ნიადაგური პირობები გააჩნია. უკვე შექმნილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაგროვილია პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და სხვა ქვეყნებში გატანის სათანადო გამოცდილება, ბაზარზე შესაბამისი სავაჭრო ნიშის დაკავების შესაძლებლობა. მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი ასაბუთებს (ტეილორი და სხვა), რომ საქართველოს მსგავსმა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის

სტრატეგია და ტაქტიკა საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე უნდა ააგონ და მიღებული სავალუტო შემოსავლები გამოიყენონ მოწინავე ტექნოლოგიების შესაძენად, ეროვნული ვალუტის გასამყარებლად. საქართველოს ამ გზით განვითარების უდიდესი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია:

- სოფლის მეურნეობა აღიარებული იქნას პრიორიტეტულ დარგად;
- სოფლის მეურნეობის მიმართ განხორციელდეს სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირების მეთოდების გამოყენებით;
- უცხოური ინვესტიციები ძირითადად მიმართული იქნეს სოფლის მეურნეობაში;
- დამკვიდრდეს უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების გამოყენების საჯაროობის პრინციპი;

ცხრილი №22

გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება 1994-1997 წლებში

N	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	1994 წელი	1995 წელი	1996 წელი	1997 წელი	1997, 1994 %
1.	2	3	4	5	6	7	8
1.	ჩაი ნატურალურ.	ათ.ტ.	4,5	2,7	2,5	7,8	173,3
2.	ღვინო	ათ.დალი	6300	3183	2241	212,8	3,37
3.	კონიაკი	ათ.დალი	282	117	84,7	170	60,28
4.	ლიქიორ -არაყი	ათ.დალი	229	81,3	18,0	9,1	3,97
5.	შამპანური	მლნ.ბოთ.	171	49,2	35,4	36,1	21,11
6.	საკონდ.ნაწარმი	ტონა	466	280	293	248	53,21
7.	შაქარი	ტონა	200	206	196,2	196,8	98,40
8.	მინერალ.წყლები	მლნ.ბოთ.	9,0	8,8	32,9	20,9	232,22

9.	ლუდი	ათ.დალი	632	662	491	600	94,93
10.	უალკ.სასმელები	ათ.დალი	363	557	547	542	149,31
11.	კონსერვი	მლნ ქ.	10,0	18,9	29,7	2,9	-
12.	ხორცი Iკატეგ.	ათ.ტ.	37,8	6,5	6,9	1,4	3,70
13.	კარაქი	ტონა	31,2	20,6	16,1	37,1	118,91
14	მოუხდ.რძის პრ.	ათ.ტ.	17,8	4,4	3,8	3,7	20,78
15.	ცხიმიანი ყველი	ტონა	409	347	264	200	48,89
16.	ძეხვი	ტონა	242	243	306	371,1	153,34
17.	მცენ. ზეთი	ტონა	14,0	10,1	12,0	12,3	87,85
18.	მაკარონი	ტონა	4621	2416	533	21,7	0,46
19.	ფქვილი	ათ.ტ.	420	334	209	140,3	33,40
20.	კომბინირ. საკვები	ათ.ტ.	136	84,4	34,1	106,8	54,48

2.3. აგრარული პოლიტიკის ამოცანები

ეკონომიკური რეფორმების საპრეზიდენტო პროგრამის რეალიზაციამ დააჩქარა პრივატიზაციის, ფასების სრული ლიბერალიზაციის, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების, ლიბერალური საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროცესები. 1995 წლიდან დაიწყო წარმოების დაქვეითების თანდათან შენელება. 1996 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 11 პროცენტით გაიზარდა - ,,ისაფის“ პროგრამით გათვალისწინებული 8-10 პროცენტის ნაცვლად.

პრაქტიკულად დასრულდა ე.წ.,,მცირე პრივატიზება“. გაღრმავდა მიწის რეფორმა. აგრარულ სფეროში მიღებულია ფუნდამენტური კანონები: ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“. მილიონზე მეტი მოქალაქე მიწის მესაკუთრე გახდა.

რეფორმების გზაზე ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად ითვლება პურის ფასების ლიბერალიზება, რომლის შედეგად საქართველოში პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ხორბლის ბაზარი.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის. წლითიწლობით

უმჯობესდება სახელმწიფო ბიუჯეტის მახასიათებლები. საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ განხორციელებული ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების შედეგად მიღწეულია გადასახადების ზრდა, საგადასახადო ბაზის გაფართოება. მონეტარული მეთოდების გამოყენებით წარმატებით იმართება ინფლაციური პროცესები, მიღწეულია ეროვნული ვალუტისა და სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების სიმყარე.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოში პრაქტიკულად დასრულდა ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი. ამჟამად დღის წესრიგში დგება ეკონომიკური რეფორმების შემდგომი გაღრმავებისა და ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება და მათი ცხოვრების დონის რეალური ამაღლება.

საქართველოს აგრარულ სექტორს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებაში. იგი ერთ-ერთი აქტიური სფეროა, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს და ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წყაროა. მასზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 47%.

აგრარულ სექტორში თანდათანობით იზრდება დამუშავებაში მყოფი მიწები, პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. მიმდინარეობს დარგებს შორის კაპიტალის გადანაწილების პროცესი, რომლის საფუძველს ეკონომიკური მოტივაცია წარმოადგენს.

1997 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საქართველოს მოქალაქეთა საკუთრებაში და იჯარით გაცემულია 1302 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მთლიანი სავარგული ფართობის 43,6%. მათ შორის - სახნავის -82,8% და მრავალწლოვანი ნარგავების -80,2%. ქვეყანაში განხორციელდა მიწაზე სახელმწიფო მონოპოლური საკუთრების იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრების ფორმით შეცვლა, რამაც შექმნა საზოგადოებრივი ფორმაციის ტრანსფორმირებისა და ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარების იურიდიული და მატერიალური საფუძველები.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადაცემა და მიწების იჯარით გაცემის პროცესი კვლავაც

გაგრძელდება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს კერძო საკუთრებაზე ორიენტირებულ მეურნეობათა დომინირებულ მდგომარეობას. ამ მხრივ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებისა და იჯარის შესახებ 1996 წლის 22 მარტისა და 28 ივნისის კანონებით საფუძველი ჩაეყარა მიწის რეფორმის მეორე ეტაპს.

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონს ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გირავნობის წესებისა და პირობების შესახებ“, რომლის საფუძვლზეც შესაძლებელია მიწის ბაზრის განვითარება.

მიწათსარგებლობის სრულფასოვანი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა მიწის რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს მიწის საბაზრო ღირებულების სწორად განსაზღვრის საფუძველს.ამ თვალსაზრისით თვისობრივად ახალი დატვირთვის მატარებელია კანონი ,,მიწის რეგისტრაციის შესახებ“.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ასევე კანონი ,,სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლოდ მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“, რათა ქვეყანაში გათვალისწინებული ნავთობსადენების, სატრანზიტო მაგისტრალებისა და სხვა ფართო მასშტაბის საკომუნიკაციო თუ სამრეწველო ობიექტების მშენებლობის პირობებში გარანტირებული გახდეს ნაყოფიერი მიწების მესაკუთრეთა და მიწათმოსარგებლეთა ინტერესები.

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური პოტენციალის გამო ახლო მომავალში ევროპასა და აზიას შორის ერთ-ერთ ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალად ჩამოყალიბდება, რაც ბევრ დადებით მხარესთან ერთად, დიდ საშიშროებას უქმნის ქვეყანას -ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების განსაკუთრებით საშიში ინფექციური და გადამდები დაავადებების შემოტანისა და გავრცელების მხრივ.

საქართველოს კანონით ,,სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“, ხელი შეეწყობა კარანტინის ერთიანი, სრულფასოვანი სისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს კანონი ,,სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ ქმნის სამართლებრივ ბაზას მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის მიზანმიმართული საქმიანობისათვის, როგორც მაღალპრო-

დუქტიული კულტურული ჯიშების ეფექტური მოშენებით, ისე ენდემური ჯიშების ძვირფასი გენოფონდის გადარჩენით და მათი სამეურნეო-სასარგებლო თვისებების მაქსიმალურად გამოყენებით.

კანონი ,,სელექციური მიღწევების დაცვის შესახებ", ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, დააჩქარებს ჯიშთგანახლებისა და ჯიშთაცვლის, სელექციურ მიღწევათა ყიდვა-გაყიდვისა და ჯიშების დაცვის პროცესს.

აგრარულ სექტორში ბოლო პერიოდში მიღწეული დადებითი ძვრები გარკვეულწილად განაპირობა საქართველოს მთავრობისა და ევროგაერთიანებას შორის 1995 წლის 6 ოქტომბერს ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე საპარტნიორო ფონდის შექმნამ, რომლის მთავარი ამოცანა სასურსათო პროდუქციის გაზრდაა. საპარტნიორო ფონდის სახსრები აღმოჩნდა მეწარმეთათვის ხელსაყრელი ერთადერთი კრედიტი. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქონელმწარმოებლების თესლით, საწვავ-საცხები მასალებით, მინერალური სასუქებით მომარაგებისა და პროდუქციის წარმოების დონის ამაღლებაში, თუმცა სასურველი იყო იგი მოცულობით მეტი ყოფილიყო.

საქართველოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის წინაშე მდგარი, უაღესად მნიშვნელოვანი ამოცანების დროულად გადაჭრა და მისი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერულად დასაბუთებულ აგრარულ პოლიტიკაზე, სახელმწიფოს მიდგომისაგან ბაზრის სურსათით გაჯერების პრობლემისადმი.

ამ მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემუშავდა ,,საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია", რომელიც ყველა დონეზე, არაერთგზის განსჯისა და განხილვის შემდეგ, დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წლის 7 აპრილის, 171 ბრძანებულებით.

აგრარული პოლიტიკის კონცეფცია სოფლად საუკუნოვანი სამეურნეო-კულტურული ტრადიციების, ქვეყანაში მიმდინარე აგრარული გარდაქმნების, აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი მდგომარეობის ღრმა ანალიზის, მეცნიერებისა და სპეციალისტების მოსაზრებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი სპეციალისტების რჩევების შედეგადაა შემუშავებული. მასში მოცემულია აგრარული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებები, განსაზღვრულია ასკ-ში ჯანსაღი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების სტრატეგია.

აგრარული პოლიტიკის მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა (რაციონალურ ფარგლებში), მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის უახლოესი 10-15 წლის მანძილზე ეს კონცეფცია უნდა გახდეს კომპლექსის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების, ამ სფეროში სამართლებრივი საფუძვლების მომზადების, ქყეყანაში სასურსათო პრობლემების თანმიმდევრული, მიზანმიმართული მოგვარების ორიენტირი.

აგრარული პოლიტიკის უახლოესი წლების ამოცანად უნდა განისაზღვროს კომპლექსის პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, მომდევნო წლებში ყველა სახის პროდუქტსა და ნედლეულზე ქვეყნის მოხოვნილების დაკმაყოფილება - იმ დარგების უპირატესი განვითარების ხარჯზე, რომელთა წარმოებისათვის ქვეყანაში შექმნილია ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

მიუხედავად იმისა,რომ ,,კონცეფცია" საკმაოდ კარგად იყო მომზადებული და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითაც იყო დამტკიცებული, არ განხორციელებულა, ძირითადად ,,კონცეფციით" გათვალისწინებული სამუშაოების ჩასატარებლად ფინანსური რესურსების უქონლობის გამო.

შემდგომ წლებში შეიცვალა ანალოგიური დოკუმენტების შედგენის სტრატეგია და ღონისძიებების ჩამონათვალში შეჰქონდათ მხოლოდ ის პუნქტები, რომელთა დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტით თუ საერთაშორისო დახმარების შედეგად ხდებოდა. შემოღებულიქნა შესრულების ანგარიშების მოსმენის სისტემა, რაც დღესაც გრძელდება. ,,სტრატეგია" ითვალისწინებს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის

განვითარების პრობლემატიკასაც. ეს, ჩვენი აზრით, წინგადადგმული ნაჯიჯია, თუმცა ახალი მიდგომებით სტრატეგიის დამუშავებისათვის ჩვენ განსხვავებული მიდგომები გაგვაჩნია, რომელთა შესახებაც მომდევნო პარაგრაფში მოგახსენებთ.

2.4. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება და საბაჟო ტარიფები

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებით შესაძლებელი გახდა სავაჭრო ოპერაციების გაფართოება, მსოფლიო ბაზრის კონიუქტურის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მსო-ს მოთხონვაა ყველა ქვეყნის ჰარმონიზებულ სისტემაში ჩართვა, იმპორტირებულ პროდუქციაზე მინიმალური საბაჟო ტარიფების დაწესება. მასში გაწევრიანების შემდეგ მსო ეწინააღმდეგება საბაჟო ტარიფების გაზრდას.

მსო-ს მიხედვით იმპორტირებულ პროდუქციაზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესება აფერხებს ქვეყნის ბაზრის გაჯერების პროცესს.სამომხმარებლო ფასების ზრდის გამო მეწარმეთა გარკვეული ჯგუფის ინტერესების დაცვას ეწირება მომხმარებელთა ფართო მასების ინტერესები.

საქართველოში ექსპორტ-იმპორტზე საბაჟო ტარიფი თანაბარია და შეადგენს 12%-ს. გამონაკლისია შეზღუდული ჯგუფის სამკურნალწამლო საშუალებები, მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნედლეული, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, ტექნოლოგიური დანადგარები და სათადარიგო ნაწილები, რომლებზეც საბაჟო გადასახადის 5%-იანი ზღვარია დაწესებული. ნულოვანი რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ იმპორტირებულ ხორბალზე. შემოტანილ პროდუქციაზე ფასების ხელოვნურად შემცირების საწინააღმდეგოდ 20 დასახელების პროდუქციაზე საკონტრაქტო ღირებულების მინიმალური ზღვარია დაწესებული.

საერთაშორისო ვაჭრობაში ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით საბაჟო ტარიფების დიფერენცირების მაგივრად რეკომენდებულია პრეფერენციების სისტემის, საერთაშორისო კომერციულ კავშირებში მონაწილეობის უპირატესობების გამოყენება.

ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი დაფიქსირდა ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საქართველოს მიერ გაკეთებული ყველა წლის განცხადებაში, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის საქართველოსადმი დახმარების აუცილებელი პირობა, რის გამოც საბაჟო ტარიფების დიფერენცირება არის საერთაშორისო მოლაპარაკებების და შეთანხმებების საკითხიც.

მსო-ში გაწევრიანების მემორანდუმში თუ საქართველო დააფიქსირებს დღეს მოქმედ საბაჟო განაკვეთს, მის მიმართ პრეტენზია არავის არ ექნება.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს საკუთარი წარმოების პროდუქციის დაცვისა და დეფიციტური საქონლის ადვილად შემოღწევისათვის როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების მიერ იმპორტის რეგულირების მრავალფეროვანი სისტემის გამოყენებას, კერძოდ, დიფერენცირებული საბაჟო ტარიფების შემოღებას, სეზონური გადასახადების და კვოტების დაწესებას, არასატარიფო მექანიზმების გამოყენებას და სხვა.

იმპორტირებული სატარიფო დიაპაზონი მერყეობს სომხეთში 0 დან 50%-მდე, ჩეხეთში- 0-დან 50,8%-მდე,რუსეთში- 0-დან 100%-მდე,ბელორუსში--0-დან 50%-მდე, ლიეტუაში- 0-დან 100%-მდე,აშშ-ში 0-დან 300%-მდე,პანამაში-0-დან 320%-მდე.

იაპონიაში, სადაც საშუალო შეწონილი იმპორტული ტარიფი 1,7%-ია, ხორბალზე იგი შეადგენს -344%-ს, ბრინჯზე-700%-ს, ალკოჰოლურ სასმელზე- 25%-ს, ცხიმიან რძეზე- 1,5%-ზე ნაკლებს, რძის ფხვნილზე -341%-ს და ა.შ.

ევროკავშირში საშუალო შეწონილი ტარიფი3,6%-ია,მათ შორის ხორცზე-102%,1,5%-ზე ნაკლები ცხიმიან რძეზე,რძის ფხვნილზე 173%,ხორბალზე- 102%,ბრინჯზე-147%.

კანადაში საშუალო შეწონილი ტარიფი 4,8%-ია, 1,5%-ზე დაბალი ცხიმიან რძეზე და რძის ფხვნილზე 202%,ხორცზე-250%.

სამხრეთ კორეაში, სადაც საშუალო შეწონილი ტარიფი 8,3%-ია,6 დასახელების პროდუქციაზე იგი 100%-ზე მაღალია,აქედან რძის ფხვნილზე-310%-ს შეადგენს.

საშუალო შეწონილი ტარიფი მექსიკაში 33,7%-ია, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე 132%,ყავაზე,ჩაისა და კაკაოზე -106%,სოფლის მეურნეობის ყველა სხვა სახის პროდუქციაზე -42%.

ანალოგიური მდგომარეობაა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებშიც.

მსო გაგებით ეკიდება გაწევრიანების სურვილის მქონე განვითარებადი ქვეყნების მიერ ტარიფების დიფერენცირებას. აღსანიშნავია, რომ მსო-ს განვითარებადი ქვეყნების სტატუსის მინიჭების გაეროსაგან განსხვავებული კრიტერიუმი აქვს და ასეთ ქვეყანას ათწლიან საშეღავათო რეჟიმს უწესებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის,საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადების, მისი მსოფლიო ბაზრის სუბიექტად გამოცხადების შემდეგ შექმნილი მიზეზების გამო მკვეთრად შემცირდა ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოება.

რესპუბლიკათაშორის ვაჭრობაში მონაწილე 9 დარგიდან დადებითი სალდო ჰქონდა მხოლოდ გადამამუშავებელ და კვების მრეწველობას. მაშინდელი ფასებით ყოველწლიურად იგზავნებოდა 3,1 მილიარდი რუბლის პროდუქცია. გატანა შემოტანას სჭარბობდა 0,6 მლრდ რუბლით.

გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის პროდუქციის რესპუბლიკათაშორის ბრუნვაში საქართველოზე მოდიოდა 10%. ამ ჯგუფის პროდუქციის გატანა 1,7-ჯერ აღემატებოდა შემოტანას. ძირითადად იგზავნებოდა კონიაკი, შამპანური, ღვინო და ღვინომასალები, ჩაი, მინერალური წყალი, საკონდიტრო ნაწარმი, თამბაქოს ნაწარმი, ციტრუსი, ხილი, საადრეო კარტოფილი, ბოსტნეული, ნერგები და სხვა. მთლიანად ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფითი იყო.

ენერგომატარებლების, აგრეთვე ხორბლის მსოფლიო ფასით შემოტანის აუცილებლობის, პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების დაკარგვის და რიგი სხვა ფაქტორების გავლენით ჩამოყალიბდა საგარეო ვაჭრობის უარყოფითი ბალანსი, რამაც ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი შექმნა.

უცხოელი ექსპერტების დასკვნებით საქართველოს სოფლის მეურნეობას და კვების მრეწველობას უდიდესი საექსპორტო პოტენციალი აქვს. იგი განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელმაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგია და ტაქტიკა უპირატესად აგროკომპლექსის საექსპორტო პროდუქციის წარმობაზე უნდა ააგოს.ამასთან, საქართველოს არ

გააჩნია ერთი ან თუნდაც რამდენიმე სახეობის პროდუქცია, რომელზეც საექსპორტო პოლიტიკის კონცენტრირება იყოს შესაძლებელი. იგი არის მრავალი, მაგრამ ცალკეულად მცირე, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობის მქონე ქვეყანა, რისთვისაც საჭიროა ფართო ეკონომიკური სივრცე, უცხოური ინვესტიციები, პროგრესული ტექნოლოგიები, სამართლებრივი ბაზა.

სოფლის მეურნეობას აქვს საექსპორტო პროდუქციის უპირატესი წარმოების ყველა პირობა, უნიკალური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, საექსპორტოდ ვარგისი მრავალი სახეობის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა, პროდუქციის წარმოების ნაკლები ენერგოტევადობა, საწარმოო სიმძლავრეები, მუშაკთა მაღალი კვალიფიკაცია, პროდუქციის ექსპორტის გამოცდილება,საექსპორტო პროდუქციის წარმოებაში ქვეყნის მეურნეობის დიდი ნაწილის ჩაბმის შესაძლებლობა და ა.შ.

სამხრეთული კულტურების წარმოებისათვის სპეციალიზება, რომელიც საქართველოს ეკონომიკური სიმძლავრის გარანტი იყო,საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური სიდუხჭირის მთავარი მიზეზი გახდა.

შექმნილ ვითარებაში კაპიტალის გადადინება ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოების სფეროში მეტ - ნაკლებად გარანტირებული ბაზრის არსებობით და ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობითაა მოტივირებული. ამავე დროს, პროგრესული ტექნოლოგიების უქონლობის,მელიორაციული სისტემების მოშლის,წარმოების ექსტენსიური მეთოდების გამოყენების, მარცვლეულზე, ხორცსა და რძის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების შეუძლებლობის გათვალისწინებით - იგი ნაკლებად პერსპექტიულია, განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით.

საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის, მარცვლეულის საცავების და გადამმუშავებელი სიმძლავრეების, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში პროგრესული ტექნოლოგიებით პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ცივილიზებული ფორმების გამოყენების პირობებში, საქართველოში წარმოებული მარცვლეული, აგრეთვე ხორცი და რძე ხანგრძლივი პარიოდის

მანძილზე არაკონკურენტუნარიანი იქნება. ამავე პერიოდში ხელი შეეწყობა ნატურალური ტიპის მეურნეობის განვითარებას.

ალკოჰოლური სასმელები, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი, მინერალური წყლები, ხილი და საკონსერვო ნაწარმი, თამბაქო, ბამბუკი, დაფნა, ეთეროვანი ზეთები,სარგავი და სათესლე მასალა, ცხოველების აბორიგენული ჯიშები-კვლავ ინარჩუნებს საექსპორტო პოტენციალს - საუკეთესო ბუნებრივ პირობებში ინტენსიური გზით წარმოების შესაძლებლობის გამო.

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი ინტერესი ეკონომიკური ინტერესია. განვითარებული მსოფლიოს წინაშე დგას არა პროდუქციის წარმოების,არამედ მისი რეალიზაციის, თავისი წილი სავაჭრო ნიშის დაკავების პრობლემა, რასაც ისინი ახერხებენ უმწვავეს კონკურენტულ ბრძოლაში მეწარმე მონოპოლიების შესაძლებლობების, დროებით დემპინგური ფასების გამოყენების, განვითარებადი ქვეყნების მიმართ რეფორმების პოლიტიკის განსაზღვრის, მისი უზრუნველყოფის და სხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გამო დაირღვა ათეულ წლობით ჩამოყალიბებული ფასთა პარიტეტი. მთლიანად ყველა სახის პროდუქციის ფასები ბევრად ჩამორჩება ანალოგიურ პროდუქციაზე მსოფლიო ფასებს.

სამომხმარებლო ფასების გაჯერება, პროდუქციაზე შედარებით დაბალი ფასები, საკრედიტო რესურსების დეფიციტი, ძირითადად განპირობებულია იმ ღონისძიებების განხორციელებით, რომლის მიზანია ინფლაციის მოთოკვა, ფინანსური სტაბილიზაცია. მისი განხორციელების მეთოდებზე აქ არ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ 1996 წლის ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება მოხდა ეროვნული ბანკის კრედიტების საშუალებით- 185 მლნ ლარის ოდენობით, რაც მთლიანი დეფიციტის 76%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორის მიმართ მთავრობის ვალდებულებების ზრდის ტემპი (32,4%) მნიშვნელოვნად აღემატებოდა ვალდებულებების ზრდის ტემპს, რომელიც გათვალისწინებული იყო ეკონომიკის დანარჩენი სექტორების დასაფინანსებლად (14,0%). აღნიშნული, ძირითადად, ფისკალური ზემოქმედების შედეგია.

ყველაზე მძიმე საკრედიტო რესურსების დეფიციტია, რომელიც გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ დაიწყება სერიოზული გამოცოცხლება. გასული სუკუნის დეკემბერში თბილისის ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე სესხით სარგებლობის მაქსიმუმ 90 დღიანი ვადა იმაზე მიუთითებს, რომ კრედიტები ძირითადად გამოიყენება ე.წ. ჩქარი ფულის სეგმენტში. წარმოების სტაგნაციის პირობებში ბანკებს არ შეუძლიათ შეასრულონ ძირითადი ფუნქცია, მოიზიდონ კაპიტალი, შეავსონ სასესხო პორტფელი, გაზარდონ კლიენტურა, შეამცირონ საკრედიტო განაკვეთები.

საკრედიტო რესურსების ფორმირებისათვის აუცილებელია:

- ყველაზე უფრო პერსპექტიული წარმოების ამოქმედება, რაც ვერ ხერხდება;
- უცხოური ინცესტიციების, განსაკუთრებით კერძო ინვესტიციების, ფართო მასშტაბით მოზიდვა, რომლისთვისაც ისევ უცხოეული ექსპერტების დასკვნით, ჩვენთან ხელასყრელი გარემო არ არსებობს - პირველ რიგში უცხოური დახმარებებით ბიუჯეტის განმტკიცების გამო;
- კომერციულ ბანკებში უცხოური ბანკების კაპიტალის ინექციით, ერთობლივი კაპიტალის შექმნით, რომლის მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია;
- მოქალაქეთა დანაზოგების ბანკებში განთავსებით, რომელიც საკრედიტო რესურსების ფორმირების უმნიშვნელოვანესი წყაროა და რომლის შესაძლებლობა საქართველოში საკმაო ხანს ვერ მოხერხდება;
- სპეციალური ფონდების, მათ შორის საპენსიო ფონდების, საკრედიტო რესურსებად გამოყენება, რისი იმედიც მომავალში შეიძლება გვქონდეს;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება, რასაც საფუძველი ახლა ეყრება;

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ესეც საკმარისია.

წარმოების გამოცოცხლების ყველაზე რეალური გზაა უცხოური ინვესტიციების გამოყენება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხოური ინვესტიციების მასიურად შემოსვლა იწყება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაციიდან მეშვიდე-მერვე წელს.

შეიძლება პოლიტიკურად სტაბილურად მანამ არ ჩაგთვალონ, სანამ აღსადგენი იქნება ტერიტორიული მთლიანობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უცხოური კერძო ინვესტიციების შემოდინებისათვის მთავარია არა რეფორმის მიმდინარეობის ტემპი, არამედ პოლიტიკური სტაბილურობა, სამართლებრივი ბაზა, კაპიტალის დაცვის გარანტიები. დღეს, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან, ყველაზე მეტი კაპიტალი ჩინეთში ბრუნავს -100 110 მლრდ აშშ დოლარი წელიწადში.

გასათვალისწინებელია არაერთგვაროვანი დამოკიდებულება უცხოური ინვესტიციებისადმი, რაც ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნებითაა განპირობებული. ჩვენ არც კლასიკური აზიური საზოგადოება ვართ, რომლისთვისაც უცხოა რევოლუციური მიდგომები, ფუსფუსი, აჩქარება, სადაც კლანური მიდგომა პარტენალიზმის გამოვლენაა და მეტი არაფერი, არც კლასიკური ევროპული საზოგადოება - რომლისთვისაც დამახასიათებელია თავისუფალი, კერძომესაკუთრული აზროვნება და კანონებისადმი პატივისცემა.

გასათვალისწინებელია, საზოგადოება მომავალში როგორ შეაფასებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დღეს არჩეულ სტრატეგიას. ალტერნატივის ძიება აუცილებლობითაა ნაკარნახევი.

შექმნილ ვითარებაში უნდა ვაკეთოთ ის, რასაც პრაქტიკა გვიკარნახებს და რომლის მიზანი წარმოების გამოცოცხლებაა. საკმარისია ვახსენოთ აშშ პრეზიდენტის ფ. რუზველტის დეკრეტი, რომლითაც მან შეძლო ქვეყნის გამოყვანა დიდი დეპრესიიდან.

საქართველოში დაბანდებულია 98 მლნ აშშ დოლარი, რომელშიც წამყვანი ადგილი ისრაელის ფირმებს ეკუთვნით(16%). მოქმედებს 150-ზე მეტი ერთობლივი საწარმო. ერთი შეხედვით მდგომარეობა არც ისე ცუდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კაპიტალის უძრავ ქონებაში დაბანდებას. უცხოური ფირმების მიერ შესყიდულია აქციების 20%.

საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც გააჩნდა განვითარებული საწარმოო ძალები, ჰქონდა ცხოვრების საკმაო მაღალი დონე.

არსებულის მთლიანად დანგრევა და მის ადგილას ახალი საწარმოო სექტორის შექმნა, რომელსაც ხანგრძლივი დრო და უდიდესი კაპიტალური დანახარჯები დასჭირდება, გაუმართლებელია. მით უფრო, რომ ზოგიერთ რეგიონში არსებულ საწარმოო სტრუქტურას უახლოეს თვალსაწიერში ალტერნატივა არ გააჩნია.

ასეთ პირობებში შესაძლებელია გაგრძელდეს ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული ეკონომიკის სეგმენტების განვითარება, რომელსაც შორს მიმავალი პერსპექტივა არ გააჩნია. მინიმუმამდე შემცირებული საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების საწარმოო შესაძლებლობებს ღრმა უარყოფითი შედეგები ექნება. სტრუქტურული გარდაქმნისათვის საჭირო კაპიტალის უქონლობის გამო გაღრმავდება ტექნოლოგიური ჩამორჩენა მატერიალური წარმოების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა სფეროში, რაც კიდევ უფრო გაართულებს ჩვენი სავაჭრო ნიშის დაკავებას მსოფლიო ბაზარზე. მინიმუმამდე შემცირდება ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

საექსპორტო პროდუქციის წარმოების გასაძლიერებლად სახელმწიფომ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები:

- მხედველობაშია მისაღები ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევრობის და გაჩერებული საწარმოების ფონზე საზოგადოებრივ ცნობიერებაში საკუთარი წარმოების დამცველთა რიცხვი;
- საბაჟო ტარიფების დიფერენცირება უნდა განხორციელდეს შეზღუდული ჯგუფების პროდუქციაზე, რომელიც იმოქმედებს რამდენიმე წლის მანძილზე;
- საქართველოში წარმოების თავისებური სტრუქტურის გამო, სადაც გადამამუშავებელი საწარმოები იყენებენ ადგილობრივი წარმოების ნედლეულის და საბოლოო პროდუქციის მწარმოებლები არიან, მეწარმეთა ხელშემწყობი პირობები, იმავე დროს ნედლეულის მწარმოებელთა ხელშეწყობასაც ნიშნავს. ასე იქნება კახეთში,ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში და, ნაწილობრივ, დასავლეთ საქართველოს რაიონებში-მევენახეებისა და მეღვინეები-

სათვის; შიდა ქართლში, მესხეთში, ნაწილობივ საქართველოს სხვა კუთხეებში-მეხილეებისა და მეკონსერვეებისათვის, გურია-სამეგრელო-ქვემო აჭარაში-მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის, მეციტრუსეობის დარგის მუშაკებისათვის, მესხეთ-ჯავახეთის რეგიონებში, ქვემო ქართლში და თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე-მეკარტოფილეებისა და მებოსტნეებისათვის.

- პროდუქციაზე ფასების ზრდას მაინც ვერ გავექცევით, რადგან ეს მსოფლიო ტენდენციაა. იგი განპირობებულია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მეღწევების წარმოებაში დანერგვით-ძვირადღირებული, ავტომატიზებული, ამოგების ხანგრძლივი ვადის მქონე ტექნოლოგიების გავრცელებით, საზოგადოებრივი საქმიანობის ახალი სფეროების შექმნით, მათი დამოუკიდელად ფუნქციონირებით, მათ შორის სამეურნეო, ეკონომიკური და ტექნოლოგიური კავშირების აუცილებლობით;
- რამდენადაც ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ადგილობრივი მოხმარება დიდი არ არის, თანაბარ პირობებში შემოღწეული უცხოური პროდუქციის გავლენა კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე მინიმალურია. პირიქით, მხოლოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებითაა შესაძლებელი საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი კოლექტივების კეთილდღეობა;

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შეზღუდული ჯგუფის იმპორტულ პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების დიფერენცირება და სეზონური ტარიფების შემოღება, ადგილზე პროდუქციის წარმოების გადიდების გამო, არ გამოიწვევს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირებას. პრაქტიკა იმასაც ადასტურებს, რომ არ მცირდება უცხოური პროდუქციის შემოტანა. უბრალოდ, იგი საწყის ეტაპზე ელიტარული პროდუქციის რანგში გადის.

2.5.ფისკალური პოლიტიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება

პრაქტიკა ადასტურებს, რომ აგრარულ- სამრეწველო და სასურსათო კომპლექსში მოქმედი საგადასახადო სისტემა ამუხრუჭებს ქვეყანაში სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, სასოფლო- სამეურნეო სავარგულების კონსოლიდაციის, კერძო მეწარმეთა მძლავრი ფენის ფორმირების, ნატურალური მეურნეობიდან კომერციულზე გადასვლის პროცესს, აფერხებს ინვესტიციების შემოდინებას,გადასახადების აკრეფისას ქმნის კორუფციისა და საეჭვო გარიგებების შესაძლებლობებს,ახშობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ სტიმულს.

სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდება, მის სამრეწველო გადამუშავებამდე, სხვადასხვა საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად,1999 წლის 1 იანვრამდე პერიოდულად გათავისუფლებული იყო დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან(დღგ).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს 1998 წლის 1 მაისისა და 30 ოქტომბრის კანონებით, 1999 წლის 1 იანვრიდან აღდგა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე პირველადი მიწოდების დღგ-ს 20%-ით დაბეგვრის წესი და სოფლის მეწარმის მიერ მიწოდებული პროდუქციის დღგ-ით დასაბეგრი ზღვარი. საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2000 წლის 13 ივლისის 479 რს-ს დანართის შესაბამისად ზღვარი 24000 ლარით განისაზღვრა.

საქსტატის მონაცემებით მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 1996-99 წლებში საშუალოდ 30%-ს შეადგენდა, საიდანაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ეს გამოწვეულია არა იმდენად მისი განვითარების მაღალი დონით, არამედ სხვა დარგების ჩამორჩენით.

მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი დასავლეთის ქვეყნებში, საგადასახადო კოდექსი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც თითოეულ დარგში

არსებულ სიტუაციას ერგება. საქართველოში კი პირიქით, დარგის მისადაგება ხდება საგადასახადო პოლიტიკისადმი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დამატებითი ღირებულების 20%-იანი გადასახადებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის სავალდებულო დაბეგვრის შემოღებას თან ახლავს მთელი რიგი უარყოფითი შედეგები, კერძოდ:

- შემცირდება საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რადგან, როგორც მცირე, ისე მსხვილი ფერმერების მდგომარეობა საქართველოში ძალიან კრიტიკულია და დღგ-ს შემოღება ქართველ ფერმერთა გაღატაკების პროცესს უფრო გააღრმავებს;
- ფერმერები ძირითადად გადავლენ ნატურალურ წარმოებაზე ანუ საკუთარი თავის გამოკვებაზე, რაც მომავალში შეამცირებს პროდუქციის წარმოებას და მათ ინტეგრაციას საბაზრო ეკონომიკაში;
- ფერმერები სრულად ვერ გამოიყენებენ სოფლის მეურნეობაში არსებულ პოტენციალს, რაც ასევე დააკლდება ქვეყნის ეკონომიკას;
- გაიზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკა,რადგან შეუძლებელი იქნება მცირე გადამყიდველთა კონტროლი;
- მაღალი გადასახადი და ადმინისტრირების ფაქტიური შეუძლებლობა ხელს შეუწყობს საეჭვო ურთიერთგარიგებებს;
- აგრარულ სექტორში შემცირდება შემოსავლები ,რაც გამოიწვევს ინვესტიციების კლებას;
- ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ისედაც დაბალი კონკურენტუნარიანობა იმპორტის მიმართ კიდევ უფრო შემცირდება, რადგან ფერმერებს არ ექნებათ ფინანსური რესურსები წარმოების მოდერნიზაციისა და რაციონალიზაციისათვის, მით უმეტეს, როცა არ იღებენ სუბსიდიებს სახელმწიფოსაგან;
- საქართველოს სოფლის მეურნეობა დღგ-ს 20%-იანი გადასახადის გამო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. აგრარიკოსი მეწარმეები ვერ შეძლებენ მის გადახდას, რადგან საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს;
- დღგ-ს შემოღებით გაჩნდება საგადასადო ინსპექტორთა შტატების გაზრდის აუცილებლობა, რაც გამოიწვევს დამატებით ხარჯებს;
- დღგ-ს შემოღება გააძვირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. სურსათის გაძვირება კი მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს, მითუმეტეს, როცა მათი პირადი ბიუჯეტის 80%-მდე სურსათის შეძენას ხმარდება;
- დღგ-ს შემოღებას უარყოფითი გავლენა ექნება ქვეყნის ბიუჯეტზეც. სიღარიბის ზრდა გამოიწვევს სოციალური დახმარების ფონდის გაზრდის აუცილებლობას;
- გაძლიერდება იაფი იმპორტული საქონლის ექსპანსია, გაგრძელდება მწირი ფინანსური რესურსების მქონე ქვეყნის მიერ საზღვარგარეთის ფერმერების დაკრედიტების მანკიერი პრაქტიკა;
- დღგ-ს ზღვარის დაწესებით დაიწყება საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობათა რღვევის და გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით ფაქტობრივად წარმოებული და მიწოდებული პროდუქციის შესახებ მონაცემების დამახინჯების ნეგატიური პროცესი;
- სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება დღგ-ს გარეშეც, უმეტეს შემთხვევაში ზარალიანია. 20%-იანი დღგ-ს დაწესება კი გამოიწვევს ქართველ ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის კიდევ უფრო გაძვირებას. შეამცირებს შიდა ბაზარზე მისი გასაღების და ექსპორტის შანსს, უცხოური ფირმების მიერ წარმოებული პროდუქციასთან შედარებით, მაშინ, როცა რეგისტრირებული იმპორტი ღღესაც თითქმის 2,5-ჯერ მეტია აღრიცხულ ექსპორტზე;

საქართველოში მოქმედი საგადასახდო სისტემის გამო დიდია საწარმოთა შემოსავლებზე საგადასადო ზეწოლა, რის გამოც საქართველოს სოფლის მეურნეობაში საინვესტიციო კლიმატი

გაცილებით უარესია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პროდუქციის იმპორტი, მისი შემდომი მიწოდება, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიწოდების მსგავსად, გათავისუფლებულია დღგ-საგან. ასეთი პროდუქციის იმპორტზე მკვეთრადაა შემცირებული საბაჟო ტარიფებიც.

არსებული რეალობიდან გამომდინარე ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის გარეშე სექტორში კერძო კაპიტალის შემოდინებას არ უნდა ველოდოთ.

არასწორ საგადასახადო პოლიტიკას პირდაპირ უკავშირდება აგრარიკოს მეწარმეთა მიერ იჯარით აღებული და კერძო საკუთრებაში არსებული მიწების უკან დაბრუნების არასასურველი ტენდენციაც.

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული, განვითარების საწყის ეტაპზე მდგომი, საქართველოს სოფლის მეურნეობა ფაქტიურად ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც დამატებითი ღირებულების 20%-იანი გადასახადით იბეგრება და უცხოური კონკურენციისაგან მას საბაჟო არადამაკმაყოფილებლად იცავს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ ეტაპზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებაზე 20%-იანი დღგ-ს შემოღება მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს წარმოების განვითარებასა და ფისკალურ შედეგებზე.

არანაკლებ მწვავედ დგას სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების საკითხიც.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქციის მარტივი კვლაწარმოებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 10-15% რენტაბელობა.პროდუქციის დღევანდელ სარეალიზაციო ფასებსა და მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსებისა და მომსახურების ფასებს შორის დისპარიტეტის გამო ბოლო 8-10 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოება ზარალიანი ან არარენტაბელურია. ასეთ პირობებში აგრარიკოს მეწარმეთათვის მოგებისა და დღგ-ს დაწესება მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა. ამის გამო მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყოველნაირად ცდილობს არ მოხვდეს დღგ-ს და მოგებიდან გადამხდელთა სიაში. იზრდება გადახრა ჩრდილოვანი ეკონომიკისაკენ,მკვეთრად მცირდება საგადასახადო ბაზა და აქედან ბიუჯეტში მიღებული უმნიშვნელო შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს იმ უდიდესი ზიანის კომპენსირებას, რომელსაც ქვეყანა პირდაპირი თუ ირიბი გზით განიცდის აღნიშნული გადასახადების შემოღებით.

მოგების 20%-იანი განაკვეთი მისაღები იქნებოდა ისეთი განვითარებული, ძლიერი, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი აგრარული მეურნეობისათვის, რომელსაც შესაბამისი კაპიტალი და ფინანსური რისკის გაწევის საშუალება აქვს. ქართველ ფერმერებს, როგორც წესი, საჭირო საწყისი კაპიტალიც არ გააჩნიათ წარმოების დასაწყებად, თავი რომ დავანებოთ ამინდზე დამოკიდებულ წარმოებას და ბაზრის რისკს. კომერციული ბანკები, რომლებიც კრედიტებს აძლევენ აგრარულ სექტორს, რისკს ძალიან დიდად აფასებენ და შესაბამის გარანტიებს ითხოვენ, რომლის შესაძლებლობაც ფერმერთა უმრავლესობას არა აქვს. ასეთ ეკონომიკურ პირობებში ფერმერი შეეცდება რისკი ნატურალურ მეურნეობაზე გადასვლით შეამციროს ან თავი აარიდოს გადასახადების გადახდას, რაც ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე. ასეთ სიტუაციაში ძნელად წარმოსადგენია უცხოელი ინვესტორების შემოსვლა აგრარულ სექტორში.

ამდენად, დღგ-ს და მოგების გადასახადის შემოღება ამ ეტაპზე უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება ეკონომიკური სტაბილიზაციისა და აგრარული სექტორის განვითარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ორივე გადასახადი უნდა გაუქმდეს, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარეომებას, რომ სოფლის მეურნეობას კვების პროდუქტების წარმოების გარდა, სოციალური და რეგიონული ამოცანებიც აკისრია, რომელთა შეფასებაც მხოლოდ პირდაპირი ფისკალური კრიტერიუმებით შეუძლებელია.

ყურადსაღებია ისიც, რომ არსებული სიტუაციაში, როგორც უკვე ითქვა,გართულებულია მოგების მიღება და ყველაფერი უკანონო გარიგებებისა და კორუფციისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობას სოციალური და კულტურული მნიშვნელობაც აქვს. სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიზნის - სასოფლო- სამურნეო პროდუქცი-

ით შიდა ბაზრის მაქსიმალურად დაკმაყოფილების მისაღწევად, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს კერძო ფერმერთა მძლავრი ფენა, რის ჩამოყალიბებასაც სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა სუბსიდირებული დარგია, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები:1999 წელს გაძლიერდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყანათა მთავრობების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის მიმართ.სუბსიდიათა ოდენობა 3,5%-ით გაიზარდა და 361 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 1,45-ის ტოლია. ფერმერთა დამოკიდებულება სუბსიდიებზე საგრძნობლად გაიზარდა ბოლო პერიოდის მანძილზე, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მსოფლიო ფასების დაცემამ გამოიწვია. სუბსიდიათა ხვედრითი წილი ფერმერთა მთლიან შემოსავლებში 1999 წელს 40%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ძლიერი სუბსიდირების მიუხედავად, ხსენებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების დაბეგვრის პოლიტიკა უფრო ლიბერალურია, ვიდრე საქართველოში. ბუნებრივია, რომ უცხოური ინვესტიციები ასეთი ქვეყნებისაკენ მიისწრაფვის.

ჩვენი ქვეყნის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე სახელმწიფო საკმარისად ვერ აფინანსებს სოფლის მეურნეობას. იგი ვერც ფერმერებს ეხმარება. ასეთ სიტუაციაში რჩება ერთადერთი გამოსავალი-საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით და შეღავათების სისტემის გამოყენებით ხელი შეუწყონ სოფლის მეწარმეებს. საკუთარი წარმოების ზრდის ასეთი გზა გაიარა ყველა განვითარებულმა ქვეყანამ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის მსო-ში გაწევრიანების შემდეგ, რათა მან ე.წ. გარდამავალ პერიოდში მოახერხოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ორგანიზება,რადგან მას სატარიფო შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა პრაქტიკულად არ ექნება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა დღემდე უფრო მეტს იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში,ვიდრე მისაგან ღებულობს. ბოლო წლების მონაცემებით, ბიუჯეტში ამოღებული მიწის გადასახადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 20-22 მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობისა სურსათის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის რეალური საბიუჯეტო დაფინანსება 10-12 მილიონს არ აღემატება. სხვა ქვეყნებში ეს პირიქითაა: სოფლის მეურნეობა უფრო მეტს ღებულობს ბიუჯეტიდან, ვიდრე აძლევს მას გადასახადების სახით. იქ ნათლადაა წარმოჩენილი სოფლის მეურნეობის ძირითადი დანიშნულება: ქვეყანაში სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა. მიმდინარე ეტაპზე ყოველმხრივ გამართლებულად მიგვაჩნია და სახელმწიფოს მხრიდან ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის დიდი დახმარება იქნება, თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და პროდუქციის პირველადი მიწოდება გათავისუფლდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ისეთი სახის სახელმწიფოებრივი გადასახადისაგან, როგორიცაა მოგებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადები და იქნება მხოლოდ ერთი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი. ეს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისათვის გასაგები, ხოლო მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ადვილად შესამოწმებელი იქნება.

ასეთი ტიპის გადასახადი (მიწის გადასახადი, მიწის საიჯარო ქირა), რომელიც დამოკიდებული არაა სხვადასხვა ფაქტორზე (მოსავალი, სარეალიზაციო ფასი და სხვა), აღრიცხვის სიიოლის გამო, მაქსიმალურად შეამცირებს გადასახადების დამალვას, სახელმწიფო ხარჯებს გადასახადების აკრეფაზე, კორუფციას, ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს, საეჭვო ურთიერთგარიგებებს. ფერმერებში ჩამოყალიბდება გადასახადების გადახდის კულტურა, რაც დღეს ფაქტობრივად არ არსებობს. ეს, თავის მხრივ შესაძლებელს გახდის შემდგომში სოფლის მეურნეობის განვითარების დონის მიხედვით მიწაზე გადასახადის გაზრდას, აგრეთვე სხვა გადასახადების ეტაპობრივად შემოღებას. ამავე დროს, გაადვილდება და გამარტივდება აღრიცხვიანობა. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსა და საქსტატს ხელთ ექნებათ ნამდვილი, რეალური ციფრები,რაც ანალიზისა და პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს. შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტთან ურთიერთობის თვალსაზრისით გლეხობა, ფერმერები იძულებით ეწევიან ჩრდილოვან ბიზნესს

და ჩამორჩენილი ტექნოლოგიის, ფინანსური რესურსების დეფიციტისა და პროდუქციის რეალიზაციის გაძნელების პირობებში, საგადასახადო ზეწოლა წარმოების ლეგალიზაციის პროცესს ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს.

რაც შეეხებათ გადამხდელებს, რომელთა ინტერესებშიც შედის დღგ-ს გადახდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი მიწოდებისას, მათ ამის უფლება გააჩნიათ ნებაყოფლობითი რეგისტრაციით. საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად პირს, რომელიც არაა ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში, შეუძლია ნებაყოფლობითი განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საგადასადო რეჟიმის აღნიშნული ოპტიმიზაციის გარეშე ქართველი ფერმერები ვერ გამოიყენებენ წარმოების განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს და გასაკოტრებლად არიან განწირულნი. ამას მოყვება სასურსათო პროდუქტებზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმპორტით, ექსპორტ- იმპორტის ბალანსის მკვეთრად გაუარესება, ვალუტის გადინება და შედეგად სოფლის მეურნეობისა და, საერთოდ, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება.

ზემოთ ხსენებულის საპირისპიროდ, საქართველოს აგრარული წარმოების დიდი პოტენციალი, შერწყმული ოპტიმალურ საგადასახადო რეჟიმთან, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებში გააჩენს სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაბანდების ეკონომიკურ მოტივაციას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს მძიმე ტვირთად აწვებათ აგრეთვე მათ მიერ მოხმარებულ პესტიციდებზე, სასუქებზე, სანაშენე ცხოველებზე, სანაშენე კვერცხზე,თესლეულზე, ნერგებზე და სარგავ მასალაზე, სამელიორაციო სამუშაოებსა და მომსახურებაზე დაწესებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. ყოველივე ეს შეაფერხებს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის განვითარების იმ პროგრამის რეალიზაციას, რომელიც ამჟამად საქართველოში მუშავდება.

პესტიციდების, თესლების, სანაშენე ცხოველების, სანაშენე კვერცხის იმპორტი დაშვებული კვოტების ფარგლებში საგადასახდო კოდექსის შესაბამისი ქვეპუნქტით გათავისუფლებულია დღგ-საგან, მაგრამ შემოტანის შემდეგ, ქვეყნის შიგნით მათ რეალიზაციაზე, ისევე როგორც ადგილობრივად წარმოებული ანალოგიურ პროდუქციასა და სასუქებზე, დაწესებულია 20%-იანი დღგ-ით დაბეგვრა,რაც აძვირებს მათ და მიუწვდომელს ხდის სოფელში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია წარმოების ინტენსიფიკაცია. ეს, მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ სომხეთსა და აზერბაიჯანში როგორც იმპორტირებული, ისე ადგილზე წარმოებული აღნიშნული სახის პროდუქცია და სასუქი, გათავისუფლებულია დღგ-საგან. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციაში პესტიციდებისა და სასუქების მწარმოებლებს ეძლევათ სახელმწიფო დოტაცია 40%-ის ოდენობის ფასდაკლებით და ისინიც ასევე ფაქტობრივ ღირებულებაზე 40%-იანი ფასდაკლებით აწვდიან მათ აგრარიკოს მეწარმეებს. ჩვენთან შემოღებული საგადასახდო სისტემა კი ხელს უწყობს კონტრაბანდით მათ შემოტანას და ხშირ შემთხვევაში ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციის გავრცელებას, რომლის უარყოფითი შედეგებიც ყველასათვის ცნობილია.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში კვოტების მიხედვით შემოტანილ პესტიციდებზე, სასუქებზე, თესლზე, მრავალწლიანი კულტურების ნერგზე, სანერგე მასალაზე, სანაშენე პროდუქციაზე და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დარჩეს მოქმედი შეღავათიანი საბაჟო გადასახადები, ხოლო მათი და ანალოგიური პროდუქციის ადგილობრივად წარმოება და რეალიზაცია, სამელიორაციო სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლდეს დღგ-საგან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა 2000 წლის უდიდესმა გვალვამ, რომელმაც მოიცვა თითქმის მთელი საქართველო. განსაკუთრებით გაანადგურა კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მარცვლეულის, მზესუმზირის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, სხვა კულტურების ნათესები, სათიბები და საძოვრები. გვალვის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა აგრეთვე ვენახები და ხეხილის ბაღები. მიახლოებითი გაანგარიშებით სტიქიის შედეგად მარტო 2000 წლის მოსავლის

დანაკარგებით მიღებული ზარალი 400 მილიონ ლარს აჭარბებს. იგი უარყოფით გავლენას იქონიებს აგრეთვე მრავალწლოვანი კულტურების მომავალი წლების მოსავლიანობაზეც.

შექმნილი ექსტრემალური სიტუაცია მიუთითებს იმაზე, რომ აგრარიკოს მეწარმეთათვის გვალვისაგან მიყენებული ზარალის კომპენსირებას რამდენიმე წელი დასჭირდება.

ეკონომიკურად გაკოტრებული და დაკნინების გზაზე მდგომი ფერმერი ვერ შეძლებს იმ რაოდენობის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რომლითაც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ახალ ბაზრებზე შესვლის ამოცანის გადაჭრა იქნება შესაძლებელი. ასეთ პირობებში გადასახადები თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ იგი გლეხური (ფერმერული) მეურნეობების წარმოების განვითარებასა და ეკონომიკის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს.სოფლად დასადგურებული სიღარიბე ეკოლოგიური რესურების განადგურებას გამოიწვევს, რაც გამოიხატება ტყის ჩეხვაში, საძოვრებად მის გადაქცევაში და ეროზიის განვითარებაში. თესლბრუნვების უგულებელყოფა ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში დააჩქარებს ნიადაგის ნაყოფიერების დაცემის პროცესს.

ამდენად, კიდევ ერთხელ გვიხდება იმისი დაფიქსირება, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ზომიერი პროტექციონიზმისა და შესაბამისი ეკონომიკური ბაზისის გაუმჯობესების გარეშე.

P.S.პარაგრაფში მოტანილი ძველი მონაცემები შეძლებისდაგვარად შევცვალეთ.ცვლილებები არ შეხებია არსებულ პრობლემებზე გამოთქმულ აზრებს. ყველაფერი ეს გაკეთდა ერთი მიზნით. მკითხველმა თვითონ განსაჯოს რამდენად შეესაბამება ,,მაშინ" გამოთქმული აზრი, შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს.

2.6. საგადასახადო სისტემის სრულყოფის შესახებ (მარცვლეულისა და თამბაქოს მაგალითზე)

ბოლო წლების პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სერიოზული საგადასახადო ცვლილებებია განსახორციელებელი პურპროდუქტების სისტემაში, სადაც 1996 წელს გატარებული რეფორმების შედეგად მრავალი დადებითი შედეგი იქნა მიღწეული: დამკვიდრდა არაცენტრალიზებული ფასწარმოქმნისა და კონკურენციის გარემო, მიღწეულიქნა მოსახლეობის პურით მომარაგების უსაფრთხოება, ჩამოყალიბდა პურპროდუქტების რესურსების ზრდის ტენდენცია, გაუმჯობესდა ხარისხი, გამრავალფეროვნდა ასორტიმენტი,დაინერგა მოწინავე ტექნიკა და ტექნოლოგიები, შეიქმნა მრავალი ახალი საწარმო.

რეფორმის გატარების პირველ წლებში(1996-1997 წწ) დადებითი ძვრები იქნა მიღწეული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაწეული დახმარებებისა და მხარდაჭერის მეშვეობით, რაც გამოიხატა პურპროდუქტებზე ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის და სათბობ - ენერგეტიკულ რესურსებზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტსა და მომსახურებაზე შეღავათიანი ტარიფების დაწესებაში. შედეგად დარგი, რომელიც სახელმწიფოსაგან გამოყოფილი დოტაციებით არსებობდა, გადაიქცა ბიუჯეტის შევსების წყაროდ.

სამწუხაროდ შემდგომ წლებში საგადასახადო სისტემის ხშირმა და აბსოლუტურად დაუსაბუთებელმა ცვალებადობამ დარგი უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდო.

დღგ-ს შემოღებამ სტიმული დუკარგა ხორბლის წარმოებას. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1997 წელს, როდესაც ხორბალზე და მის ნაწარმზე მოქმედებდა ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, ხორბლის ნათესებმა შეადგინა 173,9 ათასი ჰა და წარმოებულიქნა 291,7 ათასი ტონა მარცვალი. საგადასახადო რეჟიმის გამკაცრების პარალელურად შემცირდა ნათესები და წარმოებული პროდუქცია. 1998 წელს დაითესა144,7 ათასი ჰა ხორბალი, ხოლო მოსავალმა 145 ათასი ტონა შეადგინა. 1999 წელს კი შესაბამისი მაჩვენებლები 106 ათას ჰა-ს და 230 ათას ტონას შეადგენდა.

ბოლო წლებში ჩამოყალიბდა პურპროდუქტების აღრიცხული რესურსების კლების ტენდენცია. უკიდურესად გააქტიურდა არაკეთილსინდისიერ ბიზნესმენთა საქმიანობა, რის შედეგადაც 1999 წელს ხორბლისა და ფქვილის აღრიცხული იმპორტი, ასევე ფქვილის ადგილობრივი წარმოება, თითქმის ორჯერ შემცირდა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით აღრიცხული პურის რაოდენობამ 113 ათასი ტონა შეადგინა, რაც ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით თითქმის შვიდჯერ ნაკლებია.

ამ მონაცემებით ვრწმუნდებით, რომ საგადასახადო ტარიფების ზრდით ბიუჯეტის შევსების პროპორციული ზრდა ვერ განხორციელდა. უფრო მეტიც, 1999 წელს, 1998 წელთან შედარებით (1998 წელს 6 თვის განმავლობაში მოქმედებდა პურ-პროდუქტებზე დღგ-ს 7%-იანი ტარიფი), ბიუჯეტში შენატანების ზრდის მაგივრად მივიღეთ ამ მაჩვენებელთა შემცირება (19,076 მლნ ლარი -1999 წელს,ნაცვლად 19,88 მლნ ლარისა 1998 წელს).

იმპორტულ მარცვალზე არსებული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს ფქვილის კონტრაბანდას. ამ გზით შემოსული ფქვილის ხარჯზე მოხდა ქვეყანაში ოფიციალურად დაფიქსირებული მარცვლეულის რესურსების შემცირება, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის პურპროდუქტებით მომარაგების საიმედოობაზე და ადგილობრივი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვაზე, მოსახლეობის დასაქმებაზე. ნეგატიური პროცესების მასშტაბებზე მეტყველებს ბოლო წლებში ერთ სულ მოსახლეზე პურის მოხმარების მაჩვენებელი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 1996 წელთან შედარებით, 1999 წლისათვის, საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე პურის დღიური მოხმარება მხოლოდ 57 გრამს შეადგენდა. თითქმის ყველა წისქვილკომბინატი და წისქვილქარხანა ან გაჩერებული ან გაჩერების ზღვარზე იყო. მათი სრულად ამოქმედებით, სხვა დადებით შედეგებთან ერთად, ქატოს და კომბინირებული საკვების გამოშვებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში შექმნილი პირუტყვის საკვების დიდი დეფიციტი, რომელიც გამოიწვია 2000 წლის გვალვებმა. ანალოგიური სიტუაციაა პურის ქარხნებში, რომელთა სადღეღამისო დატვირთვა 15-20 %-ს არ აღემატება. უმძიმესი პირობებია სასოფლო- სამეურნეო კულტურების, მათ შორის მარცვლეული კულტურების ადგილობრივად წარმოებაში. უკანასკნელ წლებში პურპროდუქტების სისტემაში შექმნილი სიტუაციის ანალიზზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს საგადასახდო კოდექსში შეტანილიქნეს ზოგიერთი ცვლილება და დამატება:

1. ხორბლის იმპორტი და პირველადი მიწოდება გათავისუფლდეს დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან;

2. ადგილობრივ საწარმოებში ხორბლის გადამუშავებულ პროდუქტზე და მაკარონის ნაწარმზე დღგ-ს განაკვეთმა შეადგინოს დასაბეგრი თანხის 10%;

არსებობს იტალიის სახლმწიფოს შესანიშნავი გამოცდილება, როცა ამგვარი მიდგომებით, საკუთარი წარმოების ხორბლით ნაწილობრივი უზრუნველყოფის პირობებში ქვეყანა გარედან იზიდავს ხორბლის დიდ რესურსს, როგორც საკუთარი ხარჯებისათვის, ასევე ევროპის ბაზრებისათვის ფქვილის მისაწოდებლად.იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტი წისქვილკომბინატია,არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ ფქვილით გავაჯეროთ არა მარტო საკუთარი, არამედ კავკასიური და ცენტრალური აზიის ბაზრებიც.ყოველივე აღნიშნული არის ჩვენი ქვეყნის ზღვისპირა მდებარეობის, ტრანსკავკასიური დერეფნის პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისა და საქართველოს ბიუჯეტის შევსების წყარო, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა;

3. პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელი ობიექტისთვის კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების ნაცვლად, შემოღებულიქნეს კომბინირებული ფიქსირებული გადასახადი, რომლის განაკვეთი პურის საცხობის სიმძლავრის ყოველ ერთ ტონაზე, თვეში 600 ლარი იქნება. დაბეგვრის შემოთავაზებული პირობების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებას, თანაბარ პირობებში მოაქცევს დარგის საწარმოებს.

საქართველოს მოსახლეობას პურის ცხობის არსებული რეჟიმის გათვალისწინებით სჭირდება დაახლოებით 1500 ტონის დღეღამური სიმძლავრე. თუ, ფიქსირებული გადასახადით დაიბეგრება 1500 ტონის დრეღამური სიმძლავრე ,მაშინ ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღებს:

1500 ტ/დღ. X 600 ლარი X 12=10,8 მლნ ლარს.

ამასთან ერთად, ბიუჯეტში დარჩება ფქვილის დღგ-ს თანხები, რადგან პურში ფიქსირებული გადასახადის შემოღების შემდეგ, ფქვილის დღგ-ზე ჩათვლის რეჟიმი არ გავრცელდება.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ფქვილის იმპორტი 2000 წელს 200 ათასი ტონის დონეზე იქნებო-

და. 1 ტონა ფქვილის ფასი საზღვარზე დაახლოებით 400 ლარს შეადგენს. დაბეგვის შემოთავაზებული ვარიანტით ბიუჯეტში შემოსვალი შეადგენს:

200000 ტ X 400 ლარი X 325=25,6 მლნ ლარი (32% შედგება 10% დღგ; 20% საბაჟო ბეგარა (პროექტი).

თუ, ფქვილის იმპორტი და საზღვარზე საკონტრაქტო ფასი შენარჩუნებული იქნება გაანგარიშების დონეზე, ხოლო დღგ დარჩება20%-ის, საბაჟო ტარიფი კი 12%-ის დონეზე, საკონტრაქტო ფასი გაიზრდება 34,5%-მდე და ბიუჯეტში შემოსავალი იქნება27,52 მლნ ლარი.დღგ-ს 10%-ისა და საბაჟო ტარიფის 12%-ის შემთხვევაში საკონტრაქტო ფასი გაიზრდება 23,2% და ბიუჯეტში შენატანი შეადგენს 18,56 ლარს.

რაც შეეხება ადგილობრივი ფქვილის წარმოებას, მან ზრდის ტენდენციაც რომ არ განიცადოს,მისი წლიური წარმოება 120 ათასი ტონა მაინც იქნება. საბიუჯეტო შემოსავლები ამ სფეროდან შეადგენს:

120000 ტ X 500 ლარი X 10% =6,0 მლნ ლარს.

გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფქვილზე დღგ-ს განაკვეთის 10%-ით შემცირებამ ხელი შეუწყო წარმოების განვითარებას, ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას არა მარტო ამ სფეროდან, არამედ დარგთან დაკავშირებული სტრუქტურებიდანაც.

მთლიანად, სახემწიფო ბიუჯეტში შემოსავლები დაბეგვრის შემოთავაზებული ვარიანტის დროს(ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული ხორბალი-0, ფქვილისა და მაკარონის წარმოება-10%,ხოლო იმპორტი-20% და პურისა და პურპროდუქტების წარმოება- ფიქსირებული)იქნება.

-პურისა და პურპროდუქტებიდან -10,8 მლნ ლარი

-ფქვილი იმპორტიდან-25,6 მლნ ლარი

-ადგილობრივი ფქვილიდან-6 მლნ ლარი

. . . . . .

სულ,42,4 მლნ ლარი;

ამ თანხას დაემატება ქატოზე და მაკარონის ნაწარმზე დარიცხული დღგ-ს თანხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე სავარაუდოა მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება,კერძოდ:

- წახალისდება ადგილობრივ ხორბლის წარმოება და გადამუშავება;
- გაიზრდება ქვეყანაში ხორბლის რესურსების რაოდენობა;
- შემცირდება ხორბლისა და ფქვილის კონტრაბანდით დაინტერესება;
- პურზე ფიქსირებული გადასახადით მინიმუმამდე შემცირდება აღურიცხავი პურის წარმოება და რეალიზაცია;
- ერთნაირ პირობებში მოექცევა დარგის ყველა საწარმო;
- და, ბოლოს, გაიზრდება ბიუჯეტში შენატანები;

მთლიანობაში, დაბეგვრის შემოთავაზებული განაკვეთების შემოღება ზღუდავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ამასთან, გაიზრდება იმპორტული ფქვილისაგან ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის დაცვის დონე, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს დამკვიდრებას, გაიზრდება ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობა, საბიუჯეტო შემოსავლები,გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები.

1999 წლის ბოლოს ადგილობრივი წარმოების და იმპორტული თამბაქოს ნაწარმზე სააქციზო გადასახასდების ზრდამ და მათმა გათანაბრებამ, როგორც მოსლოდნელი იყო, უყარყოფითი შედეგი გამოიღო. მკვეთრად შემცირდა როგორც წარმოება, ისე ბიუჯეტში შემოსავლები, გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის კონტრაბანდა, უაქციზო საქონლით ვაჭრობა. ადგილობრივი წარმოების სიგარეტმა დაკარგა ბაზრის ის უმნიშვნელო სეგმენტი, რომელიც დაკავებული ჰქონდა და, რომლის, დაბრუნებაც ძნელი იქნება.

2000 წლის 10 თვეში თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრიდან სულ მიღებულიქნა 33,8 მლნ ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 29,7 მლნ ლარით ნაკლები (52,5%). იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან ბიუჯეტში შევიდა 32,8 მლნ ლარი, წინა წლის 59,0 მლნ ლარის ნაცვლად (55,6%), ხოლო ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმიდან 594,0 ათასი ლარი,3,5 მლნ ლარის ნაცვლად (16,8%). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

1994 წლის თებელვალში კანადის მთავრობა იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეემცირებინა სიგარეტის დასაბეგრი თანხა, აშშ-დან მისი კონტრაბანდის თავიდან აცილების მიზნით,

რომელშიც კანადის მოსახლეობის დიდი ნაწილი იქნა ჩართული, როგორც კონტრაბანდული თამბაქოს შემომტანი, მისი რეალიზატორი და მომხმარებელი.კანადის ხელისუფლებამ სიგარეტის კონტრაბანდა აშშ-ში 20-30-იან წლებში მშრალი კანონის სახელმწიფოსათვის დამანგრეველ მოქმედებას შეადარა, იმ განსხვავებით, რომ მაშინ ალკოჰოლიანი სასმელები აშშ-ში კანადიდან შედიოდა, ხოლო სიგარეტი-პირიქით. ქვეყანაში ჩამოყალიბდა სიგარეტის კლანები, რომელთა არსებობასაც თვით მოსახლეობა უწყობდა ხელს-ოფიციალურთან შედარებით, რამდენიმე ცენტით იაფი სიგარეტის მასობრივად შესყიდვის გამო. მხოლოდ ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამკაცრებით კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა, კანადის სამართალდმცავებმა თაგვის სპილოსთან ჭიდილს შეადარეს (კომპანია ,,რ,ჯ. რეინოლდს ტობაცო ინტ"--ის მიერ აშშ საქართველოს საელჩოში წარმოეგენილი მასალები,19.03,1997 წელი);

მსოფლიო პრაქტიკა იმასაც გვიჩვენებს ,რომ(საგადასახადო სისტემის შესახებ მასალების მიმოხილვა) გადასახადების ლიბერალიზაციიდან ეფექტი განაკვეთის 3-4-ჯერ შემცირების პირობებში მიიღება. აქედან გამომდინარე,თამბაქოს ნაწარმიდან ხელშესახები შედეგის მიღება შესაძლებელი იქნება დაბეგვრის ძველ განაკვეთთან დაახლოებული სიდიდეების აღდგენის პირობებში. კერძოდ, ფილტრიან სიგარეტზე იგი უნდა შეადგენდეს 20 თეთრს, უფილტროზე -7 თეთრს. განაკვეთები ადგილობრივი წარმოების და იმპორტულ პროდუქციაზე უნდა იყოს ერთნაირი, იმ განსხვავებით, რომ იმპორტირებულზე საბაჟო ტარიფი მინიმალური ოდენობით იქნება დაწესებული.

გადასახადების ბუნება ასეთია:რაც ნაკლებია მისი განაკვეთი,მით მეტია წარმოება და შემოსავლები.გადასახადების ადრე არსებული ტარიფები შემთხვევით არ მოგვიტანია. ამით გვინდოდა გვეჩვენებინა ახალ გადასახადების დაწესების წინ,ადრე არსებულის შედეგების გათვალისწინება.ამას იმიტომ ვამბობთ,თითქოს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გაზრდა მწეველების რიცხვის შემცირებას გამოიწვევდა.ეს, სრული ფიქციაა. ძვირადღირებული სიგარეტის გაყიდვის შემცირება არ ნიშნავს მწეველთა რაოდენობის კლებას.ადამიანები ეწევიან კონტრაბანდით შემოტანილ თამბაქოს და თუთუნს,რომლებიც საქართველოში წარმოებული თამბაქოს ფოთლების წვრილად დაჭრის შედეგადაა მიღებული. ბოლო დროს შეინიშნება ასეთი თუთუნის მოხმარება და მასზე ფასების ზრდის ტენდენცია. ეკონომიკური მოვლენებისადმი სანამ ასეთი დამოკიდებულება გვექნება, ჩვენი საშველი არ იქნება. ჩვენ მოსაგვარებელი გვაქვს საზღვრები, გარდა თურქეთის რესპუბლიკისა.მწეველი ხომ თავისებური ნარკომანია - როცა ნიკოტინის დოზა ორგანიზმში უმცირდება, მაშინ უჩნდება ახალი სიგარეტის მოწევის სურვილი.

პირადად ჩვენ ბევრ ადამიანს ვიცნობთ, რომლებმაც თავი დაანებეს სიგარეტის მოწევას, მაგრამ ძალიან ბევრია ისეთიც, რომლებიც მუდმივად ანებებენ თავს მოწევას და თან მუდმივად ეწევიან.

2.7.ეკლესია და კოოპერატიული მშენებლობა

სოფლად კოოპერატიულმა მშენებლობამ რამდენიმე ისტორიული ეტაპი გაიარა.

პირველი კოოპერატივი საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1868წ) ჩამოყალიბდა და ეს პროცესი დინამიურად ვითარდებოდა მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე. საქართველოში გავრცელებული იყო როგორც საწარმოო, ასევე მომსახურების სფეროს კოოპერატივები, მათ შორის სხვადასხვა საკრედიტო და საფინანსო. მათი უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სფეროს განეკუთვნებოდა, რამდენადაც მაშინდელი საქართველო ტიპური აგრარული ქვეყანა იყო.

კოოპერირების ბუნებრივი პროცესი 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში კოლექტივიზაციის იძულებითმა პროცესმა ჩაანაცვლა.მოხდა მიწების,ცოცხალი გამწევი ძალის, მსხვილი სასოფლო- სამეურნეო ტექნიკის და წარმოების სხვა საშუალებების ექსპოპრიაცია, რასაც მხოლოდ ღატაკი და ღარიბი გლეხობა მიესალმა.პროცესი მრავალდარგოვანი კოოპერატივების მშენებლობის ეგიდით ხორციელდებოდა.

საქართველოში, სსრკ სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, კოლექტივიზაციის პროცესი ყველაზე გვიან, მესამე ეტაპზე, 1935 წლისათვის უნდა დასრულებულიყო.სხვა მიზეზებთან ერთად, საქართველოში მნიშვნელოვანი იყო კერძო

საკუთრებაში მრავალწლოვანი კულტურების არსებობა, რომ-ლის ტრანსფორმირება, როგორც ადრე, ისე ამჟამადაც მრავალ წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული.მრავალწლოვანი კულტურების წარმოების თუ ნაკვეთის მესაკუთრის შეცვლის რეგულაციები განსხვავებულ და განსაკუთრებულ პირობებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ წარმატებული კოლექტივიზაციის პრო-ცესში ეკლესია არ მონაწილეობდა, რადგან რამდენიმე წლის წინ თვითონ იყო პარტიული ზემოქმედების მსხვერპლი. ჩვენს სოფელში იმ დროს,ისევ ჩვენი თანასოფლელების მიერ დან-გრეული ხის სამლოცველოს ნაცვლად, დღემდე არაფერი აშენ-ებულა და სოფლელების დიდი ძალისხმევის მიუხედავად გვგო-ნია არაფერი არ აშენდება.

მიუხედავად სოფლის მეურნეობაში მიღწეული შედეგე-ბისა, რაც ძალის გამოყენებისა და აგრეთვე ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობისადმი პროტექციონისტული პოლი-ტიკის შედეგი იყო, მთლიანობაში კოლექტივიზაციის პროცე-სის უარყოფითი შეფასება დღემდე შემორჩენილია ოჯახურ და საზოგადოებრივ მეხსიერებაში, ლიტერატურასა და პრე-საში, უფრო მეტიც, იმ პერიოდმა ზემოქმედება იქონია თანა-მედროვეების მენტალიტეტის ფორმირებაზე.საზოგადოებაში ამიტომ ისმის კითხვა: მრავალდარგოვან კოოპერატივებში გაწევრიანება ხომ არ ნიშნავს კოლმეურნეობის აღდგენას?, პაის სახით მიწის შეთავაზება ხომ არ შეიცავს მისი ჩამორთ-მევის საშიშროებას?, რამდენად დემოკრატიულია კოოპერა-ტივების გამგეობების არჩევა და მისი მართვა?, რა პირობით შეიძლება კოოპერატივიდან გასვლა და მრავალი სხვა.არსებუ-ლი მენტალიტეტის შედეგია ის, რომ გლეხებს საქმის წამომ-წყებად მიაჩნიათ სახელმწიფო და არა სოფლელები, როცა სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა სიტუაციაზე პასუხისმგე-ბლობას აკისრებენ სახელმწიფოს და კრიტიკულად არ აფასებენ თანასოფლელების იუნიციატივობას.

ზოგადად, კოოპერატივების ჩამოყალიბებისადმი საზოგა-დოების დადებითი დამოკიდებულებისა აშკარაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები უარყოფითად იმოქმედებს კოოპერა-ტივების დაფუძნების პროცესზე.ეჭვების გაფანტვას სერიოზუ-ლი ახსნა- განმარტება დასჭირდება. დღევანდელი რეალობიდან

გამომდინარე კოოპერატიულ მშენებლობაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ეკლესიამ, რადგან დღეს ნდობა მის-დამი განუზომლად მაღალია.მიუხედავად ამისა, ეკლესიურობა ზოგიერთისათვის შეიძლება სულაც არ იყოს რწმენის ნამდვილი გამოხატულება, მაგრამ ეს მხოლოდ ეკლესიის სასარგებლოდ უფრო მეტყველებს, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ.მომავალი მართლმადიდებელი არასდროს არ შეეწინააღმდეგება სულით ხორცამდე მორწმუნე ადამიანს და არც გვერდზე გადგება,საზო-გადოების წინაშე თავს არ შეირცხვენს.

ეკლესიის გავლენის გათვალისწინებით, თუ იაპონიაში 1946 წელს, კოოპერატივებში გაერთიანებისაკენ ერს იმპერატორმა მოუწოდა, საქართველოში ეს სრულიად საქართველოს კათო-ლიკოს- პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ უნდა გაკეთოს. კოოპერაციული მშენებლობის თავ-ისებურებებიდან გამომდინარე, მთავრობის კანცელარიასთან უნდა ჩამოყალიბდეს განყოფილება, რომელიც საქართველოში კოოპერაციულ მშენებლობას გაუწევს კოორდინაციას.

საქართველოში სოფლად კოოპერატივების მშენებლობის დაწყების წინ სახეზე გვაქვს ხანდაზმული სოფელი, ადამიანუ-რი რესურსების, ფინანსების, წარმოების საშუალებების, კომუ-ნიკაციის დეფიციტი, არ ვიცით ბაზრის კონიუქტურა, ადგილი აქვს იმპორტის ზრდას, მუდმივ და სეზონურ მიგრაციას, მიწები დანაწევრებულია და მრავალი სხვა. რა ვქნათ, გავჩერდეთ, მი-ვუშვათ პროცესები თვითდინებაზე, თუ შევეცადოთ სიტუაცი-ის შემობრუნებას, რომელიც ყოველწლიურად უარესდება.ვინც ფიქრობს, რომ საქართველოსნაირ მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში ყველაფერს ბაზარი დაარეგულირებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.ჩვენ კი მათ გვერდით არ დავდგებით.წარსულ წლებში ასეთმა პოლიტიკამ მისი სრული განადგურება გამოიწვია.

ზემოთ აღნიშნული დეფიციტის პირობებში საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ვიწროსპეციალიზებული კოოპერატივები, რომლებიც დასპეციალიზებულნი იქნებიან სოფლის მეურნობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონის შესაბამისი პროდუქციის წარმოებაზე. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას მოგვცემს მოცემული პროდუქცია ვაწარმოოთ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელსაც საკმაოდ ბევრი და ყოველნაირი რე-

სურსი სჭირდება. ასეთ კოოპერატივში გაერთიანებით მიწების კონსოლიდაცია მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებას ქმნის და არა რესურსების თავმოყრის.

საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანებს ვეკითხებით: რა გვინდა ჩვენ? - ე.წ. ჩამორჩენილი კოლმეურნეობების დაფუძნება, პარტიის დავალებით ოთხი ფერმა, რომ ექნება, თუ ერთი რომელიმე პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზებული საწარმო, რომელიც რამდენიმე წელში ლოკომოტივივით ჩაიბამს სხვა დარგებს. ის, რაც კოოპერატივის გარეთ დარჩება, დარჩეს გლეხის კერძო საკუთრებაში. იგი კოოპერატივში გაერთიანებისას გაჩენილი ეჭვების საპირწონე იქნება.

თანამედროვე ეტაპზე წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია აუცილებელია. ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ყოველმხრივ გამართული, მასშტაბური წარმოება ხსნის გზად მიგვაჩნია.

ასეთი ვიწროსპეციალიზებული კოოპერატივები გლეხების საინიციატივო ჯგუფთან ერთად უნდა დაფუძნდეს იმათი მონაწილეობით, ვისიც გლეხებს სჯერათ. ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. ეს, ახალი საქმიანობით სახელმწიფოს დაინტერესებაზე მიგვანიშნებს. იგი სრულად შეესაბამება თანამედროვე გლეხის მენტალიტეტს, რომლის წინაპარმა სახელმწიფოს უშუალო ხელმძღვანელობით 70 წელზე მეტი იცხოვრა.

შემდგომი სუბიექტი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს კოოპერატივების მშენებლობაში, არის ეკლესია, მისი მთავრები, რაც ფაქტიურად ახალი საქმიანობისადმი რწმენის მაჩვენებელი იქნება და, რასაც, გადამწყვეტი როლი ენიჭება.

განსაკუთრებული როლი ენიჭება პროცესში სამეცნიერო წრის წარმომადგენლების მონაწილეობას, რომელიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარანტის როლს შეასრულებს.

2.8.წარუმატებლობის ფსიქოეკონომიკური ასპექტი

1. აგროსასურსათო სექტორში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის წარმოება და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. 2010 წელს,1988 წელთან შედარებით, რომელიც საბჭოური წარმოების ბოლო პერიოდის ყველაზე სტაბილური წელი იყო, ხორბლის წარმოება შემცირდა 5-ჯერ, სიმინდის-3,3-ჯერ, კარტოფილის-1,4-ჯერ, ბოსტნეულის-3,7-ჯერ, ყურძნის-5-ჯერ, ხილის- 5,3-ჯერ, ჩაის მწვანე ფოთლის-115-ჯერ, ციტრუსების-8,4-ჯერ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში საქართველოში შეწყდა ეთერზეთოვანი კულტურების, თამბაქოს, მრავალი სახის ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის სასაქონლო წარმოება. ამავე წლებში ყველა სახის ხორცის წარმოება (დაკლული წონით) შემცირდა 3,1-ჯერ. შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში, ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით,მნიშვნელოვნად დაბალია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება.2003 წელს იგი საშუალო ეროვნული დონის 30 პროცენტს, ხოლო 2010 წელს-19 პროცენტს შეადგენდა. დაბალი იყო წარმოების საქონლიანობის დონეც. ბაზარზე შინამეურნეობებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ 18 პროცენტი იყიდება, რაც მეურნეობის ნატურალურ ხასიათზე მიუთითებს. განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი რამდენიმე ათეულ მოქალაქეს ინახავს. ჩვენში სოფლის მეწარმეს თავისთავის გამოკვება უჭირს და შემოსავალს ძირითადად არააგრარული საქმიანობით ღებულობს. ჩამოყალიბდა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის შემცირების ტენდენცია. მან 2010 წელს მხოლოდ 7,3 პროცენტი შეადგინა.

2.დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ წლებში განვითარებული უარყოფითი მოვლენების გამომწვევი მიზეზები მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს. დამატებით შეიძლება აღინიშნოს საქართველოს აგროსასურსათო სექტორის სსრკ დახურული ბაზრის მოთხოვნისადმი მისადაგების შესახებ, რაც მრავალწლოვანი კულტურების უპირატეს განვითარებაში გამოიხატებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული საწარმოო სტრუქტურა წინააღმდეგობაში მოექცა ქვეყნის მოთხოვნებთან. გაჩნდა სერიოზული დეფიციტი მარცვალსა და მეცხოველეობის პროდუქტებზე, რომლებზეც ფასები გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე იგი ამ პროდუქტების ცენტრალიზებული მიწოდებისას იყო.მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მრავალწლოვანი კულტურების პროდუქციის წარმოების რეგულირება სერიოზულ პრობლემას წარ-

მოადგენს განვითარებულ ქვეყნებშიც კი - მომავალში პროდუქციაზე მოთხოვნის ძნელად პროგნოზირებისა და მისი მოკლე დროში დაკმაყოფილების შეუძლებლობის გამო. ის უბედურებად იქცა. ცალკე საკითხია ქართველი გლეხის დამოკიდებულება ვაზისა და სხვა მრავალწლოვანი ნარგობისადმი, რომელიც მის ყოფიერებასთან არის დაკავშირებული. იგი ვერ ეგუება ამ კულტურების ფართობების შემცირებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა პროდუქციაზე კონკურენტუნარიანი მოთხოვნა არ არსებობს. მას არ ესმის პროდუქციის წარმოების მოცულობის ბაზრის მოთხოვნისადმი შესაბამისობის აუცილებლობა

და, ყველა შემთხვევაში, საყვედურს ხელისუფლების მიმართ გამოთქვამს, რომელიც ამ პრობლემას არ ან ვერ აგვარებს.ძნელია სხვა რამეში დაარწმუნო პოსტსაბჭოთა პერიოდის გლეხი, რომლისგანაც ხელისუფლება არა თუ საზოგადოებრივ მეურნეობაში, არამედ საკარმიდამო ნაკვეთზე მოწეულ მოსავალს მთლიანად ყიდულობდა.აღნიშნულის გამო მისი ფსიქოლოგია ისე ჩამოყალიბდა, რომ იგი ვალდებულია აწარმოოს - ხოლო სახლმწიფო - შეისყიდოს. სხვა შემთხვევაში მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი შრომა არავის არ სჭირდება და, როცა, ასეთი დამოკიდებულება დიდხანს გაგრძელდება, იგი ურჩევ შვილებს - ან საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ ან სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი.გვაგონდება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გურიიდან გადმოცემული ტელერეპორტაჟი, როცა კორესპონდენტის კითხვაზე: მოკრეფს თუ არა იგი წლეულს ჩაის ფოთოლს, პლანტაციაში მდგომი გაბრაზებული გურული პასუხობს: ,,არ მოვკრეფ ჩაის“.

გლეხებზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს რჩევები მრავალწლოვანი ნარგაობის სხვა კულტურებით ჩანაცვლების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ, რადგან იგი დაკავშირებულია სოლიდურ ინვესტიციებთან,რომლის შესაძლებლობა არა თუ ცალკეულ, არამედ გაერთიანებულ გლეხობასაც არ გააჩნია. არც ბანკისგან სესხის აღების შესაძლებლობა აქვს,საგირავნო პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო. მრავალწლოვანი კულტურების ჩანაცვლება ძირითადად ხდება ნაკლები ხარჯების მქონე ერთწლოვანი კულტურებით (ვაზის ნარგაობის ხორბლით ან საზამთროთი),ან მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე, საკუთარი რესურსებით (ჩაის პლანტაციის თხილით და ა.შ.).

სხვა შემთხვევაში გლეხი იძულებულია მიყიდოს ფინანსური შესაძლებლობის მქონე კომპანიას ან პირს საკუთარი ნაკვეთი ან მისი ნაწილი, დაექირაოს მას და მიიღოს ხელფასი და არა პროდუქციის გაყიდვიდან კუთვნილი შემოსავალი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხდება დამქირავებლისაგან დამოკიდებული და მისდამი ფსიქოლოგიურად უარყოფითად განწყობილი. იგი ფიქრობს, რომ მასაც შეეძლო გაეკეთებინა ის, რასაც დამქირავებელი აკეთებს და რომ ამ უკანასკნელის ეკონომიკური წარმატება მხოლოდ გარემოებათა დამთხვევის და არა დამქირავებლის საბაზრო გარემოში შეგნებულად ქცევის შედეგია. უარყოფითი ემოციები, რაც დაკავშირებულია ადრე მის საკუთრებაში არსებულ მიწასთან ყოველდღიურ შეხებასა და იმავდროულად სხვისი მითითების შესრულების აუცილებლობასთან, სტანჯავს მას და თავის შთამომავლობას ურჩევს არ დაკავდეს სოფლის მეურნეობით.

3.არსებული რეალობისადმი გლეხის უარყოფითი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ხანგრძლივია მისი,,საბჭოური“ ბიოგრაფია. მას არ ახსენდება შემთხვევა, რომ საკუთარ მეურნეობაში მოწეული მოსავალი ვერ გაეყიდოს, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვისა და საკოლმეურნეო ბაზარზე არსებულ ფასებს შორის სხვაობის გამო საკარმიდამო ნაკვეთიდან პროდუქციის გაყიდვას ხშირად იძულებითი ხასიათი ჰქონდა. ცხადია, გლეხი ვერ აანალიზებდა იმას, რომ რაც უფრო მეტი პროდუქცია გავიდოდა ბაზარზე, ფასიც დაეცემოდა და რომ საკოლმეურნეო ბაზარზე შედარებით მაღალ ფასს საკარმიდამო მეურნეობებიდან პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა განაპირობებდა.

ცნობილია ისიც, რომ საზოგადოებრივ მეურნეობაში გლეხი ასრულებდა აგროტექნიკური სამუშაოების მხოლოდ ნაწილს. მაგალითად, ერთწლიან სათოხნ კულტურებში ხვნის, ნიადაგის თესვისწინა მომზადების, თესვის, რიგთაშორისების კულტივაციის,ს ასუქების შეტანის სამუშაოებს სატრაქტორო ბრიგადის წევრები ასრულებდნენ. გლეხის მოვალეობა იყო, ვთქვათ, სიმინდის ნათესის ორჯერ გათოხნა, მოსავლის აღება და სა-

ტრაქტორო მისაბმელით საზოგადოებრივი მეურნეობის კალოზე მიტანა, სიმინდის ფუჩეჩისაგან გამორჩევა და მისი წილი სიმინდის იგივე სატრაქტორო მისაბმელით სახლში წაღება. მისი მონაწილეობის გარეშე შესრულებული აგროტექნიკური სამუშაოების შესრულებაში იგი არაფერს არ იხდიდა. სრულ ხარჯებს საკარმიდამო ნაკვეთზეც არ ეწეოდა. სასუქები, შხამ-ქიმიკატები საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიჰქონდა, ხოლო მოსავალს სახელმწიფო იბარებდა.რჩევებსაც საზოგადოებრივი მეურნეობის სპეციალისტებიდან იღებდა.კარგი იყო თუ ცუდი ასეთი სისტემის არსებობა, სხვა საკითხია, მაგრამ ყველაფერი ეს პროდუქციის წარმოებას რომ ემსახურებოდა, ესეც ფაქტია. მაშინ პირად დამხმარე მეურნეობებს ეჭირათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 12 პროცენტი და მომსახურების იმ პაკეტის პირობებში აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 45-48%-ს, თანაც პირადი დამხმარე მეურნეობის მიერ პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვიდან მიღებული ფულადი შემოსავალი არ ებეგრებოდა. პირადი დამხმარე მეურნეობის ეკონომიკა იმის მაჩვენებელი იყო, თუ მომსახურების პაკეტის შენარჩუნების პირობებში რა გზით უნდა განვითარებულიყო ქვეყნის სოფლის მეურნეობა, რის საშუალებასაც, სამწუხაროდ, მაშინდელი უკიდურესად იდეოლოგიზებული პოლიტიკური სისტემა არ იძლეოდა. დღეს, გლეხის ფსიქიკა გაორებულია.იგი კმაყოფილია იმით, რომ საკუთრებაში აქვს ხელისუფლებისაგან უფასოდ გადაცემული მიწა, მაგრამ ვერ ეგუება იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოების ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული.

4.წლების მანძილზე გლეხი ძირითადად შემოსავალს მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის დარგებისაგან ღებულობდა. იგი ვერ ეგუება ამ კულტურების პროდუქციაზე ფასების ყოველწლიურ ცვლილებას. გლეხს რაღაც არ აგონდება, რომ საზოგადოებრივ თუ პირად დამხმარე მეურნეობაში ფიზიკური შრომის გარდა, წარმოების ორგანიზაციასთან დაკავშირებული რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება მიეღოს. არ ესმის ბაზრის პირობებში პროდუქციაზე ფასების ფორმირების მექანიზმი.როცა სასურველ შედეგს ვერ აღწევს, უჩნდება პროტესტი, როგორც ხელისუფლების, ისე გადამამუშავებელი საწარმოების მიმართ, რაც შეიძლება ხელისუფლების წინააღმ-

დეგ იქნეს მიმართული. მიმდინარე წელს ყურძნის ჩაბარების ორგანიზაციითა და დაბალი შესასყიდი ფასებით უკმაყოფილო გლეხებმა რუსეთის ბაზრის გახსნა მოითხოვეს.

წინ უფრო მძიმე გამოცდა გველის. ევროგაერთიანებასთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის პირობების შესრულებას, მაგალითად, მევენახეობაში, გლეხი ძნელად თუ მოახერხებს და იფიქრებს: ,,ესეც ხელისუფლების მოგონილია ღვინის ქარხნებს ყურძენი რომ არ მიაღებინონ, ხომ ვამბობდი: ხელისუფლებაც მაგათ მხარეზე არისო“. გლეხებისა და ღვინის ქარხნების ურთიერთდამოკიდებულებაში სერიოზული ფსიქოლოგიური ბარიერია გადასალახი.ეს წინააღმდეგობა ადრეც არსებობდა, თუმცა ახლა უფრო გამწვავებულია.მაშინ გლეხებს ღვინის ქარხნების მარცხენა შემოსავალი და ნედლეულსა და მზა პროდუქციაზე ფასების სხვაობა აღიზიანებდა, რადგან თვლიდა, რომ ფასთსხვაობა ღვინის ქარხნებს რჩებოდათ.დღეს სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. გლეხებს ღვინის ქარხნებში ყურძნის ნორმალურ ფასებში ჩაბარების პრობლემა უდგათ.

5.თუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 12%-ის განმკარგავები სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 45-48%-ს ქმნიდნენ, მიწის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ, პროდუქციის წარმოებაში სერიოზულ ძვრებს უნდა ჰქონოდა ადგილი. მოხდა კი პირიქით - მიწის რეფორმა საქართველოში ჩატარდა ნაჩქარევად, ქვეყანაში იმ დროს არსებული პოლიტიკური სიტუაციის გაუთვალისწინებლად, რამაც განაპირობა მიწის რეფორმის შესახებ მინისტრთა კაბინეტის დადგენილების გათვალისწინებული ყველა ამკრძალავი პუნქტის დარღვევა. სავარგულების მიტაცებას დაერთო საზოგადოებრივი მეურნეობების ქონების ძარცვა- გაჩანაგება. დამტაცებლის ფსიქოლოგია ასეთი იყო: ,,მე და ჩემს წინაპრებს ჩვენი წილი გვაქვს შეტანილი ამ ქონების შექმნაში და მეკუთვნის ის, რაც სახლში მიმაქვს. თუ ზედმეტი წავიღე, არა უშავს. სხვებსაც წაეღოთ და მე ზედმეტი არ შემხვდებოდა“.

მიწის რეფორმიდან გადაჭარბებული მოლოდინი იმ ადამიანებს ჰქონდათ, რომლებიც არ იცნობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში მიწების გაყიდვის ისტორიას - რუსეთში სტოლიპინის მიერ განხორციელებულ საადგილმამულო რეფორმას, გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოს 8 მთიან რაიონში საზოგადოე-

ბრივი მეურნეობების ლიკვიდაციისა და მოსახლეობაზე მიწების მიმაგრების შედეგებს, პარცელირებულ მიწებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს. ასეთი, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყო და მიწის რეფორმის შედეგად იმედგაცრუებასაც მასობრივი ხასიათი აქვს. უარყოფითი როლი იმანაც ითამაშა, რომ გლეხს, რომელსაც საზოგადოებრივ თუ პირად დამხმარე მეურნეობაში ძირითადად ფიზიკური ოპერაციების შესრულება უწევდა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სრული ჯაჭვის განხორციელება დაეკისრა, თანაც ლიბერალიზებული ფასების (ტარიფების, მოსაკრებლების) პირობებში. ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გატარებამ, რომლის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა გლეხისთვის ძნელად გასაგები იყო, გამოიწვია საზღვარგარეთიდან სუბსიდირებული, იაფი პროდუქციის მოზღვავება. ამას მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დაქვეითებამაც შეუწყო ხელი.

გლეხობამ იმის ნაცვლად, რომ გაერთიანებულიყვნენ და მათთვის ბოლომდე ამოუხსნელ წინააღმდეგობებს მიწის, მატერიალურ-ფინანსური და ადამიანური რესურსების კონსოლიდაციით დაპირისპირებოდნენ, კაპიტულანტური პოზიცია აირჩია და წარმოებაზე ხელი ჩაიქნია, რაშიც დიდი როლი შემორჩენილმა საბჭოურმა პოზიციამ ითამაშა: ,,სახელმწიფო ვალდებულია ჩვენზე იზრუნოს“. თუ, საბჭოთა დროს, სახელმწიფოს ჩარევას მათ საქმიანობაში ზედმეტად მიიჩნევდნენ, ახლანდელი ჩაურევლობა დანაშაულად მიაჩნდათ. გარდავამალი ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფომ სერიოზული როლი უნდა შეასრულოს გლეხების სწავლება - კონსულტირება-დანერგვის ორგანიზაციის, ყველა სახის საწარმოო და სოციალური მომსახურების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხელშეწყობის საქმეში. სახელმწიფოს სხვა თუ არაფერი, უნდა აშფოთებდეს გლეხის გაზარმაცების მიზეზები, სოფლებში არყით თრობის დამკვიდრება, სიღარიბისადმი შეჩვევის ტენდენცია და სხვა.

6. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი კოოპერაციული ან სხვა ფორმის გაერთიანებების ჩამოყალიბებაშია, რასაც ადასტურებს უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებაც.სადაო თითქოს არაფერია, მაგრამ პრობლემა ადგილიდან არ იძვრის.

თუ გავითვალისწინებთ გლეხის ფსიქოლოგიას, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთის მხრივ- მისი წარსულის გავლენით, ხოლო მეორეს მხრივ - არსებული დღევანდელობით-გასაკვირი არაფერია.კოოპერატივში გაერთიანების შეთავაზებისას გლეხი ფიქრობს, რომ ისევ კოლმეურნეობაში ეპატიჟებიან და საკუთრებაში არსებულ მიწას პაის სახით შეატანინებენ. ანდა, როცა გლეხს ეუბნებიან, კოოპერატივში გაერთიანება ნებაყოფლობითია და ამაში სახელმწიფო არ ერევაო, იგი უფრო ღიზიანდება და სახლმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას სახელმწიფოს მიერ გლეხის ინტერესების უგულებელყოფად მიიჩნევს.

ისევ გლეხის ფსიქოლოგიიდან და კოოპერატივის შექმნის საჭიროებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია ვიწროდ სპეციალიზებული კოოპერატივების ჩამოყალიბება. ამით თავიდან ავიცილებთ მრავალდარგიანობას, რომელიც წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება. საწყის ეტაპზე მომგებიანი იქნება კოოპერატივის შექმნა საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით, რომელიც ამ ზონისათვის წამყვანი პროდუქციის წარმოებაზე იქნება დასპეციალიზებული.

რაც შეეხება თვით კოოპერატივის ჩამოყალიბების პროცესს, მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს გლეხების საინიციატივო ჯგუფმა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა. ეს, კოოპერატივების ჩამოყალიბებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ტოლფასი იქნება(საეკლესიო პირებმა უნდა გასწიონ მუშაობა გლეხობაში დაწყებული საქმისა და მომავლისადმი რწმენის განმტკიცების, ხოლო მეცნიერებმა-ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით). კოოპერატივების მშენებლობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა შეესაბამება შექმნილ მდგომარეობას, გლეხის ფსიქოლოგიას, რომელიც უკეთეს შემთხვევაში- გაორებულია.

2.9.საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) შუქ-ჩრდილები

გამოქვეყნდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) სამუშაო ვერსია (WWW.mepa.gov.ge.2008.19.), სადაც აღნიშნულია, რომ საქა-

რთველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი და ქვეყნისათვის უპრეცედენტო ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის, რაც ამ მიმართულებით მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციებში გამოიხატა. ამავე დროს, დოკუმენტში დეტალურადაა მითითებული თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების შესახებ. კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველოს სოფელი კვლავ მრავალი გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის ისეთებისა, როგორიცაა: სტრუქტურული სისუსტეები; მეწარმეობის და დამატებითი ღირებულების შექმნის დაბალი დონე; შრომატევადი და დაბალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორი; ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების დაბალი მაჩვენებელი; სოფლად ინვესტიციების დაბალი დონე; სხვადასხვა სახის მომსახურებაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; მოძველებული ინფრასტრუქტურა; რეგიონული უთანასწორობის ზრდა; მოსახლეობის სიღარიბეში ყოფნის მაღალი რისკები და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოს არადამაკმაყოფილებელი დაცვა, რაც საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობას და მთლიანად ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ ასე კონცენტრირებულად და ნათლად საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები სხვა კონცეფციებში, სტრატეგიებსა და პროგრამებში, რომელთა სიმცირეს ნამდვილად არ განვიცდით, ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

,,სტრატეგია", რომელიც შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეუნეობის სამინისტროს მიერ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მხარდაჭერით, მიზნად ისახავს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან გარდატეხა, სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებას.

აგროსასურსათო სექტორში დაგროვილი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაშვებული ღრმა და, ზოგჯერ, დღემდე გამოუსწორებელი შეცდომების შედეგია, რასაც მრავალი

სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა და თითქმის ყველა ავტორი პრობლემის შეფასებაში სოლიდარულები არიან.

,,სტრატეგიაში" პირველად არის ნაჩვენები, თუ რა ადგილს დაიკავებდა საქართველო ევროკავშირის 28 ქვეყანას შორის ტერიტორიის, მოსახლეობის სიმჭიდროვის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, იგი ევროკავშირის წევრი რომ იყოს.

,,სტრატეგიაში" მოცემულია საქართველოს ტერიტორიის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაჩვენებლები, ქვეყნის მოსახლეობა ქალაქად და სოფლად და 2050 წლისათვის სოფლის მოსახლეობის წილი და მთლიანი რაოდენობა, მიგრაციული პროცესები და მისი გამომწვევი მიზეზები, დემოგრაფიული სიტუაცია, მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფები რეგიონების მიხედვით, სამუშაო ძალით ფაქტიური უზრუნველყოფა და მისი პერსპექტივები, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების მაჩვენებლები, გადამამუშავებელი სიმძლავრეები, წყლით უზრუნველყოფილი სახნავების და საძოვრების, დაშრობილი მიწების რაოდენობა და ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები და სხვა.

,,სტრატეგიას" თან ახლავს გეგმა, სადაც მოცემულია პრობლემების, საკითხების, დარგების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და დაფინანსების წყაროები.

ამავე დროს, სამოქმედო გეგმის გაცნობა ბადებს მრავალ კითხვას, რომლებსაც ,,სტრატეგია" ვერ პასუხობს;

პირველი. ეს არის სხვაობა პრობლემების ჩამონათვალსა და სამოქმედო პროგრამით განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის. პროგრამაში მოცემულია მხოლოდ პრობლემების ჩამონათვალი. თუ, მომავალში ასეთი მიდგომა შენარჩუნდება, მაშინ საჭიროა გაირკვეს, აქედან რომლის გადაწყვეტას ვაპირებთ და როდის.

ჩვენ გვესმის, რომ ყველა პრობლემა ბიუჯეტის დაფინანსებით ვერ გადაწყდება. მას სხვა წყაროებიდან მოზიდული თანხებიც არ ეყოფა. მაშინ, რატომ ვადგენთ სტრატეგიას - იმისათვის ხომ არა, რომ ჩვენი ცოდნა გამოვავლინოთ და ვაჩვენოთ, თუ რა პრობლემებითაა დატვირთული სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება.გვრჩება შტაბეჭდილება, რომ სამწუხაროდ ეს ასეა.

მეორე- ,, სტრატეგია“ ეხება ყველაფერს, რაც ისედაც ნათლად ჩანს და არ გამოყოფს მთავარს, რომლის გადაწყვეტის გარეშეც პრობლემები ვერ მოგვარდება.

ჩვენი აზრით ,,სტრატეგიაში“ ყურადღება უნდა დაეთმოს მთავარ, საკვანძო საკითხებს, რომელთა მოგვარება, მრავალი თანმდევი პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი გახდება. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება გამოიკვეთოს ის პრიორიტეტები, რომლთა დაფინანსება პირველ რიგშია გასათვალისწინებული.

მესამე - ,,სტრატეგიაში“ გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალდარგიანია, რაც მოცემულ ეტაპზე, თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის განვითარებისათვის არა ხელშემწყობ, არამედ ხელისშემშლელ პირობად გვევლინება. გლეხები და ფერმერები აწარმოებენ იმ სახის და რაოდენობის პროდუქციას, რომლის წარმოებაც ყველაზე კარგად ეხერხებათ. არავინ ითვალისწინებს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას და რომც უნდოდეთ, მაინც ვერ შეძლებენ, რადგან ამ მიმართულებით არ მოქმედებს არავითარი ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული რეგულაცია.ბუნებას მინდობილი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ საბაზრო ეკონომიკურ სივრცეში მუშაობის გამოცდილება, მხოლოდ თავიანთ შეცდომებზე სწავლობენ, თუმცა ეს არ ქმნის იმის გარანტიას, რომ ისინი შეძლებენ დაშვებული შეცდომებისაგან თავის დაღწევას.

ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, მომსახურების დაბალი დონე და მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც აღვნიშნეთ, წარმოების მუხრუჭია, რადგან ის აფერხებს საწარმოო ძალთა კონცენტრაციას, მოცემული საწარმოო სპეციალიზაციის ზონისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროდუქციის წარმოებაზე. არაგეგმურ ეკონომიკაში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს მედიატორის როლი და მან ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით ხელი უნდა შეუწყოს იმ პროდუქციის წარმოებას, რომელიც ყველაზე მომგებიანი იქნება საწარმოო სპეციალიზაციის მოცემულ ზონაში. ეს, ხელს შეუწყობს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცებას.

სახელმწიფო ხელშეწყობის ფორმა შეიძლება იყოს შესასყიდი ფასების ან საწარმოო მომსახურებისთვის საჭირო საშუალებების (მინერალური სასუქი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ან სხვა) შესასყიდი ფასების სუბსიდირება ან ნათესი (ნარგავი) ფართობის ერთეულზე, პირუტყვის სულადობაზე გაანგარიშებით წარმოების წახალისება.

სუბსიდირების თანხის მოცულობა დამოკიდებული იქნება მიმდინარე წელს მოცემულ პროდუქტებზე ფორმირებულ საბაზრო ფასებზე. თუ, მოცემული სახის პროდუქციის ბაზარზე ყალიბდება ფასები, რომლებიც უზრუნველყოფენ დადგენილ რენტაბელობას და მასზე ბევრად მეტია, ბუნებრივია, ასეთ პირობებში შესასყიდი ფასების სუბსიდირება არ მოხდება. როცა საბაზრო ფასები ვერ უზრუნველყოფენ წარმოებისათვის დადგენილ რენტაბელობას, შესასყიდი ფასის სუბსიდირების ოდენობა განისაზღვრება იმ ოდენობის თანხით, რომელიც საჭიროა მოგების დადგენილი ნორმის მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული პრობლემების წამოწევით ,,სტრატეგია“ სულ სხვა შინაარსს იძენს და, რაც მთავარია, ყალიბდება მყარი ურთიერთობები მყიდველსა და გამყიდველს შორის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების სუბსიდირება, თუ ეკონომიკური ზემოქმედების სხვა ფორმების გამოყენება, ის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტითაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები აღწევენ პროდუქციის წარმოების გაზრდას. ეს ტენდენცია მით უფრო მასშტაბური გახდება, რაც მეტად მივუახლოვდებით 2030-2050 წლებს, როცა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და მსოფლიო ბანკის მიერ დაანონსებულია სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობა და მისი გაძვირება.ასეთი მოლოდინის პირობებში შეუძლებელია ,,სტრატეგიის“ყურადღების გარეშე დარჩეს ეს საკითხი და არ იქნეს შემოთავაზებული მისი დაძლევის გზები.

მეოთხე- საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გაგვაჩნია 630 ათასი ჰა სახნავი, საიდანაც სხვადასხვა კულტურების ქვეშ ითესება მისი მესამედი. დანარჩენი მიწები კი მიტოვებულია, რაც მცირემიწიანი ქვეყნისათვის დანაშაულის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს. მარტო საშემოდგომო ხორბ-

ლის ნათესები 1988 წელს აღემატებოდა 93 ათას ჰექტარს, ხოლო 2018 წლისათვის ის შემცირდა 2-ჯერზე მეტად. არ შეიძლება ასეთი გულგრილი ვიყოთ არსებული პრობლემისადმი და მასზე მსჯელობა არ იყოს ,,სტრატეგიაში". თუ, მსოფლიო გამოცდილებას გავიზიარებთ, არსებობს მიწების დაუმუშავებლად დატოვების აღმოფხვრის ორი გზა: ერთი- ეს არის მიწის ბაზრის განვითარება და მეორე-კერძო მექანიზებული რაზმების ჩამოყალიბება.

კონკრეტული პრობლემისადმი კონკრეტული მიდგომა განაპირობებს მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას. კერძოდ, მექანიზებული რაზმების ფუნქციონირება აყენებს საკითხს მიწის საკუთრების კანონის ახალ რეალობასთან მისადაგების შესახებ. კანონმა უნდა აიძულოს მიწის მესაკუთრე არ დატოვოს მიწა დაუმუშავებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს მიწაზე საკუთების უფლების შეწყვეტა.

მეხუთე-საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო ხორბლით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფას, რომელიც ძირითადად რუსეთიდან იმპორტირებული მარცვლით ივსება. წლების მიხედვით საკუთარი ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8-18%-ს შორის მერყეობს. სპეციალისტების გათვლებით, ამ მაჩვენებლის გაზრდა შესაძლებელია 60-65%-მდე. ამისათვის საჭიროა დაითესოს 110-120 ათასი ჰა ხორბალი და მისი მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე იყოს 3-3, 5 ტონამდე, რაც ხორბლის თანამედროვე ჯიშების და აგროტექნიკის გამოყენების პირობებში, მიუღწეველი სულაც არ არის. ამისათვის აუცილებელია სერთიფიცირებული საწყობების მეშვეობით ხორბლის შესყიდვის და შენახვის წესის შემოღება, რომელიც წარმატებით გამოიყენება აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებსა და ყაზახეთში.

ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფის პროცესში ჩართული არის სერთიფიცირებული საწყობის მესაკუთრეები, ხორბლის მწარმოებელი კოოპერატივები და კომერციული ბანკი. როგორც ვხედავთ, პროცესში არ მონაწილეობს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, გარდა მასერთიფიცირებელი ორგანოსი, რომელიც ხორბლის შესყიდვისა და შენახვის უფლებას ანიჭებს იმ

საწყობს, რომელიც აკმაყოფილებს სერთიფიკატის მიღებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს.

სერთიფიცირებული საწყობის მეპატრონე აფორმებს ხელშეკრულებას ხორბლის მწარმოებელ კოოპერატივთან, რომელსაც თან ერთვის კოოპერატივის წევრების სია, რომლის ასლსაც საწყობი უგზავნის პროცესში მონაწილე კომერციულ ბანკს, რომელიც თავის მხრივ, კოოპერატივის წევრებს უხსნის საბანკო ანგარიშებს.

აღნიშნული სქემით, რომელშიც შედიან-სერთიფიცირებული საწყობი, კოოპერატივები და კომერციული ბანკი, წყდება ხორბლის შესყიდვისა და შენახვის პრობლემა. ხორბლის მწარმოებელს შეუძლია საწყობთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ დადგენილი ფასებით მიყიდოს სერტიფიცირებულ საწყობს მოსავლის ნაწილი, ნაწილი კი შეინახოს საწყობში და იგი გამოიყენოს როგორც გირაო, სესხის ასაღებად. სესხის გაფორმება კოოპერატივის წევრებზე ხდება თითქმის ავტომატურ რეჟიმში.საწყობი პერიოდულად ატყობინებს ბანკს მის ბენეფიციარებზე რიცხული ხორბლის რაოდენობის, შენახვის ვადის და შენახული პროდუქციის საბაზრო ღირებულების შესახებ. კოოპერატორი ატყობინებს ბანკს, რომ სურს სესხის აღება. ბანკი სესხს აფორმებს კლიენტის სახელზე და ატყობინებს მას რაოდენობის შესახებ, რომელიც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შენახული ხორბლის ღირებულების 60%-ს შეადგენს.

ხორბლის შესყიდვის არსებული სქემა რადიკალურად განსხვავებულია დღეს საქართველოში მოქმედი პირობებისაგან, რომლის მიხედვით ხორბლის შესყიდვა აწყობს მხოლოდ მყიდველს და არავითარ შემთხვევაში მის გამყიდველს.

მეექვსე-სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა ხდება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც მითითებულია პროდუქციის წარმომდგენის პირობები და საორიენტაციო შესასყიდი ფასი. შესყიდვის კარგად ორგანიზებულმა პროცესმა შეიძლება მოიცვას არა მარტო სოფელში, არამედ სოფლის მიმდებარე ტყეებში ველურად მზარდი მცენარეების ნაყოფები, რაც შექმნის საფუძველს მყიდველსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესასრულებლად.

პროდუქციის შესყიდვის სქემა ასე წარმოგვიდგენია:თითოეულ სოფელში უნდა მოეწყოს სათანადოდ აღჭურვილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემსყიდველი ბაზა, რომელიც ამავე დროს იქნება მუნიციპალიტეტში არსებული შემსყიდველი ბაზის ფილიალი. შემსყიდველი ბაზები პროდუქციას მიაწვდიან მსხვილ ქალაქებში გაადგილებულ ე.წ. მწვანე ბაზრებს, სადაც მოხდება პროდუქციის დახარისხება, შეფუთვა და სავაჭრო ქსელისათვის მიწოდება. დახარისხებისას გამოწუნებული პროდუქცია სავაჭრო ქსელიდან დაბრუნებულ ამავე ტიპის პროდუქციასთან ერთად გამოიყენება სამრეწველო გადამუშავებისათვის.

ბუნებრივია, აღნიშნული სქემის განხორციელება მოითხოვს სერიოზულ ხარჯებს, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს კერძო სტრუქტურებთან ერთად, სახელმწიფოს ხელშეწყობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ,,სტრატეგიის“ავტორებმა კარგად იციან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების წინაშე მდგომი პრობლემები, მაგრამ ნაკლებად ხელეწიფებათ მათგან მთავარის გამოყოფა, რომლის გარეშეც შეუძლებელია სერიოზული გარღვევის მიღწევა.

თავი III.
აგროსასურსათო სექტორის განვითარების ახალი ხედვები

3.1.სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისათვის

I. არსებული მდგომარეობა. საქართველო მიწათმოქმედთა უძველესი ქვეყანაა და ასეთად დარჩება. დღევანდელ ეტაპზე მომსახურების, საინფორმაციო და სხვა ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ადეკვატურია და მისი დაპირისპირება სოფლის მეურნეობასა თუ ეკონომიკის სხვა რეალურ დარგებთან შეცდომაა;

დამოუკიდებელ საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოელი დონორების დახმარებით განხორციელებული რეფორმების მიუხედავად (ფულად-საკრედიტო, მიწის, სხვა უძრავი ქონების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა (გაერო) და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გაწევრიანება და მრავალი სხვა) საქართველო ეკონომიკურად ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას ჩამორჩა და წარმოების მაშინდელ დონეს დღემდე ვერ მიაღწია;

სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზების ახსნაში ქართველი მკვლევარების აზრი სოლიდარულია და ცენტრალიზებულად მართული გეგმური ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანისათვის უკიდურესად ლიბერალური მიდგომების გამოყენებაში მდგომარეობს. საქართველომ უმეტესი პოსტსოციალური ქვეყნის მსგავსად, არ გაიზიარა გაეროს ჟენევის ეკონომიკური კომისიის რეკომენდაცია - საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით, მკაცრი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში გადასვლის თაობაზე:

- დამოუკიდებელ საქართველოში სოფლის მეურნეობის თუ მისი ცალკეული დარგის განვითარებას მრავალი სამეცნიერო დაწესებულების, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ჯგუფების, სამინისტროებისა და სხვა უწყებების, ფიზიკური პირების მიერ შემუშავებული კონცეფცია თუ სტრატეგია მიეძღვნა. ზოგიერთი მათგანი პრეზიდენტის

ბრძანებულებით თუ მთავრობის დადგენილებით იქნა მოწონებული. მიუხედავად ამისა, არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა ქვეყნის რეალური ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა სახის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობის გამო;

- გაეროსა და მსოფლიო ბანკის (მბ) პროგნოზით, ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც მსოფლიოს და, მათ შორის, საქართველოს ელოდება, არის მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობა. ეს, გამოიწვევს განვითარებული ქვეყნების აგრარული პოლიტიკის შეცვლას - სურსათზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებაზე აქცენტის გაკეთებას, რაც სერიოზულად აისახება, როგორც სურსათის მუდმივი დეფიციტის მქონე, ისე დროებით იმპორტდამოკიდებული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებაზე;
- ბუნებრივად და ეკონომიკურად დანაწევრებული მიწები, მეურნეობების მწირი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გლეხებისათვის (ფერმერებისათვის) არახელსაყრელი საკრედიტო სისტემა, უცოდინარობა, ფასების ზრდა (არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გამო), ადგილობრივი ბაზრის დაკარგვა, იმპორტის მოძალება, წარმოების ნატურალიზაცია - ასეთია საქართველოში თანამედროვე სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები;
- ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს გლეხობაში დაუცველობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას, პერსპექტივის განცდის უქონლობას, სარჩოს საძებნელად ყველა სახის მიგრაციის განვითარებას, გაწბილებული სოფლის მოსახლეობის არყით თრობისკენ მიდრეკილებას;
- ქვეყანაში არ ინერგება ახალი ტექნოლოგიები, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. მოშლილი და განადგურებულია აგრარული მეცნიერება. არ არსებობს კადრების მომზადების, გადამზადების, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის, კონსულტირებისა და სწავლების ცენტრები;

- სუსტია კავშირები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ორგანიზაციებთან, უცხოურ ფირმებთან - საგნის უცოდინარობისა და ენობრივი ბარიერების გამო. ფინანსური დახმარებით განხორციელებული ცალკეული პროექტები არასიცოცხლისუნარიანია - მათი გავრცელების ეკონომიკური თუ სხვა სახის მოტივაციის უქონლობის გამო;
- კომერციული ბანკების მიერ სოფლის მეურნეობის დაკრედიტება ფაქტიურად იგნორირებულია. ყველაზე შედეგიან წელს იგი ყველა სახის კრედიტის მხოლოდ 1,5-2%-ს შეადგენდა. ისიც ძირითადად, ცხელი ფულის სეგმენტში;
- სოფელმა დაკარგა ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარი, რაც სოფლის მეურნეობის სამეურნეო-საწარმოო და ფინანსური მექანიზმების სისუსტის მაჩვენებელია;
- სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემცირება, მიწების გაღარიბება, დეგრადირება, დამლაშების, გაბიცობების, გაუდაბნოების პროცესების გაფართოება, ეკოლოგიური კატასტროფის ახალი კერების გაჩენა, ყველა სახის ეროზიის გაძლიერება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაუტარებლობა განაპირობებს მიწის ნაყოფიერების დაბალ დონეს. ერთი ქართველი გლეხი (ფერმერი) მხოლოდ 0,87 ადამიანს ინახავს;
- სოფლად სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციული ინსტიტუტის შესუსტება საერთო გაჭირვების ყველაზე ნათელი ინდიკატორია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გურიაში, სამეგრელოში, ქვემო აჭარაში, იმერეთის უმეტეს რაიონებში;
- კვლავ მწვავედ დგას მთის პრობლემა, რაც დემოგრაფიული კატასტროფის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მთამ დაკარგა ერის გამრავლების ისტორიული ფუნქცია;
- სოფლის წარუმატებლობაში სერიოზულია მეწარმის მენტალიტეტის როლი. გლეხი (ფერმერი) არასდროს არ ასრულებდა საწარმოო ჯაჭვის ყველა ოპერაციას არა თუ საზოგადოებრივ, არამედ პირად დამხმარე მეურნეობაშიც კი. იგი ყოველთვის თვლიდა, რომ საწარმოო ტექნოლო-

გიების ნაწილს სხვა, მისი გაგებით, სახელმწიფო ასრულებდა. ამ და სხვა მიზეზების გამო, მას ჩამოუყალიბდა სახელმწიფოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება - იქ სადაც არ არის სახელმწიფოს ინიციატივა, არ ხდება მისი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების გამოყენება, იმ საქმეს პერსპექტივა არ გააჩნია;

- საქართველოში სოფლად არსებული მძიმე მდგომარეობა სერიოზულ გავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე, მის პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

II. პოზიტიური ძვრები. არჩევნებით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი რამდენიმეჯერ გაიზარდა და იგი ძირითადად სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციასა და სასოფლო-სამეურნეო .ტექნიკის შეძენასა და მომსახურებაზე იქნა მიმართული:

- კახელ გლეხებს აუნაზღაურდათ სტიქიით მიყენებული ზარალი. კახეთსა და რაჭაში, აგრეთვე მეციტრუსეობის რაიონებში, განხორციელდა ყურძნისა და ციტრუსების შესყიდვის ფასების სუბსიდირება.
- რეგიონების მიხედვით შენდება სამანქანო-ტექნოლოგიური სადგურები. მნიშვნელოვნად გაიზარდა მელიორირებული მიწების ფართობები. მცირემიწიანი გლეხებისათვის შესრულდა საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოები;
- მოხერხდა ქართული ღვინისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების რუსეთის ბაზარზე დაბრუნება, რასაც სერიოზული გაფრთხილება სჭირდება. აღნიშნულის პარალელურად გრძელდება ქართული აგრარული პროდუქციისათვის ბაზრის დივერსიფიცირების სამუშაოები;
- რაიონებში ჩამოყალიბდა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც კონკურსის წესით დაკომპლექტდა გამოცდილი კადრებით;
- ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფილი თანხებით გათვალისწინებულია სასელექციო სამუშაოების, მეთესლეობის, სანაშენე საქმის, ჯიშთაგამოცდის, სერთიფიცირების სისტემების აღდგენა, სხვადასხვა პროგრამების დაფინანსება.

- იაფი აგროკრედიტით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელმა 212 ქარხანამ ისარგებლა.
- სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", რომლის საფუძველზე სამინისტროში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

III. პრაქტიკით ნაკარნახევი ხედვები. მიუხედავად სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობისა, არ შეიძლება მიზნად დავისახოთ მისი მოკლე დროში აღდგენისა და განვითარების ამოცანა, რადგან იგი დამოკიდებულია დანაწევრებული მიწების კონსოლიდაციაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არსებობასა და გამოყენებაზე, სასუქებით, შხამქიმიკატებით, მაღალი ხარისხის თესლით, ნერგით გლეხური (ფერმერული) მეურნეობების მომარაგებაზე, სამელიორაციო სისტემის განვითარებაზე, პროდუქციის შესყიდვისა და შენახვის სისტემების, საკრედიტო მექანიზმების, კადრების მომზადების, მეცნიერების განვითარების შესაძლებლობების არსებობაზე;

- სოფლის მეურნეობის რეაბილიტაცია და შემდგომო განვითარება უნდა მოხდეს თანდათანობით და დავიწყოთ იმ დარგიდან ან დარგის იმ ტექნოლოგიური სეგმენტიდან, სადაც ყველაზე მეტი გამოცდილება და შესაძლებლობა გაგვაჩნია. უმჯობესია იგი იყოს ზონის საწარმოო სპეციალიზაციის შესაბამისი პროდუქცია ან უარეს შემთხვევაში, პროდუქტების ჯგუფი;
- სერიოზულ მიდგომას საჭიროებს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლის გარეშეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი ბაზრის დაბრუნება, საექსპორტო პროდუქციის წარმოება.
- ჩვენ არ გაგვაჩნია მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობა. სხვა ფაქტორებთან ერთად, ამას ხელს უშლის თვით მოსახლეობის ინდიფერენტული დამოკიდებულება სიახლეებისადმი.
- გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში, სადაც ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა ტოტალურ ხასიათს ატარებს, შეუძლებელია არსებობდეს თუნდაც ერთი დარგი, რომელიც ამ თვალსაზრისით დაწინაურებული იქნება;

- ასეთ სიტუაციაში უნდა დავიწყოთ ტექნოლოგიის საწყისი ეტაპების განხორციელებით, ისეთნაირად, რომ ათვისებული ტექნოლოგიები მომდევნო სამუშაოების საფუძვლად იქნეს გამოყენებული.
- სოფლის მეურნეობის ყველა დარგი სერიოზულადაა დაზიანებული, ხოლო ბევრი მათგანი საერთოდ გამქრალია (საადრეო ბოსტნეულის, ეთერზეთების, თამბაქოს, ჩაის წარმოება). შეზღუდულია ინტენსიური წარმოებისა და მოსახლეობის დასაქმების სფეროები.
- სასოფლო-სამეურნეო დარგების რეაბილიტაციის სამუშაოებში სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს, რადგან არსებულ სიტუაციაში შეუძლებელია სოფლის მეურნეობით ბიზნესის დაინტერესება. დღეს სოფლად უპირატესად სოციალური საკითხებია გადასაწყვეტი, რაც კერძო ინვესტორს ნაკლებად აინტერესებს.
- რეაბილიტაციისათვის შერჩეული უნდა იქნეს დარგები, რომლებიც მოსახლეობის მეტი მასის მოცვის საშუალებას იძლევა. ვთქვათ - მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა და ა.შ. დარგის რეაბილიტაციისადმი ასეთი სექტორალური მიდგომა გამოიწვევს არა მარტო მოსახლეობის დიდი მასის სოციალ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, არამედ ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას, პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრებას;
- სერიოზული ძალისხმევაა საჭირო სწავლება-კონსულტურება-დანერგვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად ანუ მეცნიერების კომერციალიზაციისაკენ. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იგი ერთობლივად უნდა განახორციელონ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და აგრარულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა;
- სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს სოფლის მეურნეობის ობიექტების დაკრედიტების დღემდე მოქმედი სქემები, რადგან არც ერთი მათგანი ქმედითუნარიანი არ არის, მათ შორის არც იაფი აგროკრედიტის კომპონენტი. ძირითადი შემაფერხებელი პირობებია ლიკვიდური საგირავნო ქონების, საკუთარი ფინანსური რესურსების, წარმოების

ისტორიის უქონლობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ფინანსური ნაკადების მართვის უცოდინარობა;
- აგრარული წარმოების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია პროდუქციის შესყიდვის მოუგვარებლობა, რომელიც ძირითადად წვრილი შემსყიდველების მიერ ხდება. ისინი სერიოზულ გავლენას ახდენენ საცალო ფასის ფორმირებაზე და ამით აზარალებენ მომხმარებელს. შესყიდვის ეს ფორმა გამორიცხავს შემგროვებელი პუნქტების, ღია საწყობების არსებობას ანუ ბითუმად ვაჭრობის შესაძლებლობას. აღნიშნული სქემის პირობებში მომხმარებელთან რამდენიმე გადამყიდველის ხელში გავლილი პროდუქტი ხვდება.

  პროდუქციის გაძვირებასთან ერთად, შემთხვევითი, წვრილი შემსყიდველების სიმრავლე, ამუხრუჭებს წარმოების სპეციალიზაციისა და კოცენტრაციის პროცესს:
- საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით აქტუალურია კოოპერატივების ჩამოყალიბება, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ პროცესის ხელშემშლელი პირობებიც არსებობს, რომლის დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი კოოპერატივებისადმი ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა შეასრულოს;
- მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე სოფლად დაზღვევის მაღალ დონეზე ორგანიზაცია ფაქტიურად შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ირიბად მაინც აკეთებს ამას, როცა მოსახლეობას უნაზღაურებს სტიქიით მიყენებული ზარალის თუნდაც ნაწილს.
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა შეუძლებელია ჯიშიანი თესლით, ნერგით, სანაშენე პირუტყვით მეწარმეთა უზრუნველყოფის გარეშე. ქვეყანაში აღსადგენია სასელექციო სამუშაოები, მეთესლეობის, ნერგის წარმოების, სანაშენე საქმისა და ჯიშთაგამოცდის სადგურების ქსელი;
- სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს სასოფლო-სამეურენო ტექნიკის შეძენა და მისი მომსახურების სადგურების მშენებლობა.

- წარმოების ინტეგრირებული ფორმების შემოღება, ნედლეულის მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების ერთიან საწარმოო ჯაჭვში გაერთიანება, შემოსავლების რაციონალური განაწილების შესაძლებლობას იძლევა. საკუთარი გადამამუშავებელი დანადგარ-მოწყობილობების მქონე გაერთიანებების რაოდენობის გაზრდა ლიზინგის ფართოდ გამოყენებით უნდა მოხდეს;
- სოფლის მეურნეობაში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმატების მიღწევა შეუძლებელია ცალკეული ღონისძიებების საბიუჯეტო სახსრებით სტაბილური უზრუნველყოფის გარეშე. ასეთ მიდგომას დასავლეთში აგრარულ პოლიტიკას ეძახიან. მისი უპირატესობა მრავალგვარია: ხარჯების მიმართულებების განსაზღვრა, წლების მიხედვით გამოყოფილი თანხების მუდმივობა, სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და მრავალი სხვა;

  ევროკავშირისაკენ სწრაფვა გულისხმობს საქონელსა და მომსახურებაზე შესაბამისი სტანდარტების შემოღებას. იგი ეტაპობრივად და დიფერენცირებულად უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრ საწარმოს მოუწევს გაჩერება;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პირობების დაცვა გამოიწვევს დამატებითი სამუშაოების შესრულებას, რაც პროდუქციის ფასზე აისახება. აღნიშნულის გამო ევროპის ბაზარზე შეტანილი ქართული პროდუქცია მაღალი ფასის სეგმენტში მოხვდება.

3.2. აგრარული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი

გასული საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და მეგაეკონომიკის ფორმირების პროცესი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ადამიანების გადინება მრეწველობიდან მომსახურების სფეროში ანუ ადგილი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციისაგან განსხვავებულ მოვლენას, როცა სამრეწველო

საწარმოების სამუშაო ძალის შევსება სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიული პროცესების ინტენსიფიკაცია გამოიხატებოდა მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდით მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ).

ამჟამად, აშშ-ში მომსახურების სფეროში იქმნება ქვეყნის მშპ-ის 70-75%, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში 65-70%. მომსახურების სფეროში პროდუქციის წარმოების უპრეცენდენტო ზრდის გამოა, რომ ამ მოვლენამ მიიღო "მომსახურების რევოლუციის" სახელწოდება. ეკონომიკის ეს სექტორი საკმაოდ არაერთგვაროვანია და მკაფიოდ შემოსაზღვრული არ არის, რადგან ადამიანის საქმიანობის მრავალი სახე შეიძლება მივაკუთვნოთ მომსახურების სფეროს. მიუხედავად ამისა, სტატისტიკა მომსახურების ანუ ეკონომიკის მესამე სექტორს მიაკუთვნებს კონკრეტულ ხუთ დარგს: ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ფინანსურ-საკრედიტო სფერო, სახელმწიფო მართვა, სხვა მომსახურება, რომელშიც იგულისხმება ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, მოსახლეობის ყოფითი და კომუნალური მომსახურება.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მივხვდეთ დასახელებული კლასიფიკაციის არასრულყოფილებას და პირობითობას, რადგან „სხვა მომსახურებაშია" თავმოყრილი ადვოკატებისა და ზეინკალ-სანტექნიკოსების საქმიანობა, ეკონომიკის უაღრესად მზარდი დარგის – ტურიზმის სფერო, რომელიც ადამიანების დასაქმებასა და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შევსებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საკმარისია ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოს მომსახურების მრავალფეროვან მიმართულებებში ტურიზმი გახდა ეკონომიკის უმსხვილესი დარგი და თავისი ხვედრითი წონით მსოფლიო მშპ-ში მრავალ ტრადიციულ სამრეწველო დარგს გადააჭარბა. ბოლო მონაცემებით, მსოფლიო ტურიზმში დასაქმებულია 100 მილიონზე მეტი ადამიანი, ხოლო 600 მილიონზე მეტი ყოველწლიურად მოგზაურობს, როგორც ტურისტი. ბოლო 50 წლის მანძილზე მათი რიცხვი გაიზარდა 25-ჯერ და მე-

ტად, რაც გამოწვეულია განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებით, ფულადი დანაზოგების ზრდით. გარდა ამისა, საერთაშორისო ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია „სატრანსპორტო რევოლუციასთან", რის შედეგადაც დედამიწის ნებისმიერი კუთხე ხელმისაწვდომი გახდა. ბოლო დროს ტურიზმის სხვა სახეებთან ერთად, პოპულარული გახდა სამეცნიერო და საქმიანი ტურიზმი. საქვეყნოდ ცნობილი სასტუმროების სისტემა – „ჰილტონი", „შერატონი", "ჰოლიდეი ინი", „შოვენპიკი" და სხვები კოლოსარული მასშტაბების დაწესებულებებია, რომლებიც ემსახურებიან ტურისტულ ნაკადებს და მთელ მსოფლიოში ათიათასობით ადამიანს აძლევენ სამუშაოს.

ბოლო მონაცემებით მსოფლიოში ყველაზე მეტ ტურისტს ღებულობს საფრანგეთი - 65 მილიონზე მეტი ადამიანი, აშშ-50 და ესპანეთი -50 მილიონი ადამიანი. ბევრ ქვეყანაში ტურიზმი ეკონომიკის წამყვან დარგს წარმოადგენს. საფრანგეთსა და დანიაში ტურიზმი იძლევა საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 12%-ს, იტალიასა და შვეიცარიაში 20%-ზე მეტს, ხოლო ესპანეთსა და ავსტრიაში – 35%-ს. ტურიზმის სფეროში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გამოა, რომ მას სამართლიანად უწოდებენ „მრეწველობას მილების გარეშე".

მსოფლიოში სხვადასხვა სახის ტურიზმია განვითარებული: ტურიზმი დასვენებით და მკურნალობით, სამთო ტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი, ეკოტურიზმი, ტურიზმი ისტორიული და კულტურული ძეგლების დათვალიერებით, აგრარული ტურიზმი, სოფლის ტურიზმი და სხვა. მათი კლასიფიკაცია პირობითია, რადგან ერთი სახის ტურიზმთან სხვა სახის ტურიზმის მიზნების შეთავსებაც შეიძლება. ზოგადად, იმ პირობებს შორის, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს, შეიძლება დავასახელოთ: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ბუნებრივი პირობების მიმზიდველობა, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, ტურისტების დაცულობის ხარისხი, ადგილობრივი მოსახლეობის მზაობა ტურისტების მიღებისა და მომსახურებისთვის ანუ მათი მენტალინტეტი, ქვეყნის ტურისტული ტრადიცია. ჩამოთვლილ პირობებს შორის მაინც წამყვანი ქვეყნის პოლიტიკური

და ეკონომიკური სტაბილურობა და მიმზიდველი ბუნებრივი პირობებია.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით, საქართველო ტურისტული ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ქვეყნად გამოიყურება და ხელისუფლების გადაწყვეტილება ტურიზმის პრიორიტეტული განვითარების შესახებ სავსებით გამართლებულია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შედგენილ ტურიზმისა და მოგზაურობის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში მსოფლიოს 130 ქვეყანას შორის საქართველოს 72-ე ადგილი უკავია. მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ თურქეთსა და რუსეთს ჩამოვრჩებით. აზერბაიჯანსა და სომხეთს კი რამდენიმე საფეხურით ვუსწრებთ. აღსანიშნავია, რომ თურქეთს, სადაც ბევრი ქართველი ისვენებს და კმაყოფილებას ვერ მალავს, რეიტინგში 54-ე ადგილი უჭირავს.

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა მისი, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად: გაუმჯობესდა ცენტრალური საავტომობილო გზები და გრძელდება ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა. სულ უფრო დახვეწილი ხდება სატელეფონო და ტელესაკომუნიკაციო კავშირები, მუშაობს ინტერნეტის სისტემა, შენდება სასტუმროები, ქვეყანა უზრუნველყოფილია საბანკო მომსახურებით, მათ შორის ფულის სწრაფი გადარიცხვის პროგრამებით, ტარდება ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების თავდაპირველი სახით შენარჩუნებისათვის ე.წ. დაცული ტერიტორიების სახით და მრავალი სხვა.

საქართველოს ტურისტულ ქვეყნად გადაქცევისთვის ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, განსაკუთრებით მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. მაგალითად, ბათუმსა და ქობულეთში დასვენება იმდენივე ჯდება, როგორც თურქეთის საშუალო და საშუალოზე მაღალი დონის კურორტებზე. ქართველები თურქეთში დასვენებას ამჯობინებენ, თუნდაც ინფრასტრუქტურის უფრო მაღალი დონის გამო.

საქართველოში სასტუმროების მშენებლობას და ძველის რეკონსტრუქციას დიდი ყურადღება ეთმობა, რომელთაგან უმეტესობა ოთხი და ხუთვარსკვლავიანია, რაც შეძლებული ტურისტების მიღებაზე არის გათვლილი. მსოფლიო პრაქტიკა

კი გვიჩვენებს, რომ ქვეყანამ რომელიც ახლა იწყებს ტურისტული ინდუსტრიის მშენებლობას, თავდაპირველად აქცენტი დაბალი და საშუალო შესაძლებლობის მქონე ტურისტულ ნაკადებზე უნდა გააკეთოს, რისთვისაც საჭიროა სამვარსკვლავიანი და ოჯახური სასტუმროების ფართო ქსელის შექმნა.

ვერც ცენტრალური გზების განშტოებებით დავიკვეხნით, რომელთა უმრავლესობა კაპიტალურად შესაკეთებელია. განსაკუთრებით მოუწყობელია ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზები და არც იმდენი ღირსშესანიშნაობები გაგვაჩნია, როგორც ეს იტალიაში, საფრანგეთსა თუ ესპანეთშია. მსოფლიო დონის ძეგლებად მიიჩნევა მხოლოდ იუნესკოს მიერ აღიარებული ისტორიული ობიექტები. ნათქვამი არ ნიშნავს, რომ სხვა ტაძრები და მონასტრები თავისი არსით და ფუნქციით დიდი ისტორიული მნიშვნელობის არ არის. აქ საუბარია ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში მათი როლის რეალურ შეფასებაზე.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დასასვენებელი ტერიტორიების კეთილმოწყობის, თუნდაც სისუფთავის დაცვის საკითხები, რაც ჩვენი მოსახლეობის კულტურის მაჩვენებელია. ყველამ კარგად ვიცით, როგორაა დაბინძურებული შავი ზღვის სანაპირო და თვითონ ზღვა - გამწმენდი ნაგებობების არქონის ან არსებულის უმოქმედობის, ზღვაში ჩამდინარე მდინარეებსა და ღელეებზე სოფლებში გადადგმული ტუალეტების გამო. ნამდვილად სასიამოვნო არ არის ზღვაში მოცურავე ადამიანისათვის მოტივტივე ნახმარი პამპერსის ან სხვა სიბინძურის ხილვა.

უდიდესი სამუშაოებია ჩასატარებელი მომსახურების ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მომსახურების კულტურის ასამაღლებლად. ნუ დავმალავთ, რომ ეს უკანასკნელი ქართველების აქილევსის ქუსლია. ჩვენ ყოველთვის გვეამაყება, როცა გვემსახურებიან და არ გვსიამოვნებს სხვისი მომსახურება, თუნდაც კარგი გასამრჯელოს ფასად.

კეთილმოწყობისა და მომსახურების თვალსაზრისით იგივე შეიძლება ითქვას სამკურნალო დაწესებულებების შესახებ, რომელთაც მათი სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სამკურნალო დასასვენებელი ტურიზმის განვითარებაში.

და, კიდევ, ერთი პრობლემის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკურ თავისებურებებთან, რის გამოც საქართველოში შესაძლებელია მრავალი სახის სასოფლო – სამეურნეო და მისი გადამუშავების პროდუქციის წარმოება და რის გამოც ქართველები მიწათმოქმედ ხალხად აღიქმება. იმავე თავისებურებების გამო, საქართველოში შეუძლებელია ერთი, თუნდაც ორი სახის ისეთი პროდუქციის წარმოება, რომლის მოყვანასა და რეალიზაციაზე აგრარული პოლიტიკის აგება იქნებოდა შესაძლებელი. მცირე რაოდენობის, მაგრამ მრავალი სახის პროდუქციის წარმოება ქართველს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და მისი უარყოფა, ჯერჯერობით, საბაზრო ეკონომიკის მკაცრმა კანონებმაც კი ვერ შეძლეს. საქართველოში სახალხო მენტალიტეტის რღვევა, სამეურნეო საქმიანობის სხვა სფეროში გადასვლა, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული და შთამომავლობით გარდამავალი ქმედებების, შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობის შეცვლასთან იქნება დაკავშირებული. აღნიშნულის გამო, იგი თანდათან, ბუნებრივი, ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელ ნაწილად ქცევის შედეგად თუ მოხერხდება- დაახლოებით ისე, როგორც ქართულ ოჯახში სტუმრის მომსახურეობისას გაწეული საქმიანობისას რომ ხდება.

საქართველოში, რომელიც ახლა იწყებს სხვადასხვა სახის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, გადასაწყვეტია არა მარტო მომსახურების ფსიქოლოგიური პრობლემები, არამედ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო არ მიეკუთვნება მომსახურების მესამე სექტორის ქვეყნების რიცხვს და დაბალი ეკონომიკური განვითარების პირობებში ნახტომით ცდილობს მსოფლიოში მომსახურების ერთ-ერთი პროგრესირებადი დარგის დაწინაურებას.

თუ ღრმად გავაანალიზებთ ყველა იმ პირობას, რომელიც საქართველოში ინდუსტრიული ტურიზმის განვითარებისთვისაა საჭირო, აღმოჩნდება, რომ ჯერჯერობით დაწინაურებული მაინც ბუნებრივი პირობებია. ეკონომიკური პირობები, რაც ამ დარგის განვითარებისთვის არის საჭირო, საწყის ეტაპზე იმყოფება. რაც შეეხება საზოგადოების მზადყოფნას, ჩაერთოს მომსახურების სფეროში და მაღალ დონეზე შეასრულოს იგი, ყველაზე მეტად ჩამორჩენილია. ჩვენ, ხშირად, ვტრაბახობთ

ინდივიდუალური თუ საერთო კულტურის დონით, მაგრამ არ ვიქცევით ამის შესაბამისად. სიტყვა და საქმე ამ სფეროში ერთმანეთისგან დაშორებულია. როცა ტურისტს თბილისიდან ბათუმამდე ისე ჩაიყვან, რომ ერთ კეთილმოწყობილ ტუალეტსაც ვერ აჩვენებ, სხვა დანარჩენზე საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

არც შავი ზღვის სანაპიროზე სომხეთიდან ტურისტების მოზღვავებამ უნდა გაგვაკვირვოს. ეს არ არის ის კონტინგენტი, რომელსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების თუნდაც საშუალო შეძლების ტურისტის მენტალიტეტი რომ აქვს. სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობის პირობებში, რისი ნიშნებიც აშკარაა, ბევრი მათგანი ხმელთაშუა ზღვის კურორტებზე გადაინაცვლებს, თუნდაც თანაბარი ფასების, მომსახურების უფრო მაღალი დონისა და ბევრად ნაკლები ნალექიანი დღეების გამო.

აგრარული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ბუნებრივ პირობებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 2005 წელს სოფლად შინამეურნეობების 91.6% უზრუნველყოფილი იყო ცივი წყლით, ელექტრომომარაგებით-99.3%, ცენტრალური სისტემიდან გაზმომარაგებით -49.8%, სამაგიეროდ ცხელი წყლის ინდივიდუალური სისტემა შინამეურნეობათა მხოლოდ 16.5%-ს ჰქონდა, გაზმომარაგების ინდივიდუალური სისტემით უზრუნველყოფილი იყო 17%, გათბობის ინდივიდუალური სისტემა ეყენა -17%-ს, ტელეფონი - 61.4%-ს. სოფლად შინამეურნეობის საცხოვრისის საშუალო ფართობი 117.6 კვ.მეტრს შეადგენდა. 80-დან 100-ზე მეტი კვ.მეტრი საცხოვრებელი ფართი ჰქონდა შინამეურნეობების 79%-ს. ყოველ 100 შინამეურნეობიდან მაცივარი ჰქონდა 58-ს, სარეცხი მანქანა – 32-ს, ტელევიზორი – 87-ს, მაგნიტოფონი – 24-ს, მსუბუქი ავტომობილი – 16-ს, მინიტრაქტორი ან მოტობლოკი – 6-ს, ტრაქტორი – 7-ს, პერსონალური კომპიუტერი – 1-ს.

სოფლად შინამეურნეობები ნატურალური ტიპის მეურნეობას ეწევიან, რაზეც მეტყველებს მიწათმოქმედების სტრუქტურა და წარმოებული პროდუქციის მოცულობა ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით. კერძოდ, ვენახზე მოდიოდა 0.2 ჰექტარი,

ხეხილზე – 0.1, ჩაიზე – 0.2, ციტრუსებსა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე – 0.1, ხორბლის ნათესებზე – 0.8, სიმინდზე – 0.3, ბოსტნეულ-ბაღჩეულზე – 0.1, კარტოფილზე – 0.1, მზესუმზირაზე – 0.7 ჰექტარი და ა.შ. საშუალოდ ერთ ში-ნამეურნეობაზე მოდიოდა ძროხა -1.7, ღორი – 1.6, ცხვარი – 15.3 სული, ფრინველი – 15 ფრთა, ფუტკარი – 10.7 სკა. შესაბამისად მცირე იყო შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქტის მოცულობაც. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგებმა შინამეურნეობის მთლიანი შემოსავლების 17.7% შეადგინა. საშუალოდ თვეში სოფლად ერთი შინამეურნეობის ფულადმა და არაფულადმა შემოსავალმა 344 ლარი შეადგინა. აქედან ფულადი შემოსავალი იყო 212 ლარი, ანუ ყველა სახის შემოსავლის 61.7%. აღსანიშნავია, რომ მთლიან შემოსავლებში არაფულადი შემოსავლების ხვედრითი წონა 38.3%-ს შეადგენდა.

საშუალოდ თვეში ერთი შინამეურნეობის მიერ გაწეულმა ხარჯებმა 373 ლარი შეადგინა, რაც ამავე პერიოდში მიღებულ შემოსავლებზე 29 ლარით მეტია. სულ სამომხმარებლო ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 87.9% შეადგინა. იგივე მაჩვენებელი ქალაქის შინამეურნეობის მიხედვით 92,1%-ს შეადგენდა, რაც ღარიბი ქვეყნის ტიპიური მახასიათებელია, რადგან ანალოგიური მაჩვენებლები განვითარებულ ქვეყნებში 15-30%-ის ფარგლებში მერყეობს.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

პირველი. საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელია აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის;

მეორე. მეურნეობის ნატურალური ხასიათი, მემცენარეობისა და მეცხოველეობის სტრუქტურა, ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენება, ხელით შრომის უპირატესი როლი, წარმოებული პროდუქციის მეურნეობაშივე გადამუშავების ტრადიცია (ყველის, ერბოს, კარაქის, ლორის, მჟავეულის და სხვა), ადგილობრივი პროდუქტებით გემრიელი კერძების მომზადების შესაძლებლობა სერიოზულ მოტივაციას უქმნის ქალაქის მაცხოვრებელს აგრარული ტურიზმის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად;

მესამე. სოფლად მაცხოვრებლების სახლების საერთო ფართობი, ოთახების რაოდენობა და განლაგება, აუცილებელი საყ-

ოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა, შესაძლებელს ხდის შედარებით მცირე დანახარჯებით მოეწყოს ტურისტისათვის დასვენების პირობები, რომელიც გადაღლილია ქალაქური ცხოვრების ქანცგამცლელი რიტმისაგან;

მეოთხე. სოფლად შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი უბიძგებს სოფლის მაცხოვრებელს გაიჩინოს დამატებითი შემოსავლის წყარო, რაც შესაძლებელია აგრარული ტურიზმის განვითარებით.

აღსანიშნავია, რომ აგრარულ ტურიზმს საფუძველი საფრანგეთში ჩაეყარა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა წარმოების გამსხვილებისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად წვრილი ფერმერები შემოსავლების გარეშე დარჩნენ. ისინი უნდა აყრილიყვნენ საცხოვრებელი ადგილებიდან და ქალაქისთვის შეეფარებინათ თავი ან სხვა რამეზე უნდა ეზრუნათ. გამოსავალი აგრარული ტურიზმის განვითარება აღმოჩნდა, რაშიც სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმების შემოღებით. შემდგომ, ტურიზმის ეს ფორმა ფართოდ გავრცელდა იტალიასა და ესპანეთში.

საქართველოში ადგილი აქვს მოსახლეობის ქალაქში მიგრაციას, რასაც ეკონომიკური გაჭირვება უდევს საფუძვლად. ჩვენთან, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, მიგრირებული მოსახლეობის უკან რჩება დაუმუშავებელი ნათესები და ბაღ-ვენახები, მიტოვებული სათიბები და საძოვრები, რაც საბოლოო ჯამში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემცირებას იწვევს და ქვეყანას აგრარული პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებულს ხდის.

გარემოებები, რომლებმაც უნდა განაპირობონ აგრარული ტურიზმის განვითარება საქართველოში, საფრანგეთში არსებული პირობებისაგან როგორც მატერიალური, ისე ადამიანური და ფინანსური რესურსებით, უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავებულია და მისი პირდაპირი გადმოღება სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს. ამის საუკეთესო მაგალითია რუმინეთის ბრანის რაიონი, სადაც ევროკავშირმა აგრარული ტურიზმის პილოტპროგრამის განხორციელებისთვის ერთი მილიონი ევრო დახარჯა, ყოველგვარი მოსალოდნელი

შედეგის გარეშე. რიგი მკვლევარების მიხედვით სოფლად ტურიზმის დაბალი დონე, სხვა მომენტებთან ერთად, განპირობებულია სოციალური კაპიტალის განუვითარებლობით, რომელშიც იგულისხმება მოსახლეობის მთავრობისადმი უნდობლობა, სიღარიბის მაღალი დონე, ადამიანებს შორის ნდობის უქონლობა, კორუფცია, არაკომერციული და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების არარსებობა და სხვა. სოციალური კაპიტალის თითქმის ყველა ამ ნეგატიურ ფორმას ჩვენთანაც აქვს ადგილი.

თუ სათანადო პირობები შეიქმნება, ქართველი კაცი, მოსალოდნელია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოების სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, რითაც, ეკონომიკური დანაკარგის გარეშე, შინაგანი პროტესტის გადალახვასაც მოახერხებს, რომელიც სხვისი მომსახურებისას წარმოიშვება ხოლმე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში აგრარული ტურიზმის გამოცდილება არ არსებობს, ჩაფიქრებულია იმ დონის პირობების შექმნა, რომელიც უცხოელ ტურისტებს მოიზიდავს. ამ მიმართულებით ხელსაყრელი გარემოს მომზადება დიდი სიფრთხილითა და რუდუნებით უნდა მოხდეს.

აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის შერჩეული ტერიტორიის ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობები უნდა აკმაყოფილებდეს, სულ ცოტა, შემდეგ მოთხოვნებს:

მთისწინა ან მთიანი ზონა, ტყით დაფარული ადგილები, მდელოები, სათიბები და საძოვრები, ცივი მდინარე, მზიანი დღეების სიმრავლე, ჰაერის ასატანი ტემპერატურა, წლის პერიოდების მიხედვით, სუფთა ჰაერი;

მისასვლელი გზების, სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების არსებობა, ისტორიული ან კულტურული ობიექტების ხარისხი და ხელმისაწვდომობა;

ოჯახების შერჩევა, რომელთაც აქვთ ტურისტების მიღების შესაძლებლობა, ან ისეთების, სადაც მისაღები პირობების შექმნა ნაკლები დანახარჯებითაა შესაძლებელი, მათთვის ტრეინინგების ჩატარება;

მოცემულ კუთხეში გავრცელებული კერძების დახასიათება, დიასახლისის კულინარიული შესაძლებლობების გათვალის-

წინება, ოჯახის წევრების დახასიათება ალკოჰოლისა და მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილების, ოჯახის საერთო რეპუტაციის გათვალისწინება;

მოცემული კუთხის რადიაციის წინააღმდეგ შემოწმება მთელი ჯაჭვის – მიწა, ჰაერი, წყალი, პროდუქცია-კომპონენტების მიხედვით;

საცხენოსნო, სამონადირეო, სათევზაო და სხვა გასვლების მოწყობის შესაძლებლობები, იმის შესწავლა, ხდება თუ საღამოობით სოფლის ცენტრში "საჭორაოდ" შეკრება ან როდის და რა სახის რელიგიურ თუ სხვა სახის ზეიმები იმართება მოცემულ კუთხეში ან მასთან ახლოს;

სოფლის მეურნეობის გაძღოლის ტიპი, მისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურეო სამუშაოებში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილზე გადამუშავებაში მონაწილეობის შესაძლებლობა;

მოცემული კუთხის მოსახლეობის უცხო ენების მცოდნეებით, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები;

ბინების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საჭიროება იმ მიზნით, რომ საძინებელი ოთახი დამოუკიდებლად უკავშირდებოდეს მისაღებ ოთახს, ტუალეტს და სააბაზანოს;

ბინების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ხარჯები, როცა ამის საჭიროება იქნება, სახელმწიფომ უნდა გაიღოს და იგი ამ თანხით ჯერ ბიზნესის წილში უნდა შევიდეს იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ოჯახს მისი გამოსყიდვის უფლება ექნება. დაბალპროცენტიანი თუ სხვა შეღავათის მქონე კრედიტების გამოყოფა;

სპეციალურად ჩატარებული კვლევის საფუძველზე უნდა შემუშავდეს აგროტურიზმის განვითარების კრიტერიუმები, გადაღებულიქნას კლიპები, დაიბეჭდოს ბუკლეტები და ფურცლები, რომლებიც სხვა ქვეყნებში გავრცელდება. ეს სამუშაოები მთლიანად სახლმწიფომ უნდა დააფინანსოს;

ყველა ეს ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდება თუ ქვეყანაში არ დამყარდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რომლის უქონლობა ტურიზმის განვითარებას კი არ შეაფერხებს, არამედ ძირშივე ჩაკლავს.

თანამედროვე ეტაპზე ყველა პირობის ნაკრებიდან, რომელიც საქართველოში ტურიზმის განვითარებისთვის არის საჭირო, კონკურენციის გარეშეა ბუნებრივი პირობები და ქართული ოჯახის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა, რაც უპირატესად აგრარული ტურიზმის (სოფლის ტურიზმის, მწვანე ტურიზმის) განვითარებისთვის ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოს ქმნის.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ, თუნდაც ქვეყნის დონეზე, საქართველოს ბუნებრივი პირობების ის მახასიათებლები, რომლებმაც აგრარული ტურიზმით დაინტერესების მოტივაცია უნდა გააჩინოს. აგრარული ტურიზმით ინტერესდებიან ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ქალაქების მაცხოვრებლები, რომელთაც მოწყინდათ მაღალი დონის მომსახურება და ცოტა ხნით ბუნებრივ პირობებში, ველურ გარემოში ყოფნა ურჩევნიათ. ისიც უნდა ითქვას, რომ აგრარული ტურიზმით ძირითადად სარგებლობენ მოცემული ქვეყნის მოქალაქეები, რაც ენობრივი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული. აქცენტი უნდა გაკეთდეს პოსტინდუსტრიული ქვეყნების მოქალაქეებზე, რაც მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც საქართველოს გააჩნია, არა მარტო დამატებითი ხარჯების დაფარვის, არამედ მოგების მიღების საშუალებასაც იძლევა.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1200 მეტრს აღემატება. იგი მცირემიწიანია. მთებზე 53,0%, მთისწინებზე 33.4%, დაბლობზე 13% მოდის. ზღვის დონიდან 500 მეტრამდე გაადგილებულია ტერიტორიის 26.7%, 500 მეტრიდან 1000 მეტრამდე -22.2, 1001 მეტრიდან 1500 მეტრამდე – 18.6, 1500 მეტრიდან 2000 მეტრამდე – 18.4, 2001 მეტრიდან 2500 მეტრამდე – 9.3 და 2500 მეტრზე მაღლა - 5.3%.

საქართველო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის გამოირჩევა ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი თავისებური გეოგრაფიული მდებარეობით, რთული რელიეფით, ვერტიკალური ზონალობითა და შავი ზღვის სიახლოვით. საქართველოს ტერიტორია სეისმომედეგობით არ გამოირჩევა. მაღალი სეისმურობა ახასიათებს თრიალეთის ქედს, შიდა ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილს, აგრეთვე ცალკეულ ადგილებს, დასავლეთ საქართველოს დადაბლებულ ნაწილებს.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა ორი ძირითადი კლიმატური ოლქი: ზღვის ნოტიო სუბტროპიკული, მარადიული თოვლისა და მყინვარების ზონა. ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, ერთის მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე - შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე. ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებენ სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები.

ადგილობრივ ჰავას ქმნის კავკასიონი, რომელიც საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი მასების უშუალო შემოჭრისგან და შავი ზღვა, რომელიც ტემპერატურის მერყეობას ზომიერს ხდის და ხელს უწყობს ნალექების მოსვლას. დიდი კონტრასტებია საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობასა და წლის სეზონების მიხედვით განაწილებაში. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2800 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 300 მმ. ყველაზე დიდი რაოდენობით ნალექები მოდის აჭარის სანაპირო ზოლში, ხოლო ნალექების ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობა გარდაბნისა და ელდარის ველებზე.

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს მცენარეული საფარი. აქ იზრდება 5000 სახეობის ველური და გაკულტურებული ფარული და შიშველთესლიანი 8300-მდე სპოროვანი მცენარე. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატურმა განსხვავებამ განაპირობა მცენარეული საფარის სხვადასხვაგვარობა. ასე მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ოთხი ძირითადი სარტყელია: ტყის (ზღვის დონიდან 1900 მეტრამდე), სუბალპური (1900-2500 მეტრი), ალპური (2500-3100 მეტრი) და ნივალური (3100 მეტრზე მეტი). აღმოსავლეთ საქართველოში 6 ძირითადი სარტყელია: ნახევრად უდაბნოების, მშრალი ველებისა და აზღუდული მეჩხერი ტყეების (150-600 მეტრამდე), ტყის (600-1900 მეტრი), სუბალპური (1900-2500 მეტრი), ალპური (2500-3000 მეტრი), სუბნივალური (3000-3500 მეტრი) და ნივალური (3500 მეტრზე მეტი). სამხრეთ საქართველოში ჭარბობს მთის ველების მცენარეულობა.

საქართველოში ხარობს ისეთი იშვიათი მცენარეები როგორიცაა: პონტური მუხა, იმერული ხეჭრელი, მედვედევის არყი, კოლხური სურო, ლაფანი, მოცვი, წყავი, შქერი და სხვა. ეპიგეას გვარის მხოლოდ სამი სახეობაა ცნობილი, რომელთაგან ერთი იზრდება იაპონიაში, მეორე ჩრდილოეთ ამერიკაში და მესამე აჭარასა და ლაზეთში. საქართველო ითვლება ხორბლისა და ვაზის სამშობლოდ.

მრავალფეროვანია საქართველოს ცხოველთა სამყარო. ცნობილია ძუძუმწოვრების 100-მდე, ფრინველების 330 მეტი, ქვეწარმავლების 48, ამფიბიების 11 და თევზების 160-მდე სახეობა. გვხვდება უხერხემლო ცხოველების ათასობით სახეობა. ცხოველები გავრცელებული არიან ზონალურად. კავკასიონის კალთები და მისი მწვერვალები განთქმულია ჯიხვითა და არჩვით, შურთხით (მთის-ინდაური), როჭოთი, ხოლო მტაცებლებიდან – მთის არწივით.

კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთის ტყით შემოსილ კალთებზე და ხეობებში გვხვდება: კეთილშობილი ირემი და შველი, დათვი, გარეული ღორი, მგელი, ტურა, მელა, კვერნა, ციყვი, კურდღელი, ხოლო აქა-იქ ფოცხვერი, გარეული კატა, მაჩვი. ფრინველებიდან – კაკაბი, გნოლი, ქედანი, გვრიტი.

საქართველო ტყეებით მდიდარი ქვეყანაა. 1 ჰექტარ ტყეს შეუძლია წელიწადში შთანთქას 5-10 ტონა ნახშირმჟავა აირი და გამოყოს 10-20 ტონა ჟანგბადი. ტყეებს ხატოვნად პლანეტის „მწვანე ფილტვებს" უწოდებენ. საქართველოს ტყეების 97.7% მთის ფერდობებზეა განლაგებული. სახელმწიფო ტყის ფონდი 3006.4 ათასი ჰექტარია, ხოლო ტყით დაფარული ფართობი 2773.4 ათასი ჰექტარი ანუ ქვეყნის ტერიტორიის 3.9%. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით საშუალოდ 0.6 ჰექტარი ტყე და 80 კუბური მეტრი მერქანი მოდის, რაც ერთ-ერთ მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

საქართველოში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების მიზნით, სამ რეგიონში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით, დაარსებულია დაცული ტერიტორიების სამი ჯგუფი: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (სამხრეთ საქართველო), კოლხეთის დაცული ტერიტორიებისა (დასავლეთ საქართველო) და აღმოსავლეთ საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემები.

საქართველოში ითვლება 17 სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი, რომელთაგან ყველაზე ადრე ლაგოდეხის (1912 წ.), ახმეტისა და ვაშლოვანის ნაკრძალებია დაარსებული (1935).

საქართველო მდიდარია მზის ენერგორესურსებით. მზის ენერგიის ხვედრითი მაჩვენებელი ტერიტორიის 1კვ. მეტრზე წელიწადში თეორიულად 1800 კვტ საათს შეადგენს. მზის სითბური ფოტოელექტრობატარეებით წელიწადში შეიძლება მივიღოთ 7 მილიონი ტონა პირობითი საწვავის ექვივალენტი ენერგია. ნათების ხანგრძლივობა 2350 საათია. წლის განმავლობაში მზის ნათების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღწევს 2633 საათს, ყველაზე დაბალი – 1147 საათს. ზამთრის თვეებში მზის ნათება საშუალოდ 80—120 საათია, ხოლო ზაფხულის თვეებში – 225-300 საათი.

მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია ქარი. უპირატესად გაბატონებულია დასავლეთის ქარები. მისი საშუალო წლიური სიჩქარე ზომიერია, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში ძლიერი და მუდმივი ქარიც აღინიშნება.

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი სიმდიდრეა ჰიდროენერგეტიკული რესურსები ანუ ე.წ. „თეთრი ნახშირი". ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მიხედვით საქართველო პირველ ადგილზეა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. სჯობს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, რუმინეთი და სხვა. საქართველოში არსებული 32 ათასი დიდი, საშუალო და მცირე მდინარეების სრული პოტენციალი 194 მილიარდი კილოვატსაათია. დღეისათვის ამ რესურსების მხოლოდ 12-15%-ია გამოყენებული. მდინარეთა საერთო სიგრძე 60 ათასი კილომეტრია. მათი 2/3 მიედინება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ხილო 1/3 აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოში 856 ტბაა, რომელთაც უკავიათ ქვეყნის საერთო ტერიტორიის 0.24%. ტბების უმრავლესობა პატარაა და მათი საერთო ფართობი 170 კვ. კილომეტრს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, ისინი გამოირჩევიან მრავალფეროვანი გენეზისით. საქართველოში გვხვდება ტექტონური, მყინვარული, მდინარეული, სანაპირო, კასტრული, სეფიოზური, მეწყერული და ანთროპოგენური ტბები. მათი უმრავლესობა ეკოლოგიურად სუფთა გარემოშია განლაგებული. თევზის სიმრავლით გამოირჩევა ფარავანი, ტაბაწყური, პალიასტომი და სხვა. ზოგში სამკურნალო ტალახიც არის, მაგალითად, კუმისის ტბა, ხოლო ალაზანი-მტკვრის აუზის და მთათუშეთის ტბები მაღალი მინერალიზაციის ხარისხით და გლაუბერის მარილის მნიშვნელოვანი შემცველობით გამოირჩევიან.

საქართველოში ცნობილია 734 მყინვარი, რომლებიც განლაგებულია კავკასიონის ქედზე, მდინარე ბზიფისა და არაგვის სათავეებს შორის, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე. მათი საერთო ფართი 5112 კვ. მეტრია. ზაფხულის პერიოდში წლიური ჩამონადენის 88.9% საქართველოს სამხრეთი ფერდობის მდინარეებში ჩაედინება, 14%- აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო ფერდობის მდინარეებში, ხოლო 9.6% რუსეთის მდინარეებში.

საქართველოში სხვადასხვა დანიშნულებით მოწყობილია 44 წყალსაცავი, რომელთა საერთო ფართობია 163 ათასი კვ. მეტრი. ყველაზე დიდია წალკის (33.7 ათასი კვ.მ), თბილისის (12.5 ათასი კვ. მ), ტყიბულის (10.0 ათასი კვ.მ), შაორის (13.0 ათასი კვ.მ). სიონის (11.5 ათასი კვ.მ). წყალსაცავები გამოყენებულია მელიორაციაში ან ენერგეტიკაში. ზოგიერთი მათგანი კომპლექსურადაც გამოიყენება.

კოლხეთის დაბლობის დიდი ნაწილი ჭაობებს უკავია, რომლებიც ტორფისა და წყლის დიდ მარაგს შეიცავენ. ჭაობების ძირითადი მასივები განლაგებულია მდინარე ღალიძგასა და მდინარე ენგურის ქვემო წელს შორის, აგრეთვე ქ.ფოთის გარშემო და ქობულეთის დაბლობზე.

საქართველოში განახლებადი რესურსებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერმულ წყლებს, რომლის პროგნოზირებადი მარაგები შეადგენს 250 მილიონ კუბ. მეტრს. მისი სრული გამოყენების შემთხვევაში შეიძლება დაიზოგოს 1,5-2 მილიონი ტონა პირობითი საწვავი. თერმული წყლების მოძიებული 23 საბადოდან დამუშავებაშია მხოლოდ 15. იგი გამოიყენება, როგორც ბალნეოლოგიურ კურორტებზე, ისე კომუნალურ მეურნეობაში და ტექნოლოგიური საჭიროებისათვის.

საქართველოს ბუნებრივ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შავ ზღვას. შავი ზღვის სანაპიროს სიგრძე საქართ-

ველოს ფარგლებში 330 კილომეტრია. მას საქართველოს ფარგლებში ერთვის მდინარეები: რიონი, ბზიფი, კოდორი, ენგური, ჭოროხი და ა.შ. მნიშვნელოვანია ზღვის კლიმატწარმომადგენელი როლი, მისი დამათბუნებელი გავლენა სანაპირო რაიონების ჰავაზე. შავი ზღვის სანაპიროზე ზამთარი რბილი და თბილია, ნალექები უხვადაა წლის ყოველ დროს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა 3023.5 ათასი ჰექტარი, მათ შორის სახნავია 798.9 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულია 264.9 ათასი ჰექტარი, სათიბია – 143.2 ათასი ჰექტარი, საძოვარს უკავია 1796.9 ათასი ჰექტარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა 4604.9 ათასი ჰექტარი, საიდანაც შენობებით და გზებით დაკავებულია 376.6 ათასი ჰექტარი, ტყე – ბუჩქნარით და მინდორსაცავი ტყის ზოლებით - 3006.0 ათასი ჰექტარი, დარჩენილი 1225 ათასი ჰექტარი მოდის სხვა დანარჩენ მიწებზე.

საქართველოში მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილება სხვა ბუნებრივი კომპონენტების მსგავსად, ვერტიკალური ზონალობის პრინციპებს ექვემდებარება. ზღვის დონიდან 250 მეტრზე განლაგებულ მიწებზე უპირატესად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურები, 250-500 მეტრამდე მისდევენ მებაღეობა-მებოსტნეობას, ინტენსიურ მემინდვრეობას. 500-1500 მეტრის სიმაღლეზე გავრცელებულ მიწებზე ძირითადად მოჰყავთ თავთავიანი კულტურები, მისდევენ მეცხოველეობას. 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე ძირითადად განლაგებულია სათიბ-საძოვრები, ხოლო მემინდვრეობა სუსტადაა წარმოდგენილი. 1500-2000 მეტრ სიმაღლეზე ძირითადად სათიბ-საძოვრებია გაადგილებული. 2000 მეტრზე ზევით მიწათმოქმედება არ არის განვითარებული. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა 3 ქვეზონით, რომლებიც დადგენილი იქნა ამ მიზნით ჩატარებული კვლევების საფუძველზე.

3.3.ადგილობრივი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები

პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მრავალი მახასიათებლით განისაზღვრება, რომელთაგან მთავარია მისი ორგანოლეპტიკური შემადგენლობა, გემო, სასაქონლო მხარე და ფასი. დასახელებული კომპონენტებიდან მთავარი მაინც ფასია.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის აუცილებელი მახასიათებელი მისი რაოდენობა და სტანდარტია.

ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განვითარებული ქვეყნის სტატუსით გაწევრიანების გამო, უფლება არ გვაქვს ავკრძალოთ ნებისმიერი სურსათის, მათ შორის სუბსიდირებულის, დაბალი საბაჟო ტარიფებით იმპორტი.

ყველა განვითარებად ქვეყანაში, სადაც წარმოება ვერ ახერხებს ბაზრის მოთხოვნაზე ადეკვატურ რეაგირებას, ზემოაღნიშნული პოლიტიკა იწვევს ბაზრიდან ადგილობრივი ნაწარმის განდევნას, მისი წარმოების მნიშვნელოვან შემცირებას, მათ შორის ისეთი პროდუქტებისაც, რომელთა მოვლა-მოყვანისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია (ბოლო წლებში ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 75-76%-მდე, კარტოფილით 85-86%-მდე და ა.შ.). საქართველოში ჩამოყალიბდა ადგილობრივი წარმოების შემცირებისა და იმპორტის ზრდის ტენდენცია. 2018 წელს შემოტანილი სურსათის ღირებულებამ ერთ მილიარდ 353 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

მეწარმე ჯიშიანი თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის უქონლობის, ქიმიური სასუქების, შხამქიკატების, საწვავის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაძვირებისა და მატერიალური, ფინანსური და ხშირად ადამიანური რესურსების დეფიციტის გამო ვერ ახერხებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. პარცელირებულ, ნატურალური ტიპის მეურნეობებში უპირატესად ხელით შრომის გამოყენებით წარმოებული პროდუქცია მცირე მოცულობისაა ,არასტანდარტულია და ამის გამო, არაკონკურენტუნარიანია.

გაეროს და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მსოფლიოში დამთავრდა იაფი საკვების წარმოების ხანა. მათივე გათვლებით

2040-2050 წლებისათვის დედამიწაზე მოსალოდნელია სურსათის მწვავე დეფიციტი, რის გამოც განვითარებული ქვეყნები აპირებენ სასურსათო პოლიტიკის სერიოზულ გადახედვას, საკუთარი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

დასახელებულმა ფაქტორებმა ხელი უნდა შეუწყონ საქართველოში აგრობიზნესის განვითარებას, თუმცა წარმოებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის სიძვირის გამო სერიოზული გარღვევა მოსალოდნელი არ არის. ექსპერტების მონაცემებით საქართველოს მთიანეთსა და მთაში მეურნეობის ოპტიმალური ზომა 4,5-5 ჰა იქნება, სადაც მრავალი მიზეზის გამო ჩვეულებრივი იაფი პროდუქციის წარმოება შეუძლებელია. შიდა და გარე ბაზარზე ქართული პროდუქცია სხვა მახასიათებლებით უნდა გამოირჩეს, მაგრამ ის, რომ იგი მხოლოდ მაღალი ფასების სეგმენტში იტრიალებს, ცხადზე-ცხადია. ქართული პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პირობებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, რაც პროდუქციის მინდვრიდან სუფრამდე მოძრაობის ყველა კრიტიკული წერტილის შემოწმებას ითვალისწინებს.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ჩვენი აზრით, კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი:

I. სტანდარტი, სერთიფიკატი, ტარიფები:

- შესამუშავებელია მაღალი დონის სტანდარტი და მისი კონტროლის მწყობრი მექანიზმი. ექსპორტიორი ქვეყნის გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით სასურველი არ არის მოქმედ სტანდარტებში ბევრი ცვლილებების შეტანა.
- სტანდარტის შეცვლასთან ერთად უნდა დავუშვათ იმპორტისადმი ვოლუნტარისტული მიდგომა, რასაც ყველა ქვეყანა მიმართავს. მაგალითად, ხორბლის ფქვილის იმპორტის აკრძალვას ყველა ქვეყანა ცდილობს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ხორბალს არ აწარმოებენ (ინდონეზია და სხვა);
- საქართველოში კანონით აკრძალულია რამდენიმე სახის სერთიფიკატის გაცემა და იგი ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს. ნებაყოფლობითი სერთიფიკატით პროდუქციას არც ერთი ქვეყანა არ შეუშვებს;
- ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავუმტკიცოთ ვმო-ს ამა თუ იმ სახის პროდუქციის იმპორტზე ტარიფების გაზრდის აუცილებლობა, თუ იგი ეროვნულ წარმოებას ანგრევს. ამ გზით შესაძლებელია ოთხი წლით საბაჟო ტარიფის აწევა, მომდევნო ოთხ წელში მისი გაგრძელების პერსპექტივით. პროცედურა საკმაოდ რთულია.

II. მიწების კონსოლიდაცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა:

- საქართველოში მიწათმესაკუთრეთა 68,2%-ს ერთ ჰა-მდე მიწა აქვს, რაც შეუძლებელს ხდის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

  მიწების კონსოლიდაციის ყველაზე კარგი გზა მიწის ბაზრის განვითარება და კოოპერატივებისა და მათი გაერთიანებების ჩამოყალიბებაა:
- ახალი ტექნოლოგიების დანეგვა საჩვენებელ მეურნეობებში, ცალკეული ფერმერების ნაკვეთებში, პროდუქციის რაოდენობის, სტანდარტისა და თვითღირებულების შედარება ჩვეულებრივ, ტიპურ მეურნეობაში წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით;
- სარწყავი და დამშრობი ქსელის მქონე ფართობების გაზრდა, სარწყავის წყალდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება (დაწვიმებით, წვეთოვანი მეთოდით. ნაკვეთიდან წყლის სწრაფი მოშორების სქემის გამოყენება) რწყვისა და წყლის მოშორების ღირებულების განსაზღვრისა და მისი აკრეფის რაციონალური მექანიზმის შემუშავება.

III. პროდუქციის წარმოების ინტენსიური მეთოდების გამოყენება:

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა და მისი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ სერვის-ცენტრებში განთავსება. შემოტანილი ტექნიკის მრავალფეროვნების თანდათანობით შეზღუდვა. მომსახურების ტარიფების შემცირება;

- მეცხოველეობის ინტენსიური საკვები ბაზის მოწყობა. პირუტყვის მიშვებით ძოვების (ეზოდან გადმოშვება) მაგივრად საძოვრების მოწყობა და ნაკვეთმორიგეობით ძოვების დანერგვა;
- ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების, საწვავის შესყიდვის ფასების სუბსიდირება. საქართველოში აზოტიანი სასუქების წარმობაზე გაწეული ხარჯების პლუს 5% მარჟით გაყიდვა. ამ საკითხზე მთავრობის დადგენილების მიღება;
- მთის პირობებში გამოსაყენებელი ტექნიკის შემოტანა და გლეხობაზე განვადებით გაცემა. პირველი ორი წლის მანძილზე სესხის დაბრუნებაზე მორატორიუმის გამოცხადება. ტექნიკის შესაძენად დაბალპროცენტიანი სესხის გამოყოფა-ტექნიკის საამორტიზაციო პერიოდს მინუს ორი წლის ვადით. ბანკის მიერ გლეხებზე გაცემული ტექნიკის გირაოდ ჩადება.

IV. წარმოების ინტეგრაცია:

- სანედლეულო ბაზასთან სამრეწველო საწარმოს ინტეგრაცია, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შემოსავლების ზრდის მიზნით. ცნობილი ფორმულა - 1:6:10, საბოლოო პროდუქციის გაყიდვიდან ფერმერის შემოსავლების ზრდას ითვალისწინებს.

  სახელმწიფოს მიერ მცირე გადამამუშავებელი საწარმოების გლეხების ჯგუფზე გადაცემა, კოოპერატივების ჩამოყალიბების ინიცირების საუკეთესო გზაა:
- გლეხების ჯგუფების ინტეგრაცია შესაძლებელია სერთიფიცირებულ საოჯახო მარნებთან კახეთში, იმერეთსა და რაჭაში;
- შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინტეგრაციის სხვა ფორმებიც, მაგალითად, ხორბლის დაფქვა, პურის ცხობა, პროდუქციის შენახვა, გაყიდვა, რძის გადამუშავება, პირუტყვის დაკვლა და სხვა.

V. მარტივი, ეფექტიანი ტექნოლოგიები:

- ხარისხიანი საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში ნაკლები კაპიტალური დანახარჯებით შესაძლებელია ღორის და ფრინველის კონკურენტუნარიანი ხორცის წარმოება. მეღორეობის შემთხვევაში კოოპერატივის ორი-სამი წევრი სპეციალდება გოჭების მიღებაზე, რომლებიც ორი თვის ასაკში ასხლეტის შემდეგ, გადაეცემათ კოოპერატივის სხვა წევრებს გამოსაზრდელად. ვიმეორებთ, ასეთი სქემის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვების ხარისხს და მის დიფერენციაციას ღორების ასაკის გათვალისწინებით;

  საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში, ოჯახურ პირობებში შესაძლებელია ფრინველის ხორცის წარმოება. ამ შემთხვევაში კოოპერატივების წევრები ცენტრალიზებული წესით მარაგდებიან ბროილერის წიწილებით და საკვებით, რომელიც ასევე დიფერენცირებულია ფრინველის ასაკის მიხედვით. კვერცხის შესყიდვისა და ინკუბატორში წიწილების გამოჩეკის ორგანიზაციას კოოპერატივი აკეთებს:
- მარტივ ტექნოლოგიებს შეიძლება მივაკუთვნოთ 1-5 სული ფურის შენახვა ოჯახურ მეურნეობაში, თუმცა აქ გარკვეული ხარჯები იქნება გასაწევი პირუტყვის სადგომის მშენებლობისა და საკვები ბაზის მოსაწყობად;
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მარტივ ტექნოლოგიას შეიძლება მივაკუთვნოთ კახური ღორის ხორცის წარმოება, ტყის რესურსების გამოყენებით;
- მეცხოველეობის პროდუქციის კონკურეტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია კომბინირებული საკვების ორგანიზებიული წარმოების გარეშე, სადაც ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ მიმართულებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება თევზის, მათ შორის კალმახის, საკვების წარმოება.
- სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს ბუნებრივი სათიბების გამოყენება, სადაც წარმოებული იაფი ალპური ბალახი მაღალი ყუათიანობით გამოირჩევა.

VI. პროდუქციის შესყიდვა.

- პროდუქციის ორგანიზებული შესყიდვა სხვადასხვა სქემების გამოყენებით იწვევს პროდუქციის წარმოების ზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. რაც მთავარია, პარტნიორებს შორის ხანგრძლივვადიანი ურთიერთხელსაყრელი სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციას და მის გაღრმავებას, რაც თანამედროვე პირობებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

VII. პროდუქციის წარმოების ჯაჭვის დაკრედიტება:

- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რომლის გარეშეც შეუძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება -ძვირადღირებული ღონისძიებაა. მისი განხორციელება შეუძლებელია დაბალპროცენტიანი, ხანგრძლივვადიანი სესხების გამოყენების გარეშე.

  თანამედროვე გამოწვევების ფონზე მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს აგრარული სესხების პროცენტი. აშშ-მ იგი 2,5%-მდე დაწია, ხოლო იაპონიამ საერთოდ გააუქმა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, რაც უფრო დაბალია წარმოების მაჩვენებლები, მით უფრო დაბალი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთები.

VIII. გადასახადები:

- გადასახადები სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დაბალია. პრობლემა გადასახადის გაანგარიშებასა და ამოღების ადმინისტრირებაში მდგომარეობს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჭიროა ბრუნვიდან გადასახადის ჭერის გაზრდა. ბიუჯეტში შემოსავლებს იძლევა არა სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოება, არამედ საბოლოო პროდუქციის რეალიზაცია. ეფექტი არა გადასახადების შემცირებაში, არამედ მაქსიმალურად ინტეგრირებული წარმოების ორგანიზაციში უნდა ვეძიოთ, რომლის შედეგი მისაღებია, როგორც ფერმერის, ისე სახელმწიფოსათვის.

IX. მაღალპროდუქტიული საწყისი მასალის წარმოება.

- მაღალხარისხიანი თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის გარეშე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია.

  პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის შემოყვანა - მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერების, შესაბამისი დარგის სპეციალისტების რეკომენდაციით. პარალელურად უნდა მომზადდეს ადგილზე შესაბამისი პროდუქციის წარმოების სქემები. მაგალითად, მარცვლის წარმოებაში - ელიტური თესლის წარმოების, შემდგომი თაობების თესლის მიღების, მათი გაწმენდა- დაფასოების, რეკლამირებისა და გაყიდვის ორგანიზაციის გათვალისწინებით. ამავე ეტაპზე უნდა გადაწყდეს, სად მოხდება თესლის წარმოება - მეთესლეობის თუ სპეციალური კრიტერიუმით შერჩეულ ფერმერულ მეურნეობებში. ბოლო ეტაპი იქნება თესლის წარმოების სქემის ამოქმედება.

X. წარმოების სუბსიდირება:

- პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ყველაზე მიღებული ფორმა, მისი სუბსიდირებაა, რაც წარმოების თვითღირებულების ხელოვნურად შემცირების გამო, გასაყიდი ფასის დაკლებას ნიშნავს. სუბსიდირების მოცულობა დამოკიდებულია ქვეყნის ბიუჯეტის შესაძლებლობაზე; ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის სუბსიდირება ნიშნავს მოცემული სახის პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ წახალისებას. შესაძლებელია სუბსიდირების სხვადასხვა ფორმების გამოყენება.

XI. კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

- ანტიმონოპოლიური და ანტიდემპინგური კანონპროექტების მომზადება და მიღება;
- იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე ხარისხის ახალი სტანდარტების, სერთიფიცირების სისტემების შემუშავება, მათი დაცვისა და გაცემის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება.

XII. დასკვნები და წინადადებები:

- კონკურეტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომით ანუ ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების ერთდროულად გატარებით, რაც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. სრული კომპლექსიდან თუნდაც ერთი კომპონენტის ამოგდება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ღონისძიებათა წყებიდან გამონაკლისია მხოლოდ სუბსიდირება, რომელიც თავის მხრივ ბიუჯეტის შესაძლებლობით არის შეზღუდული;
- გამონაკლისი მხოლოდ ერთია. იმ პროდუქტების სიიდან, რომელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა გათვალისწინებული, ერთობლივი მსჯელობის შედეგად შერჩეულ უნდა იქნეს პროდუქტების ის მცირე ჩამონათვალი, რომელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება მოცემულ ეტაპზე აუცილებელია. შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პროდუქცია, რომლის იმპორტი ანგრევს ეროვნულ ბაზარს და კლავს, ინდუსტრიულ საფუძველზე, ორგანიზებულ ადგილობრივ წარმოებას. საბაჟო ტარიფებსა და ტექნიკურ რეგულაციებს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს.

3.4.როგორ დავეხმაროთ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდაში

ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ იწონებდა თავს ძველი ხელისუფლება მსოფლიო ბანკის მიერ ბიზნესის წამოწყების სიმარტივის მიხედვით - მსოფლიო ათეულში საქართველოს დასახელების გამო. ბიზნესი კი არ ვითარდებოდა, გარდა გავლენიანი პირების მიერ „დაკრიშული" საქმიანობისა. არავინ უხსნიდა მოსახლეობას, რომ ბიზნესის წამოწყების სიმარტივე ბიზნესსაქმიანობის რთული პროცესის უაღრესად საჭირო, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია და ,რომ, ბიზნესის მომგებიანი წარმართვა შეუძლებელია მისთვის საჭირო სხვა ფაქტორების განვითარების გარეშე.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ? იგივე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, რომელიც ეხება გლობალური კონკურენტუნარიანობის პრობლემებს, მსოფლიო ქვეყნებს შორის საქართველოს უკავია:

საკუთრების უფლებების დაცვით - 120-ე ადგილი, დავების გადაჭრის სამართლებლივი ჩარჩოს ეფექტიანობით - 92-ე, ანტიმონოპოლური საქმიანობის ეფექტიანობით - 138-ე, ადგილობრივი კონკურენციის ეფექტიანობით - 123-ე, ბაზარზე დომინირების მასშტაბებით - 119-ე, გადახდისუნარიანობის პროცედურებით - 88-ე ადგილი, კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონით – 33.6% (მოწინავე ქვეყნებში 70%-ია), ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებლებით - 118-ე ადგილი, კვლევასა და განვითარებაზე კომპანიების დანახარჯების მიხედვით - 122-ე, კომპანიების მიერ მაღალი ტექნოლოგიების დანერგვით -117-ე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით - 129-ე, საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის მიხედვით- 105-ე, კვლევის და ტრეინინგების მომსახურების ხელშეწყობით- 128-ე ადგილი.

ეს მაჩვენებლები წინა ხელისუფლების საქმიანობის შედეგია, თუმცა ამ მიმართულებით დიდი ცვლილებები არც ახალი ხელისუფლების პირობებში მომხდარა. როგორც ბიზნესის დაწყების სიმარტივე, ისე მისი ზეწოლისაგან გათავისუფლება პრობლემას ვერ წყვეტს. ბიზნესგარემოს ფორმირებისადმი ასეთი დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელობის შეფასების ერთ ფაქტს გვაგონებს, როცა ვფიქრობდით, რომ საბჭოთა საქართველოში პირად დამხმარე მეურნეობებზე სარგებლობაში გადაცემული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 12% სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 45-48%-ს ქმნიდა, ამავე სავარგულების დიდი ნაწილის კერძო საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პრობლემა გადაწყდებოდა. მოხდა კი პირიქით, რადგან ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ საბჭოთა პერიოდში პირადი დამხმარე მეურნეობების მომსახურების დონე, რომელიც ყველა პირობას ქმნიდა მცირე ფართობზე პროდუქციის ინტენსიური წარმოებისა და მაღალი შემოსავლების მიღებისათვის.

რაც მთავარია, საკუთრება არ აღმოჩნდა ის ფაქტორი, რომელიც წარმოების ზრდას უპირობოდ უზრუნველყოფდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობაში არსებული იმ დონის კრიზისის პირობებში, როგორიც საქართველოშია, გამოსავლის პოვნა დარგისადმი სერიოზული სახელმწიფო დახმარების გარეშე შეუძლებელია. ეს არ არის ჩვენი ორიგინალური დასკვნა. იგი სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიების მსოფლიო პრაქტიკას ემყარება და იმასაც გვკარნახობს, რომ ეკონომიკის ეროვნული გამოცოცხლება სოფლის მეურნეობიდან უნდა დაიწყოს. ყველა სხვა მიდგომა მცდარია, მით უფრო საქართველოში, სადაც სოფლის მეურნეობას უძველესი ფესვები გააჩნია.

საინფორმაციო მომსახურების თუ სხვა ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარება, რასაც წინა ხელისუფლება სერიოზულ ყურადღებას უთმობდა, გამართლებული იყო რამდენადაც იგი მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესების ადეკვატური იყო.

შემდეგი მიმართულება იყო საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ძირითადად გზების მშენებლობა, რომელიც ბუნებრივია კარგია, მაგრამ ძალიან დიდი დოზით კორუფციული გარიგებების მატარებელია.

მთავარი მაინც ისაა, რომ არც ერთი ზემოთ დასახელებული ეკონომიკური მიმართულება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე უშუალოდ არ ასახულა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების სიკეთე საქართველოს თითოეულ მოქალაქემდე არ დასულა.

სოფლის მეურნეობისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორიც საქართველოში იყო, არცერთ თავმოყვარე ქვეყანაში არ არსებობდა. ამან სოფლის მეურნეობა, ბოლო 20 წლის მანძილზე, განადგურებამდე მიიყვანა. თვითონ განსაჯეთ - 2012 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ 37% შეადგინა, მრეწველობისა- 60%-მდე, ვაჭრობისა კი -44%. საქართველოში ჩამოყალიბდა სურსათის იმპორტის ზრდის ტენდენცია და იგი ბოლო ათწლეულში იმპორტდამოკიდებული გახდა. 2018 წელს სურსათის იმპორტმა ერთი მლრდ 353 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.მათ შორის იმ პროდუქტების, რომლის წარმოებაც ადგილზე იყო შესაძლებელი - 750-800 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მიმდინარე საუკუნის 40-50 წლებში მსოფლიოს უმწვავესი სასურსათო კრიზისი ემუქრება და იგი უპირველეს ყოვლისა იმპორტდამოკიდებულ ქვეყნებს ჩააყენებს უმძიმეს მდგომარეობაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით უახლოეს წარსულში სოფლის მეურნეობაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა მოსახლეობის წინაშე ჩადენილ უმძიმეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, ქვეყნის ეკონომიკა ჯერ კიდევ სუსტია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სოფლის მეურნეობის მთელი სპექტრის ფინანსურ „კურირებას" ვერ შეძლებს. მრავალდარგიანობა, ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ცოდნის დეფიციტი, ერთდროულად ქმნიან მოჯადოებულ წრეს, საიდანაც გამოსავლის პოვნაა საჭირო. ეს შესაძლებელს გახდის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა უნდა გაგვიადვილოს ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული წარმოების პირობებისა და პროდუქციის სტანდარტის დაცვა.

სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს სოფლის მეუნეობის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით უნდა შეარჩიონ ერთი ან უკიდურეს შემთხვევაში ორი კულტურა (პროდუქცია), რომლის წარმოებისათვის გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება-დარგის რეაბილიტაცია, წარმოების გაფართოება, პროდუქციის შესყიდვა, წარმოების ან შესასყიდი ფასის სუბსიდირება და სხვა. შერჩეული კულტურების (პროდუქციის) ჩამონათვალი უნდა დაამტკიცოს მთავრობამ და ქვეყნის პარლამეტმა. ასევე უნდა დამტკიცდეს 2030 წლამდე პერიოდისათვის წარმოების პარამეტრები. კულტურის (პროდუქციის) შერჩევის კრიტერიუმი შეიძლება მრავალგვარი იყოს, თუმცა სავალდებულო

იქნება კლიმატური და ნიადაგური პირობების, პროდუქციის ბაზარზე მოთხოვნის (შიდა და გარე), ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გათვალისწინება. მაგალითად, საქართველოში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელი იქნება 6 თვის მანძილზე სულ მცირე 30-35 ათასი ადამიანის დასაქმება, რაც ერთი კულტურისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

მაპროფილებელი კულტურის (პროდუქციის) შერჩევა არ ნიშნავს სხვა დარგების უგულებელყოფას. უბრალოდ, ამ ქმედებით ხაზი ესმება სახელმწიფოს ხელშეწყობით ამა თუ იმ კულტურის განვითარების აუცილებლობას. მაგალითად, იგივეა მეჩაიეობის რაიონებში გავრცელებული ციტრუსების, ფეიჰოას, კივის კულტურის განვითარება, რომლებიც საკმაოდ კარგად ვითარდებიან კერძო ინიციატივების პირობებში.

კულტურის (პროდუქციის) შერჩევის შემდეგ, შემუშავებული უნდა იქნეს დარგის განვითარებაზე ზემოქმედების ანუ, როგორც მას უწოდებენ, ბიოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ზემოქმედების მექანიზმები, რომლებიც კულტურის (პროდუქციის) საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით განსხვავებული იქნება. ზემოქმედების მექანიზმების სიმრავლე სასურველი არ არის ფინანსური დეფიციტისა და მისი განხორციელების მექანიზმების სირთულის გამო. იგივე მეჩაიებაში, დარგში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თანხა უნდა გამოიყოს მხოლოდ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის, რაც გულისხმობს გატყევებული პლანტაციების მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლას, რიგთაშორისების დამუშავებას, სასუქების შესყიდვას და ნიადაგში შეტანას, ნაკვეთის შემოღობვას, ფოთოლსაკრეფი პლანტაციის შპალერულ გასხვლას და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებით შესაძლებელია წავახალისოთ მეჩაიეობის კოოპერატივების ჩამოყალიბება კარგია, თუ კულტურისადმი ფინანსური დახმარების დოკუმენტში ჩაიწერება, რომ თანხის ტენდერით განაწილებისას უპირატესობა სწორედ მათ მიენიჭებათ.

ფინანსური რეგულაციები შეიძლება ითვალისწინებდეს: მეწარმეებისათვის თესლის, ნერგის უფასოდ გადაცემას, ნიადაგის დამუშავებას, სასუქების, პესტიციდების, საწვავის, პროდუქციის შესასყიდი ფასების სუბსიდირებას, ლიზინგით

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მცირე წარმადობის გადამამუშავებელი საწარმოს კოოპერატივებზე, მსხვილ ფერმერებზე გადაცემას, მიმართული იაფი კრედიტების გამოყოფას და ა.შ.

სოფლის მეურნეობის საწარმოო რეაბილიტაციის ზონების მიხედვით კულტურის (პროდუქციის), მათზე ბიოლოგიური და ეკონომიკური ზემოქმედების მექანიზმების ჩამონათვალი უნდა წარედგინოს მთავრობას, ხოლო შემდეგ პარლამენტს, დასამტკიცებლად. აღნიშნული დოკუმენტი უნდა გახდეს ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, სადაც წლების მიხედვით, ქვეყნის ჭრილში, გაწერილი იქნება ძირითადი დარგების განვითარების პარამეტრები და მისი განხორციელებისათვის საჭირო ფულადი, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ღონისძიებების კომპლექსი უნდა შეიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გარანტირებულ შესყიდვას, რომელიც პროდუქციის სახეების მიხედვით, განსხვავებული იქნება. მაგალითად, მარცვლის შესასყიდად წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სერთიფიცირებული საწყობების სისტემა, რომლის სქემაში სერთიფიცირებული საწყობების მესაკუთრეებთან ერთად მონაწილეობენ კომერციული ბანკები. ბოსტნეულის შესასყიდად წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ შემგროვებელი პუნქტების, ცენტრალიზებული მწვანე ბაზრისა და მცირე გადამამუშავებელი საწარმოების სისტემა.

რძის შესყიდვა შესაძლებელია რძის ან ყველის შემგროვებელი პუნქტების სახით. ხორცის შესყიდვისათვის ყველაზე უპრიანია მცირე წარმადობის სასაკლაოების მოწყობა.

ზემოაღნიშნული მიდგომით, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფილი იქნება კერძო მეწარმეებისა და სახელმწიფოს მონაწილეობის კონცენტრაცია ერთი რომელიმე სახის პროდუქციის წარმოებაზე, შესყიდვასა და რეალიზაციაზე, რამაც არ შეიძლება ხელშესახები ძვრები არ გამოიწვიოს.

3.5. როგორ უნდა გავზარდოთ სოფლის მოსახლეობის დასაქმება და შემოსავლები

საქართველოში სულ აღრიცხული იყო ყველა კატეგორიის 729542 სასოფლო მეურნეობა აქედან: ოჯახური (საკარმოდამო) მეურნეობები შეადგენდა 728247-ს ანუ მეურნეობათა საერთო

რაოდენობის 99,8%-ს; სხვა ტიპის მეურნეობები 475-ს ანუ მეურ-ნეობათა საერთო რაოდენობის 0.06%-ს მცირე,საშუალო და შე-დარებით მსხვილ საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა 820-ს ანუ ყველა კატეგორიის მეურნეობათა საერთო რაოდენობის -0,14%-ს, საიდანაც 45,2% იყო ინდივიდუალური საწარმო; 2%- სოლი-დარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 38,7% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 3,9%- სააქციო საზოგადოე-ბა,10,2% კოოპერაციული საწარმო; ამავე აღწერის მასალების მიხედვით, საოჯახო (საკარმიდამო) მეურნეობათა 83,5%-ის მი-ზანს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფა წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენი 16,5% ორი-ენტირებული იყო მის მიერ წარმოებული პროდუქციის გარკვეუ-ლი ნაწილის სამომხმარებლო ბაზრისათვის მიწოდებაზე.

მოცემული პერიოდისათვის ოჯახურ მეურნეობებზე მოდი-ოდა (მათ საკუთრებაში იყო) სულ 839,7 ათასი ჰექტარი სასო-ფლო-სამეურნეო სავარგული (ქვეყნის მთელი სავარგულების დაახლოებით 27%). მათ შორის- სახეების მიხედვით: სახნა-ვი-472,0 ათასი ჰექტარი, მრავალწლოვანი ნარგავები(ვენახ-ი,ხეხილი, ციტრუსოვნები, ჩაი და სხვა) 100,2 ათასი ჰექტარი. მიწათსარგებლობის აღნიშნული განაწილების პირობებში, 2012 წლის მონაცემებით, საოჯახო მეურნეობებზე მოდიოდა ქვეყ-ანაში მთლიანად წარმოებული ხორბლის 94,0%, ბოსტნეულის 98,0%, ყურძნის-91,5%, ხილის-99,7,0%,ციტრუსების-99,9%, რძის-99,5%,ყველა სახის ხორცის-85,1% და ა.შ.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, როცა ერთი საშუალო კომ-ლის საკუთრებაში იყო მხოლოდ 0,26 ჰა მიწა, რაც მთლიანობაში შეადგენდა 193,4 ათას ჰექტარს(მათ შორის მრავალწლიან ნარ-გავებს ეკავა 27,0%),მოსახლეობის კერძო საკუთრებაში ითვ-ლებოდა ქვეყანაში მთლიანად არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო სულადობის 60,0%, ძროხების 75,0%,ღორე-ბის 60,0%, ცხვრისა და თხის 46,5% და, რაც მთავარია, საკარ-მიდამო მეურნეობებზე მოდიოდა საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის (ფულადზე გაან-გარიშები) 47,0%.

ზემოთ მოყვანილ მონაცემებს ჩვენი აზრით მივყავართ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ საქართველოში, რომელსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში განსხვავებული

სპეციფიკა სხვა ქვეყნებთან შედარებით, უპირატესი ყურადღე-ბა უნდა მიექცეს საოჯახო (საკარმიდამო) მეურნეობების განვი-თარებას, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ეკონომიკური დახმარე-ბით-გრანტებით, იაფი კრედიტებით და სხვათა სახით. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მაღალმთიანი სასაზ-ღვრო და ქვეყნის დეპრესიული რეგიონების საოჯახო (საკარმი-დამო) მეურნეობებისათვის სასოფლო- სამეურნეო პროდუქცი-ის წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

ბოლო წლებში ადგილებზე დაგროვილი და სამეურნეო გა-მოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობისათვის ხელსაყრელია საბროილერო მეფრინველეობის განვითარება (მთელი ქვეყნის მასშტაბით). დუშეთის მუნიციპალიტეტში კი სამომთაბარეო ტრადიციული ზონების საოჯახო მეურნეობებ-ში -მეცხვარეობის აღდგენა, ზამთრის პერიოდში ცხვრის ბაგურ კვებაზე შენახვის მეთოდის დანერგვის გზით .

მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მოგაწვდით შემდეგ მონაცემებს: 2014 წელს ქვეყანაში ყველა სახის ხორცის ფაქ-ტიურმა მოხმარებამ შეადგინა 131,4 ათასი ტონა, საიდანაც იმ-პორტირებული იყო 78,8 ატასი ტონა (60,0%), ხოლო საკუთარი წარმოება შეადგენდა 54,8 ათას ტონას. მოხმარებული ხორცის საერთო რაოდენობიდან ფრინველის ხორცზე მოდიოდა 62,2 ათასი ტონა (47,3%), საიდანაც იმპორტირებული იყო 47 ათასი ტონა (75,6%), დანარჩენი -15,2 ათასი ტონა (24,4%) კი ადგილ-ზე იყო წარმოებული. ფრინველის ხორცის იმპორტზე ქვეყანა-ში დახარჯული იქნა 70 მლნ აშშ დოლარზე მეტი. მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით(18 კგ ერთ კაცზე), საქართ-ველოს წელიწადში სჭირდება 90 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, რაც ყველა სახის ხორცის წლიური ნორმატიული მოხმარების (300 ათას ტონამდე)თითქმის მესამედია. ჩვენში კი იგი, როგორც ითქ-ვა, წარმოებულიქნა მხოლოდ 15,2 ათასი ტონა, რაც ფიზიოლოგი-ური ნორმით საჭირო რაოდენობის მხოლოდ 17,0%-მდეა.

მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხორცზე იმპორტ-დამოკიდებულების დონე საქართველოში მეტად მაღალია,რაც ობიექტურ მიზეზებთან (მწირი საკვები ბაზა, დაბალპრო-დუქტიული პირუტყვის დიდი ხვედრითი წილი, ბოლო წლებში გავრცელებული ღორის აფრიკული ჭირი და ა.შ) ერთად, გარ-

დამავალი წლების ქვეყანაში დამკვიდრებული, აგრარული სექტორისადმი უყურადღებობის შედეგია. აღნიშნულით იმისი თქმა გვინდა, რომ საქართველოში ნამდვილად არსებობს ადგილობრივი წარმოების გადიდებით ხორცის იმპორტის გარკვეულად შემცირების (იმპორტჩანაცვლების) შესაძლებლობები და მისი დაჩქარების ერთ-ერთ რეალურ გზად მიგვაჩნია საოჯახო მეურნეობებში საბროილერო ფრინველის ხორცის წარმოების ფართოდ დანერგვა. ამის განხოციელება არ არის დაკავშირებული დიდ და ხანგრძლივ კაპიტალურ დაბანდებებთან.ამასთან, დიდად ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მეცხოველეობის სხვა დარგებთან შედარებით, საბროილერო მეურნეობა ყველაზე მოკლე დროში პროდუქციის (ხორცის) ერთეულზე საკვებისა და შრომის მინიმალური დანახარჯებით, მცირე სამეურნეო ფართობზე, იძლევა დიდი რაოდენობით იაფ და დიეტურ ხორცს. საოჯახო მეურნეობებში ბროილერის ხორცის წარმოების სწრაფი ტემპით გაფართოების შესაძლებლობებზე და მის მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობაზე მიუთითებს ქვემოთ ჩამოთვლილი გაანგარიშება: დაშვებული ნორმით, სტანდარტთან მიახლოებული მსუბუქი ტიპის საფრინველეში, ოც კვადრატულ მეტრზე, საოჯახო მეურნეობის პირობებში, ერთჯერობაზე შესაძლოა გამოიზარდოს სულ მცირე 200 ფრთა ბროილერი, რომელთა ცოცხალი მასაც 40 დღეში მიაღწევს სულ მცირე 430 კგ-ს ანუ ერთი ფრთისა-1,5 კგ-ს. წლის მანძილზე აღნიშნულ 20 კვადრატული მეტრის საფრინველეში (საოჯახო პირობებში სხვადასხვა დამაბრკოლებელი პირობების დათვალისწინებით) შეიძლება დამოიზარდოს ბროილერის სულ მცირე 6 თაობა ანუ 200X6=1200 ფრთა ფრინველი და წარმოებულიქნას 1,8 ტონა ბროილერის სასაქონლო(სარეალიზაციო) ხორცი.

საპროგნოზო მონაცემებით 1,5 კგ ბროილერის ხორცის წარმოებაზე ოჯახს დაეხარჯება:ა)1 დღიანი წიწილის შესაზენად -1,2 ლარი; ბ)კონცენტრირებული საკვების შესაძენად 2,8 ლარი; გ)ვეტმედიკამენტებისათვის და ვეტმომსახურებისათვის -0,2 ლარი; დ) ხხვადასხვა ხარჯი (წყალი, ელენერგია და აშ.) -0,3 ლარი;-სულ 4,5 ლარი ანუ ერთ კილოგრამ ხორცზე გაანგარიშებით (4,5 ლარი:1,5 კგ)=3 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1 საოჯახო მეურნეობას 1800 კგ ბროილერის ხორცის წარმოება დაუჯდება 5400 ლარი, ხოლო

ამავე რაოდენობის ხორცის რეალიზაციიდან (1 კგ საბითუმო-სარეალიზაციო ფასი 4,5 ლარი) მიიღებს 810 ლარის შემოსავალს ანუ (8100 ლ-5400 ლ) 2700 ლარ მოგებას, რაც, რა თქმა უნდა, საოჯახო მეურნეობისათვის საკმაოდ სოლიდური შემოსავალია, ისიც ოჯახის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი, არცთუ დიდად შრომატევადი დარგიდან .

იმის გათვალისწინებით, რომ (აღრიცხვის მონაცემებით) საქართველოში 3468 სოფელია, 769 ათასამდე კომლით,საწყის ეტაპზე შეიძლება ბროილერის წარმოებისათვის შეირჩეს ამ კომლთა რაოდენობის თუნდაც 0,5 პროცენტი ანუ 4000 საოჯახო მეურნეობა, რომელთაც პროგრამის განხორციელების პირველსავე წელს შეუძლიათ აწარმოონ (4000X1,8ტ)-7200 ტონა ბროილრის ხორცი, რომლის იმპორტცანაცვლებითაც ქვეყნიდან ვალუტის გადინება შემცირდება სულ მცირე 12 მლნ აშშ დოლარით.აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად ბროილერის ხორცის წარმოებაში ჩართულ თითოეულ მეურნეობას საფრინველის მოსაწესრიგებლად და ერთდღიანი წიწილების შეძენა- გამოზრდის პირველი ეტაპისათვის ერთჯერადი დახმარებისათვის (გრანტის ან დაბალპროცენტიანი კრედიტის სახით) შეიძლება დასჭირდეს მაქსიმუმ 1500 ლარი ანუ სულ 4000 ოჯახს, 6 მილიონი ლარი.

ჩვენი ღრმა რწმენით, საოჯახო მეურნეობებში ბროილერის ხორცის წარმოების პირველ შედეგებს, მისი რენტაბელობიდან გამომდინარე,მოკლე დროში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდება, რაც თავის მხრივ ქვეყანაში არა მარტო ხორცის წარმოების გადიდებას ნიშნავს, არამედ ამით არსებითად გაუმჯობესდება მათი საოჯახო ბიუჯეტი და სოციალური მდგომარეობა, შემცირდება მოსახლეობის მიგრაცია და სხვა.აქვე უნდა ითქვას, რომ მოცემული ღონისძიების განხორციელება დაკავშირებული იქნება კოოპერაციულ საწყისებზე ქვეყნის ზონების მიხედვით საინკუბაციო სადგურების და ფრინველის ხორცის მცირე წარმადობის სასაკლაოების მოწყობასთან, ფრინველის საკვებწარმოების ორგანიზებასთან, ფრინველის ხორცის ორგანიზებული წესით დამზადება- რეალიზაციის პროცესების მოგვარებასთან და ამით ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან და სხვა.

როგორც ცნობილია,გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში ცხვრისა და თხის საშუალო წლიური სულადო-

ბა 1,6-2,0 მილიონს შორის მერყეობდა.ამჟამად, იგი 900 ათასი სულის ფარგლებშია.ცხვრისა და თხის სულადობის ასეთი მკვეთრი დაცემა განაპირობა დაღესტნის რესპუბლიკაში საქართველოს საგებლობაში არსებული 323,6 ათასი ჰექტრის ზამთრის საძოვრების დაკარგვამ, სადაც იზამთრებდა მილიონამდე სული ცხვარი და თხა - მათ შორის მცხეთა- მთიანეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტის მთლიანი სულადობა, რომლის საერთო რაოდენობაც ნახევარ მილიონს აღემატებოდა .

ყიზლარის ზამთრის საძოვრებით სარგებლობის დაკარგვით განსაკუთრებით იზარალა ყაზბეგისა და დუშეთის მაღალმთიანი ზონის სამომთაბარო მეცხვარეობის ტრადიციულმა სოფლებმა, რომელთა მოსახლეობის შემოსავლების უმთავრეს წყაროს მეცხვარეობის დარგი წარმოადგენდა.

მიუხედავად საზაფხულო (საიალაღო) საძოვრების დიდი სიჭარბისა,ზამთრის საძოვრების უქონლობამ აღნიშნული ზონის ტრადიციული მეცხვარეების უდიდესი ნაწილი აიძულა მინიმუმამდე შეემცირებინა ან საერთოდ აეღო ხელი მათ მარჩენალზე-ცხვარზე. შექმნილი რეალობა საბოლოო ჯამში აისახა მოცემულ მუნიციპალიტეტებში ცხვრისა და თხის რაოდენობის არსებული 400-450 ათასი სულიდან, დაახლოებით 50 ათას სულამდე შემცირებაში, მაშინ, როცა ცხვრის სულადობის შესაძლო მაქსიმამდე ყოლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ზონის 13,7 ათასი კომლიდან სულ მცირე 5-6 ათასი კომლისათვის. მათი ადგილზე დამაგრება-არსებობა 60-70%-ით დაკავშირებულია მეცხვარეობის დარგთან.

ყურადღებაა გასამახვილებელი იმ რეალობაზეც, რომ მოცემული ზონის სოფლების უმეტესი ნაწილი სასაზღვრო ზოლშია მოქცეული და მათი მოსახლეობისაგან დაცლა და, მით უფრო, სოფლის გაუქმება,გუმართლებელია ყველა გაგებით. მეცხვარეობის დარგში გამოცდილების მქონე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან აზრის შეჯერებით დგინდება, რომ ყაზბეგისა და დუშეთის ზედა ზონის მცხოვრებთა უმეტესობას შესაძლებლობა აქვს ზაფხულის პერიოდში მიომარაგოს 10-15 სული და, ზოგ შემთხვევაში მეტი, რაოდენობით სანაშენე ცხვრის ზამთრის პერიოდში ბაგური წესით შესახვისათვის საჭირო მთის ყუათიანი თივა და ზამთრის საძოვრების გარეშე გამოა-

ზამთრონ იგი, იმის გათვალისწინებით, რომ ადრე გაზაფხულზე მიღებული ნამატიდან გამოწუნებული ცხვარი, ზაფხულის იალაღების შემდეგ , დაზამთრებამდე გაყიდონ და ზამთრის ბაგურ კვებაზე დაიტოვონ მხოლოდ სანაშენე ცხვარი, სარემონტო მოზარდის ჩათვლით ანუ ცხვრის საბაზისო სულადობა.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა რომ სახელმწიფომ მოსახლეობას გაუწიოს დახმარება ცხვრის სასტარტო(სანაშენო) სულადობის შეძენაში -კომლზე 10-15 სულის ფარგლებში- სათანადო სახელშეკრულებო პირობებით.

წინასწარი ვარაუდით მოცემულ პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა პირველ ეტაპზე შესაძლოა იყოს 3000 კომლამდე, რომელთა დასაფუძნებლად საჭიროა მაქსიმუმ 40000 სულამდე სანაშენო ცხვარი. ამისათვის საჭირო იქნება 7,5-8,0 მილიონამდე ლარი გრანტის ან იაფი კრედიტის გამოყოფა სათანადო სახელშეკრულებო ვალდებულებებით (ერთ კომლზე გაანგარიშებით 2500 ლარის ფარგლებში). აღნიშნული დახმარებით შეძენილი 10 დედა ცხვრის ანგარიშში თითოეული კომლს შესაძლებლობა ეძლევა წელიწადში აწარმოოს 300 კგ ხორცი, ცხვრის 30 კგ ყველი, 25-30 კგ მატყლი- ნაქსოვ ხელნაკეთობათა დამზადება- რეალიზაციისათვის. ყველა ამ პროდუქტთა საბითუმო- სარეალიზაციო ფასი კი სულ მცირე 2 ათას ლარს, ხოლო წლიური მოგება 1200 ლარს გადააჭარბებს. ეს, მთის პირობებში კომლისათვის საკმაო სერიოზული დამატებითი საოჯახო შემოსავალია და ჩვენი აზრით სოფლებში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდება,რაც აღნიშნული კატეგორიის სოფლების და, მთლიანად ქვეყნის, ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

3.6.ხორბლის წარმოება სერთიფიცირებული საწყობების მეშვეობით

საქართველო, ვაზთან ერთად, ხორბლის სამშობლოდაა აღიარებული. მისი უძველესი ჯიშები- მახა, ზანდური, დოლის პური და სხვა გამოირჩევიან მავნებლებისა და დაავადებებისადმი გამძლეობით, პურის ცხობის მაღალი თვისებებით.რაც მთავარია, ქართული ხორბლის უძველესი ჯიშები საუკეთესო სასელექციო მასალას წარმოადგენენ.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველო ხორბალზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ბოლო წლების მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8-18 %-ის ფარგლებში მერყეობდა და საქართველოში, სადაც სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილება 650-700 ათას ტონას შეადგენს, შეინიშნება ნათესების შემცირების ტენდენცია,რაც დარგისადმი უყურადღებობით შეიძლება აიხსნას.

დღევანდელ საქართველოში მოუგვარებელია ხორბლის თესლის წარმოება,არასაკმარისია სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა, ძვირია მინერალური სასუქები, არ ინერგება მოწინავე ტექნოლოგიები, მაშინ, როცა სპეციალისტების გათვლებით, საქართველოში შესაძლებელია სასურსათო ხორბალზე მოთხოვნილების 60-65 %-ით დაკმაყოფილება. ამისათვის საჭიროა ხორბლის ნათესები გაიზარდოს 110-120 ათას ჰექტრამდე, ხოლო მოსავლიანობამ 1 ჰექტარზე 3 ტონამდე მიაღწიოს, რაც დღევანდელ პირობებში სულაც არ არის ძნელად მისაღწევი.

ყველაფერი უნდა დაიწყოს ხორბლის შესყიდვით სერთიფიცირებული საწყობის მიერ, რომელიც დაკავშირებული იქნება მეხორბლეთა კოოპერატივში გაერთიანებულ მეწარმეებთან და კომერციულ ბანკთან.

სერთიფიცირებული საწყობების მოვალეობაა კოოპერატივებისაგან მარცვლის შესყიდვა ან შენახვა. კომერციულ ბანკში ინახება საწყობთან ხელშეკრულებით დაკავშირებული მეწარმეების საბანკო ანგარიშები.სერთიფიცირებული საწყობი პერიოდულად აწვდის ბანკს ინფორმაციას მასთან ჩაბარებული ხორბლის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ.ხორბლის მეწარმე ატყობინებს ბანკს სესხის აღების თაობაზე.ბანკი გასცემს სესხს შენახული ხორბლის ღირებულების 60%-ის ოდენობით და ატყობინებს კლიენტს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 27 ჯიშიდან ,14 საქართველოშია აღრიცხული. მათ შორის 5 ენდემური სახეობაა,რომლებიც ხალხური სელექციითაა მიღებული-კლიმატური და ნიადაგური პირობებისადმი შეგუების გზით. ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე V –VI ათასწლეულებში საქართველოში მისდევდნენ მეხორბლეობას. ხორბლის ენდემური ჯიშებისაგან განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან ლეჩხუმური მახა და ზანდური,რის გამოც ისინი ყველა სელექციონერისათვის საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენენ.

საქართველოში ენდემური ჯიშების მრავალფეროვნებამ ათქმევინა ცნობილ სელექციონერს,ბატონ პეტრე ნასყიდაშვილს: -,,ყველა გლეხს თავისი მინდვრის შესაბამისი ჯიში ჰქონდა და ყველა ჯიშს შესაბამისი ქართული სახელწოდება“.

საქართველოში მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის საკითხი მწვავედ დადგა 1990-იანი წლების დასაწყისიდან,როცა საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მსოფლიო ბაზრის სუბიექტი გახდა.პურით ანუ სოციალური პროდუქტით მოსახლეობის უზრუნველყობის საკითხი იმიტომ კი არ გართულდა,რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბალი არ იყიდებოდა, არამედ ხორბლის შესყიდვისათვის საჭირო სავალუტო რესურსების უქონლობის,ხორბლით ვაჭრობის გამოცდილების არქონით,მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის მნიშვნელობის გაუცნობიერებლობის გამო.პური მოსახლეობას ბარათებით მიეწოდებოდა,ხოლო 1996 წელს განხორციელდა პურის ქარხნების განსახელმწიფოებრიობა და პურზე ფასების ლიბერალიზაცია. სიტუაცია მოსახლეობის პურით უზრუნველყოფის სფეროში თანდათან დალაგდა და ხორბლით ქვეყნის უზრუნველყოფაში წამყვანი ადგილი დაიკავეს კერძო სტრუქტურებმა,რომლებიც დღეს უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის პურის მრავალი სახის მიწოდებას.

საქართველო ხორბალზე მოთხოვნილებას ძირითადად ხორბლისა და ფქვილის იმპორტით იკმაყოფილებს. წელიწადში საშუალოდ 650-700 ათასი ტონა ხორბლისა და ფქვილის იმპორტი ხორციელდება,რომლის შესყიდვაზე იხარჯება 180-200 მლნ აშშ დოლარი.

ხორბალი საქართველოში ძირითადად შემოდის რუსეთის ფედერაციიდან,ნაწილობრივ, უკრაინიდან და ყაზახეთიდან.

გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2040-2050 წლებში მსოფლიოში მოსალოდნელია სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობა, რაც აიძულებს განვითარებულ ქვეყნებს მკვეთრად შეცვალონ სასურსათო პოლიტიკა, რაც აუცილებლად გამოიწვევს სურსათის,

პირველ რიგში ხორბლის იმპორტის შემცირებას - საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის უპირველესად უზრუნველყოფის გამო.

მსოფლიოში 2030 წლისათვის მოსახლეობა გადააჭარბებს 8,9 მილიარდს, ხორბლის წარმოება გაიზრდება 20%-ით და შეადგენს 2150 მლნ ტონას ანუ მოთხოვნილების 80%-ს. ხორბლის ნათესი ფართობები იქნება 165-175 მლნ ჰექტარი, რაც საერთო სახნავ- სათესი ფართობების 20% იქნება. მომავალ 20 წელიწადში ეტაპობრივად გაიზრდება ფასებიც.ხორბლის ფასის ზრდა 66%-ის ფარგლებშია ნავარაუდევი.

ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ უახლოეს 20 წელიწადში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხორბლის ადგილობრივად წარმოების გაზრდას, მოსახლეობის საკუთარი წარმოების ხორბლით მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით.

საქართველოს ახალ ისტორიაში ყოფილა წლები,როცა ხორბლის ნათესი ფართობები 200-216 ათას ჰექტარს შეადგენდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს წინაშე დაისვა ამოცანა საკუთარი წარმოების ხორბლით დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესრულდა.მთავარი ის კი არ იყო, რომ საქართველო, როგორც სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთის რესპუბლიკა, უპირატესად სპეციალიზდებოდა მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოებაზე და მათი საკავშირო ფონდისადმი მოწოდებაზე(ღვინო, ხილი, ჩაი, ციტრუსი და სხვა).

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულისათვის მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ძირითადად სამხრეთული კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდების შესახებ,რაც კიდევ უფრო ზღუდავდა ხორბლის საწარმოებლად ფართობების გამოყოფის შესაძლებლობას.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში, ჩამოყალიბდა ხორბლის ნათესების შემცირების ტენდენცია. ასე მაგალითად,1988 წელს ყველა კატეგორიის მეურნეობაში ხორბლის ნათესი 93,9 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს 40,8 ათას ჰექტარს ანუ შემცირდა ორჯერ და მეტად.1988 წელს წარმოებული იქნა 293 ათასი ტონა საშემოდგომო ხორბალი, ხოლო 2018 წელს -100,1 ათასი ტონა. ხორბლის მოსავლიანობამ 1988 წელს შეადგინა 2,8

ტონა ჰა-ზე, ხოლო 2018 წელს 2,5 ტონა. 90-იან წლებში ხორბლის წარმოებამ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან წვრილ- ნატურალურ მეურნეობებში გადაინაცვლა.2018 წელს ამ ტიპის მეურნეობებში წარმოებული ხორბლის ხვედრითმა წონამ შეადგინა 88,2%.ასეთი მეურნეობების საქონლიანობის დონის ამაღლება მრავალი მიზეზის გამო თითქმის შეუძლებელია. ამის გამოა,რომ ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 8 -10) %-ს შორის მერყეობს.შესაბამისად, ძალიან მაღალია ხორბლის იმპორტის მაჩვენებლები და ის წლების მიხედვით მინიმუმ 552(2014 წ) ,970 (2012წ) ათას ტონას შორის მერყეობდა. საქართველოში ხორბლის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე ძალიან მაღალია და 2006 წელს- 126 კგ იყო, ხოლო 2013 წელს -138 კგ შეადგინა.დღიური მოხმარება მერყეობდა 350(2016 წ) -382(2008წ) გრამს შორის.

ხორბლის მწარმოებლების კოოპერირების გზით მიწების კონსოლიდაცია ყველა შემთხვევაში შესაძლებელია, თუ ეს მიწები ერთმანეთის გვერდითაა გაადგილებული და კოოპერატივებს გარანტირებული აქვთ წარმოებული პროდუქციის ხელსაყრელ ფასად გაყიდვა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხორბლის წარმოების გასაზრდელად აუცილებელია ჯიშიანი თესლის წარმოების პრობლემის მოგვარება.რაც შეეხება დაუთესავად მიტოვებულ ნაკვეთებს, მათზე პირველ წელს მის მესაკუთრეს უნდა გაუორმაგდეს მიწის გადასახადი, ხოლო მეორე წელს ჩამოერთვას საკუთრების უფლება.

სახსრების უქონლობის გამო წვრილი მეურნეობები ვერ ახერხებენ აგროტექნიკური ღონისძიებების სრულად ჩატარებას, სასუქების,ქიმიური პრეპარატების, თესლის შეძენას, სასოფლო- სამეურნეო ტექნიკის შესყიდვას ან დაქირავებას.

ადგილობრივი წარმოების გაფართოება შესაძლებელია სხვადასხვა ხერხების გამოყენებით.ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა სახელმწიფოს მიერ მსხვილი იმპორტიორების დავალდებულება შესყიდულ პროდუქციაში ადგილობრივი წარმოების ხორბლის წილის გაზრდის შესახებ.

ხორბლის შესყიდვის ერთიანი მექანიზმი შედგება ძირითადად სამი კომპონენტისაგან. ესენია:სერთიფიცირებული საწყობი, ხორბლის მწარმოებელი კოოპერატივი და კომერციული ბანკი.

სერთიფიცირებული საწყობის მეშვეობით ხორბლის შესყიდვას წინ უნდა უსწრებდეს ქვეყნის პარლამენტის მიერ კანონის მიღება ამგვარი საქმიანობის ანუ სერთიფიცირებული საწყობის მეშვეობით მარცვლეულის (ხორბლის) შესყიდვის შესახებ და იმ კრიტერიუმების დამტკიცება, რომელთა მიხედვით მოხდება სერთიფიცირება და მასერთიფიცირებელი ორგანოს შერჩევა.

კანონით შესაძლებელია ეს იყოს სპეციალურად ამ დანიშნულებით აგებული სასაწყობე მეურნეობა ან მოქმედი წისქვილკომბინატი, რომელიც აკმაყოფილებს სერთიფიკატის მიღებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. სერთიფიცირებული საწყობი ხელშეკრულებას აფორმებს ხორბლის მწარმოებელ კოოპერატივთან,რომელშიც აღნიშნულია საწყობისა და ხორბლის მწარმოებლების მიერ აღებული ვალდებულებების და სანქციების შესახებ,რომელიც დგება შეთანხმებული პირობების დარღვევის შემთხვევაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საწყობის მიერ წინასწარ შეთანხმებულ ფასში ხორბლის შესყიდვა და ხორბლის შენახვა.საწყობის ვალდებულებაა პერიოდულად მიაწოდოს კომერციულ ბანკს ცნობა საწყობის ბენეფიციარების მიერ საწყობში შენახული ხორბლის რაოდენობისა და მისი ღირებულების შესახებ.

სერთიფიცირებული საწყობის მესაკუთრე ხელშეკრულებას აფორმებს ხორბლის მწარმობელ კოოპერატივთან (კოოპერატივებთან),რომლებიც იქმნება სოფლების ან მუნიციპალიტეტების მიხედვით.ურთიერთკავშირის ასეთი ფორმა კოოპერატივებსა და კომერციულ საწყობებს შორის, აადვილებს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს,რადგან საწყობს ურთიერთობა აქვს რამდენიმე კოოპერატივის გამგეობასთან და არა ხორბლის თითოეულ მეწარმესთან,რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას, ხოლო კოოპერატივს უადვილებს მისი მეპაიეების აზრის საწყობის მესაკუთრეებთან მიტანას.

ხორბლის მწარმოებელი კოოპერატივის გამგეობა ადგენს პირობებს,თუ ვინ შეიძლება გახდეს კოოპერატივის წევრი.

ხორბლის შესყიდვისა და შენახვის პირობების შესახებ ხელშეკრულება ფორმდება კოოპერატივის გამგეობასა და ხორბლის მეწარმეს შორის. ხელშეკრულებაში მითითებულია საწყობისათვის გადასაცემი ხორბლის რაოდენობა და გასაყიდი ფასი, შესანახად გამიზნული ხორბლის რაოდენობა და შენახვის ღირებულება. კოოპერატივის გამგეობა ,მისი თითოეული წევრის მიხედვით, აწვდის საწყობს ბანკის ანგარიშს, კომერციული ბანკისათვის გადასაცემად.

სერთიფიცირებული საწყობი ბანკთან შეთანხმებით სისტემატურად აწვდის მას მონაცემებს, მისი ბენეფიციარების მიერ საწყობში შენახული ხორბლის რაოდენობის,ღირებულების და შენახვის ვადის შესახებ.

კოოპერატივის წევრი ბანკში აგზავნის განაცხადს სესხის გამოყოფის თაობაზე.ყველა სხვა ოპერაცია სრულდება მსესხებლისაგან დამოუკიდებლად.ბანკი, მოთხოვნის შემთხვევაში, გამოუყოფს კლიენტს სესხს საწყობში შენახული ხორბლის ღირებულების 60%-ის ოდენობით. ბანკის მიერ სესხის გაცემა ხდება ხორბლის,როგორც ლიკვიდური,არასაგირავნო ქონების გამოყენების საფუძველზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხორბლის მწარმოებლები, როგორც წესი, იღებენ სესხს, რომელსაც ძირითადად იყენებენ საშემოდგომო სამუშაოების ჩასატარებლად , სასუქებისა და სხვა ქიმიური პრეპარატების შესაძენად და სხვა.

რა უპირატესობა აქვს სერთიფიცირებული საწყობის მეშვეობით ხორბლის შესყიდვას?

- იქმნება საკანონმდებლო ბაზა ხორბლის ორგანიზებული შესყიდვის (გაყიდვის) შესახებ;
- ხორბლის მწარმოებელმა წინასწარ იცის,თუ რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მის მიერ წარმოებულმა ხორბალმა, რომ გარანტირებული იყოს მისი გაყიდვა;
- ხელსაყრელი პირობები იქმნება ხორბლის მწარმოებელთა მიერ კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი ინტეგრაციისათვის,რაც წარმატებული საქმიანობის გარანტიას ქმნის;
- კოოპერატორს წინასწარ აქვს განსაზღვრული მოწეული მოსავლიდან რამდენს გაყიდის მოსავლის აღების დროს და რამდენს შეინახავს საწყობში, რა ვადით, რა დაუჯდება პროდუქციის შენახვა;

- აღნიშნული ღონისძიებების გატარებით იმსხვრევა ბოლო დროს ჩამოყალიბებული არასწორი შეხედულება,თითქოს ქართული ხორბალი არ გამოდგება პურის გამოსაცხობად, იმპორტირებულ პროდუქციასთან შერევის გარეშე;
- ყველასათვის ნათელი ხდება, რომ ქართული ხორბლისათვის დღეს დამახასიათებელი ნაკლოვანებები ხორბლის მოვლა- მოყვანის აგროტექნიკური ღონისძიებების გაუტარებლობითაა გამოწვეული;
- გაიოლებულია კოოპერატივის წევრის მიერ სესხის აღება,რომელიც რიგითი გლეხისათვის პრობლემას წარმოადგენს. მოკლევადიანი სესხის აღება თითქმის ავტომატურ რეჟიმში ხდება, სერთიფიცირებულ საწყობში შენახული ხორბლის გირაოდ გამოყენების გამო;

3.7.ბიოპროდუქციის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში

საქართველოში თითქოს ყველა პირობა არსებობს ბიოპროდუქციის წარმოებისათვის, თუმცა მისი კლასიკური მოთხოვნების შესაბამისად წარმოებისათვის სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი.

თავდაპირველად ბიოპროდუქციის წარმოებაზე გადასვლა უნდა განხორციელდეს ქვეყნის მთისწინა და მთის რაიონებში, რომელზედაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 87%-ი მოდის და, რომლისთვისაც, დამახასიათებელია წვრილი, ნატურალური ტიპის მეურნეობების სიჭარბე, მიწების ბუნებრივი დანაწევრება, უპირატესად ხელით შრომის წარმოების, მოძველებული ტექნოლოგიის გამოყენება.

ამ რეგიონებში შრომის კონსოლიდაცია შესაძლებელია წვრილ, დანაწევრებულ ოჯახურ მეურნეობებში ერთიანი ტექნოლოგიის დანერგვით, პროდუქციის გარანტირებული შესყიდვით, ბიოწარმოებისათვის კულტურების შერჩევით და ა.შ.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, იგი უნდა ჩამოყალიბდეს ცალკეული ოპერაციების

მიხედვით ან გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის გზით. ამ რეგიონებში ბიოწარმოებაზე გადასვლა უნდა განხორციელდეს მეურნეობის საკუთრებაში არსებული სავარგულების ამ დანიშნულებით გამოყენების კვალობაზე, რათა მათ უცბად არ დაკარგონ ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება, რაც ასე მიმზიდველია უცხოელი ტურისტებისათვის.

გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში მსოფლიოში მოსალოდნელია სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობა და მისი გაძვირება, რაც გამოიწვევს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აგრარული პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებას, საკუთარი მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის გაზრდისა და შესაბამისი მარაგების შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე. საქართველო, როგორც მსოფლიო ბანკის სუბიექტი, სერიოზულად უნდა მოემზადოს ამ პერიოდისათვის -განსაკუთრებით სურსათით თვითუზრუნველყოფის კუთხით - არახელსაყრელი სასტარტო პირობების არსებობის გამო.

მიუხედავად საშიში მოლოდინებისა, რაც იმავდროულად ღარიბი ქვეყნებისა და მშიერი მოსახლეობის ზრდას გულისხმობს, მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, ყალიბდება ბიოპროდუქციის ზრდის ტენდენცია, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოების შემცირებას ნიშნავს. დასახელებული ორი ტენდენციის შედარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიოში გრძელდება სურსათის უვნებლობისადმი ასიმეტრიული დამოკიდებულება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მშიერი ქვეყნები იძულებულნი იქნებიან რაც შეიძლება მეტი გენმოდიფიცირებული პროდუქცია მოიხმარონ, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ტენდენციების მასშტაბები სერიოზულად განსხვავდება. ორივე მათგანს ის საერთო აქვთ, რომ ხელს უწყობენ განვითარებული ქვეყნების შემდგომ დაწინაურებას- გენმოდიფიცირებული თესლისა და ბიოპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების მოწინავე ქვეყნებში განთავსებისა და მათი შემოსავლების ზრდის გამო. მომავალში, თუ რომელიმე ქვეყანა შეძლებს გენმოდიფიცირებული პრო-

დუქციისაგან საკუთარი მოსახლეობის დაცვას, აქ წარმოებული პროდუქცია განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი იქნება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამის შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეთ ბუნებრივი რესურსებით მდიდარ და კანონმორჩილ, შედარებით პატარა ქვეყნებს.

ინტენსიური მიწათმოქმედების ქვეყნებში ბიოწარმოების ორგანიზაციის დანახარჯები ფართობის ერთეულზე გაცილებით მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

მიხედავად ამისა, ბიოწარმოებაზე გადასვლა აქ უფრო ორგანიზებულია, რაც იმაზე მიუთითებს , რომ ბიოწარმოების განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს პროდუქციის წარმოებაში, განაწილებასა და მომსახურებაში არსებული მდგომარეობა და რომ იგი, როგორც ადამიანების კვების უვნებელი გარანტი, მომავალში უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს. ბიოწარმოებაზე გადასვლის სასტარტო დანახარჯები განვითარებად ქვეყნებში გაცილებით ნაკლებია, ამიტომ განვითარებული ქვეყნების მიერ ამ რანგის ქვეყნების ბიოწარმოებაში ინვესტიციების განხორციელება მომგებიანი იქნება.

საქართველოში ბიოწარმოების ტექნოლოგიების ცოდნის, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონის,საწარმოო მომსახურების სფეროს განუვითარებლობის გამო, ბიოწარმობაზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით,ძირითადად მთისწინა და მთის რეგიონებში, რომლებიც გამოირჩევიან ნატურალური, წვრილი მეურნეობების სიმრავლით, მიწების ბუნებრივი დანაწევრებით, წარმოების ინტენსიური ფაქტორების გამოყენების შეზღუდულობით, მიტოვებული მიწების მაღალი ხვედრითი წონით, უპირატესად ხელის შრომის გამოყენებით.

ბიოწარმოება უნდა მოეწყოს მეურნეობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაწილზე, რითაც შენარჩუნებული იქნება მეურნეობის ნატურალური სახე და ოჯახური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობაც. წარმოების კონსოლიდაცია განხორციელდება სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა- მოყვანის ერთიანი ტექნოლოგიების დაცვით, პროდუქციის გარანტირებული შესყიდვით, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის თანდათანობით გაღრმავებით. ასეთი მიდგომებით შესაძლებელია კონვერსიის პერიოდში მასერთიფიცირებელი ორგანოს

მიერ ჯგუფური კონტროლის განხორციელება, რაც ამ მიმართულებით გასაწევი ხარჯების შემცირებას გამოიწვევს.

განვითარებად ქვეყნებში ბიოწარმოებაზე გადასვლისათვის საჭიროა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება იმის გათვალისწინებით, რომ ბიოწარმოების განვითარება ხდება ცალკეული მეურნეობების თუ მთლიანად რეგიონების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ბიოწარმოებაზე მასიური გადასვლა ვერ მოხერხდება, ვიდრე არ გადაწყდება მოსახლეობაზე სურსათის ადგილზე მიწოდება, ბიოწარმოებაზე მოსახლეობის დასპეციალების, წარმოების საშუალებებით მომარაგების, წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაციის ანუ ბიოწარმოებიდან სტაბილური შემოსავლების მიღების, ბიოპროდუქციის წარმოების სხვა კულტურებთან შეთანაწყობის, მეურნეობის კონვერსიაზე დაყენებისა და სერტიფიცირების საკითხები.

თუ ჩვენ გვინდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტში ბიომეურნეობებში წარმოებულმა პროდუქციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს, საჭიროა სერიოზული, სახელმწიფოსაგან მხარდაჭერილი ღონისძიებების მომზადება და განხორციელება, კერძოდ:

უნდა მომზადდეს საქართველოში ბიომეურნეობებში პროდუქციის წარმოების სტრატეგია,შემუშავდეს ბიომეურნეობაში პროდუქციის წარმოების პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ბიოწარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა;

სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტრუქტურაში არსებული ბიოწარმოების სამსახურის გაძლიერება, მისი დამოუკიდებელ კვლევით ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივით;

სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით იმ პროდუქციის ჩამონათვალის განსაზღვრა, რომლის წარმოება უპირატესად ბიომეურნეობებში მოხდება;

ბიოპროდუქტების შესყიდვის,შენახვის, გაყიდვის ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება;

ბიოპრეპარატების, ჰუმუსის, კომპოსტის წარმოების სწავლება მისი მომხმარებლებისათვის;

ბიომეურნეობის, ბიოპროდუქტების რეკლამირების საკითხები;

ბიომეურნეობის ჯგუფური სერთიფიცირების პიროების შექმნა;

ბიომეურნეობაში გამოსაყენებელი თესლის, ნერგის შემოწმებისა და სერთიფიფირების საკითხები;

ბიოწარმოების მხარდაჭერა პრესის, ტელევიზიის, რადიოს მეშვეობით, სპეციალიზებული შეკრების ორგანიზებით;

რამდენადაც ქვეყანა სერიოზულად აპირებს ევროპის ბაზარზე სერთიფიცირებული ბიოპროდუქტებით შესვლას, რისთვისაც გარკვეული პეროდია საჭირო (მინიმუმ სამი, ოთხი წელი), იგი უნდა შეეცადოს ბრენდული დასახელების პროდუქტების დაუყონებლივ შეტანას, როგორც ბაზრის შესწავლის, ისე მრავალი სხვა საკითხის დასაზუსტებლად (შესაფუთი მასალა, შეფუთვის ფორმა, ტრანსპორტირების სახე, მყიდველის მიერ პროდუქციის ცნობადობის ამაღლება და მრავალი სხვა).

რაც მთავარია, პროდუქციამ მომხმარებელს თავი უნდა დაამახსოვროს გემოთი, არომატით, სასაქონლო სახით და ა.შ. თავიდანვე უნდა იყოს რეკლამირებული, რომ უახლოეს პერიოდში პროდუქცია მიწოდებული იქნება, როგორც სერთიფიცირებული ბიოპროდუქტი.

რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტებს, სადაც ბიოწარმოების ორგანიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული ის უპირატესობები, რასაც დარგის გაძღოლის პირობები გვაძლევს. უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებრივ პირობებში ნაკვები მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის, კახური ღორის, ცხვრის, თხის ხორცის, ბატკნის, ციკნის შესაწვავი ნაწილის ბიოპროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაცია ურთულესი საკითხია. ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი მზად არ არის მისი მოხმარებისათვის და არც უახლოეს მომავალში იქნება. თავდაპირველად ბიოწარმოება ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ ექსპორტზე, რაც უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულის გამო დასახული მიზნის განხორციელება მხოლოდ კერძო მეწარმეებისა და სახელმწიფო ორგანოების აქტიური თანამშრომლობის შედეგადაა შესაძლებელი.

3.8.სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ახალი ტალღის შესაძლებლობები

ოფიციალური მონაცემებით საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო მათი მშენებლობის პროცესი XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში შეწყდა.

კოლექტივიზაციას, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით გატარდა, საერთო არაფერი ჰქონდა კლასიკური კოოპერატივების ჩამოყალიბებასთან, რადგან იგი, როგორც წესი, ხორციელდებოდა ძალდატანებით - შეძლებული გლეხების განკულაკების, კოლმეურნეობებში გლეხის კუთვნილი წარმოების ყველანაირი საშუალების (ცხენი, ხარი, ურემი, გუთანი, სახნისი, თესლი, ნერგი და სხვა) იძულებითი გაერთიანების გზით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების ბუნებრივ პროცესში პარტიის მხრიდან უხეში ჩარევა რომ არ მომხდარიყო, მათი ჩამოყალიბება ისევე წარიმართებოდა, როგორც ეს მოხდა გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში და დღეს საქართველო მრავალმხრივი მიმართულების კოოპერატივების კლასიკური ქვეყანა იქნებოდა.

დირექტივები, რომლებიც პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან კოლმეურნეობებს ეძლეოდათ, ფორმალურად რეკომენდაციების ხასიათს ატარებდა, სინამდვილეში კი მათი შეუსრულებლობა მკაცრ პარტიულ და ადიმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

დროთა განმავლობაში, რაც უფრო ძნელდებოდა პროდუქციის წარმოება და მისი ზრდის ტემპების უზრუნველყოფა, მატულობდა ზემოდან დაშვებული დირექტივების რაოდენობა და მათი შესრულების აუცილებლობა. ფაქტიურად კოლმეურნეობები ისეთივე საწარმოო ადმინისრტაციულ გარემოში მოექცნენ, როგორც სახელმწიფო მეურნეობები.

თავდაპირველად საქართველოში 5 ათასამდე კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, რომელთა უმრავლესობა მრავალდარგოვნების, და ეკონომიკური ფუნქციონირების პირობების შეზღუდულობის გამო - ზარალიანები იყვნენ.

იმის ნაცვალად, რომ წვრილი კოოპერატივებისათვის მიეცათ სრული თავისუფლება და ერჩიათ ერთი რომელიმე დარ-

გის პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალება, პარტიის გადაწყვეტილებით მოხდა მათი გამსხვილება, რაც ერთი შეხედვით, სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ბევრი მათგანი კვლავ ზარალიან საწარმოოდ იქცა. უფრო მეტიც, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ზარალიანი კოლმეურნეობების სახელმწიფო მეურნეობებად გარდაქმნის პროცესი, რითაც საბოლოოდ უარყოფილი იქნა კოლმეურნეობების კოოპერაციული ბუნება.

თანამედროვე ეტაპზე კოოპერატივების ჩამოყალიბებას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდება. პირველი, ეს არის ადამიანების განცდა სახელმწიფოს მიერ კოოპერატივების ჩამოყალიბების წახალისების უკან ხომ არ იმალება კოლმეურნეობების აღდგენის მცდელობა. ასეთ ეჭვს გააჩნია არსებობის უფლება. მართალია, მომავალი კოოპერატორი არ მოსწრებია კოლექტივიზაციის პროცესს, მაგრამ გადმოცემით, ლიტერატურით, ოჯახური მახსოვრობით, იცის იმ უარყოფითი მოვლენების შესახებ. კარგად ახსოვს, თუ რას წარმოადგენდა მისი სოფლის კოლმეურნეობა და რა წინააღმდეგობები იყო მისთვის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, ურთიერთგადაჯაჭვულია ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები.

ჩვენის აზრით, სოფლად არსებული მრავალფეროვნების მიუხედავად, კოოპერატივი უნდა იყოს ვიწროდ სპეციალიზებული ანუ ერთი რომელიმე სახის პროდუქციის წარმოებაზე მორგებული. მრავალდარგიანობას ისიც სჯობს, რომ კოოპერატივმა მოიცვას არა მთელი საწარმოო ჯაჭვი, არამედ მისი ნაწილი, თუნდაც ჯაჭვის ერთი რგოლი.

კოოპერატივების ჩამოყალიბებისადმი ასეთ მიდგომას სხვა დანიშნულებაც აქვს. კერძოდ, კოოპერატივში გაერთიანების მიზანშეწონილობის პირობებში, პოტენციურ კოოპერატორს გაერთიანების გარეთ, პირად საკუთრებაში რჩება ქონების, სამეურნეო-საწარმოო სამქმიანობის და, აქედან გამომდინარე, შემოსავლების გარკვეული ნაწილი. კოოპერატორებს კოოპერატივის საქმიანობის წარუმატებლობის შემთხვევაში, კოოპერატივისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაცია შეეძლება. ასეთი მიდგომა კოოპერატივში გაწევრიანებით წარმოშობილი ფსიქოლოგიური დაძაბულობის შერბილების საუკეთესო საშუალებაა.

კოოპერატივში გაწევრიანებისას უნდა ვერიდოთ პაიდ მიწის გამოყენებას, რადგან ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გააჩინოს მიწაზე საკუთრების დაკარგვის შიში. ამ შემთხვევაში მიწების კონსოლიდაციის უპირატესობის დასაბუთება საკმარისი არ იქნება.

შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევაც, როცა კოოპერატივში გაერთიანებული კულტურა ცალ-ცაკლე გლეხების საკარმიდამო ნაკვეთებზე იყოს გაადგილებული და კოოპერატივის თითოეული წევრი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს დამოუკიდებლად ასრულებდეს. საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, ასეთი კოოპერატივები საკმაოდ ბევრი იქნება. შრომის ორგანიზაციის ასეთი ფორმა უპირატესად იაპონურ კოოპერატივებში გამოიყენება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს - კოოპერატივებისადმი სხვადასხვა ფორმის დახმარების აღმოჩენის გზით. ზოგადად განვითარებად ქვეყნებში კოოპერაციული მშენებლობისადმი ასეთი მიდგომა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ამასვე ითვალისწინებს კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობის საკითხზე გაეროს 2002 წლის რეზოლუცია.

ანალოგიური ქმედება გათვალისწინებულია საქართველოს კანონით - ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის ივლისში იქნა მიღებული. სხვა ხელშემწყობ ღონისძიებებთან ერთად, გათვალისწინებულია კოოპერატივებისათვის სახელმწიფოს მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის გამოყოფა, საგადასახადო შეღავათების დაწესება.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, კოოპერატივებისადმი სახელმწიფო ხელშეწყობა ძირითადად ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: ეს არის მცირე წარმადობის გადამამუშავებელი საწარმოები და მცირე გაბარიტიანი ტრაქტორებით და მოტობლოკებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა. ტექნიკა კოოპერატივებს უნდა გადაეცეს გამოსყიდვის უფლებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ გლეხის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ნაწილ-

დება პროპორციით 1:6:10, საიდანაც 1 არის გლეხის შემოსავალი, 6 სასუქების, შხამქიმიკატების, ტექნიკის მწარმოებელი საწარმოებს, 10 -გადამამუშავებელი საწარმოების. ინტეგრირებული კოოპერატივების ჩამოყალიბების უპირატესობა ეჭვს არ იწვევს.

ცხადია, კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, პირველ წლებში მაინც, გარკვეულ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული. მისი დაძლევა სხვადასხვა გზით შეიძლება, რომელთა შორის უპირატესობა მსგავსი პრდუქციის მწარმოებელი კოოპერატივების მიერ რეალიზაციის სფეროში მომუშავე კოოპერატივის ჩამოყალიბებაში უნდა ვეძებოთ. ასეთმა კოოპერატივებმა შეიძლება დამფუძნებელი კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფუნქციაც შეითვისონ.

კოოპერატივების ჩამოყალიბების ამ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააგენტოს როლი, რადგან სოფლის მოსახლეობა მიჩვეულია, რომ ყველა ნაბიჯი ზემდგომის ინიციატივით უნდა გადაიდგას. იგი დარწმუნებულიც რომ იყოს თავისი ინდივიდუალური თუ ჯგუფური გადაწყვეტილების სისწორეში, მაინც ზემოდან ნაკარნახევს ანიჭებს უპირატესობას. ჩვენ ბევრჯერ აგვიხსნია პრობლემისადი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი. მიუხედავად ამისა, მაინც გვიწევს იმის ხაზგასმა, რომ არა მარტო განვითარების ამ ეტაპზე, არამედ სულ მცირე ორი ათეული წლის მანძილზე, ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება.

საქართველოს კანონმა,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ოპონენტთა ნაწილის აზრით, კოოპერატივების მთლიან მასაში სოფლის კოოპერატივების ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია. საჭირო არ იყო სპეციალური კანონის მიღება, რადგან კოოპერატიული მშენებლობა და ,განსაკუთრებით, მისი ფორმების მრავალფეროვნება, ვერ ჩაეტევა დასახელებული კანონის ფარგლებში და მათი წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდება სოფლად სხვა ფორმის კოოპერატივების ჩამოყალიბება: მომმარაგებელი, საფინანსო, სამშენებლო, სამრეწველო და ა.შ.

ზემოაღნიშნულ მსჯელობას სერიოზული საფუძველი გააჩნია და, ამდენად, არსებობის უფლებაც აქვს. თუ, პრობლემას იმ კუთხით შევხედავთ, რომ ჩვენთან საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროში კოოპერატივების ჩამოყალიბების მიმართულებით არაფერი კეთდებოდა, სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების შესახებ კანონის მიღება გამართლებულია.

საზოგადოებაში განსხვავებული აზრი არსებობს სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბების ტემპებთან დაკავშირებით. ნაწილი თვლის, რომ ჩამოყალიბების პროცესი სწრაფად უნდა განვითარდეს. მეორე ნაწილის აზრით, კოოპერატივების ჩამოყალიბების გზაზე სხვადასხვა, მათ შორის ფსიქოლოგიური და ეკონომიკურ-ფინანსური ხასიათის წინააღმდეგობები შეიძლება წარმოიშვას. ამიტომ, კოოპერატივების ჩამოყალიბების ტემპების დაჩქარება საჭირო არ არის.

ზოგადად, ადამიანები ურთიერთნდობისას დიდ სიფრთხილეს იჩენენ, მით უფრო როცა საქმე ეხება მატერიალური, ფინანსური თუ ადამიანური რესურსების გაერთიანებას- რაღაც დრომდე არარსებული, მხოლოდ ქაღალდზე არსებული დოვლათის მიღების მიზნით.

გაურკვეველი და კითხვებით დამძიმებული მოსალოდნელობისას ადამიანები, რომელთაც მიწის შედარებით მეტი ნაკვეთი აქვთ, მიუხედავად წარმოების სხვა კომპონენტების დეფიციტისა და მათი მოძიების რთული პირობებისა, მაინც წარმოების ინდივიდუალურად წარმართვას ამჯობინებენ და კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და იქ მიმდინარე პროცესებს გარედან დააააკვირდებიან.

ძნელი წარმოსადგენია, რომ კოოპერატივები მოიპოვებენ საკმარისი რაოდენობის იაფ სესხს და, მით უფრო გრანტს, მათ მიერ ჩაფიქრებული საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. სხვა ფაქტორებთან ერთად, სერიოზულად ხელშემშლელი იქნება საქმიანობის ისტორიის უქონლობა ანუ შემოსავლების არქონა და ბანკისათვის მისაღები ლიკვიდური საგირავნო ქონების არსებობა. კოოპერატივებისადმი სახელმწიფო ხელშეწყობა, რაც კანონით არის გათვალისწინებული, საკმარისი არ იქნება საწარმოო ჯაჭვის სრული ციკლის ასამოქმედებლად. სხვა მხრივ, შუაზე გაწყვეტილი ან ბოლომდე მიუყვანელი პროცესი უარყოფითი მაგალითი იქნება სხვა კოოპერატორებისათვის. გასათვალისწინებელია ქართული ხასიათის ის ნიუანსი, როცა ყველას ხელმძღვანელ ორგანოში ანუ კოოპერატივის გამგეობაში ან სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში მოხვედრა უნდა.

სერიოზული წინააღმდეგობები წარმოიქმნება კოოპერატივის ოფისის მოწყობასთან დაკავშირებით, რასაც გარკვეული თანხა დასჭირდება.

ყველაზე დიდი დეფიციტი, რაც კოოპერატივებისათვის იქნება დამახასიათებელი, ეს არის ცოდნის დეფიციტი, რომლის აღმოფხვრას რამდენიმე წელი დასჭირდება. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, რისთვისაც სპეციალისტების მოწვევაა საჭირო. აგრარულ მეცნიერებაში განხორციელებული რეფორმის შედეგად მცოდნე კადრების შერჩევა ბევრი მიმართულებით უკვე შეუძლებელია.

მაინც რომელი დარგიდან და, დარგში წარმოების რომელი სტადიიდან, უნდა დავიწყოთ კოოპერატივების ჩამოყალიბება, იმ მოსალოდნელი წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი - ეს, ცალკე მსჯელობის საგანია და ამ ფორმატში ვერ ჩაეტევა. აქ შევეხებით მხოლოდ კოოპერატივების ჩამოყალიბების ორგანიზაციის პრაქტიკულ საკითხებს.

კოოპერატივების ჩამოყალიბების ჩვენეულ ხედვაზე მსჯელობა გვქონდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, სხვა ორგანიზაციებშიც, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან გვეჩვენება, რომ ჩვენმა წინადადებებმა სერიოზული დაინტერესება ვერ გამოიწვიეს.

მიგვაჩნია, რომ კოოპერატივების ჩამოყალიბებაში გლეხების საინიციატივო ჯგუფთან ერთად, მონაწილეობა უნდა მიიღოს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს წარმომადგენლებმა, რაც პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის მაჩვენებელი იქნება.

აუცილებლად მიგვაჩნია სამღვდელოების წარმომადგენლების მონაწილეობა. მათ მიერ ახალი საქმის კურთხევა კოოპერატივის წევრებში განამტკიცებს რწმენას ახალი საქმისადმი და მეტ თვითდაჯერებულობას შესძენს პროცესის მონაწილეებს. დღეს იმდენად დიდია ეკლესიის ავტორიტეტი, რომ კოოპერატივის მომავალ წევრებს შორის ვინმე ეკლესიურიც რომ არც იყოს, ხმამაღლა ამას არ იტყვის და საერთო დინებას დაექვემდებარება.

ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბებაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა მოცემული სპეციალობის მეცნიერებმა, რაც ახალი ტექნოლოგიის თუ არა, მისი გარკვეული ელემენტების დანერგვისა და ტექნოლოგიის მუდმივი სრულყოფის გარანტი იქნება. აღნიშნული მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში განუზომელია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგრარული პროფილის სასწავლო უნივერსიტეტების როლი.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესისადმი მეტი დამაჯერებლობის მინიჭება და სასურველი შედეგის მიიღწევა.

3.9.ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი მეჩაიეობაში

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიხედვით ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს: 1.ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას, 2.ზრდის შედეგების შესაძლო თანაბარ განაწილებას საზოგადოების დასაქმებულ წევრებს შორის.

ეკონომისტთა ნაწილის აზრით, ინკლუზიური ზრდის მოდელი განსხვავდება ე.წ. ღარიბებზე ირიენტირებული ზრდის მოდელისაგან. მთავარი განსხვავება ეკონომიკური ზრდისათვის პრიორიტეტების მინიჭებაში მდგომარეობს ანუ იმის შერჩევაში, თუ რის საფუძველზე ხდება ზრდა - ღარიბების შრომის პროცესში მონაწილეობით, თუ დარგების მიხედვით მიღებული შემოსავლების გადანაწილებით.

ინკლუზიური ეკონომიკა უპირატესობას ანიჭებს ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის ისეთ მოდელს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ თვითონ შეძლონ სიღარიბისაგან თავის დაღწევა.

ინკლუზიური ეკონომიკა ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებებს ითვალისწინებს - კერძოდ, იგი ადგენს თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა -ნეოლიბერალური, სახელმწიფოს ჩართვით, თუ სხვა .

ქართველი მკვლევარის - გ. გოთუას აზრით, საჭიროა საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენელთა ფართო დიალოგი, სადაც გამოიკვეთება სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკაში.

ბოლო დროს საქართველოში ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფოს მონაწილეობით, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ე.წ ,,მინიმალური სახელმწიფოს“ მომხრეების შეხედულებები დომინირებს.

მსოფლიო გამოცდილება კი ამტკიცებს,რომ ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში აშკარაა სახელმწიფოს მონაწილეობა.

ეკონომიკაში ნეოლიბერალური პოლიტიკის გამოყენების შედეგია ის გაუგებრობა, რომელიც 2018 წლის ეკონომიკური ზრდის შედეგების შეჯამებისას გამომჟღავნდა. კერძოდ, მაისის თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7,6 % შეადგინა, რაც წინა თვეებზე გადაანგარიშებით, საშუალოდ 6,1 %-ის ტოლი იყო და რეგიონის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს ბევრად აღემატებოდა.

ამავე დროს, გაეროს ეგიდით იუნისეფის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის ფონზე სიღარიბე 2,9-%-ით გაიზარდა.

აშკარაა, რომ ინკლუზიური ეკონომიკის გამოყენების შემთხვევაში, რაც, რასაკვირველია, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს უპირატეს მონაწილეობას ითვალისწინებს, ეს არ მოხდებობდა, თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნული მოდელი სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ის შედეგები, რაც ეკონომიკის ზრდის კვალობაზე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე აისახა, წმინდა ნეოლიბერალიზმის ანუ ეკონომიკის ბაზარზე მინდობილი პოლიტიკის შედეგია. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ეკონომისტთა წრე, რომლებიც ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას თავგამოდებით იცავენ და ამტკიცებენ, რომ შემოსავლების გამოთანაბრება მისი სოციალურ ჯგუფებზე შემოსავლების გადანაწილებით უნდა მოხდეს.

ასეთ მიდგომებს თანამედროვე ეკონომიკიური პოლიტიკისადმი ,,კალდორ- ჰიკსის“ ლოგიკას უწოდებენ.

ინკლუზიური ეკონომიკისადმი განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობოდა მიმდინარე წელს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც წარმოადგინეს ინკლუზიური

განვითარების ინდექსი, რომელიც მსოფლიოს 107 ქვეყანას აფასებს ზრდის 12 კრიტერიუმის მიხედვით.

ისმის კითხვა - რატომ ამახვილებს მსოფლიო საზოგადოება და, განსაკუთრებით, მისი მოწინავე ნაწილი ყურადღებას ინკლუზიური ზრდის პრობლემებზე. იმიტომ ხომ არა, რომ XX საუკუნე იყო საშუალო კლასის ფორმირების, ხოლო XXI- კი საზოგადოების ფენებად დაყოფის საკუკუნეა და სიმდიდრის განაწილება ფენებად დაყოფილ საზოგადოებაში საშიშ ფორმას იღებს?.

დედამიწაზე მომრავლდნენ უმდიდრესი ადამიანები, კომპანიები, რომელთა შემოსავალი ტრილიონ დოლარს აღემატება.

მსოფლიო მოსახლეობის პირამიდის ფუძეს შეადგენს მინიმალური შესაძლებლობების მქონე მოსახლეობა, რომელიც რაოდენობრივად 4 მილიარდ ადამიანს ითვლის და რომელთა წლიური შემოსავალი 4000 დოლარამდეა. მათი მეოთხედი ანუ ერთი მილიარდი ადამიანი იმყოფება სიღარიბის ზღვარს მიღმა. მათ შეუძლიათ თავიანთი შემოსავლით იყიდონ საკვები დღიურად-2-9 დოლარის ფარგლებში.

უაღრესად საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ამერიკელი სოციოლოგის-იმანუილ ვალერსტაინის შეფასება, რომელიც ამბობს, რომ თანამედროვე მსოფლიო სისტემა შედის საბოლოო კრიზისში და არავინ იცის რა იქნება 50 წლის შემდეგ, რადგან ის იმყოფება კრიზისის სასიკვდილო ფაზაში.

რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში?

ცნობილია, რომ ინკლუზიური ზრდის საფუძველს უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება და ადამიანების პროფესიული დასაქმება წარმოადგენს. ამ მაჩვენებლით საქართველო, ანალოგიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის მხოლოდ 24-ე ადგილზეა. სიღარიბის ზღვარზე მყოფ პირთა დასაქმების კუთხით კი-26-ადგილზე .

ცუდი მაჩვენებელი გვაქვს განათლებაზე დანახარჯების კუთხითაც -28-ე ადგილი. საქართველოში, სადაც უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ძნელია კვალიფიციური სამუშაო ძალის პოვნა. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 35-ე ადგილზე იმყოფება. რაც შეეხება ჯინის ინდექსს, ის 0,52-ის ტოლია.

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოების წევრებს შორის არ ხდება შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ქონების დიდი ნაწილი ხვდება იმ მცირერიცხოვანი ადამიანების ხელში, რომელთა უმრავლესობამ საწყისი კაპიტალი სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით დააგროვა.

თუ მსოფლიოს სურს თავის გადარჩენა, განსაკუთრებით მის მდიდარ ნაწილს, მათ მხარი უნდა დაუჭირონ ინკლუზიური ზრდის ეკონომიკურ მოდელს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია შემოსავლების მეტ-ნაკლებად სამართლიანი განაწილება.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე მიგრანტთა შემოტევა მომავალში ამ მიმართულებით მოსალოდნელი უმნვავესი კრიზისის მხოლოდ ანარეკლია.

მსოფლიოს მდიდარმა ქვეყნებმა მეტი ანალიზი უნდა გააკეთონ პარიზში, ლონდონსა თუ ევროპის სხვა დიდ ქალაქებში მიმდინარე პროცესების, თუნდაც ადამიანების სახეების ვიზუალური ცვლილებების გათვალისწინებით. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ჩვენგან შორს არის.

მდიდარი მსოფლიო უნდა შეეცადოს მიგრანტთა ქვეყნებში დანერგოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მოდელი, რათა შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება, რისი გამოვლენაც ყველაზე მწვავედ ღარიბი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სექტორის აკადემიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ა. ნოვიკოვი და ასპირანტი მ. ვიტკინა - წიგნში -,,ინკლუზიური ეკონომიკა და სოციალური პასუხისმგებლობა მსოფლიოს რეგიონებში-დილემა თუ საზოგადოებრივი შეთანხმება“, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა სოციალური პოლიტიკის წარმატების ერთ- ერთ პირობას ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკის არსებობა წარმოადგენდა.

ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის არსებობა ყველა შემთხვევაში გულისხმობს სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობას, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ბალანსის დაცვას ემყარება.

გადამწყვეტი როლი ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის ფორმირებაში ეკუთვნის სახელმწიფოს. მის პოლიტიკას,თუ

რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ძირითადი როლი მდგომარეობს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებაში, აგრეთვე დასაქმებულ ადამიანებს შორის შემოსავლების შესაძლო თანაბარ განაწილებაში .

საქართველოში, ბუნებრივია, პრიორიტეტი-სოფლის მეურნეობაა, მაგრამ ჭირს პრიორიტეტული მიმართულების ამორჩევა, რადგან სასოფლო- სამეურნეო წარმოების მრავალდარგიანობის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი ისეთი დარგის ამორჩევა, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მთლიანდ ქვეყნის ეკონომიკის ამოწევა და, მით უფრო, ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის განვითარება.

ჩვენი აზრით, გამოსავალი შემდეგშია:

სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით უნდა შეარჩიოს სასურსათო, აგრეთვე ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია და მოახდინოს მათი წარმოების ეკონომიკური სტიმულირება, რაც თანამედროვე მსოფლიოში წარმოების გაზრდის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია.

წახალისების ფორმებს შორის პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროდუქციის შესასყიდი ფასების სუბსიდირებას, თუმცა ასეთი მიდგომა შესაძლებლობის ფარგლებში არ გამორიცხავს წარმოების საშუალებების შესასყიდი ფასების სუბსიდირებასაც. ცალკეულ შემთხვევაში ეს მიდგომა შესაძლებელია პრიორიტეტულიც კი აღმოჩნდეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ იწარმოება წარმოების საშუალების არც ერთი სახე, გარდა აზოტიანი სასუქისა, რაც მათი გასაყიდი ფასების კორექტირების რაიმე შესაძლებლობას მოგვცემდა.

რაც მთავარია, ეკონომიკური მხარდაჭერა უნდა მოხდეს მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის, აგრეთვე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების - შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება როგორც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოება, ასევე წარმოების რაოდენობრივი ზრდაც.

ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებისათვის მაღალშემოსავლიანი კულტურებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას.

ერთ-ერთი ასეთი კულტურაა ჩაი.

ბოლო პერიოდში ჩაიზე მსოფლიო მოთხოვნის ზრდის მიუხედავად, საქართველოში იგი დაღუპვის პირას იქნა მიყვანილი. ჩაის ნარგაობის მთლიანი ფართობები, აფხაზეთის გარდა - 57 ათას ჰა-ს შეადგენდა. ამჟამად, ოპერატიული მონაცემებით, შემორჩენილია 9,6 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია, რომელსაც 25 წლის მანძილზე აგროტექნიკური სამუშაოების ჩაუტარებლობის მიუხედავად, არავითარი დაავადება არ გასჩენია.

ჩაის კულტურა გავრცელებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამ რაიონში, გურიის სამივე რაიონში, სამეგრელოს შვიდ რაიონში, იმერეთის ხუთ რაიონში. ჩაის გავრცელების ზონაში ცხოვრობდა ნახევარი მილიონი ადამიანი.

დასავლეთ საქართველოში აზიური ფაროსანას გავრცელების გამო, რამაც სხვა დაავადებებთნ ერთად, საგრძნობლად დააზიანა თხილის პლანტაციები და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფომ 60 მლნ ლარი გამოყო-უპრიანი იყო ჩაის პლანტაციების აღდგენაზე ფიქრი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა იმდენად იყო შეყვარებული ჩაის ბუჩქზე, რომ 2003 წლამდე მისი ამოძირკვა არც უფიქრია, იმის იმედით, რომ სახელმწიფო ბედის ანაბარად არ მიატოვებდა მეჩაიეობის რეგიონების მოსახლეობას.

მეჩაიეობაში დასაქმებული იყო 180 ათას ადამიანზე მეტი. იგი წარმოდგენილი იყო რიგითი მეჩაიეებით, ჩაის ფაბრიკების მუშებით, სხვადასხვა სპეციალობების მქონე აგრონომებითა და ინჟინრებით, კონსტრუქტორებით,სხვადასხვა სპეციალობების მქონე სხვა პერსონალით.

რაც მთავარია, დარგი მაღალშემოსავლიანი იყო. ერთი კილოგრამი ჩაის ნედლეულის მოკრეფისათვის მეჩაიეებს 50-80 კაპიკს უხდიდნენ, გარდა იმ პრემიებისა, რომელსაც ისინი წლის ბოლო იღებდნენ.

ეს იყო საწარმოო მიმართულების სფერო, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანების მაქსიმალურად დასაქმებასა და

მაღალ შემოსავლებს - სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენის პირობებში. დარგი იძლეოდა ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის განხორციელების საუკეთესო საშუალებას.

ჩაის პლანტაციებისადმი სხვა დამოკიდებულება მოსახლეობამ თხილის იტალიური კომპანია - ,,ფერეროსათვის“ ყოფილი ჩაის სახელმწიფო მეურნეობების მიყიდვისა და მასზე კომპანიის მიერ თხილის გაშენების შემდეგ გამოავლინა. დაიწყო ჩაის პლანტაციების უკონტროლოდ ამოძირკვა-გადაწვა, მიუხედავად მიწაზე საკუთრების ფორმებისა.

ნაჩაიარ ფართობებზე თხილის გაშენების ნეგატიური შედეგები მოსახლეობას ჯერ კიდევ წინ აქვს, რადგან იგი ვერ შეძლებს იმ ძვირი ღონისძიებების გატარებას, რასაც ნიადაგის მჟავიანობის გასანეიტრალებლად კომპანია ,,ფერერო“ აკეთებს.

აზიური ფაროსანას გავრცელებამ და თხილის კულტურის სხვა მავნებელ-დაავადებების გააქტიურებამ გარკვეულწილად შეანელა მოსახლეობის ინტერესი თხილის კულტურისადმი, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ თხილის პლანტაციებმა საქართველოში უკვე გადააჭარბა 60 ათას ჰა-ს, საიდანაც თითქმის 50 ათასი ჰა მეჩაიეობის ყოფილ რეგიონებზე მოდის.

მოსახლეობა კვლავ ავლენს ინტერესს მეჩაიეობისადმი, მაგრამ პლანტაციების რეაბილიტაციის, მით უფრო ახალი პლანტაციების გაშენების, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები მას არ გააჩნია. იგი, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ, რითაც შეიქმნება მოსახლეობის სიღარიბისაგან ხსნის შესაძლებლობები, თვით მოსახლეობის აქტიური შრომითი მონაწილეობით.

ჩვენმა წინაპრებმა ბარის, თოხის,წალდის, ნაჯახისა და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით, 1930-40 წლებში - 47 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია გააშენეს ანუ წელიწადში, საშუალოდ 7,5 ათასი ჰა.

დღეს, თანამედროვე ტექნიკური შეიარაღებისა და სახელმწიფოს მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფის შემთხვევაში, ჩაის პლანტაციის აღდგენა, ახლის გაშენებითა თუ ძველის რეაბილიტაციით, პრობლემას არ წარმოადგენს. საჭიროა დარგის აღდგენის სწორი პოლიტიკის გატარება ანუ მეჩაიეობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.

ოპერატიული მონაცემებით საქართველოში აღსადგენად პერსპექტიული პლანტაციების ფართობი შეადგენს 9075 ჰა-ს. აქედან, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია 1965 ჰა, გატყევებულია-7710 ჰა.

ფოთოლსაკრეფი პლანტაციებიდან სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება ხელის იარაღების გამოყენებით შესაძლებელია 1363 ჰა-ზე, სამექანიზაციო საშუალებებით-671 ჰა-ზე.

გატყევებული პლანტაციებიდან ხელის იარაღებით სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია 3824 ჰა-ზე, ხოლო სამექანიზაციო საშუალებებით -3886 ჰა-ზე.

განსაკუთრებით საინტერესოა დანახარჯების მოცულობები, რომელიც უნდა იქნას გაწეული ერთ ჰა-ზე, რაც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ შემოსავლებზე, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩართვისას მოსახლეობამ უნდა მიიღოს.

ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში სამუშაოების ხელის იარაღებით შესრულებისას სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით, პირველ წელს 1 ჰა-ზე შეადგენს-4598 ლარს,ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამისად-2365 ლარს.

ანალოგიურ პლანტაციაში, სამუშაოების სამექანიზაციო საშუალებებით ჩატარებისას, პირველ წელს დანახარჯი 1 ჰა-ზე შეადგენს 3602 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამისად 2035 ლარს. დანახარჯები 1 ჰა გატყევებულ პლანტაციაში, სამუშაოების ხელის იარაღებით შესრულებისას, პირველ წელს შეადგენს -5554 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს, შესაბამისად-2035 ლარს.

დანახარჯები ერთ 1 ჰა გატყევებულ ჩაის პლანტაციაში, როცა სამუშაოები სრულდება სამექანიზაციო საშუალებებით, შეადგენს პირველ წელს 3212 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამისად-1950 და 1496 ლარს.

ყველა სახის დანახარჯი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაზე შეადგენს პირველ წელს 43041 ათას ლარს, მეორე წელს-19176, ხოლო მესამე წელს-17307 ათას ლარს.

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის ინკლუზიური ხასიათი ნათლად ჩანს 1 ჰა გატყევებულ პლანტაციაში ჩასატარებელი სამუშაოს ჩამონათვალიდან:

- ხემცენარეების მოჭრა და გამოტანა, ჩაის ბუჩქების გასხვლა და ნასხლავის გამოტანა-1500 ლარი.
- პლანტაციების გადაბარვა ერთჯერ-500 ლარი.
- აზოტიანი სასუქების შეტანა-240 ლარი.
- კომპლექსური სასუქების შეტანა-420 ლარი.
- სასუქების ჩათოხნა-440 ლარი.
- პლანტაციების სარეველებისაგან გაწმენდა-300 ლარი.
- პლანტაციების შემოღობვა (100 გრძივი მეტრი) 1220 ლარი.

სამუშაოების ჩამონათვალიდან ზოგი სახის სამუშაო სრულდება 2-3 ჯერ, რაც ზრდის მუშახელის შრომით მონაწილეობას და შრომის ანაზღაურებას.

რეაბილიტირებული პლანტაციებიდან პირველ წელს მიიღება 29160 ათასი ლარის ღირებულების მზა პროდუქცია. მეორე წელს-83190, ხოლო მესამე წელს-142560 ათასი ლარის.

პლანტაციის რეაბილიტაციაზე გაწეული დანახარჯები იფარება უკვე მეორე წელს, ხოლო პლანტაციების სრულ მოსავლიანობაში შესვლის შემდეგ შესაძლებელი გახდება სულ მცირე 29-30 ათასი ადამიანის დასაქმება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და გარანტირებული ანაზღაურების გაცემა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩაის ხარისხიანი ფოთლის კრეფისათვის ანაზღაურება ყოველწლიურად იზრდება, მოყვანილი მონაცემები ყველაზე პესიმისტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამდენად, ყველა პირობა არსებობს მთავრობის მიერ მეჩაიეობის პრიორიტეტად გამოცხადებისათვის,რაც შეესაბამება დასავლეთ საქართველოში მცხოვრები სოციალური ჯგუფების ინტერესებს. ის ხელს შეუწყობს ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებას. შრომით პროცესში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ჩართვა გააძლიერებს მათ დამოკიდებულებას შრომის შედეგებისადმი, დადებითად იმოქმედებს ჩაის ფოთლის კრეფაში ჩართული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლებზე .

3.10.სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი მიმართულების შესახებ

საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გახდა მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, შეიცვალა საზოგადოებრივი წარმოების წესი. განხორციელდა მიწის რეფორმა, ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებებით, რამაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პარცელაცია და წვრილი მეურნეობების ჩამოყალიბება, რომლებიც იქცნენ ნატურალური ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად, მოხდა ფასების ლიბერალიზაცია,გაძვირდა წარმოების საშუალებები. სერიოზულად შეიზღუდა კრედიტებსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, არ მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სისტემა, არ ხდება კადრების მომზადება-გადამზადება, სოფლის მეწარმეების მორალური წახალისება.სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია თავისუფალი წვრილი მეწარმეების სახით ,რომელთაც იციან მხოლოდ ის, თუ ტრადიციულად რა კულტურა უნდა დათესონ და რა სახის პირუტყვი იყოლიონ, რომ ოჯახი როგორმე გამოკვებონ.

საქართველოში განვითარებული ცნობილი მოვლენები ემთხვევა დამოუკიდებლობის გამოცხადების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წლებს,რომლებმაც დამატებითი სირთულეები შექმნეს აგროსასურსათო სექტორში.

წარმოების ახალ წესზე გადასვლა მოხდა საზოგადოებრივი მეურნეობების ქონების ცალკეული ჯგუფების მიერ მიტაცების, ყველაფრის ნგრევის პირობებში. მათ შორის ისეთი საწარმოებისაც, რომელთაც წარმატებით შეეძლოთ ეფუნქციონირათ საბაზრო გარემოში. მსგავსი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ქონებისადმი ყოფილი სსრკ-ის არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა. ვანდალური ფაქტების გამო, ბევრი რამ თავიდანაა დასაწყები, რაც უაღრესად მძიმე ამოცანაა ისეთი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

ჩვენი უყაირათობით ჯართად გაიყიდა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო დანადგარ-მოწყობილობები და ტექნიკა. მოსახლეობამ დაიტაცა

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მიწები, ამოძირკვა ჩაისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების პლანტაციები, მკვეთრად შემცირდა მათი ფართობები.

რაც მთავარია, გლეხები თავიანთ საკუთრებაში არსებული, ,რამდენიმე ადგილზე განთავსებული მიწის ნაკვეთებით, დარჩენენ მარტონი ცხოვრების მწვავე გამოწვევების წინაშე, საბაზრო გარემოში ფუნქციონირების ყოველგვარი გამოცდილების გარეშე.

ბუნებრივია, შეწყდა საკავშირო ორგანოებიდან ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებები,რომლებიც გამოიყენებოდა მრავალწლოვანი კულტურების გასაშენებლად, სამელიორაციო სისტემების ასაშენებლად და მრავალი კაპიტალტევადი საქმიანობის განსახორციელებლად.

სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში წამყვანი ადგილი დაიკავეს წვრილმა მეურნეობებმა,რომლებიც ძირითადად ნატურალური ტიპის არიან და მათი მომგებიანად გაძღოლა თითქმის შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს დაემატა აგრარული მეცნიერების შეგნებული განადგურება - ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო, რომელმაც მნიშვნელოვნად შეაფერხა წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესები.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თითქმის 30 წელი გავიდა და,როგორც აღიარებული ეკონომისტები გვპირდებოდნენ, თავისუფალმა ბაზარმა ვერაფერიც ვერ დაარეგულირა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მწვავე მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილება არ ხდება.

ბაზარზე თვითნებური ქცევის შედეგია დასავლეთ საქართველოში ჩაის, თხილის კულტურით უკონტროლოდ ჩანაცვლება და ამის შედეგად წარმოშობილი პრობლემები, რომლის გამოსწორებასაც მრავალი წლის შრომა, ფინანსური და მატერიალური რესურსები დასჭირდება.

სოფლის მეურნეობაში ადრე და დღეს არსებული მდგომარეობის შედარებიდან სერიოზული დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი.

ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან, ძირითადად შემორჩენილია სერიოზულად შეცვლილი ბუნებრივი პირობები. რაც

შეეხება ეკონომიკურ პირობებს, იგი ბუნებრივთან ერთად, ნაწილობრივ შენარჩუნებულია კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, იმერეთის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, სამხრეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში, ნაჩაიარ ფართობებზე თითქმის ყველგან, თხილის პლანტაციებია გაშენებული. მთისწინა და მთის რეგიონებში ძირითადად მეცხოველეობის წვრილი მეურნეობები ჭარბობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრეცენდენტი არ არსებობდა, ბუნებრივია, დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომები-განსაკუთრებით საბაზრო გარემოში სახელმწიფოს როლის შეფასებისას.

ცხადია, რომ წარმოებისათვის საჭირო საწარმოო მომსახურების არარსებობის პირობებში შეუძლებელია სოფლის მეურნეობის საწარმოოო სპეციალიზაციის ზონებში ადრე გავრცელებული წამყვანი კულტურების შენარჩუნება. გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობის ის თავისებურებაც, რაც პირველ რიგში მის მრავალდარგოვნებაში მდგომარეობს. აღნიშნულის გამო საქართველოში შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი სახის ისეთი პროდუქციის შერჩევა,რომლის წარმოებით შესაძლებელი გახდებოდა იმდენი შემოსავლის მიღება, რომელიც საკმარისი იქნებოდა მთელი აგროსასურსათო სექტორის განვითარებისათვის.მით უფრო, როცა საუბარია საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე. თუ ,აღნიშნული მოსაზრება სწორია,მაშინ სხვა გზები გვაქვს მოსაძებნი. კერძოდ, პროდუქციის ექსპორტზე გატანის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთი რომელიმე სახის პროდუქციის ექსპორტი იმ რაოდენობით, რომ მსოფლიო ბაზარზე თუნდაც სექტორალური კონკურენცია გავუწიოთ ღვინის ან თხილის ექსპორტის მოცულობით ყველაზე დაწინაურებულ რომელიმე ქვეყანას.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ექსპორტზე შედარებით მცირე, მაგრამ მრავალი სახის და მაღალი ხარისხის, თანაც მუდმივად განახლებადი ან ახალი სახის პროდუქციის მიწოდება.

თუ ასეთი მიდგომა სწორია,ამ მოთხოვნებს საქართველოში გავრცელებული კულტურებიდან ყველაზე მეტად აკმაყოფილებს

ვაზი, რადგან სოფლის მეურნეობის სწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით, თითქმის ყველგან გვაქვს მოცემული კუთხის ბუნებრივი პირობების შესაბამისი ვაზის ჯიშები, მათ შორის ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც ზამთარში ვაზის მიწით დაფარვაა აუცილებელი ყინვებისაგან დაცვის მიზნით.

როცა სახელმწიფოს მხრიდან დარგისადმი ფინანსურ დახმარებაზე ვსაუბრობთ,უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სახის სახელმწიფო რესურსები შეზღუდულია და მისი განაწილება რამდენიმე დარგზე უშედეგო იქნება.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოს ახალ რეგიონებში გამოიწვევს მოსახლეობის დასაქმებასა და მათი შემოსავლების ზრდას, სახელმწიფო და კერძო ინტერესების თანხვედრას, რაც წარმატების უდავო გარანტია იქნება.

ვაზის გავრცელების ახალ ზონებში სასაქონლო დანიშნულებით ყურძნის ღვინის წარმოება ძირითადად კონცენტრირებული უნდა იქნეს ოჯახებში ბრენდული წარმოების სახით. აღნიშნული არ გამორიცხავს მევენახეობა-მეღვინეობის კოოპერატივების ჩამოყალიბებას. ყველა შემთხვევაში წარმოება მიბმული უნდა იყოს მის ადგილზე გადამუშავებასთან ანუ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინტეგრირებულ წარმოებას, რაშიც მასტიმულირებელი როლი სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა შეასრულოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახლად დამწყები მეწარმეების სწავლებას და მსოფლიო ბაზარზე გასვლაში ხელშეწყობას. ამ მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა რესურსებისა და მიდგომების გამოყენება. მათ შორის, მსოფლიო ბაზარზე არსებულთან შედარებით, პროდუქციის რამდენიმე წლის მანძილზე 5-10%-ით იაფად გაყიდვა.

სახელმწიფოს მხრიდან მევენახეებსა და მეღვინეებზე გაწეული დახმარების ეფექტიანობა შეიძლება ნათლად დავინახოთ კახეთის მევენახეობის მაგალითზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა კომპონენტი ბოლომდე გათვლილი იქაც არ ყოფილა.

ჯერ ერთი, მხოლოდ რთველის დაწყების წინ წყდებოდა ყურძნის შესასყიდი ფასების სუბსიდირებისათვის თანხის გამოყოფის საკითხი. ასევე, მრავალჯერ შეიცვალა სუბსიდიის მიმღები სუბიექტები.

რაც მთავარია, სუბსიდირებამ ვერ შეასრულა მისთვის მინიჭებული როლი - პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. პირიქით, მევენახეები ცდილობდნენ მაქსიმალურად დაეტვირთათ ვაზი მაღალი შემოსავლების მიღების მიზნით. ამავე დროს, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, მაღალი ხარისხის ღვინის მისაღებად ფართობის ერთეულზე ყურძნის გარკეული მოსავალია დასაშვები,რომელიც დიფერენცირებული უნდა იყოს ვაზის ჯიშებისა და პლანტაციის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

ყურძნის მოსავლის რეგლამენტირებას წინ უნდა უძღოდეს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაზის ლიმიტირებული მოსავლიანობის პირობებში, ყურძნის მწარმოებელი ისეთ ანაზღაურებას მოითხოვს, როგორსაც ვაზის სრული დატვირთვის პირობებში იღებდა. მისი დაკმაყოფილება დაკავშირებული იქნება ღვინის გასაყიდი ფასების გაზრდასთან, რაც მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით უაღრესად რთული ამოცანაა.

სახელმწიფო ღონისძიებების ჩამონათვალში, რომელიც ახალ რეგიონებში ყურძნის წარმოებას ითვალისწინებს, ყველა დეტალი უნდა იქნეს გათვალისწინებული,უფრო სწორად, უნდა ჩამოვაყალიბოთ ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მწყობრი სისტემა და გარანტირებულად დავიცვათ იგი.

თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე კუთხეში შეუძლებელი იქნება მაღალი ხარისხის ღვინის დაყენება, მაშინ ასეთი ყურძნისაგან დაწურული ღვინო უნდა გამოვიყენოთ საკონიაკე სპირტის გამოსახდელად,რომელზეც მოთხოვნა ყოველთვის მაღალია.

ბოლო დროს მევენახეობა-მეღვინეობაში მომხდარმა დადებითმა ძვრებმა გამოიწვიეს ვაზის ნარგაობის გაზრდა კახეთში, იმერეთსა და შიდა ქართლში. ქართული ღვინის წარმატებულმა ექსპორტმა განაპირობა მევენახეობის განვითარებით დაინტერესება ე.წ. არატიპურ რეგიონებში.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ახალ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები თანამედროვე ეტაპზე მეტად მწირია და საკუთარი რესურსებით ვაზის ახალი პლანტაციების გაშენებას და ღვინის ქარხნების მშენებლობას ვერ შეძლებენ.

სახელმწიფოს მონაწილეობას აღნიშნულ ღონისძიებაში უდიდესი მნიშვნელობა ექნება, თუნდაც სოფლის თამამედროვე მეწარმეების მენტალიტეტის გათვალისწინებით, რომლებიც ასე მსჯელობენ: ,,თუ სახელმწიფო გვირჩევს და თანაც გვეხმარება, მაშასადამე, ეს კარგი საქმეა“.

ვიმეორებთ, რომ დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ფინანსური დახმარების გარეშე სოფლის მეურნეობის მომგებიანად გაძღოლა შეუძლებელია, თანაც დახმარებას უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხასიათი, რაც ნიშნავს დარგისადმი ფინანსურ, მატერიალურ და ინტელექტუალურ დახმარებას, რისი შესაძლებლობაც საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გარდავამალ ქვეყანას არ გააჩნია. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტულად უნდა გამოაცხადოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. საქართველოში,განსაკუთრებით კი ვაზის გაშენების ახალ რეგიონებში,მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის შედგენისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება. ახალ რეგიონებში ვაზის გაშენებისას შესაძლებელია აგრეთვე იმ გამოცდილების გაზიარება, რომელიც დაგროვილია საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენების დროს. კერძოდ, ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ნიადაგების, ფართობების ექსპოზიციის, ჯიშების გაშენებისათვის შესაფერისი ადგილების შერჩევა. განსაკუთრებულად რთული იქნება ვაზის ნარგაობის გასაშენებელი ფართობებით უზრუნველყოფა, საძირე და საკვირტე მასალის შეგროვება,ნერგის მიღების პროგრესული ტექნოლოგიის სწავლება და წარმოებაში დანერგვა. ამ უკანასკნელს ვერ ექნება მასიური ხასიათი, რადგან ნერგების რაოდენობა დამოკიდებული იქნება მოცემული ჯიშებით გასაშენებელი ფართობის რაოდენობაზე. ნერგის წარმოება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს დაკვეთის საფუძველზე.

პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი სამრეწველო პლანტაციის გაშენება, რათა შესაძლებელი გახდეს მიმდინარე აგროტექნიკური სამუშაოების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შესრულება. იმის გამო, რომ ჩვენ ტექნიკის მწარ-

მოებელი ქარხანა არ გაგვაჩნია, ბუნებრივია, იგი შესყიდული უნდა იქნეს სხვა ქვეყნებიდან. საქართველოში ვაზის ნარგაობის გაფართოებისა და რეგიონების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შეგვიძლია ვიფიქროთ ე.წ. ვაზის ტრაქტორების მწარმოებელი ქარხნის დაარსებაზე, სადაც შესაძლებელი იქნება მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული მანქანა-იარაღების წარმოებაც. ასევე, შესაძლებელია მცენარეთა დაცვის ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების წარმოებაც.

ახალ რეგიონებში ვაზის გაშენების დაჩქარების მიზნით შესაძლებელია გამოვიყენოთ მიდგომა, როცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთარი ხარჯებით გაშენებული პლანტაცია საკუთრებაში გადაეცეს გამშენებელს-საწარმოო პროფილის შენარჩუნების პირობით.

საქართველოში ახალი მიდგომების გათვალისწინებით შედგენილი პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები იმდენად დიდი იქნება, რომ ხელისუფლებას მოუწევს ბევრი სხვა დარგის განვითარებისათვის გათვალისწინებული ხარჯების შეზღუდვა ან იმ პრინციპით გაყოფა-ყველას ცოტ-ცოტა და, საბოლოო ჯამში კი-არაფერი. ვფიქრობთ, ჩვენეული მიდგომით შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსები სასურველია ერთ დარგში ჩაიდოს, რომელშიც შესაძლებელი იქნება ნედლეულისა და მისი გადამუშავების ინდუსტრირება და მეწარმეთა ყველა ჯგუფის საბოლოო შედეგებით დაინტერესება.

ასეთია ჩვენი წინასწარი მოსაზრება ერთი დარგის შერჩევისა და მისი პრიორიტეტად გამოცხადების სასარგებლოდ. სხვა გამოსავალი არც ამ ეტაპზე და გარკვეული ხნის მანძილზე პრაქტიკულად არ იქნება.

3.11.აგროსასურსათო სექტორში გადაუდებლად გასატარებელი ღონისძიებები

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მთავრობებისა და სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროს მეცნიერების დაინტერესებამ ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოო და მომსახურების სფეროში მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას, სახელმწიფოს მიერ შერჩეული სოციალური ვალდებულებების შესრულების გზით - გვაფიქრებინა, რომ წარმოგვედგინა ღონისძიებების ჩამონათვალი რომელთა განხორციელება ჩვენი აზრით აუცილებელია აგროსასურსათო სექტორში არსებული მდგომარეობის მეტად გასაუმჯობესებლად.

I.სწრაფად გასატარებელი ღონისძიებები

1. უნდა განახლდეს მოლაპარაკებები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (IBRD) - საქართველოში ,,მწვანე ბაზრის“ მშენებლობის პროექტის თაობაზე, რომელიც შეწყდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში. პროექტი ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემსყიდველი ბაზების მშენებლობას, ხოლო თბილისში ,,მწვანე ბაზრის“ მოწყობას - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი საამქროებით და გადამამუშავებელი საწარმოთი. ,,მწვანე ბაზრიდან“ პროდუქცია უნდა მიწოდებოდა სავაჭრო ქსელს, ხოლო სავაჭრო ქსელიდან სასაქონლო სახედაკარგული პროდუქცია ბრუნდებოდა უკან - სამრეწველო გადამუშავებისათვის.

   ზემოთ აღნიშნული სამუშაოები უნდა განეხორციელებინა კერძო სტრუქტურას, სახელმწიფოს ხელშეწყობით.
2. მთავრობის სხდომაზე განხილული უნდა იქნეს საკითხი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქებისა,ქიმიური პრეპარატების შესასყიდი ფასების სახელმწიფო სუბსიდირების შესახებ, ამ მიზნით შემუშავებული პირობების გათვალისწინებით.
3. მთავრობის სხდომაზე განხილული უნდა იქნეს საკითხი საქართველოში სასურსათო ხორბალზე არსებული მოთხოვნილების 60-65%-ით ადგილობრივად წარმოებული მარცვლით დაკმაყოფილების შესახებ. ამ მიზნით სერტიფიცირებული საწყობის მეპატრონე, ფერმერი და კომერციული ბანკი ქმნიან ერთიან სისტემას. აღნიშნულ პროცესში არ მონაწილეობს არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა.

ხორბლის წარმოებისა და მისი ფერმერების მიერ სესხის ასაღებად საგირავნოდ გამოყენების წესი წარმატებით გამოიყენება პოლონეთში, ჩეხეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

4. მოსახლეობის წინაშე აღებული სოციალური ვალდებულებების გათვალისწინებით სახელმწიფომ უნდა დაავალდებულოს წისქვილკომბინატები, შესყიდული ხორბლის მთლიან რაოდენობაში ადგილობრივი ხორბლის წილი იყოს 30%-მდე. იგივე მიდგომა შეიძლება გამოყენებული იქნეს სურსათის იმპორტიორი იმ კომპანიების მიმართ, რომელთა საქმიანობა სერიოზულად აფერხებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას .
5. საჭიროდ მიგვაჩნია სერიოზულად დაიხვეწოს საქართველოში მეჩაიეობის რეაბილიტაცია-აღდგენის პროგრამა, მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდისა და ჩაის გასაშენებელად ვარგისი ფართობების შეზღუდვის გათვალისწინებით.
6. სახელმწიფოს ინიციატივითა და ხელშეწყობით უნდა შემუშავდეს მცირე და საშუალო სიდიდის მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდის ღონისძიებები:
   - რძის შემსყიდველი პუნქტების მოწყობა, ზოოტექნიკური და ვეტერინარული ღონისძიებების სწავლების ორგანიზება;
   - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება, შედარებით მსხვილ მეურნეობებთან წვრილი წარმოებების კოოპერირების გზით (კოოპერირების პირობების დამუშავება) ;
   - ღორის ხორცის წარმოება კოოპერირებულ ოჯახებში გოჭების მიღებისა და მათი სუქების ოპერაციების ოჯახებს შორის განაწილების გზით;
   - ქათმის ხორცისა და კვერცხის წარმოება მცირე და საშუალო ოჯახურ მეურნეობებში. ასეთი ტიპის ფერმების მსხვილ მეურნეობებთან კოოპერირების გზით; თითოეულ ოჯახზე უნდა მოეწყოს მინიმუმ 20 კვადრატული მეტრი ფართი ფრინველის გამოსაზრდელად.

   - მთიან მუნიციპალიტეტებში (ყაზბეგის, დუშეთის და სხვა), რომლებიც ზამთარში ცხვრის გამოსაკვებად იყენებდნენ ყიზლარის საძოვრებს, ცხვრის გამოზრდის წესის შეცვლა- ზამთარში ცხვრების ბაგურ კვებაზე გადაყვანით.საწყისი სულადობის შესასყიდად სახელმწიფოს მიერ თანხის გამოყოფა.
   - საკვებწარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა (სილოსი, სენაჟი, თივა). ამ მიზნით საჭირო მანქანა-დანადგარების შესასყიდი ფასების სახელმწიფო სუბსიდირება;
7. კერძო მეურნეობებში არსებული ფურების ხელოვნური განაყოფიერების პროგრამის შემუშავება, განაყოფიერების ღირებულების ნაწილის სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების პირობით. ხელოვნური განაყოფიერების პუნქტების მოწყობაში სახელმწიფოს მონაწილეობა.
8. შეღავათიანი აგროკრედიტის გაფართოება სანედლეულო ბაზასთან კოოპერირებული და ინტეგრირებული მცირე და საშუალო წარმადობის გადამამუშავებელი საწარმოების, აგრეთვე, სასათბურე მეურნეობების მშენებლობისათვის-პროდუქციის ექსპორტზე გატანის მიზნით.

II.უახლოეს პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები

1. სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით ერთი, უკიდურეს შემთხვევაში- ორი სახის პროდუქციის შერჩევა, მისი შესასყიდი ფასის სახელმწიფო სუბსიდირების ან რაიმე ფორმით წარმოების წახალისების მიზნით. საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვა. პროდუქციის ოდენობა დამოკიდებული იქნება მოცემულ პროდუქციაზე მიმდინარე წელს ჩამოყალიბებული შესასყიდი საბაზრო ფასისა და წლების მანძილზე მოცემული სახის პროდუქციის წარმოების მომგებიანობის გარკვეული დონისაგან.

   დღევანდელ პირობებში გაუგებარია ის, როცა გლეხებისა და ფერმერების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე შესასყიდი ფასები ფორმირდება მხოლოდ ბუნებრივი პირობების

გავლენით. შესამუშავებელია ფასების დაწესებისა და მისი რეგულირების მექანიზმი.

2. სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე განსახილველად უნდა მოამზადოს საკითხი საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანიის დროს დიზელის საწვავისა და სათბურებში პროდუქციის მოყვანაზე გახარჯული ბუნებრივი აირის (სხვა სახის ხარჯების)ღირებულების სახელმწიფო სუბსიდირების შესაძლებლობის შესახებ.

3. მთავრობის სხდომაზე განხილული უნდა იქნეს საკითხი სოფლად კერძო მექანიზებული რაზმების შექმნის შესახებ, რომლებიც დასაქმდებიან დაუმუშაველ მიწებზე პროდუქციის წარმოებით - მიწის ყველა ფორმის მესაკუთრესთან (მოიჯარესთან) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით შესამუშავებელია დარგების რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის დანერგვას:

- მეჩაიეობის;
- მეაბრეშუმეობის;
- მეციტრუსეობის;
- მეთამბაქოების - ზემო აჭარაში, ლაგოდეხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში;
- ინდუსტრიულ საფუძველზე ეთერზეთების წარმოების;

5.მთავრობის სხდომაზე განსახილველია საკითხი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ერთობლივი მონაწილეობით დარგობრივი გაერთიანებების შექმნის შესახებ:

- მეთესლეობის;
- სანერგე მეურნეობების;
- სანაშენე მეცხოველეობის;

6. მთავრობის სხდომაზე განხილული იქნეს საკითხი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის თაობაზე , სააგენტოსთან სახელმწიფო-საგირავნო ფონდის შექმნის მიზნით.

III. შედარებით მოგვიანებით განსახილველი საკითხები

1. სოფლის მეურნების კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტი ციკლის შექმნა. ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენება.

2. მომზადდეს საკითხი მთავრობის სხდომაზე განსახილველად - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო ქარხნის მშენებლობისათვის სახელმწიფო ხელშეწყობის შესახებ.

3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პროგრამის შემუშავება:

- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების კონცეფციის შემუშავება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის

  საწარმოებლად რეგიონების, დარგების შერჩევა;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის საწარმოებლად კულტურის (კულტურების) შერჩევა;
- სახელმწიფოს მონაწილეობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში (კონვერსიის პერიოდში და სერთიფიცირებისას გასაწევი ხარჯების ნაწილის სუბსიდირება);

4. ჯავახეთის ზეგანზე საუკეთესო პირობებია სალუდე ქერის მოსაყვანად. სახელმწიფოს ინიციატივით ლუდის ქარხნებმა უნდა უზრუნველყონ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით ლუდის გამოსახდელი ალაოს წარმოება, რომელიც მიეწოდება ჯერ ადგილობრივ, ხოლო შემდეგ - რეგიონის ლუდის ქარხნებს. საქართველოში საუკეთესო პირობებია აგრეთვე სვიის მოსაყვანად.

   იქმნება უნივერსალური შესაძლებლობა ქერისა და ლუდის ინტეგრირებული წარმოებისათვის.

5. როგორც ჩვენისთანა პატარა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, საუკეთესო შედეგს იძლევა აგროსასურსათო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის 5 ან 6 წლიანი გეგმების შემუშავება და პროგნოზირების სისტემის დან-

ერგვა, რაც დარგების განვითარებასთან ერთად, ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური პროცესების უკეთ აღქმასა და ეკონომიკის განვითარებაში მოსახლეობის შეგნებულ მონაწილეობას.

6. განვლილი წლების პრაქტიკის გათვალისწინებით მომზადდეს წინადადებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მევენახეობა-მეღვინეობისა და მეხილეობის, ნიადაგთმცოდნეობის, მიწათმოქმედების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენის შესახებ.

დასკვნები

1.დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო გამოვიდა სსრკ-ის დახურული ბაზრის სივრციდან და მსოფლიო ბაზრის სუბიექტად იქცა, რასაც თან დაერთო წარმოების ზრდის შემცირება, ტრადიციული ბაზრების დაკარგვა და საერთაშორისო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების რღვევა.

აღნიშნულ წლებში, უცხოელი სპეციალისტების რჩევით, დაიწყო სახელმწიფო საკუთრების დაჩქარებული პრივატიზაცია, მათ შორის მიწის, რომლის განსახელმწიფოებრიობასაც ყველა ქვეყანა დიდი სიფრთხილით ეკიდება. არ იქნა გათვალისწინებული გაეროს ჟენევის ეკონომიკური კომისიის რჩევები-რეფორმები გაგვეხორციელებინა თანდათან, უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინის ფონზე.

პოლიტიკურად უმართავ ქვეყანაში შეიცვალა წარმოების წესი. ძირითად ძალად უკანონო შეიარაღებული ფორმირებები გახდნენ. არც ერთი სახის რეფორმის გატარება, მით უმეტეს, მიწის - არ შეიძლებოდა. მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ მოხდა ფასების ლიბერალიზება ანუ ფასებს დაეკისრათ წარმოების დაგეგმვისა და მისი შედეგების განაწილების ფუნქცია. მოგების შენარჩუნება ხდებოდა ფასების ზრდის ხარჯზე, მანამ, სანამ ეს შესაძლებელი იყო. ქვეყანას მოედო სუპერინფლაციის ტალღა, რომლის შეჩერებაც მხოლოდ რადიკალური, სისტემური ცვლილებებით იყო შესაძლებელი.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობა დასპეციალიზებული იყო მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის (ღვინო, ხილი, ჩაი, ციტრუსები) საკავშირო ფონდისათვის მიწოდებაზე. პროდუქციის გასაყიდი ბაზრების დაკარგვამ განაპირობა მრავალწლოვანი კულტურების პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება, რამაც სხვა გარემოებებთან ერთად, ხელი შეუწყო ვაზის, ხეხილის, ციტრუსების, ჩაის ნარგაოებისა და პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირებას. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკის მართვის პრინციპების არასწორად გაგების გამო, არ ერეოდა ან სერიოზულად არ ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას.

3.საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას დაშვებული შეცდომებიდან გამოყოფილია მიწის რეფორმა, რომელმაც გამოი-

წვია წვრილ მიწათმესაკუთრეთა რიცხვის არნახული ზრდა,მათი საექსპორტო პროდუქციის წარმოების ნაცვლად ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის მწარმოებლებად გადაქცევა. აღნიშნულია, რომ ადამიანთა ჯგუფების მიერ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების და გადამამუშავებელი საწარმოების და იქ არსებული მზა პროდუქციის დატაცებას.აღნიშნული პროცესების განვითარების გამო დარგები, რომლებიც მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო, მათივე გაღარიბების მიზეზად იქცნენ.

მიუხედავად ამისა,ქვეყანაში ერთადერთი დარგი, რომელიც მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას-სოფლის მეურნეობა იყო.

4.სურსათის შემომტანი ფირმების მიერ მატერიალურ- ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სადისტრიბუციო ქსელის გამართვისა და კომერციულ ბანკებთან ,,ცხელი ფულის" სეგმენტში ურთიერთობის დალაგების კვალობაზე, საქართველოს წვრილ მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია ფაქტიურად არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ფასები, რომელშიც ქართული პროდუქცია იყიდებოდა, საკმარისი არ აღმოჩნდა წარმოების ზარალის დასაფარად. მოსახლეობა შემოსავლების ნაკლებობისა და მსყიდველობითი უნარის დაქვეითების გამო, ბუნებრივია, უპირატესობას იაფ, იმპორტირებულ იაფ პროდუქციას ანიჭებდა.

5.სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობისადმი დახმარების გაწევის შეუძლებლობის პირობებში განვითარდა ადგილობრივი წარმოების შემცირებისა და იმპორტირებული სურსათის ზრდის ტენდენცია, რასაც შედეგად მოჰყვა საკუთრებაში გადაცემული თუ იჯარით აღებული მიწების დაუმუშავებლად მიტოვება, რის შედეგადაც დღევანდელ საქართველოში გამოიყენება სახნავი მიწების მხოლოდ მესამედი, რაც უდიდეს და უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. მიწის მესაკუთრე წვრილი მეურნეობები დარჩნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, ქიმიური პრეპრატების, მელიორირებული მიწების, საწვავის და ა.შ. გარეშე, - წარმოების საშუალებების გასაყიდი ფასების არნახულად ზრდის გამო. ასევე, აღსანიშნავია წარმოებული პროდუქციის შესყიდვის სისტემის მოშლა. დღეს, ფაქტიურად, სოფლის მეწარმემ არ იცის რა სახის პროდუქცია

აწარმოოს,რა ოდენობით და როგორი სტანდარტით, რა დროს მოიყვანოს და რა ფასად გაიყიდება იგი.

6.საბაზრო ურთიერთობებზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის სასტარტო პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზისას თვალში საცემია ის ფაქტი, რომ წარმოების შემცირების გამო, სერიოზული ცვლილება განიცადა აგროსასურსათო სექტორში ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურამ,რომელიც ძირითადად საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იყო დასპეციალიზებული და დადებითი სალდო ჰქონდა.

7. სოფლის მეურნეობაში კრიზისული მოვლენების გამოხატვის ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კრიზისს სოფლის მეურნეობაში არ ჰქონია მისი კლასიკური ფორმებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც განპირობებული იყო ამ დარგში კაპიტალური დაბანდებების დიდი მოცულობით, დოტაციებით, სუბსიდიებით, სახელმწიფო პროტექციონიზმითა და სახელმწიფო რეგულირების მძლავრი პოლიტიკით.

8.პირველ ეტაპზე უნდა გადაწყდეს პროდუქციის შესყიდვის ისეთი საკითხები, რომელთა მოგვარებაც ხელს შეუწყობს დანარჩენი პრობლემების დაძლევას. სხვა შემთხვევაში გვექნება პრობლემების სიმრავლე, რომელთაგან დადებითად ვერცერთი ვერ გადაწყდება.

აგროსასურსათო სექტორში მნიშვნელოვანია გადასაწყვეტი პრობლემების რანჟირება მათი განხორციელების ეტაპების მიხედვით. ყველაფერი ეს ემსახურება ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის დანერგვას, რომელიც განხილულია კონკრეტული დარგის (მეჩაიეობის) მაგალითზე.

9.საქართველოს სოფლის მეურნობისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება (მრავალდარგიანობა) განვითარების დღევანდელ ეტაპზე გვევლინება წარმოების ზრდის თავისებურ მუხრუჭად. საჭიროა სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თითოეული ზონის მიხედვით შეირჩეს ერთი სახის პროდუქცია, რომლის წარმოებასაც სახელმწიფო რაიმე ფორმით წაახალისებს (შესასყიდი ფასების სუბსიდირება, წარმოების საშუალებების შეღავათიან ფასებში გაყიდვა, გადასახადების შემცირება და ა.შ.). აღნიშნული ქმედებები გამოიწვევს წახალისებული პროდუქციის წარმოების ზრდას, სპეციალიზაციისა და

კონცენტრაციის გაღრმავებას, რაც წარმოებული პროდუქციის გარანტირებულ გაყიდვასთან ერთად შექმნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო გარემოს.

10.ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადაყვანისას დაშვებულიქნა რამდენიმე მძიმე შეცდომა,რომელშიც გადამწყვეტი იყო არსებული საზოგადოებრივი წარმოების წესის არსში გაურკვევლობა, საბაზრო გარემოში სამეურნეო ორგანიზმის არაკვალიფიციური მართვა. პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზებისა და ხერხების ძიებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ქვეყნის ეკონომიკის, უპირველეს ყოვლისა მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილის- აგროსასურსათო სექტორის მრავალი თავისებურება.

11.ჩვენ არ ვაყენებთ საკითხს იმპორტის შეზღუდვის შესახებ, თუმცა თავის დროზე ეს რომ გაგვეკეთებინა, დღეს სხვა სურათი გვექნებოდა. ჩვენი წინადადება იმპორტიორი ფირმების შემოსავლების რაციონალურ გამოყენებას ეხება. კერძოდ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფომ უნდა დაავალდებულოს იმპორტიორი ფირმები, მათ მიერ გაყიდულ პროდუქციაში გარკვეული ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყოს ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია, რომლის მოცულობა თანდათანობით გაიზრდება.

12. მიუხედავად სერიოზული ძვრებისა, რაც ბოლო წლებში შეინიშნება და, რაც სწორი აგრარული პოლიტიკის შედეგია, ჯერ კიდევ მრავალი საკითხია გადასაწყვეტი. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ამაღლების საკითხები, მოუგვარებელია თესლის, ნერგის წარმოების, მეცხოველეობაში სანაშენე საქმის მოწყობის პრობლემები.

გადაუდებლად გადასაწყვეტია აგრარული სფეროს როგორც უმაღლესი, ასევე საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებით უზრუნველყოფის საკითხები.

სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი მეურნეობების საწარმოო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მათ უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, სასუქებით, ქიმიური პრეპარატებით, საწვავით, პროდუქციის შეუფერხებელი გაყიდვით და ამისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით.

სამინისტროს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების, არამედ სოფლის განვითარებასაც, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო პროდუქციის წარმოების ზრდას, არამედ ადამიანებისათვის შემოსავლების გაჩენას, მათ მყარ დამაგრებას საცხოვრებელ ადგილებზე

13. ეროვნული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის შესაძლებლობები და მოდელები დარგის შემდგომი განვითარების ქვაკუთხედია. მასში მთავარია ის, რომ არსებობს რიგი პირობებისა, რომელთა გარეშე ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება პრაქტიულად შეუძლებელია. გარდა ამისა, თითოეული კონკრეტული ქვეყნის განვითარების ისტორიული მონაკვეთების, მისი ეკონომიკისა და ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით საჭირო ხდება დამატებითი პირობების გათვალისწინება, რათა ქვეყნის მეურნეობამ შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება.

ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების-იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, მალაიზიის, ჰონკონგის, სინგაპურის, ამ ბოლო დროს- ინდონეზიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შესაძლოა ვილაპარაკოთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მესამე მოდელზე, ანუ აზიური დრაკონების მოდელზე. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების წარმართველი როლი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში: პრიორიტეტების განსაზღვრა, ინსტიტუციური, სისტემური და სტრუქტურული ცვლილებებისათვის თამაშის მკაცრი წესების შემოღება, ქვეყნის განვითარების ხუთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების შემუშავება და მათ შესრულებაზე სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ზემოქმედება.

14. აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას უდიდესი როლი ეკისრებოდა საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობის კოოპერირებას, როგორც საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შერწყმის აუცილებელ და მიზანმიმართულ ფორმას. პირადი დამხმარე მეურნეობები ასრულებდნენ სოციალურ ფუნქციას - პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის სახელმწიფო არხებით რეალიზაციის შესაძლებლო-

ბის გამო. პირადი დამხმარე მეურნეობებში სერვისის უქონლობის გამოა, რომ დღეს არსებული მეურნეობები ვერ არსულებენ იმ ფუნქციას, რასაც მათი ჩამოყალიბებისას მოელოდნენ.

15. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წინაშე მდგარი, უაღესად მნიშვნელოვანი ამოცანების დროულად გადაჭრა და მისი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მეცნიერულად დასაბუთებულ აგრარულ პოლიტიკაზე, სახელმწიფოს მიდგომებზე ბაზრის სურსათით გაჯერების პრობლემისადმი.

16. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია კოოპერატივების ჩამოყალიბება, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ამ პროცესის ხელშემშლელი პირობებიც არსებობს, რომლის დაძლევაში მნიშვნელოვანი როლი კოოპერატივებისადმი ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა შეასრულოს;

17. სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეუნეობის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით უნდა შეარჩიონ ერთი ან უკიდურეს შემთხვევაში ორი კულტურა (პროდუქცია), რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება - დარგის რეაბილიტაცია, წარმოების გაფართოება, პროდუქციის შესყიდვა, წარმოების ან შესასყიდი ფასის სუბსიდირება და სხვა. შერჩეული კულტურების (პროდუქციის) ჩამონათვალი უნდა დაამტკიცოს მთავრობამ და ქვეყნის პარლამეტმა. ასევე უნდა დამტკიცდეს 2030 წლამდე პერიოდისათვის წარმოების პარამეტრები.

18.ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის არსებობა ყველა შემთხვევაში გულისხმობს სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობას, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ბალანსის დაცვას ემყარება.

სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით უნდა შეარჩიოს სასურსათო,

აგრეთვე ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია და მოახდინოს მათი წარმოების ეკონომიკური სტიმულირება, რაც თანამედროვე მსოფლიოში წარმოების გაზრდის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია.

19.სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი მიმართულების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინება იმისა, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრეცენდენტი არ არსებობდა, ბუნებრივია, დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომები, განსაკუთრებით საბაზრო გარემოში სახელმწიფოს როლის შეფასებისას.

აღნიშნულის გამო საქართველოში შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი სახის ისეთი პროდუქციის შერჩევა, რომლის წარმოებით შესაძლებელი გახდებოდა იმდენი შემოსავლის მიღება, რომელიც საკმარისი იქნებოდა მთელი აგროსასურსათო სექტორის განვითარებისათვის.

თუ ასეთი მიდგომა სწორია, მაშინ ამ მოთხოვნებს საქართველოში გავრცელებული კულტურებიდან ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ვაზი. სახელმწიფო ღონისძიებების ჩამონათვალში, რომელიც ახალ რეგიონებში ყურძნის წარმოებას ითვალისწინებს, ყველა დეტალი უნდა იქნეს გათვალისწინებული,უფრო სწორად, უნდა ჩამოვაყალიბოთ ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მწყობრი სისტემა და გარანტირებულად დავიცვათ იგი.

სახელმწიფომ პრიორიტეტულად უნდა გამოაცხადოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

20.აგროსასურსათო სექტორში გადაუდებლად გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას-სახელმწიფოს მიერ შერჩეული სოციალური ვალდებულებების შესრულების გზით. კონკრეტიკა გასატარებელი ღონისძიებების გატარების ვადებისა (სწრაფად გასატარებელი ღონისძიებები,უახლოეს პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები, შედარებით მოგვიანებით განსახილველი საკითხები) წინაპირობაა აგროსასურსათო სექტორის აღმავლობის სტრატეგიის სწორად განსაზღვრისათვის.

ВЫВОДЫ

1.После обьявления независимости Грузия вышла из закрытого пространства рынка СССР и стала субьектом международного рынка, в резултате чего последовало уменьшение роста производства, потеря традиционных рынков и потеря международных хозяйственно-экономических связей.

В отмеченные годы, согласно советам зарубежных специалистов, началась ускоренная приватизация государственного имущества, в том числе и земли, к разгосударствлению чего с осторожностью относится каждая страна. Не было принято во внимание советы Женевской Экономической Комиссии – проводить реформы постеренно, на фоне строжайшей испольнительской дицсиплины.

В политически неуправляемой стране изменились правила производства. Основной сылой стали незаконные вооруженные формирования. Стало невозможным проводить реформы, тем более земли. Ситуацию осложнила либерализация цен. На долю последней выпала функция планирования производства и разделения результатов труда.

Сохранение прибыли происходило за счет роста цен, до тех пор, пока это было возможно. В стране распространилась волна суперинфляции, остановление которой было возможно только в результате радикальных,системных изменений.

2.Сельское хозяйство Грузии специализировалось на подачу в союзний фонд продукции многолетных культур (вино, чай, цытрусовые). Потеря рынков реализации продукции обусловила уменьшение потребности на продукции многолетных культур, что послужило фактором уменьшения производства продукции винограда, плодовых ,цитрусовых, чая.

Ситуацию усложняло и то, что Государство из-за неправильного понятия принципов управления рыночной экономикой, не вмешивался и не питался исправлять ситуацию.

3.Из допушенных ошибок выделяется земельная реформа, которая вызвала невыданное увеличение числа мелких землевладельцев и вместо производства ими экспортой продукции, вызвала их превращение в производителей пордукции местного спроса. Отмечается что, со стороны группой людей имелись случай хищения государственного, колхозного и имушества перерабатывающего производства ,также готовой продукции. Вследствии этих процессов отрасли ,которые должны были стать источником прибыли людей, стали причиной их бедности.

Несмотря на это - единственная отрасль, которая более или менее сохраняла жизнеспосовность – была сельское хозяйство.

4.Вследствие упрочения материально- технической базы фирм, завозящих продовольствия, упрочения ими дистрибуционной сети и упорядочения отношении в сегменте „горячих денег”коммерчеких банков,продукция, производенная в мелких хозяйствах Грузии, фактически оказались неконкурентными. Цены, на которые продавались Грузинская продукция, не хватали на покрытие убытков производства. Население из - за нехватки прибыли и снижения покупательной способности, естественно, приемушество придавало импортной дещевой продукции.

5.В условиях невозможности оказания помощи селькому хозяйству со стороны государства, развилась тенденция уменьшения роста производства местной и роста завоза импортной продукции. Это привело к оставлению без обработок частных и арендных земель. Вследствие чего в сегоднящей Грузии используется треть пашни, которая является острой проблемой. Мелкие хозяйства из-за невыданного роста цен на средств производства , остались без сельскохозяйственной техники, удобрении, химических препаратов, мелиорированных земель, горючего. Также, примечательно парализование сети производимой продукции.Сегодня ,фактически, сельский производитель не знает какой вид продукции когда и в каком количестве выпускать ,какого стандарта она должна быть и по какой цене реализовать.

6.При анализе стартовых условии и социал- экономических результатов перевода сельского хозяйства на рыночные отнощения, примечателен тот факт, что в агропромышленном сектрое из -за снижения производства, серьезно изменилась экспортно -импортная структура, которая в основном специализировалась на производство экспортной продукции и имела положительный баланс.

7.Анализ проявления кризисных явлении в сельском хозяйстве показывает, что кризис в отрасли не имел характерные черты классических форм ,что было обусловлено капиталовложением в большом обьеме, дотациями, субсидиями, государственым протекционизмом и мошной политикой государственного регулирования.

8 .На первом этапе должны решаться такие вопросы закупки продукции, разрешение которых обусловить решение остальных проблем. В противном случае будем иметь множества проблем, из которых положительно не одна из них не решится.

В агропродовольственном секторе значительно ранжирование решаемых проблем по этапам их разрешения. Все это служить внедрению экономической модели инклюзивного роста, которая рассмотрена на примере конкретной отрасли (чаеводства).

9.Характерная многогранность сельского хозяйства Грузии (множество отраслей) на сегоднящем этапе развтития представляется своеобразным тормозом роста производства. Нужно для каждой зоны промышленной специализации выбрать конкретную продукцию, пройзводства которой в какой то форме поддержит государство (субсидирование закупочных цен, продажа средств производства по доступной цене, снижение налогов и т. д.).

Отмеченные деяния вызовет рост производства поощряемой продукции, углублению специализации и концентрации, что вместе гарантийной продажи, создасть условия для повышения конкурентноспособности продукции.

10. При переводе народного хозяйства страны на новые экономические отношения, были допущены ряд тяжолых ошибок, из которых ведущими были неразбериха в сути общественного произдводства, неквалифицированное управление хозяйственного механизма в рыночной среде. При пойске методов и способов политических и экономических реформ, не было принято во внимание многие характерные черты экономики страны ,в первую очередь основной ее составной части- агропродовольственного сектора.

11. Мы не ставим вопрос об ограничении импорта, хотя в свое время сделав это, имели бы другую картину. Наше предложение касается рационального использования доходов фирм- импортеров .Как мировая практика показывает, государство обьязано принудить фирм -импортеров в том,что в реализуемой ими продукции, определенную долю должно состовлять продукции местной промышленности, доля которой постепенно должна расти.

12.Несмотря на серьезные сдвиги, что замечены в последные годы и что является результатом правильной аграрной политики, еще многие вопросы предстоить решать .Именно, особого внимания заслуживает вопросы, связанные с повышением продуктивности и урожайности. Предстоить упорядочить вопросы производства семени ,саженцев, а также, в животноводстве устроить проблемы племенного дела.

Неотложно надо рещать вопросы обеспечения аграрного сектора кадрами высщего и среде специального образования

Серьезные меры надо принимать для улучшения производственного обслуживания хозяйств, которые должны подразумивать снабжению их сельскохозяйственной техникой, удобрениями, химическими препаратами, горючим, безперебойной продажей продукции и созданием для это соответствующей материально- технической базы.

Действенный план министерства подразумивает развитию не только сельскохозяйственного производства, а также развитию

села, что будет спосовствовать не только росту производства ,а также, появлению у людей прибыли, закреплению их по месту проживания.

13.Возможности и моделы перевода национального хозяйства на рыночные отнощения является фундаментом следующего развития отрасли .В нем главное ,что существуют ряд условии ,без которых основывать новые экономические отнощения практически невозможны. Вмесе с этим, на каждом историческом этапе развития конкретной страны, с учетом его экономики и национальных особенностей, нужно учитыавать допольнительные условия, чтобы хозяйство страны могло функционировать нормально.

С нашей стороны добавим ,что опыты стран Азии и Тихого – Океана: Японии, Южной Корей, Тайвана, Малайзии, Гонконга, Сингапура(в последнее время- Индонезии)и других стран, показывают ,что можно говорить о третьем моделе перехода на рыночные отношения т. е .на модели Азиатских драконов.

Для нее характерны ведущая роль сыльного государства в процессе перехода на рыночной экономике, определение приоритетов, внедрение строгих правил игры, для системных и структурных изменении ,разработка пяти и шестилетных планов и учреждение на их выпольнение механизмов государственного регулирования.

14.Для определения основных направлении перевода агропродовольственного сектора на рыночные отношения, особая роль отводилась кооперированию общественного и частного хозяйств ,как обьязательной и целенаправленной форме слияния общественного и частных интересов .Частные хозяйства выполняли социальную функцию, из- за возможностей реализации продукции государственными каналами.

По причине отсутствия сервиса в частных хозяйствах, существующие сегодня хозяйства не в состаянии выполнять те функции, которые ждалы от ных с момента их основании.

15.Своевременное решение особо важной задачи, стоящей перед агропромышленном секторе Грузии и его дальнейщее развитие во многом зависит от научно обоснованной аграрной политики ,от государственного подхода к проблемам насыщения рынка продуктами.

16.Для повышения еффективности сельскохозяйственного производства Грузии особенно актуально создание кооперативов, хотя из -за рядов причин, существуют препятствующие причины, в преодолении которых значительную роль должна выпольнять государственная политика содействия.

17.Для повыщения еффективности мер в сельском хозяйстве Министерство охраны природы и сельского хозяйства и Академия сельскохозяйственных наук должны по зонам производственной специализации отобрать одну или две культуры или продукцию, в которых будут предусмотрены проведение государством разных экономических мероприятии: реабилитация,расширение производства ,закупка продукции, субсидирование производства или закупочных цен и др. Перечень отобранных культур (продукции) утверждается правительством и парламентом. Также, надо утверждать параметры производства до 2030 года.

18.Существование в стране модели инклюзивного экономического развития подразумывает существованию социальо ориентированного государства, которое основывается на защите баланса между обществом ,государствои и бизнесом.

Государство должно по зонам производственной специализации отобрать промышленную, также ориентированную на экспорт, продукцию и провести экономическую стимуляцию ее производства, что является общеприемлимым методом в современном мире, для повыщения производства.

19.При определении новых направлении развития сельского хозяйства, значительно предусмотрение того, что не существовал прецендент перевода социалистических стран на рыночную экономику. Естественно, были допущены серьезные ощибки, в частности, при оценке роли государства в рыночной среде.

Из -за отмеченного, в Грузии невозможно отобрать один или два вида продукции, на производство которых, стало бы возможным развитие всего агропродовольственного сектора.

Если такой подход правильый, тогда таким требованиям, из распространенных культур в Грузии, отвечает культура виноградноы лозы.

В перечене государственных мероприятии, которые предусматривают производство винограда в новых районах, все детали надо учесть т. е. надо создать последовательную систему производства и переработки винограда и гарантированно защитить ее.

Государство обьязано обьявить на всей территроии Грузии приоритетным виноградарство и виноделие и разработать программу, которая полностью обеспечить реализацию намеченной цели.

20.Эффективное разрешение неотложных мероприятии в агропродовольственном секторе, будут способствовать максимальную трудозанятость населения и повыщению их прибыли- путем выполнения социальных обьязателств, выбранных государством.

Конкретика сроков проводимых мероприятии (срочнеишие мероприятия, мероприятия на ближайшее будушее и вопросы на более поздные сроки)- предпосылка для правильного определения стратегии развития аграрного сектора.

CONCLUSIONS

1. After the declaration of independence, Georgia left the closed market space of the USSR and became a subject of the world market, which was accompanied by a decrease in production growth, loss of traditional markets and the rupture of international economic ties.

In those years, on the advice of foreign specialists, the accelerated privatization of state property began, including the land, the nationalization of which all countries have a very careful approach. The advice of the UN Geneva Economic Commission was not taken into account - the reforms should be carried out gradually, against the background of strict enforcement discipline.

In a politically ungovernable country, the rules of production have changed. Illegal armed formations became the main force. No kind of reforms were allowed to be carried out, moreover, the land reform. The situation was complicated through the liberalized prices i.e. prices were assigned the function of production planning and distribution of its results. Profits were maintained at the expense of price increases, as long as it was possible. A wave of super-inflation swept the country, which could only be stopped by radical, systemic change.

2. Georgian Agriculture was specialized in supplying perennial crops (wine, fruit, tea, citrus) to the Union Fund. The loss of product markets has led to a decline in demand for perennial crops, which, among other circumstances, has led to a sharp decline in the production of vines, fruits, citrus, tea plantations and produce. Complicating the situation was the fact that the state, due to a misunderstanding of the principles of market economy management, did not intervene or seriously try to rectify the situation.

3. One of the mistakes made in the transition to a market economy is land reform, which has led to an unprecedented increase in the number of smallholder landowners, turning them into producers of local consumer goods instead of export products. It is noted that groups of people looted state and collective property and processing enterprises and finished products there. Due to the development of these processes, the sectors that were the main source of income for the population, became the cause of their impoverishment.

Nevertheless, the only sector in the country that more or less maintained its viability was agriculture.

4. Due to the strengthening of material and technical base by food importing companies, maintenance of distribution network and sorting of relations with commercial banks in the "hot money" segment, the prod-

ucts produced in small farms of Georgia turned out to be virtually uncompetitive. Due to the lack of income and reduced purchasing power, the population naturally preferred cheap, cheap imported products.

5. Due to the inability of the state to provide assistance to agriculture, there was a tendency to reduce local production and increase imported food, which resulted in the abandonment of transferred or leased land uncultivated, resulting in only a third of arable land in Georgia today, which is the biggest problem. Smallholder farms have been left without land for agricultural machinery, fertilizers, chemicals, land reclamation, fuel, etc. due to the unprecedented increase in the selling prices of the means of production. Today, literally, the rural entrepreneur does not know what kind of products to produce, in what quantity and by what standard, at what time to bring and at what price it will be sold.

6. Analyzing the starting conditions and socio-economic consequences of the transfer of agriculture to market relations, it is noticeable that due to the reduction of production, the structure of export-import in the agri-food sector underwent a major change, which was mainly specialized in export production and had a positive balance.

7. Analysis of the forms of expression of crisis events in agriculture shows that the crisis in agriculture did not have the characteristics of its classical forms, which was due to the large volume of capital investments in this field, subsidies, strong state protectionism and strong state regulation policies.

8. In the first stage, issues of product procurement should be resolved, the solution of which will help to overcome the remaining problems. Otherwise we will have a multitude of problems, none of which can be solved positively. In the agro-food sector, it is important to rank the problems to be solved according to the stages of their implementation. All this serves to introduce an economic model of inclusive growth, which is discussed on the example of a specific field (mechanism).

9. The diversity (multiculturalism) characteristic of Georgia's agriculture at the present stage of development is a peculiar brake on production growth. It is necessary to select one type of product for each zone of agricultural production specialization, the production of which is encouraged by the state in any way (subsidizing purchase prices, selling means of production at reduced prices, reducing taxes, etc.) These actions will lead to an increase in the production of promoted products, deepening of specialization and concentration, which, together with the guaranteed sale of manufactured products, will create the necessary environment to increase the competitiveness of products.

10. Several serious mistakes were made in the transition of the country's economy to the new economic relations, in which the ambiguity in the essence of the existing rule of public production, the unqualified management of the economic organism in the market environment were decisive. The search for ways and means of political and economic reforms did not take into account the many peculiarities of the country's economy, first of all its main component - the agro-food sector.

11. We do not raise the issue of import restrictions, but if we had done it in time, we would have had a different picture today. Our proposal concerns the rational use of the revenues of importing firms. In particular, as the world practice shows, the state should oblige the importing firms to present locally produced products with a certain weight in the products sold by them, the volume of which will gradually increase.

12. Despite the serious shifts that have been observed in recent years and which are the result of the right agrarian policy, many issues still need to be resolved. In particular, issues of increasing productivity and productivity need to be addressed, as well as the problems of seeds, seedling production, and livestock breeding. The issues of providing the agricultural sector with both higher and secondary special education personnel need to be urgently resolved. Serious measures are to be taken to improve the production services of farms, which should include providing them with agricultural machinery, fertilizers, chemicals, fuel, uninterrupted sale of products, and the creation of appropriate material and technical base for this. The action plan of the Ministry envisages not only agricultural production, but also rural development, which will contribute not only to the growth of production, but also to the generation of income for the people, their firm attachment to housing.

13. Opportunities and models for the transition of the national economy to market relations are the cornerstone of the further development of the sector. The main thing in it is that there are a number of conditions without which the establishment of new economic relations is practically impossible. In addition, taking into account the historical sections of development of each particular country, its economy and national peculiarities, it is necessary to take into account additional conditions in order for the country's economy to be able to function normally. For our part, the experience of Asia-Pacific countries - Japan, South Korea, Taiwan, Malaysia, Hong Kong, Singapore, Indonesia and other countries - shows that we can talk about the third model of transition to a market economy, the model of Asian dragons. It is characterized by the leading role of a strong state government in the process of transition to a market economy: setting

priorities, introducing strict rules of the game for institutional, systemic and structural change, developing five-year and six-year development plans and influencing state regulation mechanisms.

14. In determining the main directions of the transition to the market relations of the agri-food sector, the greatest role was played by the cooperation of public and private support economy as a necessary and purposeful form of merging public and personal interests. Private auxiliary farms performed a social function - due to the possibility of selling products produced on private auxiliary farms through state channels. Due to the lack of service in the personal support farms, the existing farms today do not have the function they expected when they were established.

15. The timely solution of the most important tasks facing the agro-food sector of Georgia and its further development depends to a large extent on scientifically based agrarian policy, from the state approach to the problem of market saturation with food.

16. The formation of cooperatives is especially important in order to increase the efficiency of agricultural production in Georgia, however, for various reasons there are obstacles to this process, in the overcoming of which the state policy of promoting cooperatives should play an important role;

17. In order to increase the effectiveness of the measures implemented in agriculture, the Ministry of Environment Protection and Rural Agriculture of Georgia and the Georgian Academy of Agricultural Sciences should select one or, in extreme cases, two crops (products) according to the zones of agricultural production specialization, which will include the implementation of various economic measures by the state - rehabilitation of the sector, expansion of production, purchase of products, subsidizing production or purchase price, etc. The list of selected crops (products) must be approved by the government and the parliament of the country. Production parameters for the period up to 2030 must also be approved.

18. The existence of a model of inclusive economy in the country in all cases implies the existence of a socially oriented state, which in turn is based on maintaining a balance between society, the state and business. The state should select food as well as export-oriented products according to the zones of agricultural production specialization and provide economic stimulation to their production, which is the most widely accepted method of increasing production in the modern world.

19. In determining the new direction of agricultural development, it is important to take into account that there was no precedent for the transition of the former socialist countries to a market economy, naturally,

serious mistakes were made, especially in assessing the role of the state in the market environment. Due to the above, it is impossible to select one or even two types of products in Georgia, the production of which would be able to generate enough income that would be sufficient for the development of the entire agro-food sector.

If such an approach is correct, then these requirements are most met by the vines of Georgia. In the list of state measures, which envisages the production of grapes in the new regions, all the details must be taken into account, more precisely to say, we must establish an orderly system for the production and processing of grapes and protect it with guarantee. The state should prioritize the development of viticulture and winemaking throughout Georgia and develop a program that fully ensures the achievement of the set goals.

20. Effective implementation of emergency measures in the agro-food sector will help maximize the employment of the population and increase their incomes through the fulfillment of social obligations selected by the state. Concreteness for the timing of the measures to be taken (measures to be taken quickly, measures to be taken in the near future, issues to be discussed relatively later) is a prerequisite for the correct definition of the growth strategy of the agro-food sector.

თამაზ კუნჭულია
ზურაბ ბუკია

„საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის პრობლემები“

რეზიუმე

საქართველოში,როგორც ერთ-ერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში,საბაზრო ურთიერთობების დანერგვა დაიწყო ისე, რომ არავითარი გამოცდილება არ არსებობდა. საზოგადოება სრულიად მოუმზადებელი შეხვდა წარმოების ახალ წესს. ამავე დროს, დაშვებულიქნა უხეში შეცდომები - მიწის და წარმოების სხვა საშუალებების პრივატიზაციის დაჩქარებული პოლიტიკის გამო. სახელმწიფომ არ გაითვალისწინა გაეროს ჟენევის ეკონომიკური საბჭოს რჩევები-საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოეხდინათ თანდათანობით,უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში.საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების საწყის ეტაპზე დაშვებული შეცდომების შედეგია ის, რომ წარმოების წესის შეცვლის თითქმის 30 წლისთავზე აგროსასურსათო სექტორის ბევრ დარგში შორს ვართ იმ მაჩვენებლებისაგან, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გვქონდა.

ნაშრომის პირველ თავში: ,,საბაზრო ურთიერთობებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის გადაყვანის სასტარტო პირობები“, აღწერილია 80-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია, ახსნილია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ნარმოების წესის რადიკალური ცვლილებები. ესენია: დამოუკიდებლობის გამოცხადება, საქართველოს გამოსვლა სსრკ-ის დახურული ბაზრის სივრციდან და მისი მსოფლიო ბაზრის სუბიექტად გადაქცევა, სამეურნეო და კოოპერაციული კავშირების რღვევა. ამ უკანასკნელმა კი გამოიწვია პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა, მრავალწლოვანი კულტურების ფართობების მკვეთრად შემცირება. ნაშრომში აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ ეს ცვლილებები მიმდინარეობდა ეთნოკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის ფონზე.

მოსახლეობამ, რომლის ძირითად შემოსავალს მრავალწლოვანი კულტურების წარმოებიდან მიღებული შემოსავლები ნარმოადგენდა, ხელი მიჰყო ადგილობრივი მოხმარების სასურსათო პროდუქციის წარმოებას,მაგრამ აქაც სერიოზული შედეგების მიღწევა შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოყალიბდა მარცვლეულის, პარკოსანი კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, მზესუმზირის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტენდენცია და იგი გრძელდებოდა 2003-2005 წლებამდე, ვიდრე არ მომრავლდნენ სურსათის იმპორტიორი კომპანიები, რომლებიც ეწეოდნენ და დღესაც ეწევიან მაღალი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის იმპორტს, რომელსაც ქართველი გლეხის მიერ ძირითადად ხელით შრომის შედეგად წარმოებულმა პროდუქციამ კონკურენცია ვერ გაუწია.

სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობისადმი დაუხმარებლობის პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ქართველი გლეხი დარჩა მცირე ნაკვეთების მესაკუთრედ და საბაზრო გარემოში მეურნეობის გაძღოლის უცოდინრობის პირობებში. სასოფლო-სამეურნეო შრომა გახდა არაპერსპექტიული, რის გამოც გლეხობამ ხელი მიჰყო ნატურალური ტიპის მეურნეობის განვითარებას, რაც ძირითადად ოჯახის საჭიროებისათვის პროდუქციის წარმოებას ისახავდა მიზნად. პარალელურად, ძლიერდებოდა სურსათის იმპორტიორი ფირმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.საქართველო თანდათან გახდა სურსათის იმპორტიორი ქვეყანა, სადაც ბოლო წლებში ერთი მილიარდ 200-300 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია შემოდის.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ 2013 წლიდან განხორციელებული ღონისძიებებისა - იმპორტის ზრდის ტენდენცია არ იცვლება. შეცდომების ფონზე, რაც დაშვებულიქნა ეროვნული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანისას, განხილულია გარდამავალ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული მოდელები და შემოთავაზებულია ის უპირატესობანი, რომლებიც ამ მოდელებს გააჩნიათ.

მეორე თავში - ,,აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ძირითადი მიმართულებები“, განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო და პირადი დამხმარე მეურნეობების კოოპერაცია, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის საბაზრო ურთიერთობებზე თანდათანობით გადასვლისათვის.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობაში მეორადი კრიზისის განვითარების კვლევას, აგრარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანის განსაზღვრას, საბაჟო ტარიფების როლს ადგილობრივი წარმოების დაცვისათვის. ამავე კუთხითაა განხილული სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე გადასახადების დაწესების არასწორი პრაქტიკა. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია თამბაქოს ნაწარმის დაბერგვის საკითხებზე, რომელიც მისი

გამოყენების მასშტაბების გათვალისწინებით, ხშირად, მცდარი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ხდება.

მცდარია აზრი იმის შესახებ, რომ, თითქოს, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გაზრდა ხელს უწყობს მწეველთა რაოდენობის შემცირებას. სამაგალითოდ მიგვაჩნია კანადის მაგალითი, სადაც ხელისუფლებამ დააწესა მაღალი აქციზები, რასაც შედეგად მოჰყვა კონტრაბანდის ზრდა. ყველა სამთავრობო ღონისძიება ფუჭი გამოდგა, ვიდრე აქციზი არ დასწიეს აშშ-ს დონეზე, საიდანაც კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა.

იგივე ხდება დღევანდელ საქართველოში,იმ განსხვავებით, რომ ჩვენ, როგორც იტყვიან, საზღვრები მოშიშვლებული გვაქვს და ადგილზე ვაწარმოებთ თამბაქოს თუთუნის სახით და იყიდება. საქმეს მხოლოდ თამბაქოს პროდუქციაზე იმ დონის აქციზის დაწესება უშველის,როგორიც ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია.

ამავე თავში განხილულია წარუმატებლობის ფსიქოეკონომიკური ასპექტები, სადაც ჩამოთვლილია ის ობიექტური მიზეზები, რომელიც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის და, რაც, მთლიანობაში, განაპირობებს ჩვენს ჩამორჩენას. სახელმწიფოს როლის შეფასება თანდათან იკიდებს ფეხს, არა მარტო საბჭოთა ყოფის მოქალაქეებში, არამედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ლიბერალური მოდელის მიმდევრებშიც.

მესამე თავში - ,,აგროსასურსათო სექტორის განვითარების ახალი ხედვები", განხილულია საკითხები, გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკიდან და შემოთავაზებულია ავტორებისეული ხედვები მათი გადაწყვეტის მიზნით. საქმიანი წინადადებების შემუშავებისათვის გამოყენებულია როგორც საქართველოში არსებული მოწინავე პრაქტიკა, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაც. ახალი ხედვების შემუშავებას საფუძვლად უდევს სოფლის მეურნეობის განვითარების ავტორებისეული სტრატეგია, რომელიც განსხვავებულია ადრე ოფიციალურად გამოქვეყნებული ანალოგიური დოკუმენტებისაგან.

სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია სოფლის ტურიზმის განვითარებაზე, გაანალიზებულია მიმართულებები, რომლებიც უნდა გადაწყდეს კერძო პირისა და სახელმწიფოს მიერ. ნათქვამია, რომ ამჯერად, ტურიზმის განვითარების უპირატესობა განპირობებულია ბუნებრივი პირობებითა და ქართული ოჯახების სტუმართმოყვარეობით. სხვა საკითხების მოგვარება სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული დახმარების გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოყოფილია საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა, 3 ქვეზონით, საჭიროა თითოეული ზონის მიხედვით შეირჩეს ერთი სახის პროდუქცია, რომლის წარმოებასაც სახელმწიფო რაიმე ფორმით წაახალისებს. აღნიშნული ღონისძიებით შესაძლებელი გახდება წახალისებული პროდუქციის წარმოების ზრდა, რაც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასთან ერთად, შექმნის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საჭირო გარემოს.

შემოთავაზებულია მეცხოველეობის პროდუქტების (ქათმის, ღორის ხორცი) წარმოების ორგანიზება საოჯახო მეურნეობის ბაზაზე, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის გაიაფებას და მცირე მეწარმეობის აღმავლობას.

სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი აგროსასურსათო სექტორში გასატარებელ ისეთ ღონისძიებებს, რომელთა დანერგვამ უნდა გამოიწვიოს, მწარმოებლის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი შემოსავლების ზრდა. აგროსასურსათო სექტორში გასატარებელი ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია კერძო მექანიზებული რაზმების ჩამოყალიბება, რომლებიც ფერმერებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე დაამუშავებენ მათ საკუთრებაში არსებულ ფართობებს და წლის ბოლოს მიიღებენ დათქმულ თანხას. ეს ღონისძიება განხილული უნდა იქნეს მომავალში მოსალოდნელი კრიზისული მოვლენებისაგან თავის დაღწევის საშუალებად.

ვფიქრობთ ყურადღებას იმსახურებს მესამე თავის ბოლო პარაგრაფი, სადაც ჩამოთვლილია აგროსასურსათო სექტორში განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც განხილულია განხორციელების დროის გათვალისწინებით.

ТАМАЗ КУНЧУЛИЯ
ЗУРАБ БУКИЯ

„ПРОБЛЕМЫ ПЕРЕВОДА АГРОПРОДОВОЛЬСТВЕННОГО СЕКТОРА ГРУЗИИ НА РЫНОЧНЫЕ ОТНОШЕНИЯ“

РЕЗЮМЕ

В Грузии, как в одной из в постсоциалистической стране, внедрение рыночных отношении началось без какого- либо опыта. Общество совершенно без подготовки встретило новый порядок производства .Тем самым, были допущены грубые ошибки из- за политики ускоренной приватизации земли и других средств производства. Государство не приняло во внимание советы Женевской экономической комиссии ООН – о переходе на рыночную экономику постепенно, в условиях строжайшей испольнительной дисциплины.

Спустя почти 30 лет ,после изменения правил производства, отставание от уровня Советских времен ,во многих отраслях агропромышленного сектора, является результатом допушенных ошибок на начальном этапе обоснования рыночных отношении.

В первой главе труда:,, Стартовые условия перевода сельского хозяйства Грузии на рыночные отношения” описаны политические, социальные и экономические ситуации, возникшие в стране в конце 80-ых годов,обьяснены причины вызвавшие радикальние изменения правил производства: обьявление независимости, выход Грузии из закрытого пространства рынка бывшего СССР и превращение ее в субьект международного рынка, разрыв экономических и хозяйственных связей. Это вызвало потерью традиционных рынков реализации продукции, резкое сокращение площадей многолетных насаждении .В труде отмечены и о том, что эти изменения проходили на фоне этноконфликтов и гражданской войны.

Население, для которого основным источником прибыли было продукция многолетных культур, занялось производством продовольственной продукции местного потребления, хотя и здесь достичь серьезных результатов стало невозможным.Несмотря на это, всеравно ,сложилась тенденция роста производства продукции зерновых ,бобовых культур, овощей, картофеля, продуктов животноводства и это продолжалось до 2003 - 2005 годов, пока не умножилось количество компании - импортерев прдовольствия, которые вели и понине ведут импорт продукции, изготовленных высокой технологией. Естественно, что продукция местного крестьянина, изготовленная ручным трудом, конкурировать не могла.

Политика беспомошности сельскому хозяйству со стороны государства обусловила то, что грузинскии крестьянин остался владельцем мелких участков и в условиях незнания руководить хозяйством в рыночной среде. Сельскохозяйственный труд стал неперспективным, в результате чего, крестьянство приступило развитию хозяйств натурального типа, с целью производства продукции для семейных нужд. Парралельно началась усыливаться материально-техническая база фирм -импортерев продовольствия.Грузия постепенно стала импортером продовольствия, куда в последнее время завозится продукция на сумму миллиард 200-300 миллионов долларов США.

Несмотря на мероприятии, проведенных государством с 2013 года, тенденция роста импорта не меняется. На фоне ошибок, допущенных при переводе национального хозяйства на рыночные отнощения, рассмотрены моделы ,примененные в разных странах в переходный период и предложены те приемушества, которые характерны этым моделям.

Во второй главе - ,,Основные направления перевода агропромышленного сектора на рыночные отношения“, рассмотрены такие вопросы, как кооперация государственного и частных хозяйств, что создает найлучшие условия для постепенного перехода на рыночные отнощения.

Особое место отводится исследованию развития вторичного кризиса в сельском хозяйстве, определению основной задачи аграрной политики, роли таможенных тарифов с целью защиты местного производства.

В таком же ракурсе рассмотрена ошибочная практика накладывание налогов на сельскохозяйственную продукцию. В частности, внимание заострено на налоговложение на продукции табака, которое с учетом масштабов его применения, частно становиться основой неправильных решении.

Ошибочна мысль о том, что якобы увеличение акциза на тобачные товары, спосовствует уменьшению числа курильщиков. Примером может

послужить Канадский пример, где правительство учредило высокие акцизы, что привело к увеличению контрабанды.Все правительственные усилия оказались бесплодными, пока не снизили акцизы на уровне США, откуда и шли контрабандные товары.

Тоже самое происходить в сегоднящей Грузии с тем отличием ,что ,как говорять, у нас границы полуоткрыты и ва месте производим табвак в виде тютюня и продается. Делу можеть спасти наложение акциза такого уровня ,какой в соседных странах.

В этой же главе рассмотрены психоэкономические аспекты неудачи, где перечислены те обьективные причины, которые характерны постсоветской стране и что в целом определяет нашу неудачу. Оценька роли государства постепенно набирает ход не только у людей Советского быта, но и у сторонников – либералов перехода на рыночные отнощения.

В третьей главе-,, Новые видения развития агропродовольственного сектора "рассмотрены вопросы, вытекающие из практики сельского хозяйства и предложены видения авторов с целью их реализации. Для разработки деловых предложении применена как существующая в Грузии передовая практика, также опыты зарубежных стран. В основе разработки новых видении лежать авторские стратегии развития сельского хозяйства, которые отличаются от ранее офыциально опубликованных документов.

В стратегии в нимание заострено на развитие сельского туризма, проанализированы направления, которые должны решаться ьчастным лицом и государством. Сказано, что, на этот раз, приемушество развития туризма обусловлено природными условиями и гостеприимством грузинских семей. Разрешение других вопросов, без помощи со стороны государства, практически невозможны.

Исходя из характерных для сельского хозяйства Грузии особенностям, где сравнительно на маленькой территории выделена 11 зон производственной специализации, с тремя подзонами, необходимо отобрать для каждой зоны один вид продукции, производства которой будет поддержана государством по какой либо форме. Этой мерой станет возможным рост производства поддержанной продукции, что вместе с реализацией, создаст среду для роста конкурентноспособности.

Предложена организация производства животноводческой продукции (куриное и свинье мясо) на семенном базе, что будет

способствовать удешевлению продукции и росту семейного предпринимательства.

Серьезное внимание уделено проводимой в агропродовольственном секторе таким мероприятиям, внедрение которых, согласно интересам производителей, должны вызвать рост их прибыли.

Из мероприятиий, проводимиых в агропродовольственном секторе, значительно создание частных механизированных отрядов, которые согласно с оформленными договорами с фермерами, обработают их чатсные земельные участком и в конце года получать договорную сумму. Это мероприятие должно рассматриваться, как одно из средств спасения от кризисных явлении.

Думаем, что заслуживает внимание последный параграф третьей главы, где перечислены проводимые мероприятия в агропродовольственном секторе, которые рассмотрены с учетом времени их разрешения.

TAMAZ KUNCHULIA
ZURAB BUKIA

"PROBLEMS OF TRANSFERRING THE GEORGIAN AGRI-FOOD SECTOR TO MARKET RELATIONS"

ABSTRACT

Georgia, as one of the post-socialist countries, used to have a market. The society met the new rule of production completely unprepared. At the same time, gross mistakes were made due to the accelerated policy of privatization of land and other productions. Tips _ The transition to a market economy has been gradual, under the conditions of the strictest executive discipline. As a result of the mistakes made in the early stages of establishing market relations, almost 30 years after the change of production rules, we are far from the indicators we had in many sectors of the agri-food sector in the Soviet period.

The first chapter of the paper: "Starting conditions for the transfer of Georgia's agriculture to market relations" describes the political, social, and economic situation in the country in the late 80-s, explains the main reasons that led to radical changes in the rules of production.

These are the declaration of independence, Georgia's withdrawal from the closed market space of the USSR, and its transformation into a world market entity, the breakdown of economic and cooperative ties. The latter has led to the loss of traditional markets for the sale of products, drastically reducing the area of perennial crops.

The population, whose main income was from the production of perennial crops, helped to produce food for local consumption, but even here it was impossible to achieve serious results. Nevertheless, there was a growing trend in the production of cereals, legumes, vegetables, potatoes, sunflowers, and livestock products, and this continued until 2003-2005 when food importing companies multiplied and still are conducting the import of high-tech products that cannot be competed by Georgian hand-made labor production.

The policy of the state of non-assistance to agriculture has led to the Georgian peasant just being left as the owner of small plots of land and ignorant of running a farm in a market environment. Agricultural labor became unpromising, which led the peasantry to develop a subsistence farm, mainly producing for the family requirement.

At the same time, the material and technical base of food-importing firms was being strengthened. Georgia has gradually become a food importer, with $ 200 billion to $ 300 million worth of products in recent years.

Despite measures taken by the state since 2013, the tendency of import growth has not changed.

Against the background of the mistakes made in transferring the national economy into market relations, the models used in different countries during the transition period are discussed and offered the models with their best advantages.

The second chapter - "Main directions of the introduction of market relations in the agri-food sector", discusses issues such as the cooperation of state and private subsidiary farms, which creates the best conditions for a gradual transition to market relations.

A special place is given to the study of the development of secondary crises in agriculture, the definition of the main task of agrarian policy, the role of customs tariffs for the protection of local production. The wrong practice of imposing taxes on agricultural products is discussed in the same way. In particular, the issue of tobacco product transplantation is highlighted, which given the scale of its use, often becomes the basis for making wrong decisions.

It is a misconception that an increase in excise duty on tobacco products helps to reduce the number of smokers. Take the example of Canada, where the government imposed high excise taxes, which resulted in an increase in smuggling. All government measures were in vain until the excise tax was lowered to the U.S. level from which smuggled goods were imported.

The same is happening in Georgia nowadays, with the difference that we, as they say, we do have bare borders and produce tobacco on the spot in the form of tobacco and sell it. Only the imposition of the same level of excise duty on tobacco products as in our neighboring countries will help the case.

The same chapter discusses the psycho-economic aspects of failure, listing the objective causes that characterize a post-Soviet country and that, as a whole, lead us towards the backwardness.

The assessment of the role of the state is gradually gaining a foothold, not only among the citizens of the Soviet Union but also among the followers of the liberal model of transition to a market economy.

In the third chapter - "New visions for the development of the agri-food sector", issues arising from the practice of agricultural production are discussed and the author's visions are proposed to solve them. The best practices in Georgia as well as the experience of foreign countries are used to develop business proposals. The development of new visions is based on the authors' strategy for agricultural development, which differs from similarly previously published similar documents.

The strategy focuses on the development of rural tourism, analyzes the areas to be decided by the individual and the state. It is said that this time, the advantage of tourism development is due to natural conditions and the hospitality of Georgian families. Solving other issues without serious help from the state is practically unthinkable.

Due to the peculiarities of Georgia's agriculture, where 11 zones of industrial specialization with 3 sub-zones are allocated in a relatively small area, it is necessary to select one type of product for each zone, the production of which will be encouraged by the state in any way.

This measure will make it possible to increase the production of encouraged productions, which, together with the sale of manufactured products, will create the necessary environment to increase the competitiveness of products.

It is proposed to organize the production of livestock products (chicken, pork) on the basis of family farming, which will help to reduce the cost of production and the growth of small businesses.

Serious attention is paid to the measures to be taken in the agri-food sector, the introduction of which should lead to an increase in their revenues in the interests of the producer.

Among the measures to be taken in the agri-food sector, it is important to establish private mechanized detachments, which will cultivate the areas owned by them on the basis of agreements with farmers and receive the reserved amount at the end of the year.

This measure should be considered as a means of escaping from the expected crisis events in the future.

We think that the last paragraph of the third chapter deserves attention, which lists the measures to be taken in the agri-food sector, which are considered taking into account the time of implementation.

ლიტერატურა

1. ანდღულაძე რ., კუნჭულია თ., კვირიკაძე ლ. - აგრარული პოლიტიკის ამოცანები ეკონომიკური რეფორმების გაღრმავების პირობებში. - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 4, 1997 წელი, გვ.11-13;
2. კუნჭულია თ. - საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. - სადოქტორო დისერტაცია, თბილისი,1996 წელი. - 274გვ.
3. კოღუაშვილი პ. - ატმის კრიზისის დაძლევის ყველაზე ეფექტური გზა. - სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი - ,,აგრარული საქართველო", 5 (37), 2014 წელი, გვ. 7-9;
4. კოღუაშვილი პ., ჯაბნიძე რ. - მეჩაიეობის აღსადგენად უფრო მასშტაბური პროგრამაა საჭირო.- სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი - ,,აგრარული საქართველო", 5(61), 2016 წელი, გვ.7-12;
5. კოღუაშვილი პ. - მარცვლის წარმოება-სასურსათო დამოუკიდებლობის გარანტი. - სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი - ,,აგრარული საქართველო", 9(97), 2019 წელი, გვ. 4-8;
6. კუნჭულია თ.-აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის იმპორტირებულ პროდუქციაზე საბაჟი ტარიფების დიფერენცირების შესახებ.-ჟურნალი,,ეკონომიკა",7,1997 წელი,გვ.77-87;
7. კუნჭულია თ.-როგორ დავიცვათ საკუთარი პროდუქცია.- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ,,კვალი",1999 წელი, 3-4,გვ.19-21;
8. კუნჭულია თ.- სოფლის მეურნეობა და მეორადი კრიზისი.-საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი,,კვალი",1999 წელი,1-2,გვ.52-53;
9. კუნჭულია თ. - აგრარული საინვესტიციო ფონდის შესახებ.- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,7, 2000 წელი, გვ24-26;.
10. კუნჭულია თ.-ფისკალური პოლიტიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება.-აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომკისა და მართვის სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტომიIII(XXV),2001 წელი,გვ.88-98;
11. კუნჭულია თ.-მარცვლეულის და თამბაქოს ნაწარმზე საგადასახადო სისტემის სრულყოფის შესახებ-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,8, 2001 წელი;
12. კუნჭულია თ.,კოღუაშვილი პ.-ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნრიანობის ამაღლების შესახებ. - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,31, 2012 წელი, გვ. 300-303;
13. კუნჭულია თ.-რატომ და როგორ უნდა გავზარდოთ სოფლის მოსახლეობის დასაქმება და შემოსავლები.-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2(36), 2016 წელი, გვ.155-159;
14. კუნჭულია თ. - ბიოპროდუქციის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში. - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2(36), 2016 წელი, გვ.160-163;
15. თამაზ კუნჭულია, შოთა კიკალიშვილი,ზურაბ ბუკია - ქართული მეჩაიეობა (უახლესი წარსული). - გამომცემლობა ,,მწიგნობარი", თბილისი,2017 წელი.-195 გვ.
16. თამაზ კუნჭულია,ზურაბ ბუკია-ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი მეჩაიეობაში.- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,2(40),2018 წელი, გვ.147-152.
17. კუნჭულია თ.-რა გზით ვიაროთ?.-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2(40), 2018 წელი, გვ.142-146;
18. თამაზ კუნჭულია,ზურაბ ბუკია-მეჩაიეობის აღდგენის აუცილებლობა საქართველოში.- გამომცემლობა ,,მწიგნობარი", 2019 წელი.- 199 გვ.
19. კუნჭულია თ. , ზ. ბუკია ზ.-საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის შესახებ. – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,2(42),2019 წელი, გვ134-138;.
20. კუნჭულია თ.,მჭედლიშვილი ქ.- ეკლესია და თანამედროვე სოფლის მეურნეობა.-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,32, გვ.303-304;.
21. კუნჭულია თ.,მჭედლიშვილი ქ.-წარუმატებლობის ფსიქოეკონომიკური ასპექტები.-საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,30, გვ363-366;.
22. ჭითანავა ნ.-შერეული, მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა, თბილისი,1996 წელი. - 36 გვ.
23. ჭითანავა ნ.-საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი,1993 წელი.-224 გვ.

სარჩევი

რედაქტორისაგან 3
შესავალი 6

თავი I.
საბაზრო ურთიერთობებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის გადაყვანის სასტარტო პირობები 11

1.1. სოფლის მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის სოციალურ- ეკონომიკური შედეგები 11
1.2. კრიზისული მოვლენები სოფლის მეურნეობაში და მისი გამოხატვის ფორმები 28
1.3. ეროვნულ სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები 54
1.4. ეროვნული მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის შესაძლებლობები და მოდელები.....66

თავი II.
აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ურთიერთობებზე გადაყვანის ძირითადი მიმართულებები. 77

2.1. საზოგადოებრივ და პირად დამხმარე მეურნეობათა კოოპერირების საკითხისათვის 77
2.2. სოფლის მეურნეობა და მეორადი კრიზისი 88
2.3. აგრარული პოლიტიკის ამოცანები 93
2.4. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება და საბაჟო ტარიფები.....98
2.5. ფისკალური პოლიტიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება. 107
2.6. საგადასახადო სისტემის სრულყოფის შესახებ (მარცვლეულისა და თამბაქოს მაგალითზე) 116
2.7. ეკლესია და კოოპერატიული მშენებლობა 123
2.8. წარუმატებლობის ფსიქოეკონომიკური ასპექტი 126
2.9. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის (2021-2027) შუქ-ჩრდილები.....133

თავი III.
აგროსასურსათო სექტორის განვითარების ახალი ხედვები... 141

3.1. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისათვის ...141
3.2. აგრარული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობანი 148
3.3. ადგილობრივი წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები.....165
3.4. როგორ დავეხმაროთ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდაში 172
3.5. როგორ უნდა გავზარდოთ სოფლის მოსახლეობის დასაქმება და შემოსავლები.....177
3.6. ხორბლის წარმოება სერთიფიცირებული საწყობების მეშვეობით.....183
3.7. ბიოპროდუქციის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში 190
3.8. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ახალი ტალღის შესაძლებლობები 195
3.9. ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი მეჩაიეობაში. 201
3.10. სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი მიმართულების შესახებ 210
3.11. აგროსასურსათო სექტორში გადაუდებლად გასატარებელი ღონისძიებები.....216

დასკვნები (ქართულ ენაზე) 223
დასკვნები (რუსულ ენაზე) 230
დასკვნები (ინგლისურ ენაზე).....235
რეზიუმე (ქართულ ენაზე).....240
რეზიუმე (რუსულ ენაზე).....244
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....248
ლიტერატურა.....252

ტექნიკური რედაქტორი:
თინათინ ყარანაშვილი

მხატვარი
ნინო ხმალაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზურაბ ბუკია

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge